

ვალდებულებითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2021, №10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2021, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2021, №10

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2021, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეზელი

- 1. ვალდებულების დარღვევა**
მოვალის პასუხიმგებლობა
მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის 4
- 2. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს**
დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას 14
- 3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა**
ზიანის ოდენობის განსაზღვრა 86
დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში 142
- 4. ვალდებულების შეწყვეტა**
ვალდებულების შეწყვეტა
კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით 152
ვალდებულების შეწყვეტა დეპონირებით 161

1. ვალდებულების დარღვევა

მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-187-176-2017

15 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „G-a“ (შემდეგში: მოსარჩელე, საწარმო, დაზარალებული) ქ. თბილისში, ... მდებარე სავაჭრო ცენტრში შპს „ს“-თან დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ღია დარბაზში 25 კვ/მ (ადგილი 73ბ) ფართს ფლობდა.

2. სავაჭრო ცენტრის დაცვას, შპს „დ. ს. თ-თან“ (შემდეგში – დ. ს.) გაფორმებული 2010 წლის 1 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ე-ი“ (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, კასატორი) უზრუნველყოფდა.

3. მოსარჩელე საიჯარო ქონებით სარგებლობდა დილის 10:00-დან საღამოს 18:00 საათამდე. 18:00 საათის შემდეგ სავაჭრო ცენტრი იხურებოდა და ადგილზე რჩებოდა მხოლოდ დ. ს.

4. 2013 წლის 26 თებერვალს, დაახლოებით 20:30 ნთ-ზე, მაშინ, როცა სავაჭრო ცენტრი დახურული იყო და ადგილზე მხოლოდ დ. ს-ს თანამშრომლები იყვნენ, გაჩნდა ხანძარი. ხანძრის გაჩენის სავარაუდო მიზეზი არის ცეცხლის წაკიდება. ცეცხლის გავრცელების შედეგად დაიწვა დაახლოებით 6500 კვ.მ-ზე განთავსებული სავაჭრო ობიექტები, მათ შორის, საიჯარო ფართი და მოსარჩელის სარეალიზაციოდ გამზადებული საქონელი.

5. მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა ზიანის – 9 900 ლარის ანაზღაურება იმ საფუძველზე, რომ მათ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, ობიექტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა სწორედ მოპასუხემ იკისრა. ეს უკანასკნელი აღნიშნულ ვალ-

დებულებას მის მიერ დაქირავებული დ. ს-ს მეშვეობით ასრულებდა. სადავო შემთხვევაში, დ. ს-მა ხანძარი დაგვიანებით აღმოაჩინა, რის შემდეგაც ხანძრის ლიკვიდაციისათვის საჭირო ზომები არ მიიღო. უფრო მეტიც, ადგილზე მისულ სახანძრო სამაშველო სამსახურებს დ. ს-ს თანამშრომლებმა ცეცხლის დროულად ჩაქრობაში ხელი შეუშალეს ტერიტორიაზე მათი შეშვების შეფერხებით.

6. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მან მოთხოვნის გამომრიცხველ შესაგებელში აღნიშნა, რომ მოსარჩელემ მიუთითა დ. ს-ს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობაზე, თუმცა სარჩელი იმ პირის მიმართ აღძრა, ვინც არ არის ზიანზე პასუხისმგებელი. მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხემ იკისრა მოსარჩელის ქონების ხანძრისგან დაცვის ვალდებულება. ხანძარი არ გაჩენილა საიჯარო ფართზე დამონტაჟებული დანადგარების ან ელექტროგაყვანილობის გაუმართაობის გამო, არამედ ცეცხლის წაკიდებით გაჩნდა, ე.ი. შეგნებულად – მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი ქმედების შედეგად, რაზეც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიება მიმდინარეობდა. მოპასუხის მოსაზრებით, არასწორი იყო მოსარჩელის მიერ წარდგენილი ზიანის გაანგარიშებაც.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს დაეკისრა ზიანის – 9 900 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დარჩა.

9.1. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, საქმეში არ იყო წარდგენილი ხანძრის გაჩენის პერიოდში მოქმედი იჯარის ხელშეკრულება, თუმცა ფაქტი, რომ მანამდე მხარეთა შორის არსებობდა საიჯარო ურთიერთობა და მოსარჩელე იხდიდა იჯარის ქირას, ამასთან, საიჯარო ფართში ადმინისტრირებას მოპასუხე ახორციელებდა, მიუთითებდა იმაზე, რომ სადავო პერიოდშიც მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა.

9.2. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოებას მოპასუხე უზრუნველყოფდა, რაზეც ის ფაქტიც მიუთითებდა, რომ საღამოს 18:00 საათის შემდეგ სავაჭრო ცენტრის ტერიტორია არც მოიჯარეებისა და არც სხვა პირებისთვის ხელმი-

სანვდომი არ იყო. შესაბამისად, სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოებაზე მოპასუხე იყო პასუხისმგებელი. კონკრეტულ შემთხვევაში, დაცვის ფუნქციას მოპასუხე დ. ს-ს მეშვეობით ასრულებდა. დადგინდა, რომ დ. ს-მა თავისი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, კერძოდ, ადგილზე მისულმა სახანძრო მანქანებმა დროულად ვერ მიანოდეს წყლის ჭავლი ხანძრის გავრცელების კერებს, რადგან დ. ს-მა ვერ უზრუნველყო მათი დაშვება სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე. ამის გამო სახანძრო სამსახურს მოუწია ხანძრის ჩაქრობა გარე პერიმეტრიდან. დ. ს-მა უარი უთხრა მათ ტერიტორიაზე შეშვებაზე, იმ მოტივით, რომ ვერ პოულობდნენ გამშვები პუნქტის გასაღებს. ამდენად, სსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე, დ. ს-ს ქმედებებზე მოსარჩელის მიმართ პასუხისმგებელი პირი მოპასუხე იყო, რომელმაც მოსარჩელის მფლობელობაში არსებული ობიექტის უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოპასუხემ საკაცო წესით გაასაჩივრა შემდეგ საფუძველებზე მითითებით:

10.1. საქმეში არსებული მტკიცებულებების (შპს „დამოუკიდებელი ექსპერტიზის“ საბუღალტრო-სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წერილობითი განმარტება, ხანძრის შესახებ აქტი, საგანგებო სიტუაციების სამსახურის წერილები და სხვა მასალები) ურთიერთშეჯერების საფუძველზე მოპასუხეს ზიანის ანაზღაურება არ უნდა დაეკისროს, რადგან არ არის დადგენილი მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, არ დადგენილა თავად ზიანის ოდენობა და რომც დადგენილიყო, მოპასუხეს ბრალი არ მიუძღვის.

10.2. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდა. სინამდვილეში, მოსარჩელეს მოპასუხესთან იჯარის ხელშეკრულება არ დაუდია, იგი მხოლოდ ქვემოიჯარე იყო და მოსარჩელის მიერ მითითებული ურთიერთობის ფარგლებში მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი არ არსებობდა. ხანძრის გაჩენის დროისათვის მოსარჩელე ობიექტს ქვეიჯარით ფლობდა. ამდენად, იგი მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა.

10.3. მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის დასამტკიცებლად მოსარჩელე მიუთითებს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაზე, სადაც აღნიშნულია, რომ ხანძარი დ. ს-მა დაგვიანებით აღმოაჩინა. დასკვნა ამ ფაქტის დასამტკიცებლად არასათანადო მტკიცებულებაა. ამას ადასტურებს კასატორის მიერ წარმოდგენილი ექსპერტთა წერი-

ლობითი განმარტება. განმარტების მიხედვით, ექსპერტებმა ტექნიკური უზუსტობა დაუშვეს, როცა მიუთითეს, რომ ხანძრის სანყის ეტაპზე – 56 წუთის განმავლობაში არავინ მისულა, სინამდვილეში, აქ 5-6 წუთზეა საუბარი. ამასთან, დასკვნაში ექსპერტები ხანძრის დაგვიანებით აღმოჩენაზე კატეგორიულად მიუთითებდნენ, თუმცა წერილობით განმარტებაში ასეთი ტონი აღარ შეინიშნება. რაც შეეხება 50-ლიტრიანი ცეცხლმაქრის გამოყენებას, ამ საკითხშიც ექსპერტის დასკვნა ვერ გამოდგება შესაბამის მტკიცებულებად. სადავო დასკვნის გაცემისას, ექსპერტებს ის ფაქტი არ გაუთვალისწინებიათ, რომ, რადგან ხანძრის ადგილას შენობის ჭერიდან ცეცხლი ცვიოდა, დ. ს-ს არ შეეძლო ცეცხლმაქრს მიახლოებოდა.

10.4. დიდი ალბათობით, შესაძლებელია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, გამოკვეთილიყო განზრახ ჩადენილი დანაშაული, რომლის აღკვეთა და გამოძიება სახელმწიფოს ოპერატიული და საგამოძიებო ორგანოების ვალდებულებაა. სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვის საკითხი სარჩელის დავის საგანს არ წარმოადგენს. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ხანძარი, სავარაუდოდ, სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო კი არ გაჩნდა, არამედ წაკიდებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება ჯერ დასრულებული არ არის. უკიდურეს შემთხვევაში, დ. ს-სა და საგანგებო სიტუაციების სამსახურს შორის პასუხისმგებლობა უნდა გადანაწილდეს.

10.5. მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა გამოცდილი საექსპერტო დაწესებულების მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის თანახმადაც, 2013 წლის 26 თებერვლის მონაცემებით, სასაქონლო მარაგების საბუღალტრო ნაშთის დადგენა შეუძლებელია. გარდა ამისა, შეუძლებელია მოსარჩელის კუთვნილი ხანძრის შედეგად განადგურებული საქონლის საბალანსო და სარეალიზაციო ღირებულების დადგენა. ხსენებული საექსპერტო დასკვნიდან გამომდინარე, ზარალის დათვლა მოსარჩელის მიერ წარდგენილი შპს „ა.ს.ჯ-ის“ აუდიტორული დასკვნით, არასწორია. როგორც წესი, ხანძრამდე მოსარჩელის სახელზე ბუღალტრულად რიცხული საქონლის ნაშთის გარკვეული ნაწილი ინახება დამქირავებლის საწყოში, რომელიც სხვაგან მდებარეობს და არა – სარეალიზაციო დარბაზში. თუკი მოსარჩელის საწყობა და ხანძრის შედეგად განადგურებულ ფართში შენახული საქონლის რაოდენობა არ დადგინდება, ობიექტურ შედეგზე საუბარი ზედმეტია.

10.6. მოსარჩელემ ინვენტარიზაცია კანონდარღვევით ჩაატარა. საქმეში მოიპოვება სასაქონლო მარაგების ინვენტარიზაციის აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხოლოდ საწარმოს დირექტორი და

ბულალტერი. აქედან გამომდინარე, დოკუმენტის ობიექტურობა გარანტირებული ვერ იქნება. გარდა ამისა, ინვენტარიზაციის აქტში მითითებული არ არის მისი ჩატარების ადგილი. აუდიტის აქტში აუდიტორი მიუთითებს, რომ იგი ინვენტარიზაციის პროცესს ვერ დააკვირდა, რადგან ეს პროცესი მის აუდიტორად დანიშვნამდე მიმდინარეობდა და, შესაბამისად, ვერ გამოხატავდა აზრს ინვენტარიზაციის შედეგებთან დაკავშირებით.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ივნისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

12. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

14. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობად მიიჩნია და მიუთითა, რომ, რაკი მხარეთა შორის ხანძრის გაჩენამდე არსებობდა საიჯარო ურთიერთობა და მოსარჩელე იხდიდა იჯარის ქირას, ამასთან, საიჯარო ფართს ადმინისტრირებას მოპასუხე უწევდა, სადავო პერიოდშიც მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობდა.

15. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის იჯარის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის თაობაზე და მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებები (11.09.2012 წლის, 27.03.2013 წლის, 01.12.2013 წლის) მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებულია სავაჭრო ცენტრში არსებულ სხვა ფართებზე და არა იმ 25 კვ/მ-ზე, რომელშიც მოსარჩელის სარეალიზაციოდ გამზადებული ქონება დაინვა. აღნიშნულ ფართს მოსარჩელე მოიჯარესთან დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულების

საფუძველზე ფლობდა, შესაბამისად, მეიჯარესა და ქვემოიჯარეს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ წარმოშობილა, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტისა, რომ ქვემოიჯარე იჯარის ქირას პირდაპირ მეიჯარეს უხდოდა.

16. უდავოა, რომ საიჯარო ფართის ადმინისტრირებას მოპასუხე ახორციელებდა, ის უზრუნველყოფდა სავაჭრო ცენტრის უსაფრთხოებასაც. ამდენად, მოპასუხესა მოსარჩელეს შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშვა მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, შეფასებულია ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობად. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 629-ე (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის), 396-ე (მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებს ეფუძნება.

17. საკასაციო საჩივრის მიხედვით, კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია ისაა, რომ გამოძიების მიერ ჯერჯერობით დაუდგენელი პირის მხრიდან, სავარაუდოდ, განზრახ გაჩენილი ხანძრის შედეგად მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის კასატორისათვის დაკისრება უკანონოა. პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელე მოპასუხეს ხანძრის „ნაკიდებას“ არ ედავება, ის მხარეთა შორის არსებული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე აპელირებს. აქედან გამომდინარე, გამოძიებით რომც დადგინდეს ხანძრის წამკიდებელი პირის ვინაობა, ეს მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით გამოწვეულ პასუხისმგებლობას ვერ გამოორიცხავს და ვერც შეამსუბუქებს. ამდენად, არსებითა, გაირკვეს მოსარჩელისათვის მიყენებული ზი-

ანი გამოიწვია თუ არა მოპასუხის ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ.

18. შემკვეთის წინაშე საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად მენარდე იყენებდა დ. ს-ს. ეს უკანასკნელი 2013 წლის 26 თებერვალს ხანძრის წაკიდებისას, იცავდა რა სავაჭრო ობიექტს, რომელშიც საიჯარო ფართი იყო განთავსებული, ასრულებდა მოვალის (მენარდის) ვალდებულებას. შესაბამისად, დაცვის თანამშრომელთა ქმედება განიხილება მენარდის ქმედებად. მოპასუხესა და დ. ს-ს შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, დ. ს. ვალდებულია – „ორგანიზება გაუკეთოს და დაიცვას მატერიალური ფასეულობები და საზოგადოებრივი წესრიგი დასაცავ ობიექტზე 24 საათის განმავლობაში. თვალყური ადევნოს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას და ხანძრის შემთხვევაში გაუწიოს პირველადი დახმარება“.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ხანძრის გაჩენის მიზეზი კი არ არის, არამედ ის, რამ გამოიწვია ხანძრის გავრცელება და შესაძლებელი იყო თუ არა ხანძრის მასშტაბისა და მიყენებული ზიანის თავიდან არიდება. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ ხანძრის სწრაფ გავრცელებას და განვითარებას ხელი შეუწყო მისმა დაგვიანებით აღმოჩენამ, ასევე, სახანძრო სამსახურის არასწორმა მოქმედებამ. ამავე დასკვნის მიხედვით, ხანძარი მასშტაბური გახდა, როგორც კერების არსებობის, ასევე, – ავეჯის ცენტრის დაცვისა და სახანძრო სამსახურების მხრიდან ხანძრის ჩაქრობის სანყის ეტაპზე მეთოდურად არასწორი მოქმედების გამო, აქედან ძირითადია: ხანძრის გვიან აღმოჩენა, 50-ლიტრიანი ცეცხლმაქრის გამოყენებლობა და კერების ლოკალიზება.

20. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კასატორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ 50-ლიტრიანი ცეცხლმაქრის გამოყენება შეუძლებელი იყო ამ უკანასკნელის ხანძრის კერასთან ახლოს არსებობისა და მასზე ცეცხლის დაცვენის გამო, რამდენადაც ეს გარემოება საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნაში დაცვის მუშაკის განმარტებაზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ 50-ლიტრიანი „ოპ-50“ ცეცხლმაქრი არ იქნა გამოყენებული. ექსპერტს ცეცხლმაქრის გამოყენების შეუძლებლობაზე არ მიუთითებია, ხოლო ამ მტკიცებულების სანინააღმდეგო მტკიცებულება მოპასუხეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

21. რაც შეეხება კასატორის აპელირებას, რომ ექსპერტიზის დასკვნაში ტექნიკური უზუსტობაა დაშვებული, კერძოდ, მითითე-

ბულია, რომ „ვიდეომასალაზე ხანძრის საწყის პერიოდში 56 წუთის განმავლობაში არავინ არ ფიქსირდება“, რეალურად კი, 5-6 წუთზეა საუბარი. ჯერ ერთი, სახანძროს მისვლამდე 180 კვ.მ დაიწვა და არადამაჯერებელია 5 წუთში ამხელა ტერიტორიის დაწვა. მეორეც, თუ წუთებს შორის განსხვავება მხოლოდ ტექნიკური უზუსტობაა და არა – შინაარსობრივი, გამოდის, რომ ექსპერტმა სწორედ ეს დრო მიიჩნია დაგვიანებად. ამასთან, ექსპერტის დასკვნა ხანძრის გვიან აღმოჩენასთან დაკავშირებით, ყველა მტკიცებულების ანალიზს ეფუძნება და არა მხოლოდ ვიდეომასალას. ამდენად, თუნდაც 5-6 წუთზე იყოს მითითება, აღნიშნული არ ცვლის ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილ ფაქტს, რომ ხანძრის მასშტაბურობა განაპირობა დ. ს-ს მიერ ხანძრის გვიან აღმოჩენამ. მოპასუხის მიერ წარმოდგენილ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ 01.06.2015 წლის ცნობა კი, რომლითაც კასატორის მითითებით, ექსპერტები აბათილებენ დასკვნას ვალდებულების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით, ვერ გამოდგება რაიმეს დასადასტურებლად, მით უფრო, არ არის ექსპერტიზის დასკვნის საპირწონე და მისი გამაბათილებელი მტკიცებულება.

22. ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას ადასტურებს საქმეზე წარმოდგენილი კიდევ ერთი მტკიცებულება – ქ. თბილისის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს გლდან-ნაძალადევის რაიონული განყოფილების სახანძრო სამმართველოს ცვლის უფროსის 2013 წლის 30 აპრილის მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმადაც, დ. ს-მა ისინი ტერიტორიაზე არ შეუშვა იმ მოტივით, რომ გამშვები პუნქტის გასაღებს ვერ პოულობდნენ.

23. ამდენად, მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა ბრალის არარსებობის მტკიცება, კერძოდ, რომ მან იმოქმედა დროულად, ეფექტურად და ხანძარი მაინც გავრცელდა. მოპასუხემ კი, სათანადოდ ვერ დაასაბუთა, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, თუმცა ცეცხლის ლიკვიდაცია და ზიანის თავიდან არიდება შეუძლებელი იყო.

24. რაც შეეხება დაკისრებულ თანხას, კასატორის პრეტენზია ზიანის ოდენობის სასამართლოს მიერ გამოანგარიშებას უკავშირდება. მისი მტკიცებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნა. პალატას უნდა გაეზიარებინა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ხანძრის შედეგად განადგურებული მოსარჩელის კუთვნილი საქონლის ღირებულების დადგენა შეუძლებელია.

25. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას სასამართლოს მხრიდან ექსპერტიზის დასკვნების არასწორი შეფასების თაობაზე და განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი დადგენილია სსსკ-ის 105-ე მუხლით (სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ) რომლის თანახმადაც, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, რა დროსაც მათ როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად სწავლობს, სწორედ ამ გზით არკვევს სასამართლო კონკრეტული მტკიცებულების დამაჯერებლობას, მის იურიდიულ სარწმუნოებას. მოცემული ნორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპერტის დასკვნასთან მიმართებით. სსსკ-ის 172-ე მუხლის მიხედვით, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის. მან ექსპერტიზის დასკვნის კრიტიკული განხილვის შედეგად უნდა ჩამოიყალიბოს საკუთარი აზრი.

26. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ ხანძრის შედეგად განადგურებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების მტკიცების მიზნით წარადგინა შპს „ა.ს.ჯ.ა“-ის აუდიტორული დასკვნა, რომლის თანახმადაც, განადგურებული საქონლის საბალანსო ღირებულება – 6 458.01 ლარი, ხოლო სარეალიზაციო ღირებულება – 9 900 ლარი იყო. სააპელაციო სასამართლომ ზიანის ოდენობის დადგენისას გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა. ამ დასკვნის გასაბათილებლად მოპასუხემ წონადი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა. მითითება, რომ ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩატარებულა, ინვენტარიზაციის აქტსა და აუდიტის დასკვნას ვერ აბათილებს. ამასთან, ვერც მოპასუხის მიერ წარდგენილი შპს „დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის“ 22.04.2015 წლის დასკვნა სათანადოდ ვერ აქარწყლებს მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ ხანძრის შედეგად განადგურებული საქონლის ღირებულება 9 900 ლარი იყო.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიერ გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს შეფასებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანზე პასუ-

ხისმგებელი პირი სწორედ მოპასუხე კომპანიაა. პალატა არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სასამართლომ დაარღვია მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების, მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხანძრის შედეგად განადგურებული მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება სწორად განსაზღვრა. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ შეძლო დამაჯერებელი და სამართლებრივად წონადი არგუმენტების წარმოდგენა, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა. კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ე-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ვალდებულების დარღვევა ორმხრივი ხელშეკრულების დროს

დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას

გადაწყვეტილება საქართველოს სასახლით

№ას-467-2020

25 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ხელშეკრულებაზე ნაწილობრივ უარის თქმა, ფუ-
ლადი ვალდებულების შესრულება (ძირითად სარჩელში), დავალი-
ანების გადახდა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. მ. უ-ქემ (შემდგომ – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამარ-
თლოში თ. ჯ-ძისა (შემდგომ – მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავ-
ტორი) და ს. ნ-ას (შემდგომ – მეორე მოპასუხე) მიმართ და მოითხო-
ვა ხელშეკრულებაზე უარის თქმა იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუ-
ხებს ეკისრებოდათ ვალდებულება, იტალიიდან მოსარჩელისათ-
ვის ჩამოეტანათ ავეჯი, კერძოდ: 12 030 ევროს ღირებულების სამ-
ზარეულო, 6 476 ევროს ღირებულების სამი სანოლი, 6 507 ევროს
ღირებულების ორი კარადა, 1230 ევროს ღირებულების კომოდი, 299
ევროს ღირებულების სარკე, 2 584 ევროს ღირებულების ექვსი ტუმ-
ბო, 1258 ევროს ღირებულების სასადილო მაგიდა, 1230 ევროს ღი-
რებულების კომოდი, 299 ევროს ღირებულების სარკე, 2 584 ევროს
ღირებულების ექვსი ტუმბო, 1258 ევროს სასადილო მაგიდა, 636
ევროს ოთხი სამზარეულოს სკამი, საერთო ღირებულებით – 31 280
ევრო, ასევე, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ავეჯის შე-
საძენად გადახდილი 31280 ევროს ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, მეგობრის რჩევით, იტალიიდან
ავეჯის ჩამოსატანად დაუკავშირდა მოპასუხეს, რაც უნდა უზრუნ-
ველყო შპს „ა. დ-ს“. შპს-ს დირექტორსა და ასპროცენტიანი წი-

ლის მფლობელ პარტნიორს წარმოადგენდა ნ. თ-ძე – მოპასუხის და. ავეჯის შესაძენად მოპასუხემ მოითხოვა 42 360 ევრო. აღნიშნული თანხის სანაცვლოდ, მას უნდა ჩამოეტანა და დაემონტაჟებინა უმაღლესი ხარისხის ავეჯი.

3. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ავეჯი მიენოდა, თუმცა მისთვის მისაღები ხარისხის აღმოჩნდა ცხრა ცალი შიდა კარი ფურნიტურით და ერთი აბაზანა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8 970 ევრო, დარჩენილი საქონელი აღმოჩნდა დაზიანებული, დაუკომპლექტებელი, დაბალი ხარისხის და შეუთანხმებელი ფერის, რის გამოც მოსარჩელემ ავეჯის მიღებაზე უარი განაცხადა.

4. მოსარჩელემ გადაიხადა სულ 40 250 ევრო, დარჩენილი 2 110 ევრო უნდა გადაეხადა მიწოდებული ავეჯის მონტაჟის შემდეგ. აღნიშნული თანხის ნაწილი, კერძოდ – 19 880 ევრო ჩაირიცხა მეორე მოპასუხის ანგარიშზე, ხოლო, 20 370 ევრო გადაეცა მოპასუხეს ხელზე. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ავეჯის ხარისხთან, კომპლექტაციასთან, ფერთან და შეუსაბამო ფასებთან დაკავშირებით, ასევე, თანხის დაბრუნების მოთხოვნასა ან ავეჯის შეცვლაზე მოპასუხემ უარი განაცხადა.

მოპასუხისა და შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია:

5. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მხარეთა შორის არსებული გარიგება შესრულდა სრულად, მეორე მოპასუხე ამ გარიგებაში არ მონაწილეობდა. ამასთან, მიწოდებული ავეჯი შეესაბამება გარიგებით განსაზღვრულ ხარისხს, კომპლექტაციასა და ფერს. მიწოდებული საქონელი მთლიანად დამზადდა იტალიაში, რაც დასტურდება საქონლის გამოგზავნისა და განბაჟების დოკუმენტაციით.

6. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის წინააღმდეგ და მოითხოვა 2118 ევროს გადახდის დაკისრება.

7. შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით, მოსარჩელე არ უარყოფს, რომ შეთანხმებით განსაზღვრული ავეჯი რაოდენობრივი თვალსაზრისით მიიღო, თუმცა, პრეტენზია გამოთქვა მის ხარისხზე პროდუქციის წარმოშობასთან დაკავშირებით. მოპასუხემ მოსარჩელისგან პირველი ეტაპზე მიიღო 19 880 ევრო, შემდეგ – 6 510 ევრო, მესამედ – 2 160 ევრო, სულ – 28 550 ევრო. დავალიანება შეადგენდა 13 810 ევროს, საიდანაც ტვირთის საბაჟოზე შემოსვლისას მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 11 692 ევრო, ხოლო დარჩენილ 5%-ს – 2 118 ევროს გადაიხდიდა ტვირთის მიღებიდან 3 დღეში. იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელემ შეპირებული ტვირთი მიიღო, დარჩენილი 2 118 ევრო არ გადაიხადა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-

რეზოლუციო ნაწილი:

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარს ეთქვა უარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ 11 768 ევროს გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, შეგებებული სარჩელი კი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შედგა შეთანხმება იტალიური ავეჯის შექმნის, მოსარჩელისათვის გადაცემისა და მონტაჟის შესახებ. შეთანხმების მიხედვით, ტვირთი მიღებისთანავე უნდა შემოწმებულიყო. დაზიანების შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრის პასუხისმგებლობას მოპასუხე იღებდა. მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 42 360 ევრო, საიდანაც მან მოპასუხეს 40 250 ევრო გადაუხადა. დარჩენილი ნაწილი კი ავეჯის მონტაჟის შემდეგ უნდა დაეფარა.

11. ავეჯი მოსარჩელემ კატალოგში მითითებული კოდების შესაბამისად, სხვადასხვა ქარხნიდან შეარჩია. ამასთან, კატალოგის მიხედვით, შეკვეთილი და მიღებული ავეჯის საიდენტიფიკაციო მონაცემები ერთმანეთს დაემთხვა.

12. ავეჯი მოსარჩელემ სრულად მიიღო, თუმცა მხოლოდ ცხრა ცალი ოთახის შიდა კარი ფურნიტურით და ერთი აბაზანა მოიწონა, რომელთა ჯამური ღირებულება 8 970 ევროს შეადგენს, დარჩენილი ავეჯის მიმართ მან ხარისხსა და წარმომავლობასთან დაკავშირებით პრეტენზია განაცხადა.

13. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარში მოწინააღმდეგე მხარედ დასახელებული მეორე მოპასუხე სათანადო მხარეს წარმოადგენდა და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სოლიდარულ მოვალედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-3 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე დაყრდნობით, სარჩელს სასამართლოში აღძრავს მოსარჩელე, რომელიც თავად განსაზღვრავს მოპასუხეთა წრეს.

15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 327-ე, 709-ე მუხლების თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, მართალია, საქმის მასალებში წარმოდგენილ შეთანხმებას ხელს მხოლოდ მოსარჩელე და მოპასუხე აწერენ, თუმცა საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის მხარეთა მიმონერით, დგინდება, რომ მეორე მოპასუხე ჩართული იყო მხარეთა შორის წარმოშობილ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, ემარებოდა მოსარჩელეს ავეჯის არჩევასა და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებში, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ის მოსარჩელესთან ზეპირი დავალების ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარულ მოვალედ უნდა იქნეს განხილული.

16. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროს 2099 ევროს გადახდა.

17. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც ნესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალბული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1203-2018).

18. დავალების ხელშეკრულება იმ სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს სხვადასხვა ოპერაციების წარმოება, ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს. დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, მარწმუნებელი ვალდებულია, გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, №ას-655-611-2017, 11.07.2017წ.; №ას-895-845-2015, 29.01.2016წ.; №ას-560-535-2016, 02.09.2016წ.; №ას-918-884-2016, 10.07.2017წ.).

19. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 488-ე მუხლის პირ-

ველი ნაწილის მიხედვით სააპელაციო პალატამ მხარეთა ახსნა-განმარტებისა და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაადგინა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს დაავალა იტალიური საიტიდან ავეჯის ყიდვა, ჩამოტანა და მონტაჟი, რომელიც ვალდებულების შესრულებას მეორე მოპასუხესთან ერთად შეუდგა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით მხარეთა მიერ ავეჯის კონკრეტულ ხარისხზე შეთანხმების წერილობითი ფორმის არსებობა არ დგინდება. აღნიშნული საკითხი ელექტრონულად, კატალოგში განთავსებული სურათების მიხედვით შეთანხმდა. წერილობითი მტკიცებულების სახით წარდგენილი მხარეთა მიმონერით სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე ავეჯს ვიზუალურად, მოსარჩელის მიერ მიცემული მითითებების გათვალისწინებით არჩევდა, მასვე უგზავნიდა კატალოგიდან არჩეულ ავეჯს, რომლის შეკვეთასაც მხოლოდ მოსარჩელის მიერ მოწონების შემთხვევაში აკეთებდა.

20. ამასთან, სააპელაციო პალატამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ შეუდავებელ გარემოებაზე, რომ კატალოგში მითითებული ავეჯის კოდები და ტრანსპორტირების დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა, ანუ უფადავოა ის გარემოება, რომ მოპასუხეებმა სწორედ მოსარჩელის მიერ არჩეული ავეჯი იყიდეს და ჩამოიტანეს. აღნიშნული ასევე დასტურდება საქმის მასალებში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებითაც, სადაც მითითებულია, რომ ავეჯის საიდენტიფიკაციო საბუთებზე და მათ შეფუთვაზე, ასევე, კატალოგში არსებული მონაცემები თანხვედრაშია. მიუხედავად სხვადასხვა სახის მცირე ხარვეზებისა, ავეჯი, რომელიც გაიხსნა და ექსპერტიზას წარედგინა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგისია, ამასთან, დაზიანებების უმეტესი ნაწილი ფიქსირდება მათ დაფარულ, უკანა ნაწილებზე და ხელს ვერ შეუშლის წარდგენილი ავეჯის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

21. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებით გამოწვეული არაჯეროვანი შესრულების გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით თავისთავად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, თუმცა მოპასუხეების მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების, ანუ მოსარჩელის მიერ შეკვეთილი ავეჯისგან განსხვავებული ნივთის ჩამოტანის ფაქტი დადგინდა LT 62C16A08LBK სანოლის მიმართ. უპირველესად სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადავოდ გამხდარი ყავისფერი სანოლის კოდები კატალოგში და სატრანსპორტო დოკუმენტაციაში ერთმანეთს არ დაემთხვა, ვინაიდან, კატალოგში მითითებული კოდის ნაცვლად, სატრანსპორტო დოკუმენტაციაში LT

62C1606.AAAA (№9403500) კოდი იყო მითითებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაპყრო IMAB ჯგუფის მიერ გაცემულ საექსპორტო დოკუმენტაციას, სადაც ხსენებული სანოლის მიმართ მითითებულია, რომ სანოლი „ულისე“ 160*190, არის სუფთა ხის მასალის, რომლის ზედაპირიც ტყავგადაკრულია. ყველა სხვა ავეჯის შემთხვევაში დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დამზადებულია ხის შემცველით და ზედაპირზე გადაკრული აქვს ტყავის შემცველი გადასაკრავი. აგრეთვე, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო დეკლარაციაშიც, ყავისფერ სანოლთან დაკავშირებით, მითითებულია, რომ №9403500 ავეჯი ხის მასალისგანაა დამზადებული. ასევე, შპს „აუდიტ-ექსპერტი 96-ის“ მიერ შედგენილ დასკვნაში ცალსახად და არაორაზროვნადაა მითითებული, რომ შესამონმებლად წარდგენილი სანოლი ჩვეულებრივი ხისგან იყო დამზადებული, რომელსაც ზედაპირი ტყავის შემცველით ჰქონდა დაფარული. გარდა ამისა, სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლოს ეროვნული ბიუროს“ №003850716 დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ იქნა სანოლის თავი ყავისფერი ტყავისმაგვარი მასალის გადაკრულობით. ამასთანავე, ვინაიდან ავეჯი სათითაოდ იყო არჩეული და შექმნილი და ისინი ე.წ კომპლექტს არ წარმოადგენდნენ, საპალატო კარადები და ტუმბოები საძინებლის არსებით შემადგენელ ნაწილად სააპელაციო სასამართლომ არ ჩათვალა. აღნიშნული მსჯელობა საქმეზე მტკიცებულების სახით წარდგენილი კატალოგიდან, ელექტრონული მიმოწერიდან, და სატრანსპორტო დოკუმენტაციიდან დადგინდა.

22. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვინაიდან კატალოგში და ტრანსპორტირების დოკუმენტაციაში ყავისფერი სანოლის მახასიათებლები ტყავის გადასაკრავითა და ხის მასალით განისაზღვრა, ხოლო რეალურად მიღებული ავეჯი შეკვეთილი ნივთის იდენტური არ იყო, სააპელაციო პალატამ ამ ნაწილში დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა ნაკლიან შესრულებას, რომლის მიმართ მოსარჩელეს ინტერესი არ გააჩნდა, ამიტომ ყავისფერი ხის სანოლის LT 62C1606.AAAA (№9403500) ღირებულება – 2099 ევრო, მოწინააღმდეგე მხარეებს სოლიდარულად აპელანტისთვის გადასახდელად უნდა დაეკისროთ.

23. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხეებს მოსარჩელის მიმართ სოლიდარულად უნდა გადაეხადათ, აგრეთვე, 9669 ევრო.

24. საქმის მასალებში წარდგენილი მხარეთა შეთანხმების თანახმად, მოპასუხემ ვალდებულება იკისრა, მიღებისთანავე ტვირთი შეემონმებინა და დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, ყველა

ხარვეზი აღმოეფხვრა.

25. საქმის მასალებში წარმოდგენილი ფაქტების კონსტატაციის ვიდეოჩანაწერიდან სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ტვირთის გახსნას, მოპასუხეები არ დასწრებიან. მტკიცებულების სახით წარდგენილ კომპაქტდისკზე, რომელზეც ფაქტების კონსტატაციის მსვლელობაა ჩანერილი, ნათლად ჩანს, რომ ექსპერტი დალუქულ ყუთებს ხსნის, საიდანაც სამზარეულოს სხვადასხვა შემადგენელ ნაწილს იღებს. სამზარეულოს კაბინეტის კარები ხელის მიდებით არ ფუნქციონირებს და არც სახელური აქვს, რამდენიმე კაბინეტის უკანა მხარეს მიმაგრებული საყრდენი გატეხილია, დაზიანებულია, ასევე, კაბინეტის რამდენიმე კიდე, რომელთაც ლამინატის საფარი ატეხილი აქვს. სამზარეულოზე აღმოჩენილი დაზიანებები გამოკვლეულია 2016 წლის 6 სექტემბრის ექსპერტიზის №003850716 და №003891216 დასკვნებშიც, სადაც ექსპერტი მიუთითებს, რომ დაზიანებების წარმოშობის მექანიზმზე ვერ იმსჯელებს, რადგანაც აღნიშნული შესაძლოა მომხდარიყო, როგორც წარმოების პროცესში, ასევე, ტრანსპორტირებისა და დასაწყობების დროსაც.

26. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამზარეულოს ცალკეულ კაბინეტებზე აღმოჩენილი დაზიანებები შეძენილი ნივთების ხარისხის კვლევას არ მიემართება, ისინი მექანიკურ დაზიანებას წარმოადგენს, რომლის გამოსწორების ვალდებულებაც მოპასუხე მხარემ იკისრა, თუმცა სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ ხსენებული დაზიანება მას არ გამოუსწორებია.

27. სსკ-ის 150-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამზარეულოს კაბინეტები, როგორც ერთი მთლიანობა არ შეიძლება გამოცალკევდეს ისე, რომ მას დანიშნულება არ მოესპოს, შესაბამისად, მოპასუხეებმა დაზიანებული სამზარეულოს ღირებულება – 9669 ევრო მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურონ.

28. რაც შეეხება ფაქტების კონსტატაციის ვიდეოში ნაჩვენებ სხვა ნივთებს, მათზე მექანიკური დაზიანებების არსებობა სააპელაციო პალატამ დადგენილად არ ჩათვალა, ამ მიმართებით საუბარი შესაძლოა ყოფილიყო მხოლოდ ნივთების ხარისხზე, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მხარეთა მიერ შეთანხმებული არ ყოფილა, შესაბამისად, მათთან მიმართებით სააპელაციო პალატამ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისთვის საჭირო წინაპირობების არსებობა დადასტურებულად არ მიიჩნია. იგივე შეიძლება ითქვას იმ ნივთებზე, რომელთა გახსნაც ფაქტების კონსტატაციის დროს არ მოხდა იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს საკმარისი წარმოდგენა შეექმნა მიღებული ნივთების ხარისხზე და დაუშვა პრეზუმფცია, რომ

დანარჩენი ავეჯიც ამგვარი ხარისხის იქნებოდა, რის მიღებასაც იგი არ აპირებდა. სააპელაციო პალატამ განმეორებით აღნიშნა, რომ დავალების ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მით უფრო ისეთ პირობებში, როდესაც კონკრეტულ ხარისხობრივ მაჩვენებელზე შეთანხმება არ ყოფილა, სასამართლოს კვლევის საგანს მექანიკური დაზიანებების არსებობის გამოკვეთა და ამ კონტექსტში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის მიმართ შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება გახდა. იმ პირობებში, როდესაც ფაქტების კონსტატაციის ვიდეომსვლელობისას ავეჯი სრულად არ გახსნილა, სასამართლომ გაუხსნელი ან/და მომავალში გაურკვეველ დროს გახსნილი ავეჯის დაზიანებებზე არ იმსჯელა, ვინაიდან ასეთ დროს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა მოპასუხის ქმედებასთან მიმართებით თითქმის შეუძლებელია.

29. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და განმარტა, რომ საქმის მასალებით უდავოდ დგინდება მოპასუხის მიერ მიწოდებული ავეჯის მონტაჟის ვალდებულების აღების თაობაზე დათქმა, რასაც, თავის მხრივ, დავალების გამცემის მიერ საბოლოო ანგარიშსწორება უნდა მოჰყოლოდა.

30. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ავეჯის მონტაჟი არ განხორციელებულა, მეტიც ავეჯის ნაწილი საერთოდ არ გახსნილა და დასაწყობებული დარჩა შეფუთულ მდგომარეობაში. შესაბამისად, ნათელია, რომ ნაკისრი ვალდებულების განუხორციელებლობის გამო, მოპასუხის შეგებებული სარჩელი უსაფუძვლოა და მართებულად არ დაკმაყოფილდა.

31. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 102-ე, 105-ე მუხლებით და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებული იყო, შეძენილ ავეჯთან მიმართებით კონკრეტული ხარისხის თაობაზე შეთანხმება და მოპასუხე დასახელებული პირების მიერ ამ შეთანხმებისგან განსხვავებული ხარისხის ავეჯის მიღება დაედასტურებინა. საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით ამგვარი შეთანხმების ფაქტი არ დგინდება. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ყავისფერი სანოლი, რომელიც კატალოგში LT 62C16A08LBK კოდით არის დაფიქსირებული, განსხვავდება მოპასუხისთვის გადაცემული სანოლიდან, რომლის კოდიც შემოსავლების სამსახურის დოკუმენტაციაში არის – 62C1606.AAAA (№9403500). გარდა აღნიშნული ცდომილებისა, ავეჯის ტრანსპორტირების დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ იგი ხისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული და ტყავის ზედაპირი უნ-

და ჰქონოდა, თუმცა №003850716 ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ყავისფერი საწოლი არ იყო ხის მასალისგან დამზადებული და მას ტყავის მაგვარი და არა, ტყავის გადასაკრავი ჰქონდა. შესაბამისად დგინდება, რომ მოსარჩელის მიერ კატალოგიდან შეკვეთილი და მიღებული საწოლის მახასიათებლები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, რაც იმგვარ არაჯეროვან შესრულებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომლის მიმართ შემკვეთს ინტერესი არ გააჩნდა.

32. რაც შეეხება ავეჯის, მექანიკური დაზიანებების გარეშე, გადაცემის ფაქტს, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოპასუხეების მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა ვინაიდან გაფორმებულ შეთანხმებაში მათ არსებული დაზიანებების გამოსწორების ტვირთი იკისრეს. მოსარჩელის მიერ წარდგენილ ფაქტების კონსტანტაციის ვიდეომასალით, რომელიც პროდუქციის მიღების დღესაა შექმნილი, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ავეჯის გახსნის პროცედურას მოპასუხედ დასახელებული პირები არ ესწრებოდნენ, ასევე დადგინდა, რომ სამზარეულოს რამდენიმე კაბინეტს მექანიკური დაზიანება აღენიშნებოდა, რომელთა გამოსწორებაც, მოპასუხეებს არ მოუხდენიათ. ამდენად, მოპასუხეებმა მათზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ დაძლიეს, რის გამოც, მათ მოსარჩელის მიერ სამზარეულოს კომპლექტისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება უნდა დაკისრებოდათ.

33. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეგებებული სარჩელის ავტორს მართებულად არ დაუკმაყოფილდა სამართლებრივი დახმარებისთვის განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არც ძირითადი და არც შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, დავას არ ჰყავდა მხარე, რომლის სასარგებლოდაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი, რაც მოსარჩელისთვის შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ გაღებული სასამართლოს გარეშე ხარჯის ანაზღაურების დაკისრებას გამორიცხავდა.

34. რაც შეეხება მოპასუხეთა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას იურიდიული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ზემოთ განვითარებული მსჯელობა განსაკუთრებით რელევანტურია, ვინაიდან სააპელაციო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, შესაბამისად, ამ პირობებშიც, არ არსებობს მათთვის იურიდიული მომსახურების განეული ხარჯების

ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები.

35. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეთა აპელირება, რომ სადავო ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებასთან კავშირში არაა და მათ ის ხარჯი უნდა აუნაზღაურდეთ, რომელიც ძირითადი სარჩელისგან თავდასაცავად გაიღეს. ყოველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა უფლების დარღვევის და, შესაბამისად, სასამართლოში საქმის წარმოების რისკს შეიცავს. სამართლიანი სასამართლოსა და სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია პირს არ ჰქონდეს იმის შიში, რომ სასარჩელო მოთხოვნის წარუმატებლობის შემთხვევაში მას მოპასუხეს მიერ განუული სასამართლო და არასასამართლო ხარჯები დაეკისრება. სარჩელისგან თავდასაცავად იურიდიული მომსახურების მიღება კონტრაჰენტის საზიდი რისკია, შესაბამისად, ამ ნაწილშიც მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებლობის გამო არ იქნა დაკმაყოფილებული.

კასატორების მოთხოვნები და საფუძვლები:

36. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე მოპასუხებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, აგრეთვე სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

37. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ საქმეში მოპასუხედ და სადავო ფულადი ვალდებულების შესრულებაზე სოლიდარულად პასუხიმგებელ პირად მეორე მოპასუხე არასწორად მიიჩნია, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ის 463-ე და 464-ე მუხლის შინაარსს. სასამართლოს არ დაუდგენია, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მეორე მოპასუხის მონაწილეობა მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში. იგი მოპასუხის შვილია და მოპასუხემ ერთჯერადად, 2013 წელის სექტემბერში ისარგებლა მისი ელექტრონული ფოსტით, თუმცა არ ირკვევა, თუ რა გაიგზავნა ამ ფოსტის მეშვეობით და აღნიშნული გზით შედგა თუ არა შეთანხმება. ამასთან, მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის მიმონერა შემდეგ თვეებში გაგრძელდა.

38. კასატორებმა განმარტეს, რომ მეორე მოპასუხეს სსკ-ის 317-ე მუხლით დასახელებული არცერთი საფუძვლით მოსარჩელის მიმართ რაიმე ვალდებულება არ უკისრია. სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება კი წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

39. კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო სასამართლომ მეორე მოპასუხის მიმართ განსახილველი შემთხვევა არასწორად

დააკვალიფიცირა დავალების ხელშეკრულებად (სსკ-ის 709-ე მუხლი), რათა არგუმენტი მოეძებნა დავალების ხელშეკრულების ზეპირად დადების შესაძლებლობისთვის. იმ პირობებში, როდესაც არანაირი ხელშეკრულება მხარეთა შორის არ დადებულა, ზეპირი გარიგების დადასტურებისთვის მეორე მოპასუხის თანხმობა აუცილებელი წინაპირობა იყო. მას კი საქმის წარმოების არცერთ სტადიაზე მსგავსი პოზიცია არ დაუფიქსირებია. განსახილველ საქმეზე ზეპირი გარიგების დადების არცერთი მტკიცებულება არ მოიპოვებოდა. სსკ-ის 464-ე მუხლის დანაწესი სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად ხელშეკრულებას ასახელებს. მეორე მოპასუხეს არცერთ გარიგებაზე ხელმოწერით არ უკისრია პასუხისმგებლობა მოპასუხის მიერ ვალდებულების ჯვროვნად შესრულებაზე. სოლიდარული ვალდებულება კი ყველა შემთხვევაში ფორმალური გარიგებით უნდა დადასტურდეს. არსად ჩანს ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება, რაც განსახილველ შემთხვევაში იყო ავეჯის შერჩევა და მომსახურების ფასი. ამდენად, არ დადგენილა სსკ-ის 327-ე მუხლით განსაზღვრული ორი წინაპირობა: 1. შეთანხმება არსებით პირობებზე; და 2. შეთანხმების შესატყვისი გარიგების ფორმით დადება.

40. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატას უნდა განესაზღვრა, რომელ სუბიექტად მიიჩნევა მეორე მოპასუხეს, – პირად, რომელმაც ინდივიდუალური გარიგება დადო, თუ პირად, რომელმაც მოპასუხესთან ერთად დადო გარიგება და იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა შეკვეთის შესრულებაზე. დავის სწორად გადანყვეტისთვის სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსსკ-ის მე-4 კარით დადგენილი წესებით, რომელიც განსაზღვრავს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წესებს.

41. კასატორებმა მიიჩნიეს, რომ საწოლის დაბრუნების ნაწილში ნივთი შეთანხმებული მონაცემების იყო და არ არსებობს ამ ნაწილში ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა. რაც შეეხება სამზარეულოს, პირველადი დათვალიერებით ცალკეულ დეტალებზე არსებული დაზიანებები, რომც დაფუძვალთ, რომ კასატორი მხარის აღმოსაფხვრელ ხარვეზს წარმოადგენდა, ზიანის ანაზღაურება მაინც სწორი ფორმით უნდა მომხდარიყო და არა იმგვარად, როგორც სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა.

42. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მოპასუხე მხარისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, თუ ის დაზიანებები რაც სამზარეულოზე შეინიშნებოდა, იყო გამოუსწორებელი ან გამოსწორება არათანაზომიერად დიდ დანახარჯებს მოითხოვდა. სსკ-ის 409-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა არის

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა. მოცემულ საქმეზე სამზარეულოს უმნიშვნელო დაზიანებები, რომლებიც შეიმჩნეოდა მხოლოდ 2 მაქსიმუმ 3 დეტალზე, უამრავი ჩამონათვალი დეტალიდან, ნამდვილად აღმოფხვრადი იყო. სასამართლომ კი ყოველგვარი კვლევის გარეშე მიიღო უკიდურესი გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა ისე გადავიდა ზიანის სრული ანაზღაურების პირობებზე, რომ ჯერ არ შეაფასა პირველადი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა, რითაც არსებითად დაარღვია კანონით განსაზღვრული რიგითობა და მანამდე არსებული პრაქტიკა (სუსგ 2013 წლის 01 ივლისის №ას-166-169-2013, №ას-834-780-2017 23.10.2017წ, 29.09.2015 საქმე №ას-708-674-2015).

43. კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 488-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის არ ყოფილა შეთანხმება ხარისხზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ამ კუთხით საკითხი არ უკვლევია და დაასკვნა, რომ მიმღებისათვის გადაცემული ავეჯი შეკვეთის შესატყვისი იყო, ამაზე საქმეში არსებული ექსპერტიზაც მიუთითებდა. სასამართლომ აქვე დასძინა, რომ სანოლის ნაწილში შემკვეთს არ ჰქონდა ისეთი ნივთი მიღების მოლოდინი. თუ საქმეში არსებული მტკიცებულებით, ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულია, რომ ნივთები გამოსადეგია დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის, მაშინ გაუგებარია რა საფუძვლით ჩათვალა ისინი სასამართლომ ნაკლის მქონედ. ამავდროულად, სააპელაციო პალატამ შეკვეთასა და ინვოისში არსებული კოდების დამთხვევის ფაქტი სწორად ვერ დაადგინა.

44. მცდარია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რადგან სამზარეულოს 2-3 დეტალზე არსებული დაზიანება, არ უნდა გამხდარიყო კომპლექტის სრული ღირებულების ანაზღაურების საფუძველი.

45. კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ფაქტების კონსტატაციის სამსახურის ოქმში მითითებულია იმ დაზიანებაზე, რომელიც სამზარეულო დეტალებს აღენიშნება. სამზარეულო კომპლექტზე არსებული რამოდენიმე ხარვეზი გავლენას ვერ მოახდენდა მთლიან შესრულებაზე. სააპელაციო პალატას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, თუ დარწმუნდებოდა, რომ დაზიანება ისეთი მასშტაბის იყო, რომ არსებით გავლენას ახდენს შესრულებაზე. სამზარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაშიც კი, რომელიც ჩატარდა ავეჯის გადაცემიდან წელიწადნახევრის შემდგომ, აღნიშნულია,

რომ დაზიანების ძირითადი ნაწილი განთავსებულია დაფარულ მხარეს, აწყობის შემთხვევაში იქნება შეუმჩნეველი და ნივთი ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად.

46. საქმის წარმოების არცერთ სტადიაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ ყოფილა ნაკლის აღმოფხვრა. მიმწოდებელ მხარეს მოესპო შესაძლებლობა, საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ნაკლის აღმოფხვრის მიმართ, რომელიც დადასტურებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი სპეციალისტების დასკვნებით. ანუ სასამართლომ დაარღვია ზიანის ანაზღაურების კანონით განსაზღვრული მკაცრად განსაზღვრული სისტემა, კერძოდ: 1. ზიანის მიმღები მხარე ჯერ უნდა ითხოვდეს ნაკლის გამოსწორებას; 2. მხოლოდ შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ შეუძლია მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიკვლია, რამდენად იყო დაცული პირველადი მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა იმ პირობებში, როდესაც არცერთი ექსპერტიზის დასკვნით არ ირკვევა, რომ ნივთი უვარგისი იყო გამოყენებისთვის, მეტიც ექსპერტიზით გადამწყვეტილია, რომ დაზიანებები უხილავ მხარესაა და დაკომპლექტების შემდგომ იქნება შეუმჩნეველი. მიმღებ მხარეს არ ჰქონდა უფლება, პირდაპირ უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე.

47. სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთის ნაკლის შემთხვევაში კანონი მიმღებ მხარეს ზიანის ანაზღაურების რამოდენიმე შესაძლებლობას ანიჭებს. მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გვაროვნული ნივთით ჩანაცვლება, თუ გადაცემულია გვაროვნული ნივთი. ასევე, შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება და ხელშეკრულებიდან გასვლა, მაგრამ მას შემდგომ, რაც ამონუზრავს ნაკლის აღმოფხვრის შესაძლებლობას, ხოლო ნაკლის აღმოფხვრისას იმ შემთხვევაში შეუძლია უარი ეთქვას ხელშეკრულებაზე, თუ მან შესრულების მიმართ ინტერესი დაკარგა. რადგან მიმღებმა მხარემ აირჩია ზიანის ანაზღაურების ხელშეკრულების მოშლის გზა, იგი ვალდებული იყო, ემოქმედა სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლების დანაწესით.

48. კასატორებმა აღნიშნეს, რომ მოსარჩელის მიერ გარიგების დასადასტურებლად წარდგენილ იქნა ელექტრონული ფოსტიდან ამონაბეჭდი დოკუმენტის ასლი იმ მოტივით, რომ იგი მეორე მოპასუხის მიერ მოსარჩელისადმი გაკეთებული შეთავაზებაა, რაც, ბუნებრივია, არ წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობ გარემოებას.

49. კასატორთა მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ არცერთ სტადიაზე არ ყოფილა მითითება ინვოისში არსებულ კოდსა და კატალოგში არსებული კოდების სხვაობის თაობაზე. სააპელაციო სასა-

მართლო გასცდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს და საკუთარი ინიციატივით დაადგინა ისეთი გარემოება, რომელიც კვლევის საგანი არ ყოფილა სასამართლო განხილვის არცერთ სტადიაზე.

50. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ შეკვეთილი სანოლის მახასიათებლები არ ემთხვეოდა სატრანსპორტო დოკუმენტაციაში არსებულ მახასიათებლებს. სასამართლომ არ შეადარა ერთმანეთს კატალოგში მითითებული კოდი, შეფუთვის ფურცელში არსებულ კოდს.

51. კასატორები აღნიშნავენ, სასამართლო ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის დასასაბუთებლად სააპელაციო პალატამ მოიხმო არგუმენტი, რომ ვინაიდან შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა კასატორი მხარის მიერ განეული ხარჯების მეორე მხარისთვის დაკისრების მოთხოვნა, რაც არასწორია, რადგან მოპასუხე მხარე მოითხოვდა იმ ხარჯის მხარისთვის დაკისრებას, რაც მის მიერ იქნა განეული ძირითადი სარჩელისაგან თავდასაცავად. ამ ხარჯს საერთოდ არა აქვს კავშირი შეგებულ სარჩელთან.

52. სააპელაციო სასამართლოს გადანეგეტილებაზე შეგებებული საკასაციო საჩივარი შეიტანა მოსარჩელემაც, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადანეგეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

53. მოსარჩელე კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, ვინაიდან სადავო შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის მიმართ ურთიერთკრედიტორები და მოვალეები არიან, შესაბამისად, თითოეულს უნდა დაედასტურებინა ის გარემოება, რაზეც მოთხოვნას აფუძნებდა. მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა ავეჯის ღირებულების გადახდის ფაქტი, მოპასუხეებს კი – ავეჯის სათანადო მდგომარეობაში გადაცემა. სსსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით, მოვალეს შესრულების ფაქტის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი არ წარუდგენია. მოსარჩელემ კი წარადგინა მტკიცებულებები, მათ შორის, მონმეთა ჩვენებები, რომ მოპასუხე შეგნებულად ცდილობდა, თავი აერიდებინა ავეჯის გადაცემისათვის, რათა შეექმნა სურათი, რომ დამკვეთმა ავეჯი ჩაიბარა.

54. მოსარჩელე კასატორმა განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად უარყო სარჩელი იმ მოტივით, რომ საძინებლის ავეჯი არ წარმოადგენდა კომპლექტს. რეალურად კომოდი და ტუმბოები შერჩეულ იქნა სანოლთან შეხამებით. სანოლების შეუსაბამობის გამო, მოსარჩელემ ინტერესი დაკარგა სხვა ერთი სივ-

რცისათვის განკუთვნილი ავეჯის მიმართაც. სააპელაციო პალატამ ასევე უგულებელყო სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ადასტურებდნენ სადავო ავეჯის ხარვეზების არსებობას.

55. მოსარჩელე კასატორმა მიუთითა, რომ დავის დასარეგულირებლად შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 487-ე, 352-ე და 405-ე მუხლები. მოცემულ შემთხვევაში ავეჯის ნაკლი არსებითი ხასიათისაა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა.

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 21 ივლისის განჩინებით – მოპასუხეთა საკასაციო საჩივარი, ხოლო 2020 წლის 15 ოქტომბერის განჩინებით – მოსარჩელის შეგებებული საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

57. საკასაციო სასამართლოს 2021 წლის 31 მაისის განჩინებით როგორც ძირითადი, ასევე შეგებებული საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

58. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორების შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, მან არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით;

59. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კა-

ნონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

60. ვიდრე დადგენილი გარემოებების სამართლის ნორმებთან სუბსუმირებას შეუდგებოდეს, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპებზე: მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით რეგლამენტირებული პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე წარმართვა და დადგენილია, რომ მხარეებს აქვთ მტკიცებულებათა წარდგენის გზით საკუთარი პოზიციის დადასტურების შესაძლებლობა, გარდა ამისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა თანასწორობის დაცვას (სსსკ-ის მე-5 მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე სასამართლო ინარჩუნებს ნეიტრალიტეტს და მოსამართლეს მიუკერძოებლად, მხოლოდ მტკიცებულებათა ობიექტური შეფასების გზით უყალიბდება შინაგანი რწმენა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის არსებობის თაობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლს საერთო სასამართლოების სიტემაში და ადგენს, რომ უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში. კანონის მითითებული დანაწესიდან გამომდინარეობს მათ შორის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს მხრიდან დავის ფაქტობრივი ნაწილის შეფასების ფარგლებს, კერძოდ, საკასაციო სასამართლო მსჯელობს საპროცესო წესების დაცვით მოპოვებული მტკიცებულებებისა და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების შეფასების კანონიერებაზე იმგვარად, რომ თავად ვერც ახალ ფაქტებს დაადგენს და ვერც ახალ განმარტებებს მიიღებს მხარეებისგან.

61. სასამართლო კი, ზემოთაღნიშნული ნეიტრალიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს მხარისათვის იურიდიული დახმარების განწევას, რაც თანაბრობას დაარღვევს და სამართალწარმოებას მიკერძოებულს გახდის. ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით „მიუკერძოებლობის“ მოთხოვნა ორი ასპექტისაგან შედგება. პირველი, სასამართლო სუბიექტურად თავისუფალი უნდა იყოს პიროვნული ზრახვებისა და მიდრეკილებებისაგან. მეორე, იგი ასევე მიუკერძოებელი უნდა იყოს ობიექტური

თვალსაზრისით, ანუ მან უნდა უზრუნველყოთ საკმარისი გარანტიები ამ თვალსაზრისით ნებისმიერი კანონიერი ეჭვის გამოსარიცხად (იხ. გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, Reports of Judgments and Decisions 1998-III, გვ. 10-0-31, §58; მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, №38784/97, §58, ECHR 2002-1). რაც შეეხება სუბიექტურობას, მსამართლე პიროვნულად მიუკერძოებლად უნდა იქნას მიჩნეული, ვიდრე ამის საწინააღმდეგო არ დამტკიცდება (იხ. ჰაუსშიდტი და ნიის წინააღმდეგ, 1989 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, სერია A №154, გვ. 21, §47; დაკტარასი ლიტვის წინააღმდეგ, №42095/98, §30, ECHR 2000-X). სამართლიანი სასამართლოს კონცეფცია თავის თავში მოიცავს სასამართლოს მხრიდან მხარისათვის საკუთარი პოზიციის დაცვის მოსამზადებლად ადეკვატური დროის განსაზღვრას და დაცვის მომზადების შესაძლებლობის მიცემას (იხ. Case If Galstyan v, Armenia, saCivari no26986/0-).

62. საკასაციო სასამართლო ძირითადი საკასაციო საჩივრის პრეტენზიების გაცნობის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხეები (კასატორები) საკასაციო საჩივრით სადავოდ ხდიან გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას, როგორც მატერიალურ სამართლებრივი, ასევე პროცესუალურ სამართლებრივი თვალსაზრისით. (იხ. საკასაციო საჩივარი).

63. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის მოპასუხეების მიმართ სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის წინაპირობების არსებობა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემომდგეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

64. მითითებული მოთხოვნის ფარგლებში სასამართლომ უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმე-

ბი) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილს (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიწვია მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

65. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

66. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველზე თან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილება, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგე-

ნილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (იხ. ჰ. ბოლინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.).

67. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირზე მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადაწყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილებაა. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

68. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სა-

სამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

69. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ (შეგვებული საკასაციო საჩივრის ავტორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების (კასატორები) მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებაზე უარის თქმა იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს ეკისრებოდათ ვალდებულება, იტალიიდან მოსარჩელისათვის ჩამოეტანათ ავეჯი, კერძოდ: 12 030 ევროს ღირებულების სამზარეულო, 6 476 ევროს ღირებულების სამი სანოლი, 6 507 ევროს ღირებულების ორი კარადა, 1230 ევროს ღირებულების კომოდი, 299 ევროს ღირებულების სარკე, 2 584 ევროს ღირებულების ექვსი ტუმბო, 1258 ევროს ღირებულების სასადილო მაგიდა, 1230 ევროს ღირებულების კომოდი, 299 ევროს ღირებულების სარკე, 2 584 ევროს ღირებულების ექვსი ტუმბო, 1258 ევროს სასადილო მაგიდა, 636 ევროს ოთხი სამზარეულოს სკამი, საერთო ღირებულებით – 31 280 ევრო, ასევე, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ავეჯის შესაძენად გადახდილი 31280 ევროს ანაზღაურება. მოსარჩელის განმარტებით, მეგობრის რჩევით, იტალიიდან ავეჯის ჩამოსატანად დაუკავშირდა მოპასუხეს, რაც უნდა უზრუნველყო შპს „ა.დ.-ს“. შპს-ს დირექტორსა და ასპროცენტიანი წილის მფლობელ პარტნიორს წარმოადგენდა ნ. თ-ძე – მოპასუხის და. ავეჯის შესაძენად მოპასუხემ მოითხოვა 42 360 ევრო. აღნიშნული თანხის სანაცვლოდ, მას უნდა ჩამოეტანა და დაემონტაჟებინა უმაღლესი ხარისხის ავეჯი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ავეჯი მიეწოდა, თუმცა მისთვის მისაღები ხარისხის აღმოჩნდა ცხრა ცალი შიდა კარი ფურნიტურით და ერთი აბაზანა, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8 970 ევრო, დარჩენილი საქონელი აღმოჩნდა დაზიანებული, დაუკომპლექტებელი, დაბალი ხარისხის და შეუთანხმებელი ფერის, რის გამოც მოსარჩელემ ავეჯის მიღებაზე უარი განაცხადა. მოსარჩელემ გადაიხადა სულ 40 250 ევრო, დარჩენილი 2 110 ევრო უნდა გადაეხადა მინოდებული ავეჯის მონტაჟის შემდეგ. აღნიშნული თანხის ნაწილი, კერძოდ – 19 880 ევრო ჩაირიცხა მეორე მოპასუხის ანგარიშზე, ხოლო, 20 370 ევრო გადაეცა მოპასუხეს ხელზე. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ავეჯის ხარისხთან, კომპლექტაციასთან, ფერთან და შეუსაბამო ფასებთან დაკავშირებით, ასევე, თანხის დაბრუნების მოთხოვნასა ან ავეჯის შეცვლაზე, მოპასუხემ უარი განაცხადა. (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.2-4).

70. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მზარე-

თა შორის არსებული გარიგება შესრულდა სრულად, მეორე მოპასუხე ამ გარიგებაში არ მონაწილეობდა. ამასთან, მიწოდებული ავეჯი შეესაბამება გარიგებით განსაზღვრულ ხარისხს, კომპლექტაციასა და ფერს. მიწოდებული საქონელი მთლიანად დამზადდა იტალიაში, რაც დასტურდება საქონლის გამოგზავნისა და განბაჟების დოკუმენტაციით. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის წინააღმდეგ და მოითხოვა 2118 ევროს გადახდის დაკისრება. შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით, მოსარჩელე არ უარყოფს, რომ შეთანხმებით განსაზღვრული ავეჯი რაოდენობრივი თვალსაზრისით მიიღო, თუმცა, პრეტენზია გამოთქვა მის ხარისხზე პროდუქციის წარმოშობასთან დაკავშირებით. მოპასუხემ მოსარჩელისგან პირველი ეტაპზე მიიღო 19 880 ევრო, შემდეგ – 6 510 ევრო, მესამედ – 2 160 ევრო, სულ – 28 550 ევრო. დავალიანება შეადგენდა 13 810 ევროს, საიდანაც ტვირთის საბაჟოზე შემოსვლისას მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 11 692 ევრო, ხოლო დარჩენილ 5%-ს – 2 118 ევროს გადაიხდიდა ტვირთის მიღებიდან 3 დღეში. იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელემ შეპირებული ტვირთი მიიღო, დარჩენილი 2 118 ევრო არ გადაიხადა. (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პ.5-7).

71. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

72. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარს ეთქვა უარი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ 11 768 ევროს გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, შეგებებული სარჩელი კი არ დაკმაყოფილდა.

73. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დადგენილად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებანი: მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის შედგა შეთანხმება იტალიური ავეჯის შექმნის, მოსარჩელისათვის გადაცემისა და მონტაჟის შესახებ. შეთანხმების მიხედვით, ტვირთი მიღებისთანავე უნდა შემოწმებულიყო. დაზიანების შემთხვევაში, ხარვეზის აღმოფხვრის პასუხისმგებლობას მოპასუხე იღებდა. მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 42 360 ევრო, საიდანაც მან მოპასუხეს 40 250 ევრო გადაუხადა. დარჩენილი ნაწილი კი ავეჯის მონტაჟის შემდეგ უნდა დაეფარა. ავეჯი მოსარჩე-

ლემ კატალოგში მითითებული კოდების შესაბამისად, სხვადასხვა ქარხნიდან შეარჩია. ამასთან, კატალოგის მიხედვით, შეკვეთილი და მიღებული ავეჯის საიდენტიფიკაციო მონაცემები ერთმანეთს დაემთხვა. ავეჯი მოსარჩელემ სრულად მიიღო, თუმცა მხოლოდ ცხრა ცალი ოთახის შიდა კარი ფურნიტურით და ერთი აბაზანა მოინონა, რომელთა ჯამური ღირებულება 8 970 ევროს შეადგენს, დარჩენილი ავეჯის მიმართ მან ხარისხსა და წარმომავლობასთან დაკავშირებით პრეტენზია განაცხადა. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარში მოწინააღმდეგე მხარედ დასახელებული მეორე მოპასუხე სათანადო მხარეს წარმოადგენდა და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სოლიდარულ მოვალედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

74. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლო არაა შეზღუდული სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევებით და ისინი ამონმებენ გადაწყვეტილებას მატერიალურსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. თუ ასეთი შემონმების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე მუხლი).

75. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. თავის მხრივ, მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლო-

სათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

76. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ განჩინების 3:2-3 აღნიშნულ სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებაზე და მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მონესრიგებას სსკ-ის 709-ე, 405-ე, 352-ე, 464-ე მუხლების საფუძველზე.

77. საკასაციო სასამართლო მისთვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფუნქციიდან და საქმის სამართლებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხელშეკრულების დადების საკითხზე.

78. ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. ხელშეკრულება – ორი ან მეტი პირის შეთანხმებაა, რომელიც კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად. ამ მიზნის მისაღწევად ხელშემკვრელი მხარეები მზადყოფნას გამოთქვამენ დათმონ საკუთარი თავისუფლების ან ქონების ნაწილი, ე.ი. ორმხრივად შეიბოჭონ თავი.

79. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტონომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება.

80. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა გულისხმობს იმასაც, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვა-

ლისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“. (შდრ: ირ-მა გელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019); ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული ხელშეკრულების სა-ხეები არ არის ამომწურავი. ხელშეკრულების მხარეებს, როგორც წესი, უფლება აქვთ დამოუკიდებლად აირჩიონ ხელშეკრულების ტიპიც და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი. (იხ: სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამარ-თალში, თბილისი, 2017, გვ. 103).

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მხარე-თა შეთანხმების შედეგია. შეთანხმება გულისხმობს მხარეთა თან-მხვედრი ნების გამოვლენას, რომელიც მიმართულია ერთი და იმა-ვე სამართლებრივი მიზნის მიღწევისაკენ. სახელშეკრულებო სა-მართალში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების და-დების მომენტის განსაზღვრას, რადგან სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვებათ მხარეებს სახელშეკრულებო უფლებები და იბოჭე-ბიან ნაკისრი ვალდებულებებით. (შდრ: ეკატერინე ბალიშვილი, სა-ქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III მუხლი 327, ველი 3, თბილისი, 2019).

82. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნამდვილი ხელშეკრუ-ლება მაშინ არსებობს, თუ სახეზეა კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვით განხორციელებული ნამდვილი ოფერტი და ნამ-დვილი აქცეპტი. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება წარ-მოადგენს სულ ცოტა, ორი მხარის ნებათა თანხვედრის (კონსე-სუსს) ლოგიკურ შედეგს, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ურთიერთმობოჭავ შეთანხმებას მიაღწევნ. აღნიშნუ-ლი სახელშეკრულებო კონსესუსი მიიღწევა ერთი მხარის მიერ მე-ორე მხარისათვის ხელშეკრულების დადების შეთავაზებით და შე-თავაზებაზე თანხმობის მიღებით; თეორიულად, აღნიშნულ შემ-თხვევაში მიზანშეწონილია ე.წ. ოფერტისა (ხელშეკრულების და-დების შესახებ წინადადების) და აქცეპტის (ხელშეკრულების და-დების შესახებ წინადადების მიღების) გამოყოფა.

83. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ოფერტი თავისი სა-მართლებრივი ბუნებით წარმოადგენს მიღებასავალდებულო ნე-ბის გამოვლენას. ეს არის შეთავაზება, რომელიც მიმართულია ერ-თი ან რამდენიმე პირისადმი ხელშეკრულების დადების მიზნით. ოფერტს მოჰყვება ხელშეკრულების დადება იმ შემთხვევაში, თუ ოფერტის მიმღები მხარე აღნიშნულ ოფერტზე აქცეპტს (თანხმო-ბა) განაცხადებს. იმისათვის, რომ ოფერტი ჩაითვალოს ნამდვილად, იგი უნდა პასუხობდეს გარკვეულ წინაპირობებს: ა) ოფერტის გან-საზღვრულობა. ოფერტი იმდენად მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალი-

ბებულები, რომ მის საფუძველზე ხელშეკრულების დადებისათვის წინადადების მიმღების თანხმობა იყოს საჭირო. როგორც წესი, განსაზღვრულობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ოფერტი მომავალი ხელშეკრულების არსებით პირობებს უნდა შეიცავდეს. ოფერტიდან ასევე მარტივად უნდა ირკვეოდეს ის პირი ან პირთა წრე, რომელთა მისამართითაც ხორციელდება შეთავაზება ანუ – პოტენციური აქცეპტანტი ან აქცეპტანტები. ბ) ოფერენტის ბოჭვის ნება. ოფერტის ნამდვილობისათვის ასევე საჭიროა, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი), თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში, მზად იყოს შეასრულოს თავისი წინადადება. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ წინადადების მიმცემს ამოძრავებს სახელშეკრულებო ბოჭვის სურვილი. იგი მზად არის, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში იკისროს შესაბამისი ვალდებულებები. ხელშეკრულების დადების ფაქტი მოწმობს მხარეების სურვილს, სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მოაქციონ თავიანთი თავი. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ, თუ ხელშეკრულების დადება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით მოხდა, მაშინ ოფერტში აუცილებლად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ოფერენტის ნება და მზაობა, რომ მისი წინადადებით შებოჭილიყო. ამასთანავე, აუცილებელია, რომ ოფერენტის მხრიდან ჩანდეს თანხმობა იმის შესახებ, რომ, თუ მისივე ოფერტის საფუძველზე შესაბამისი ხელშეკრულება დაიდება, ოფერენტი შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. როდესაც სავარაუდო ოფერტიდან არ ჩანს ოფერენტის ნება – შებოჭოს ოფერტის წინადადებით საკუთარი თავი, იგი ოფერტად ვერ ჩაითვლება. ასეთი შეთავაზება შეიძლება შეფასდეს მოწვევად ოფერტზე. გ) ოფერტის ნამდვილობის მომენტი. პრაქტიკული მნიშვნელობის არის საკითხი, თუ რა მომენტიდან შეიძლება ჩაითვალოს ოფერტი ნამდვილად, შესაბამისად, იურიდიული, მბოჭავი ძალის მქონედ.

84. როგორც წესი, თუ მხარეთა შორის რაიმე განსაკუთრებული პირობები შეთანხმებული არ არის, ოფერტის ნამდვილობის მომენტის განსაზღვრად გამოიყენება სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის ის წესები, რომლებსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობის დასადაგენად, ესაა სსკ-ის 51.1 მუხლი. ნორმის დანაწესით, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ორი მომენტის განსაზღვრა: თუ როდის მოხდა ოფერტის შეთავაზება (გაკეთება) და როდის მიიღო ადრესატმა (აქცეპტანტმა) აღნიშნული ოფერტი.

85. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ოფერტი მაშინ უნდა

ჩაითვალოს შეთავაზებულად (გაკეთებულად), როდესაც იგი ოფერენტის სურვილის შესაბამისად აქცეპტანტის მისამართით უკვე იმ ფორმით არის გაკეთებული, შეთავაზებული ან გაგზავნილი, რომ მას მხოლოდ აქცეპტანტის თანხმობა სჭირდება; სსკ-ის 51.1 მუხლი ეყრდნობა ე.წ. ნების გამოვლენის მისვლის თეორიას, რომლის თანახმადაც, ნების ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ იგი მიუვიდეს ადრესატს. შესაბამისად, ოფერტის ნამდვილობისთვის საჭიროა, რომ იგი აქცეპტანტს მიუვიდეს (აქცეპტანტმა მიიღოს). მიღებად კი, ბუნებრივია, ის მომენტი უნდა ჩაითვალოს, როდესაც აქცეპტანტმა ნახა და გაეცნო მას. ოფერტის აქცეპტანტთან მისვლასა და ოფერტის შინაარსის გაცნობას შორის შეიძლება იყოს დროის გარკვეული შუალედი. თუ ეს შუალედი გონივრულ დროზე მეტია, ხელშეკრულების დადება-არდადების რისკი აქცეპტანტზე გადადის. აქ მოქმედებს წესი – ოფერტი იმ მომენტიდან ითვლება აქცეპტანტის მიერ მიღებულად, თუ ოფერტი მოექცევა აქცეპტანტის გავლენის სფეროში ისე, რომ აქცეპტანტს მიეცემა მისი გაცნობის რეალური შესაძლებლობა.

86. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავისთავად მხოლოდ ოფერტი არაა საკმარისი ხელშეკრულების დასადებად; საჭიროა აგრეთვე ოფერტის აქცეპტიც. აქცეპტი მიღება სავალდებულო ნების გამოვლენას წარმოადგენს. იგი უნდა მიუვიდეს ოფერენტს იმ ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებას. აქცეპტი შეიძლება გამოიხატოს უბრალო თანხმობაში. ამისათვის კი საჭიროა, რომ ოფერტი შეიცავდეს მისი ნამდვილობისათვის ყველა საჭირო კომპონენტს. თუ აქცეპტის შინაარსი ოფერტში განსაზღვრულ პირობებს სრულად შეესაბამება და არაფერს არ ცვლის, მაშინ აქცეპტის მეშვეობით მოხდება ხელშეკრულების დადება. აქცეპტზე, როგორც მიღება სავალდებულო ნების გამოვლენაზე, მოქმედებს ასევე სსკ-ის 51.2 მუხლი, რომლის სიტყვასიტყვითი გამოყენების შემთხვევაში აქცეპტი „...არ ჩაითვლება ნამდვილად თუ [ოფერენტი] წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს“. თუ აქცეპტის შინაარსი სრულად შეესაბამება ოფერტში ჩამოყალიბებულ ხელშეკრულების არსებით პირობებს და იგი ოფერტის მოქმედების პერიოდში მიიღო ოფერენტმა, შესაბამისი ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება. შესაბამისად, ოფერტის ადრესატის მიერ გაცხადებული ნების ნამდვილ აქცეპტად მისაჩნევად საჭიროა, რომ ადრესატის ქმედებიდან (მისი ზეპირი თუ წერილობითი ნების გამოვლენიდან, ყუსტიკულაციებიდან თუ სხვა ქმედებიდან) ირკვეოდეს მისი სურვილი, რომ მას ამოძრავებს ხელშეკრულების დადების განზრახვა. აგრეთვე, უნდა დგინდებოდეს, რომ იგი მზად არის დადოს ხელშეკრულება იმ პირობებით, რა პირობებიც შემოთავა-

ზებულია ოფერტში. ეს ყოველივე კი იმის გათვალისწინებით, რომ არანაირი ცვლილება, გადახვევა ან რაიმე სახის შეზღუდვა ოფერტში განსაზღვრული პირობებისა მას არ სურს.

87. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესზეც, რომლის თანახმადაც, ხელშეკრულების დასადებად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობებზე, არამედ საჭიროა ასევე, რომ ეს შეთანხმება მოხდეს საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

88. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს იმსჯელოს ხელშეკრულების არსებითი პირობების შესახებ. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 327 I მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობებზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ რას მოიზრებს ხელშეკრულების არსებითი პირობა (*essentialia negotii*). სსკ-ის 327 II მუხლის მიხედვით, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ“. ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი იშვიათი გამონაკლისის გარდა, (რადგან თითოეული ტიპის ხელშეკრულებას აქვს კანონით განერილი „მინიმალური შინაარსი“, რომლესაც ქმნიან ის პირობები, რომლებზეც შეთანხმების გარეშე ხელშეკრულება არ დაიდება), არ განსაზღვრავს. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები, რომელზეც მხარეთა შეთანხმების მიღწევის გარეშე, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება. (შდრ: ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 327, გვ. 90, თბილისი, 2001).

89. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. სსკ-ის 69-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგების ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი წესები ხელშეკრულების ფორმაზეც ვრცელდება.

90. როგორც წესი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორ-

მის დაცვა საჭირო არ არის. ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, როდესაც მხარეები შესაბამის პირობებზე თუნდაც ზეპირი მოლაპარაკებების გზით შეთანხმდებიან. ხელშეკრულების დასა-დებად, ცალკეულ შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებებით შესა-ბამისი პირობების განსაზღვრაც არ არის აუცილებელი. შესაძლოა, მხარეთა კონკლუდენტური ქმედებებიდანაც ირკვეოდეს, რომ მათ შორის ხელშეკრულება დაიდო. ამდენად, ხელშეკრულების ფორ-მასთან დაკავშირებითაც მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი. თუმცა ეს პრინციპი შეუზღუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვევებში კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობისათ-ვის აუცილებელია. მხარეებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელ-შეკრულების რაიმე ფორმა, როგორც მისი ძალაში შესვლის აუცი-ლებელი წინაპირობა. კანონმდებელი გარკვეულ წესებს ხელშეკ-რულების ფორმასთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში განსაზ-ღვრავს, როდესაც თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურ-თიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არის ამის საჭი-როება და ფორმის დანესებას შესაბამისი მიზანი გააჩნია. საქარ-თველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ხელშეკრულების ტიპებს, რომელთა ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ ისინი დაი-დასწერილობითი ფორმით. თავის მხრივ, წერილობითი ფორმა იყო-ფა რთულ (სანოტარო) წერილობით და მარტივ წერილობით ფორ-მებად.

91. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღე-ბას ამახვილებს ამ გადაწყვეტილების პ: 2-3 მითითებულ თითოეუ-ლი სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე, აგრეთვე საქმეში გან-თავსებულ წერილობით შეთანხმებაზე (იხ. ტ.1.ს.ფ. 4; 52) და მიაჩ-ნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივი შემადგენლობა (აღწერილობა) განაპირობებს მის სამართლებრივ მოწესრიგებას დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმათა დანაწე-სის – სსკ-ის 709-ე მუხლი საფუძველზე.

92. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძ-ველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახ-ვილოს დავალების ხელშეკრულების სამართალურთიერთობის თა-ვისებურებებზე: „დავალების ხელშეკრულება ის სამართლებრივი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც პირს შეუძლია მიანდოს თავის რწმუნებულს იურიდიული მომსახურების განწევა, პარტნიორთა კრებაზე მონაწილეობის მიღება, ფასიან ქალაქებთან დაკავში-რებული ოპერაციების წარმოება და ა.შ., ამ ხელშეკრულების საგა-ნია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრუ-ლება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც

იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედების შესრულება, ვინაიდან, თავად დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელ მუხლში არ არის დაკონკრეტებული რწმუნებულის მიერ შესასრულებელი მოქმედების ხასიათი, ამიტომ ასეთი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა იმ მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ სამართლებრივ შედეგს. (მდრ. სუსგ №ას-895-845-2015, 2016 წლის 29 იანვარი; №ას-655-611-2017, 11.07.2017გ.).

93. დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას, რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი (მდრ: სუსგ №ას-1203-2018, 25 აპრილი, 2019).

94. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკანონმდებლო მონესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთის მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახუროდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნას სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში.

95. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადანყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადანყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპიურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითაა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

96. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში.

სამართლის ფუნქცია, რომ პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს, არა მხოლოდ ინტერპრეტაციის გზით ხორციელდება, არამედ, ამავე დროს, წარმოადგენს კანონის განვრცობის საჭიროების შემოწმებას.

97. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ინტერპრეტაციის მიზნის მისაღწევად ანუ კანონის აზრის გასაგებად, გამოიყენება განმარტების გრამატიკული, ლოგიკური, ისტორიული და სისტემური ხერხები. „გრამატიკული“ ინტერპრეტაციის მიზანია, დაადგინოს, ენობრივი თვალსაზრისით, რა მნიშვნელობით იხმარება კანონის სიტყვები ამ ენის მატარებელთა საზოგადოებაში და რა მნიშვნელობით იყენებს მათ კანონმდებელი. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 53).

98. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს. კანონის ინტერპრეტაცია არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მიღმა მდგომი აზრის ახსნას, არამედ იგი ნიშნავს სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ყველაზე სწორი და გადამწყვეტი მნიშვნელობის შერჩევას. „ინტერპრეტაციას აქვს მსჯელობითი ხასიათი, როდესაც არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა ხდება, რომელთაგან უკეთეს მოტივაციას უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. (რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გადამუშავებული გამოცემა, GIZ 2009, 59). გარდა ამისა, კანონის ინტერპრეტაცია უნდა იცავდეს „სამართლის ერთიანობის“ პრინციპს, ე.ი. ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლის სხვა ნორმებთან. სამართლის ნორმა ისე უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ლოგიკურად თავსებადი იყოს უფრო მაღალი ან იგივე რანგის ნორმათა კონტექსტში.

99. საკასაციო საჩივრით სადავოდ არის გამხდარი ის გარემოება, რომ ს. ნ-ა არ წარმოადგენს დავალების ხელშეკრულების მხარეს, ამიტომაც უსაფუძვლოა მისი სოლიდარულ მოვალედ მიჩნევა, კერძოდ, კასატორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში მოპასუხედ და სადავო ფულადი ვალდებულების შესრულებაზე სოლიდარულად პასუხიმგებელ პირად მეორე მოპასუხე არასწორად მიიჩნია, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ის 463-ე და 464-ე მუხლის შინაარსს. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა მეორე მოპასუხის მონაწილეობა მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში. იგი მოპასუხის შვილია და მოპასუხემ ერთჯერადად, 2013 წლის სექტემბერში

ისარგებლა მისი ელექტრონული ფოსტით, თუმცა არ ირკვევა, თუ რა გაიგზავნა ამ ფოსტის მეშვეობით და აღნიშნული გზით შედგა თუ არა შეთანხმება. ამასთან, მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის მიმონერა შემდეგ თვეებში გაგრძელდა. სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. სააპელაციო სასამართლომ მეორე მოპასუხის მიმართ განსახილველი შემთხვევა არასწორად დააკვალიფიცირა ზეპირ დავალების ხელშეკრულებად (სსკ-ის 709-ე მუხლი), რათა არგუმენტი მოექცნა დავალების ხელშეკრულების ზეპირად დადების შესაძლებლობისთვის. იმ პირობებში, როდესაც არანაირი ხელშეკრულება მხარეთა შორის არ დადებულა, ზეპირი გარიგების დადასტურებისთვის მეორე მოპასუხის თანხმობა აუცილებელი წინაპირობა იყო. მას კი საქმის წარმოების არცერთ სტადიაზე მსგავსი პოზიცია არ დაუფიქსირებია. განსახილველ საქმეზე ზეპირი გარიგების დადების არცერთი მტკიცებულება არ მოიპოვებოდა. სსკ-ის 464-ე მუხლის დანაწესი სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად ხელშეკრულებას ასახელებს. მეორე მოპასუხეს არცერთ გარიგებაზე ხელმოწერით არ უკისრია პასუხისმგებლობა მოპასუხის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე. არსად ჩანს ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება, რაც განსახილველ შემთხვევაში იყო ავეჯის შერჩევა და მომსახურების ფასი. ამდენად, არ დადგენილა სსკ-ის 327-ე მუხლით განსაზღვრული ორი წინაპირობა: 1. შეთანხმება არსებით პირობებზე; და 2. შეთანხმების შესატყვისი გარიგების ფორმით დადება. სააპელაციო პალატას უნდა განესაზღვრა, რომელ სუბიექტად მიიჩნევა მეორე მოპასუხეს, – პირად, რომელმაც ინდივიდუალური გარიგება დადო, თუ პირად, რომელმაც მოპასუხესთან ერთად დადო გარიგება და იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა შეკვეთის შესრულებაზე. დავის სწორად გადაწყვეტისთვის სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სსკ-ის მე-4 კარით დადგენილი ნესებით. (იხ. საკასაციო საჩივარი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ:37-41).

100. საკასაციო პალატა აღნიშნული საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში ყურადღებას გაამახვილებს სათანადო მხარისა და სოლიდარული ვალდებულების სამართლებრივ ბუნებაზე.

101. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელი წარმოადგენს სადავო ან დარღვეული უფლების დაცვის საპროცესო საშუალებას. სასამართლოს მხრიდან სარჩელის წარმატებულობის საკითხის კვლევისას, უპირველესად პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: ვინ, ვისგან, რას და რის საფუძველზე მოითხოვს? პირველი ორი კითხვა იძლევა პასუხს სათანადო მხარეზე, რომლის შემონ-

მეზაც (ისევე, როგორც შემდგომი საკითხები: მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძველი) სასამართლოს პრეროგატივაა და განპირობებულია მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების მიზნით. აღნიშნული საკითხები ჯერ კიდევ საქმის მომზადების ეტაპზე უნდა დაისვას/გადაწყდეს, რათა სამართალწარმოების შემდგომი ეტაპი (სასამართლოს მთავარი სხდომა) სათანადო მხარეთა შორის შედავებული იმ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების სწორად დადგენას მიეძღვნას, რომლებიც მტკიცების საგანში შედის და მიღწეულ იქნას მართლმსაჯულების მიზანი – კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილებით აღიკვეთოს მხარეთა სადავოდ ქცეული უფლების დარღვევა (იხ. სუსგ №ას-1085-1042-2016, 10 მაისი, 2017).

102. სასამართლო სარჩელს იხილავს და გამოაქვს გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში იმ პირის წინააღმდეგ, რომლის მიმართაცაა სარჩელი აღძრული. შესაბამისად, მოპასუხედ მითითებული პირი აუცილებელია, რომ იყოს „პასუხისმგებელი“. მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ თუ სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღადგინოს მოსარჩელის დარღვეული სამოქალაქო უფლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს სათანადო მოპასუხის ინსტიტუტს და ადგენს ქცევის შემდეგ წესს: თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე (სსსკ-ის 85-ე მუხლი). ზემოაღნიშნული ნორმა სასამართლოს ავალდებულებს გამოარკვიოს სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად აირჩია თუ არა მოსარჩელემ ის პირი (მოპასუხე), რომელსაც თავისი დარღვეული უფლების აღდგენა უნდა მოსთხოვოს, რათა დავაში ჩაბმული არ აღმოჩნდეს და მოპასუხის საპროცესო მოვალეობანი არ დაეკისროს ისეთ პირს, რომელსაც მოსარჩელის კანონიერ უფლებებთან კავშირი არ გააჩნია. (იხ. სუსგ საქმე №ას-1145-1065-2017, 31 ივლისი, 2018).

103. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სოლიდარული ვალდებულების თავისებურებებზეც: საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა უმეტესობა მარტივი სახისაა და როგორც წესი, მასში მონაწილეობს ერთი კრედიტორი და ერთი მოვალე. როგორც სსკ-ის 316-ე მუხლის დანაწესიდან ჩანს, ვალდებუ-

ლებით-სამართლებრივი ურთიერთობის საკანონმდებლო მოდელიც, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში ერთი მოვალისა და ერთი კრედიტორის არსებობის პრეზუმფციიდან გამომდის. თუმცა თანამედროვე ეკონომიკურ-სამართლებრივ რეალობაში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა რთულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა მატების ტენდენცია, რომელშიც ერთ ან მეორე მხარეზე, ან ორივეზე ერთდროულად რამდენიმე კრედიტორი ან მოვალე მონაწილეობს.

104. სოლიდარული ვალდებულება ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული და რთული სახეა. სოლიდარული ვალდებულება მოვალეთა სიმრავლის ყველაზე უსაფრთხო სახეა კრედიტორისათვის, რადგან მას თავისუფლად შეუძლია ამოირჩიოს ერთი ან რამდენიმე მოვალე და შეეცადოს მოთხოვნის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებას. სოლიდარული ვალდებულება კრედიტორს არა მარტო მოთხოვნის სწრაფი დაკმაყოფილების შესაძლებლობას ანიჭებს, არამედ მოთხოვნის უზრუნველყოფასაც გულისხმობს. (შდრ. ირ. რობაქიძე, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, მუხლი 463, ველი 2. www.gccc.ge).

105. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სოლიდარული ვალდებულების არსებობა (კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე) რამდენიმე წინაპირობას უკავშირდება: უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა. ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვალდებულების რომელ მხარეზე მონაწილეობს სოლიდარულად რამდენიმე პირი, თითოეულს ერთი და იმავე მოვალის მიმართ შეიძლება გააჩნდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ანდა თითოეულ მათგანს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ დაეკისროს ვალდებულების შესრულების ვალდებულება.

106. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან დაკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნიან.

107. სწორედ ის ფაქტი, რომ სოლიდარულ ვალდებულებაში მონაწილე რამდენიმე პირთაგან თითოეულს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება, ანდა თითოეული მთლიანი ვალდებუ-

ლების შესრულების მოთხოვნაზეა უფლებამოსილი, განასხვავებს სოლიდარულ ვალდებულებას წილადი ვალდებულებისაგან. ვალდებულებაში წილობრივად მონაწილე ნებისმიერ პირს ვალდებულების შესრულება მხოლოდ კუთვნილი წილის ფარგლებში შეუძლია მოითხოვოს და შესაბამისად, მას მხოლოდ ამ წილის ოდენობით ეკისრება შესრულების ვალდებულება. შესაბამისად, წილადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, სოლიდარულ ვალდებულებაში კრედიტორი იმ შემთხვევაშიც შეძლებს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, როდესაც მხოლოდ ერთი სოლიდარული მოვალე აღმოჩნდება გადახდისუნარიანი. შედეგად სოლიდარულ მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულების მთლიანად შესრულების შემდეგ, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ, სსკ-ის 473-ე მუხლიდან გამომდინარე, რჩება მხოლოდ უკუმოთხოვნა. ეს მოთხოვნა კი სუსტი ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნაა, რადგან მისი განხორციელება დანარჩენ სოლიდარულ მოვალეთა გადახდისუნარიანობაზეა დამოკიდებული.

108. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები შესაძლებელია ორ ნაწილად დავეყოთ – „გარე“ და „შიდა“ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებზე და მოვალეობებზე. „გარე“ ურთიერთობა გულისხმობს იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს ვალდებულების მეორე მხარის მიმართ გააჩნია. რაც შეეხება შიდა ურთიერთობას, იგი ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებს მოიცავს ერთმანეთთან მიმართებაში. როგორც წილადი, ასევე სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში ვალდებულების არსიდან ნათლად გამომდინარეობს წილობრივად, ანდა სოლიდარულად მონაწილე თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობათა ოდენობა „გარე“ ურთიერთობაში. განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე ვალდებულებაში მონაწილე ამ რამდენიმე სუბიექტის „შიდა“ ურთიერთობასთან დაკავშირებით. „გარე“ ურთიერთობაში წილობრივი ან სოლიდარული უფლებამოსილება თუ ვალდებულება იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუ როგორ აქვთ მოწესრიგებული „შიდა“ ურთიერთობები ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე მონაწილე რამდენიმე პირს. შესაბამისად, შესაძლებელია ვალდებულებაში სოლიდარულად, ანდა წილობრივად მონაწილე პირებს „შიდა“ ურთიერთობა სრულიად განსხვავებულად ჰქონდეთ დარეგულირებული. „შიდა“ ურთიერთობა მხოლოდ „გარე“ ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ხდება აქტუალური. სწორედ „შიდა“ ურთიერთობებით დადგენილი წილი განსაზღვრავს იმას, თუ საბოლოოდ ვინ რა ოდენობითაა ვალდე-

ბულების შესრულებაზე ვალდებული ანდა მის მიღებაზე უფლება-
მოსილი.

109. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სოლიდარული ვალ-
დებულება პრაქტიკაში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებუ-
ლი სახეა. სოლიდარულ მოვალეთა ცნებას კანონმდებელი სამოქა-
ლაქო კოდექსის 463-ე მუხლში აყალიბებს. ნორმის დანაწესით, თუკი
რამდენიმე მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ისე, რომ
თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულე-
ბის შესრულებაში, ხოლო კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ
ერთჯერადი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, მათ სოლი-
დარული მოვალეები ეწოდებათ.

110. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექ-
სის 463-ე მუხლი რამდენიმე წინაპირობას შეიცავს. უპირველეს
ყოვლისა, საჭიროა არსებობდეს რამდენიმე მოვალე, რომლებიც
კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე არიან პასუ-
ხისმგებელი (შდრ. სუსგ №ას-164-158-2011, 01 აგვისტო, 2011). გარ-
და ამისა, აუცილებელია, ისინი ერთი და იმავე კრედიტორის წინა-
შე იყვნენ ვალდებულნი. კრედიტორს შეუძლია მოთხოვნა ნაუყე-
ნოს ნებისმიერ სოლიდარულ მოვალეს.

111. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუ-
ცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შეს-
რულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან
გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერ-
თი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე
უნდა იყოს ვალდებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ კრედიტორს
საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერი მოვალისაგან თანაბ-
რად უნდა შეეძლოს ვალდებულების მთლიანი ანდა ნაწილობრივი
შესრულების მოთხოვნა. (შდრ. Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar,
Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, §421, Rn.16). მოვალეთა ეს ცალკეული
ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერ-
თი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან და-
კავშირებულნი და ერთ მთლიანობას ქმნიან. ერთ-ერთი სოლიდა-
რული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ნიშ-
ნავს მთლიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის
დასასრულსა და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილე-
ბას, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა.
სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში თითოეულ სოლიდა-
რულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებუ-
ლება ეკისრება. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათ-
ვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მთლიანი ვალდებულების შეს-
რულება, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია. სა-

მოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბოლო კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია.

112. სოლიდარულ მოვალეებად არ ჩაითვლებიან პირები იმ შემთხვევაში, როდესაც მათ, მართალია, მსგავსი შესრულების ვალდებულება აკისრიათ კრედიტორის წინაშე, თუმცა მათ მიერ განხორციელებული შესრულება კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არ არის მიმართული.

113. კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT – International Institute for the Unification of Private Law) მიერ შემუშავებულმა პრინციპებმა ყურადღების მიღმა არ დატოვა სოლიდარული ვალდებულების განმარტების საკითხი. ეს ფაქტი მეტყველებს, სოლიდარული პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მნიშვნელობაზე საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშიც. კერძოდ, სოლიდარული ვალდებულება სახეზეა, როცა რამდენიმე მოვალე კრედიტორთან დაკავშირებულია საერთო ვალდებულებით: ა) ვალდებულება საერთოა (სოლიდარულია), როდესაც რამდენიმე მოვალეიდან თითოეული, მთლიანადაა პასუხისმგებელი ნაკისრ ვალდებულებაზე; ბ) ვალდებულება წილობრივია, როდესაც თითოეული მოვალე პასუხისმგებელია მხოლოდ მისი, წინასწარ განსაზღვრული წილის შესაბამისად (11; Art. 11.1.1). (მდრ. International Institute for the Unification of Private law. 2016. ROME. “The Unidroit Principles of International Commercial Contracts“.)

114. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება შესაძლებელია სამი საფუძვლით წარმოიშვას: ხელშეკრულება, კანონი და ვალდებულების საგნის განუყოფლობა (Numerus Clausus). კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევები სა მოქალაქო კოდექსში საკმაოდ მრავლადაა. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ზიანის დადგომაში მონაწილე პირების სოლიდარულ პასუხისმგებლობას აწესებს. განსაკუთრებით ხშირია კანონისმიერი საფუძვლები საკორპორაციო სამართალში. მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების (კს) პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები (კომპლემენტარები), მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ საზოგადოების ვალდებულებისათვის სოლიდარულად. მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოშობილი ამხანაგობის ვალდებულებებისათვის ამხანაგობის წევრები პასუხს აგებენ სოლიდარულად (სსკ-ის 937

I-ლი მუხლი).

115. ვალდებულების საგნის განუყოფლობის გამო, სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც სანივთო, ასევე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში. ამისათვის აუცილებელია ვალდებულების საგნის განუყოფადობა. სწორედ ვალდებულების საგნის განუყოფადობა იმთავითვე გამორიცხავს ნილადი ვალდებულების არსებობას. თუმცა თავისთავად ის გარემოება, რომ რამდენიმე პირი განუყოფადი ვალდებულების შესრულებაზეა ვალდებული, არ განაპირობებს ამ პირების ავტომატურად სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევას. ვალდებულების საგნის განუყოფლობის შემთხვევაში, რამდენიმე მოვალე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სოლიდარულ მოვალეებად, როდესაც თითოეულ მოვალეს მთლიანი ვალდებულების შესრულება მარტომ შეუძლია რომ განახორციელოს (მდრ. Gehrlein, in *Bamberger/Roth BGB Komm.* 3. Aufl., Band 1, §431, Rn.1; Looschelders, in *Staudinger, BGB Komm.* 2012, Buch II, §431, Rn.2., Böttcher, in *Ermann BGB Komm.*, 15-e Aufl., 2017, §431, Rn.3.). ვალდებულების საგნის განუყოფლობის მიუხედავად, სოლიდარული ვალდებულების არსებობა გამოირიცხება, თუ მოვალეებს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების განხორციელება მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით შეუძლიათ (მდრ. *Bydinski in MüKo.BGB*, 6. Aufl., 2012, §431, Rn.3.).

116. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია ხელშეკრულება. იმისათვის, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვას, აუცილებელია, რომ რამდენიმე პირმა სოლიდარულად იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. სოლიდარულმა მოვალეებმა კრედიტორთან ხელშეკრულება შესაძლოა ერთდროულად ან ცალ-ცალკე გააფორმონ. შესაძლებელია სოლიდარული ვალდებულების შეთანხმების შემდეგ, კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთი მოვალე შემდეგ შევიდეს ვალდებულებაში სოლიდარულ მოვალედ (მდრ. *Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht* 3/3, 13. Aufl., 2010, §421, Rn.6). მთავარია კრედიტორთან გაფორმებული შეთანხმება ნათლად ადასტურებდეს თითოეული მოვალის სურვილს – სხვა მოვალეებთან ერთად სოლიდარულად აგონ კრედიტორის წინაშე პასუხი. (მდრ. *Looschelders, in Staudinger, BGB Komm* 2012, Buch II, §421, Rn.53). სოლიდარული ვალდებულების შესახებ შეთანხმებას იმ შემთხვევაშიც ექნება ადგილი, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კრედიტორს საკუთარი სურვილისამებრ მთლიანად ანდა ნაწილობრივ შეუძლია ნებისმიერი მოვა-

ლისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, დანარჩენებსაც ათავისუფლებს შესრულების ტვირთისაგან. (მდრ. K.Schreiber, Die Gesamtschuld, Jura 1989, s.354.). (მდრ: სუსგ №ას-599-2019, 04 დეკემბერი, 2019; №ა1158-1104-2014, 06 მაისი, 2015).

117. იმ საკითხის შესამოწმებლად, განსახილველ დავაში არის თუ არა ს. ნ-ა სოლიდარული მოვალე, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებზე: განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ განსაზღვრა მოპასუხეთა წრე. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, საქმეში არსებული მასალებიდან არ დგინდება, რომ ს. ნ-ა წარმოადგენს დავალების შემსრულებელ პირს, სააპელაციო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ მართალია, საქმის მასალებში წარმოდგენილ შეთანხმებას ხელს მხოლოდ მოსარჩელე და მოპასუხე აწერენ, თუმცა საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის მხარეთა მიმონერით, დგინდება, რომ მეორე მოპასუხე ჩართული იყო მხარეთა შორის წარმოშობილ ვალდებულებით-სა-ჩართლებრივ ურთიერთობაში, ეხმარებოდა მოსარჩელეს ავეჯის არჩევასა და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებში, რაც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ის მოსარჩელესთან ზეპირი დავალების ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარულ მოვალედ უნდა იქნეს განხილული.

118. საკასაციო პალატა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, იზიარებს კასატორების პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ს. ნ-ას სოლიდარულ მოვალედ არასწორად მიჩნევასთან დაკავშირებით, შემდეგი გარემოებების გამო:

119. საკასაციო პალატა აღნიშნავს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადანაცვტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადანაცვტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადანაცვტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ, სასამართლოს ვალდებულებას, გადანაცვტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებ-

რივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, §59; *Perez v. France*, §80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმტებისათვის, არამედ, ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21;).

120. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

121. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის

მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

122. შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) დასაბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები.

123. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში,

რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

124. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები.

125. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

126. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას. სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი

უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

127. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა ნამდვილი შეჯიბრება რეალურად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ იყვნენ ამ შეჯიბრებაში მონაწილე მხარეები თანასწორნი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის განმსაზღვრელი ძირითადი ნიშნები და მიმართულებანი ჩამოყალიბებულია სსსკ-ის 4.1 მუხლში, რომლის თანახმად მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეთა პროცესუალური თანასწორობის პრინციპითაა გამსჭვალული საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყოველი ნორმა, დანყებული საქმის მომზადების სტადიით და დამთავრებული გადაწყვეტილების გამოტანით და მისი გასაჩივრებით. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეს ეგზავნება ამ სარჩელისა და მასზე დართული დოკუმენტების ასლები. მოპასუხეს, თავის მხრივ, შეუძლია ცნოს სარჩელი, ან არ ცნოს, მაგრამ თუ არ ცნობს – უნდა წარმოუდგინოს სასამართლოს წერილობითი ფორმით შედგენილი პასუხი სარჩელზე და მასზე თანდართულ საბუთებზე. ამ წერილობით პასუხში მანვე უნდა აცნობოს სასამართლოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოსარჩელისაგან თავის დაცვას. ისე, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს სრული უფლება აქვს არამართო გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ფაქტების უარსაყოფად, არამედ, წარმოუდგინოს სასამართლოს ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ამართლებენ მის შესაგებელს, აქარწყლებენ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ადასტურებენ ამ მტკიცებულებების სიყალბეს ან არასარწმუნოებას და ა.შ. სასამართლო, ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას, თუ მან არ მოუსმინა ორივე დაპირისპირებულ მხარეს ან არ მისცა მათ შესაძლებლობა გამოიყენონ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა უფლება და მექანიზმი თავიანთი პოზიციის გასამართლებლად, თავიანთი უფლებების დასაცავად.

128. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რაც პირველ რიგში, გულისხმობს მოსარჩელისა და მოპასუხისათვის თანაბარი პროცესუალური შესაძლებლობების მინიჭებას. შეჯიბრები-

თობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით...“ (მდრ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №1/8/594; 2017 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №2/6/746).

129. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე, ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დაფაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

130. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც, მათ შორის, მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება. შესაგებელი, ისევე როგორც სარჩელი, ყველა შემთხვევაში წერილობითი ფორმით (როგორც წესი ნაბეჭდი სახით) უნდა იყოს შედგენილი.

131. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წე-

რილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო პროცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

132. ვინაიდან საქმის განხილვის და დავის გადაწყვეტის მთავარი ფიგურანტი მოსამართლეა, მას ჯერ კიდევ წერილობითი ფორმით წარდგენილი სარჩელიდან და შესაგებელიდან უნდა შეექმნას წარმოდგენა დავის სურათზე (ფაბულა), მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე (სარჩელით მოთხოვნილი შედეგის განმსაზღვრელი ნორმა), მოთხოვნის წინაპირობებზე (ნორმის შემადგენლობა), მტკიცების საგანსა (სადავო გარემოება, რომელიც უნდა დამტკიცდეს) თუ სარჩელის პერსპექტიულობაზე. იმის მიხედვით, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი და შესაგებელი ფორმალური დასაბუთებულობის (გამართულობის) მოთხოვნებს, მოსამართლე ნიშნავს მოსამზადებელ ან მთავარ სხდომას. შესაბამისად, თუ მოსამართლე დანიშნავს მოსამზადებელ სხდომას, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მხარეთა საპროცესო უფლებები – დააზუსტონ/შეავსონ სარჩელში/შესაგებელში მითითებული გარემოებები (სსსკ-ის 83-ე მუხლი). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს, მოწმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევაა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოინურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძველად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ, მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ, რელევანტური ფაქტების დახა-

რისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

133. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მართივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

134. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეებმა წარადგინეს შესაგებელი, რომელშიც მიუთითეს, რომ ს. ნ-ა არ წარმოადგენს გარიგების მხარეს, ასევე მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

135. საკასაციო პალატა საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, მიუთითებს, რომ საეჭვოობისას ხელშეკრულებისა და ნების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებისა და ნების გამოვლენის განმარტების (სსკ-ის 52-ე მუხლი) წესების გამოყენებით, აგრეთვე სოლიდარული ვალდებულების მომწესრიგებელ ნორმათა მოხმობით უნდა დადგინდეს, თუ რისი შეთანხმება სურდათ მხარეებს. მხოლოდ ის ფაქტი, თუნდაც რამდენიმე პირის მიერ ვალდებულების შესრულება იქნა შეთანხმებული, მოვალეთა სოლიდარულ მოვალეობად მიჩნევისათვის არაა საკმარისი და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა გარემოებები. სოლიდარული ვალდებულების არსებობის განმარტების მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოვალეთა ნება, ვალდებულების შესრულებით სხვა მოვალეებიც გაათავისუფლოს ვალდებულების შესრულების ტვირთისაგან. (შდრ. Böttcher L., in Ermann BGB Komm., 15-e Aufl., 2017, §421, Rn.20).

136. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ყურადღებას გაამახვი-

ლებს საქმეში განთავსებულ 2018 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ შეთანხმებაზე, რომელსაც ხელს აწერს თ. ჯ-ძე (შემსრულებელი) და მ. უ-ძე (დამკვეთი), რომლის შინაარსის საფუძველზეც, არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ს. ნ-ა მოსარჩელესთან ზეპირი დავალების ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარულ მოვალედ უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად გასაზიარებელია კასატორების პრეტენზია, რომ აღნიშნული შეთანხმებით ადგილი არ ჰქონდა სოლიდარული ვალდებულების წარმოშობას. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე საკასაციო საჩივრის საფუძველების შემონმების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელესა და მეორე მოპასუხეს შორის არ წარმოშობილა სსკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება, რაც ამ ნაწილში სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველია.

137. რაც შეეხება კასატორების სხვა მატერიალურ სამართლებრივ პრეტენზიას: კასატორები აღნიშნავენ, რომ განსახილველ შემთხვევაში საწოლის ნაწილში არ არსებობდა ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები, ხოლო რაც შეეხება სამზარეულოს, პირველადი დათვალეირებით ცალკეულ დეტალებზე არსებული დაზიანებები იმ დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ კასატორი მზარის აღმოსაფხვრელ ხარვეზს წარმოადგენდა, ზიანის ანაზღაურება მაინც სწორი ფორმით უნდა მომხდარიყო და არა იმგვარად, როგორც სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო მოპასუხე მზარისათვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, თუ ის დაზიანებები რაც სამზარეულოზე შეინიშნებოდა, იყო გამოუსწორებელი ან გამოსწორება არათანაზომიერად დიდ დანახარჯებს მოითხოვდა. სსკ-ის 409-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა არის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობა. მოცემულ საქმეზე სამზარეულოს უმნიშვნელო დაზიანებები, რომლებიც შეიმჩნეოდა მხოლოდ 2 მაქსიმუმ 3 დეტალზე, უამრავი ჩამონათვალი დეტალიდან, ნამდვილად აღმოფხვრადი იყო. სააპელაციო პალატა ისე გადავიდა ზიანის სრული ანაზღაურების პიოზებზე, რომ ჯერ არ შეაფასა პირველადი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობა, რითაც არსებითად დაარღვია კანონით განსაზღვრული რიგითობა და მანამდე არსებული პრაქტიკა (სუსგ 2013 წლის 01 ივლისის №ას-166-169-2013, №ას-834-780-2017 23.10.2017წ, 29.09.2015 საქმე №ას-708-674-2015). კასატორების განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სსკ-ის 488-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც უნდა

გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა შორის არ ყოფილა შეთანხმება ხარისხზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ამ კუთხით საკითხი არ უკვლევია და დაასკვნა, რომ მიმღებისათვის გადაცემული ავეჯი შეკვეთის შესატყვისი იყო, ამაზე საქმეში არსებული ექსპერტიზაც მიუთითებდა. სასამართლომ აქვე დასძინა, რომ საწოლის ნაწილში შემკვეთს არ ჰქონდა ისეთი ნივთის მიღების მოლოდინი. თუ საქმეში არსებული მტკიცებულებით, ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულია, რომ ნივთები გამოსადეგია დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის, მაშინ გაუგებარია რა საფუძვლით ჩათვალა ისინი სააპელაციო სასამართლომ ნაკლის მქონედ. ამავდროულად, სააპელაციო პალატამ შეკვეთასა და ინვოისში არსებული კოდების დამთხვევის ფაქტი სწორად ვერ დაადგინა. კასატორთა მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ფაქტების კონსტატაციის სამსახურის ოქმში მითითებულია იმ დაზიანებაზე, რომელიც სამხარეულო დეტალებს აღენიშნება. სამხარეულო კომპლექტზე არსებული რამოდენიმე ხარვეზი, გავლენას ვერ მოახდენდა მთლიან შესრულებაზე. სააპელაციო პალატას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო საკითხის ამგვარად გადანყვეტა, თუ დარწმუნდებოდა, რომ დაზიანება ისეთი მასშტაბის იყო, რომ არსებით გავლენას ახდენს შესრულებაზე. სამხარეულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაშიც კი, რომელიც ჩატარდა ავეჯის გადაცემიდან წელწანდნახვერის შემდგომ, აღნიშნულია, რომ დაზიანების ძირითადი ნაწილი განთავსებულია დაფარულ მხარეს, ანყობის შემთხვევაში იქნება შეუმჩნეველი და ნივთი ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. საქმის წარმოების არცერთ სტადიაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ ყოფილა ნაკლის აღმოფხვრა. მიმწოდებელ მხარეს მოესპო შესაძლებლობა, საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ნაკლის აღმოფხვრის მიმართ, რომელიც დადასტურებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი სპეციალისტების დასკვნებით. ანუ სასამართლომ დაარღვია ზიანის ანაზღაურების კანონით განსაზღვრული მკაცრად განსაზღვრული სისტემა, კერძოდ: 1. ზიანის მიმღები მხარე ჯერ უნდა ითხოვდეს ნაკლის გამოსწორებას; 2. მხოლოდ შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ შეუძლია მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიკვლია, რამდენად იყო დაცული პირველადი მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა იმ პირობებში, როდესაც არცერთი ექსპერტიზის დასკვნით არ ირკვევა, რომ ნივთი უვარგისი იყო გამოყენებისთვის, მეტიც ექსპერტიზით გადანყვეტილია, რომ დაზიანებები უხილავ

მხარესაა და დაკომპლექტების შემდგომ იქნება შეუმჩნეველი. მიმღებ მხარეს არ ჰქონდა უფლება, პირდაპირ უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე. სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთის ნაკლის შემთხვევაში კანონი მიმღებ მხარეს ზიანის ანაზღაურების რამოდენიმე შესაძლებლობას ანიჭებს. მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გვაროვნული ნივთით ჩანაცვლება, თუ გადაცემულია გვაროვნული ნივთი. ასევე, შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება და ხელშეკრულებიდან გასვლა, მაგრამ მას შემდგომ, რაც ამონურავს ნაკლის აღმოფხვრის შესაძლებლობას, ხოლო ნაკლის აღმოფხვრისას იმ შემთხვევაში შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მან შესრულების მიმართ ინტერესი დაკარგა. რადგან მიმღებმა მხარემ აირჩია ზიანის ანაზღაურების ხელშეკრულების მოშლის გზა, იგი ვალდებული იყო, ემოქმედა სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლების დანაწესით. კასატორთა მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ არცერთ სტადიაზე არ ყოფილა მითითება ინვოისში არსებულ კოდსა და კატალოგში არსებულ კოდების სხვაობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლო გასცდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს და საკუთარი ინიციატივით დაადგინა ისეთი გარემოება, რომელიც კვლევის საგანი არ ყოფილა სასამართლო განხილვის არცერთ სტადიაზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ შეკვეთილი საწოლის მახასიათებლები არ ემთხვეოდა სატრანსპორტო დოკუმენტაციაში არსებულ მახასიათებლებს. სასამართლომ არ შეადარა ერთმანეთს კატალოგში მითითებული კოდი, შეფუთვის ფურცელში არსებულ კოდს. (იხ. საკასაციო საჩივარი).

138. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეიძლება

იმგვარი სამართლებრივი დასკვნის გაკეთება, რომ მოთხოვნის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობა) არსებობა, გამორიცხავს მოსარჩელისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

139. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას, დავალების ხელშეკრულებიდან გასვლისთვის კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობის დადგენა წარმოადგენდა.

140. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, ხელშეკრულებიდან გასვლის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისა და თანხის დაკისრების მოთხოვნა სსკ-ის 352.1 (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) და 405.1 და 405.2 „ა“ (თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი; არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ: ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

141. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსის როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა. ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულების შესრულება ხორციელდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შეს-

რულებას, კრედიტორი ღებულობს შესრულებას.

142. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა უკვე ვალდებულების დარღვევაა. ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოხატულებას ჰპოვებს მოვალეზე კანონით დადგენილი ქონებრივი ზემოქმედების ზომებში. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელიც არღვევს ვალდებულებას, პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე. დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს დარღვეული უფლების დაცვა. (იხ. მ. თოდუა/ ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 37.).

143. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულების დადების მომენტიდან მხარეები ვალდებული არიან შეუდგნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. მაგრამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე (მდრ. სუსგ №ას-1166-2019, 06 აპრილი, 2020). ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში უარი თქვას ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულებიდან გასვლა ენოდება. იგი გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდანაა გადმოღებული და ბევრად ეხმაურება ევროგაერთიანების სამართალს (იხ. დამატებით: ბ. ზოიძე, ევროპული სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2009, 266).

144. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ფუნქცია მიღებული შესრულების უკან დაბრუნებაში გამოიხატება. უკუქცევის ვალდებულება ორივე მხარეს ეკისრება, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი ორმხრივი ხელშეკრულებისათვის არის დამახასიათებელი (იხ. დამატებით: გიორგი ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, გვ.159).

145. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოთხოვნის საფუძველია სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველბთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მო-

ნაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ჰ. ბოელინგი/ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, მეორე გამოცემა, 2004, 39.). ხელშეკრულება არ წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს. მოთხოვნის საფუძველი მხოლოდ კანონშია მოცემული, ხელშეკრულება კი მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა.

146. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა მიმართული იყოს შესრულების უფლების მინიჭებაზე. მაგალითად, სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მთანოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი კი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ეს ნორმა ნასყიდობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ცენტრალური მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს. ამ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე აღმოცენებულ მოთხოვნას პირველადი მოთხოვნის უფლება ეწოდება. პირველადი მოთხოვნა მეორადი მოთხოვნისაგან იმით განსხვავდება, რომ უშუალოდ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და ხელშეკრულების მხარის მთავარი ინტერესია. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით აღსანიშნავია მყიდველის შემდეგი მეორადი მოთხოვნის უფლებები (იხ. დამატებით: ს. ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, გვ.57), რომლებიც მას წარმოეშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველმა დაარღვია სსკ-ის 488-ე-489-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება: 1) ნივთის ნაკლის გამოსწორება; 2) ნაკლიანი გვაროვნული ნივთის შეცვლა; 3) ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა; 4) ფასის შემცირება, თუკი მყიდველი არ ითხოვს ნაკლის გამოსწორებას, ან ახლით შეცვლას და არც ხელშეკრულებიდან გასვლას; 5) უარი საქონლის მიღებაზე, თუკი გამყიდველი მთანვდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობით; 6) მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

147. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეორადი მოთხოვნის უფლებათა კონკურენციის საკითხი თითქმის ყველა სამართლებრივ სივრცეში განსაზღვრულ იერარქიასა და ეტაპობრიობას ექვემდებარება, რაც გულისხმობს, რომ ვალდებულების დარღვევის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული მეორადი მოთხოვნის უფლება იყოს პრიორიტეტული.

148. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნაკლის გამოსწორება მეორად მოთხოვნათა შორის უპირატესად გამოსაყენებელი

მოთხოვნაა. იგი მოვალისათვის დამატებითი შანსია „გადაარჩინოს“ ხელშეკრულება და დააკმაყოფილოს შესრულების ინტერესი (იხ. დამატებით: ჰ. ბოელინგი/ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2004, 40.). ამ მოთხოვნის გამოყენების უპირატესობა განპირობებულია უშუალოდ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესებით. ნივთის ნაკლის გამოსწორება განხილულ უნდა იქნეს იმგვარ მეორად მოთხოვნად, რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის. კერძოდ, სანამ საგნის ნაკლის გამო, კრედიტორი ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლებას აამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ სახეზე არ არის გამომრიცხავი საფუძვლები. აღნიშნული მოტივირებულია კონტინენტური სამართლის სისტემის კონცეპტუალური მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხელშეკრულების შესრულებაზე, მონოდებულია გადაარჩინოს შეთანხმება და უზრუნველყოს მხარეთა ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესის განხორციელება თვით მეორადი მოთხოვნის უფლებების სამართლებრივ რეჟიმში.

149. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა გამომრიცხავს სხვა მეორად მოთხოვნას. ამ დროს ადგილი აქვს ე.წ. „მოთხოვნათა გამომრიცხავ“ კონკურენციას. მოთხოვნათა გამომრიცხავი კონკურენცია სახეზეა, როდესაც ერთი და იმავე ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად რამდენიმე მოთხოვნა არსებობს, თუმცა ერთი მოთხოვნის განხორციელება უპირატესია. უპირატესობა ვლინდება ერთი მოთხოვნის განხორციელების ვალდებულებაში სხვა ნებისმიერთან მიმართებით. სანამ არ განხორციელდება ეს მოთხოვნა, უფლებამოსილი პირი ვერ გამოიყენებს სხვა მოთხოვნებს. ნივთის ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა სხვა მეორად მოთხოვნებთან მიმართებაში, როგორც ნენსი, უპირატესად გამოსაყენებელი მოთხოვნაა და გამომრიცხავს კრედიტორის სხვა მეორად მოთხოვნებს.

150. საკასაციო პალატა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების გაანალიზების საფუძველზე განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება იმაშია, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელ-

დება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი, არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები (სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები) (იხ: დამატებით: ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, მუხლი 352-ე, თბილისი, 2001 წელი, 233; მ. თოდუა, ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006 წელი, 41; შდრ: სუსგ №ას-1361-2020, 11 მარტი, 2021).

151. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი და სხვა კერძოსამართლებრივი კანონმდებლობა შეიცავს აგრეთვე ისეთ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება მოთხოვნის საფუძვლით გათვალისწინებული წინაპირობების შემოწმებისას და ამდენად, ასრულებს დამხმარე ფუნქციას. დამხმარე ხასიათის ნორმებს განეკუთვნება ასევე უშუალოდ სამართლებრივი შედეგის დამფუძნებელი უფლების მომწესრიგებელი ნორმები, ისინი პირს სამართლებრივი შედეგის მოდიფიცირების უფლებას ანიჭებს ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის არსებობის მიუხედავად. დამფუძნებელია უშუალო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი უფლება, რომელიც პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალმხრივი ნების გამოვლენით წარმოშვას, შეცვალოს ან გააუქმოს სამართლებრივი შედეგი. დამფუძნებელი უფლების მარეგულირებელი ნორმების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ უფლებამოსილი პირის მიერ უფლება ხორციელდება ნამდვილი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით. ასეთ დამფუძნებელ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება ხელშეკრულებიდან გასვლა, რომელიც სსკ-ის 355-ე მუხლის თანახმად, ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. დამფუძნებელი უფლება განხორციელებულია ანუ შესაბამისი ნების გამოვლენა ნამდვილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვა, კერძოდ, მოხვდება მიმღების ძალაუფლების სფეროში და ამ უკანასკნელს ექნება მისი შინაარსის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა (იხ. დამატებით: დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 246.). ამ უფლებათა განსხვავებული სტატუსი, ცხადია, არ გამორიცხავს მათ განხორციელებას სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

152. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დამფუძნებელი უფლების განხორციელება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ცალკეული მოთხოვნის წარმომშობასა და გაუქმებაზე. მაგალითისათვის, უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად განხორციელებული ხელშეკრულებიდან გას-

ვლა სსკ-ის 352-ე მუხლით წარმოშობს ე.წ. რესტიტუციის მოთხოვნის უფლებას, ანუ ხელშეკრულების ორივე მხარემ ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ მიღებული შესრულება და სარგებელი.

153. საკასაციო პალატა განმარტავს, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლაზე, როგორც აღმჭურველ უფლებაზე, არ ვრცელდება ხანდაზმულობა, მისი თანმდევი შედეგი – რესტიტუცია ექვემდებარებოდა ხანდაზმულობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ დროს თავდაპირველი ვალდებულებითი ურთიერთობის ადგილს იკავებს უკუქცევის შედეგად წარმოშობილ შესრულებათა უკან დაბრუნების ურთიერთობა, რაც ხელშეკრულების დადების შემდეგ შესრულებათა გაცვლამდე არსებული ვითარების აღდგენას გულისხმობს, ანუ ხელშეკრულებიდან გასვლით წარმოიშობა ახალი ვალდებულება (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულება). ნატურით დაბრუნების მოთხოვნაზე კი, სსკ-ის 128.3 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო 10-წლიანი ვადა ვრცელდება (შდრ. სუსგ №ას-1209-1169-2016, 12 ივლისი, 2017 წელი), რომელიც იწყება ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტიდან.

154. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონით გათვალისწინებული უფლებაა. ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე-359-ე მუხლები). თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის დამატებით პირობებზე. ხელშეკრულებიდან გასვლის, როგორც მეორადი მოთხოვნის უფლების საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალურში იგულისხმება ვალდებულების დარღვევა, ხოლო ფორმალურში – დამატებითი ვადის დაწესება (გაფრთხილება) და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შეტყობინება.

155. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის კანონისმიერი წინაპირობებია: ა) ხელშეკრულების ნამდვილობა (უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს); ბ) ზოგადი წესის მიხედვით, მოვალის მხრიდან ხელშეკრულების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევა (დარღვევა არსებითი ხასიათისაა, თუ მოვალის მხრიდან ძირითადი ვალდებულების დარღვევის გამო, ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენება შეუძლებელი ხდება ან იკარგება მომავალში მისი შესრულების იმედი ანდა კრედიტორს ეკარგება შესრულებისადმი ინტერესი; გ) ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების გაკეთებით მონაწილე მთლიანად ვადის ხელ-

შეკრულებიდან, რადგანაც კანონით დაუშვებელია ხელშეკრულებიდან ნაწილობრივი გასვლა; დ) მიუხედავად ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევისა, მოვალეს არ შეუძლია კრედიტორს მოსთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; ე) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი; ვ) მოთხოვნას არ უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც უკვე წარმოდგენილია ან წარდგენილი იქნება დაუყოვნებლივ მოვალის მიერ, თუკი კრედიტორი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე (მაგალითად, შესაგებელი ვალდებულების გაქვითვაზე); ზ) სახეზეა კრედიტორის მიერ შესაგებელი იურიდიული მოქმედება – ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მიცემული გონივრული ვადა, თუ ხელშეკრულებით ასეთი ვადა არ ყოფილა დადგენილი, ანდა, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა – გაფრთხილება (იხ. დამატებით: მ. თოდუა/ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, 56; ჰ. ბილინიგი/პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ.39; შდრ: სუსგ №ას-1003-924-2017, 01 დეკემბერი, 2017. პ.34).

156. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას. ვალდებულების დარღვევა ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო. თუ ვალდებულება ჯერ კიდევ არ არის შესასრულებელი, მხარე ვერ გავა ხელშეკრულებიდან, რადგან მას არ ექნება ამის საფუძველი. გამონაკლისის სახით, სსკ-ის 405-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეს შეუძლია შესრულების ვადის დადგომამდე განაცხადოს უარი ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებიდან გასვლის პირობა ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულებაა. თუ მოვალემ ვალდებულება შეასრულა ან კრედიტორმა შეთანხმებულის ნაცვლად სხვა შესრულება მიიღო (*datio pro solutio*), კრედიტორი ხელშეკრულებიდან ვერ გავა. კრედიტორს ასევე ეზღუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, თუ მოვალემ წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარმოადგენს პრეტენზიას (შესაგებელს). ანალოგიური წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც მოვალეს შეუძლია ვალდებულების გაქვითვა და იგი ამ უფლებას კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის და-

ყენებისთანავე გამოიყენებს (dolo agit, qui petit, quod statim redditurus est).

157. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა მოთხოვნებთან ერთად ალტერნატიულ კონკურენციაში იმყოფება, უფლებამოსილი პირი კი ახორციელებს სხვა ალტერნატიულ მოთხოვნას, როგორცაა, მაგალითად, ფასის შემცირება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება იმ შემთხვევაშიც, თუკი ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მეორე მხარემ დაანესა ვადა, ხოლო უფლებამოსილმა პირმა აღნიშნულ ვადაში არ განახორციელა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება სსკ-ის 405-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით.

158. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ცალკეული მოთხოვნის განხორციელებისათვის აუცილებელია ადეკვატური მოთხოვნის საფუძვლის შერჩევა. ამასთან, შესაბამისი მოთხოვნის რეალიზებისათვის შეიძლება არ იყოს საკმარისი ერთი კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება და აუცილებელი გახდეს რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის ერთობლივი გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთხოვნის მფლობელის ინტერესების რეალიზება შეუძლებელი იქნება. კონკრეტული მოთხოვნის საფუძვლის შერჩევისას, შესაძლებელია არსებობდეს მისი ფორმირების რამდენიმე ალტერნატივა ანუ რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის სხვადასხვა კომბინაცია. ამ მოთხოვნის საფუძვლების ურთიერთმიმართება წარმოშობს კონკურენციის სხვადასხვა სახეს. ამასთან, მოთხოვნის მფლობელისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევა შეიძლება დამოკიდებული იყოს მოთხოვნის სხვადასხვა საფუძვლების ერთობლივ გამოყენებაზე ანუ კუმულაციაზე.

159. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დავალების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას, მარწმუნებლისათვის შეძენილი ნივთის ნაკლის გამო ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების დანაწესები.

160. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხის მიერ მისთვის ნაკლის მქონე ნივთების გადაცემის გამო, დავალების ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლას და გასახდელი თანხის დაბრუნებას 31280 ევროს ოდენობით.

161. სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო საქმის მასალებში წარმოდგენილი კომპაქტდისკი, რომელზეც ფაქტების კონსტატაციის მსვლელობა ჩანერილი, (რომლსაც მოპასუხეები არ დასწრებიან), აგრეთვე 2016 წლის 06 სექტემბრის ექსპერ-

ტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, ექსპერტი მიუთითებს, რომ დაზიანების წარმოშობის მექანიზმზე ვერ იმსჯელებს, რადგან აღნიშნული შესაძლოა მომხდარიყო, როგორც წარმოების პროცესში, ასევე ტრანსპორტირებისა და დასაწყობების დროსაც. სააპელაციო პალატამ კი მიიჩნია, რომ სამზარეულოს ცალკეულ ნაწილებზე აღმოჩენილი დაზიანებები შეძენილი ნივთების ხარისხის კვლევას არ მიემართება, ისინი მექანიკურ დაზიანებას წარმოადგენს, რომლის გამოსწორების ვალდებულებაც მხარემ იკისრა, თუმცა სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ აღნიშნული დაზიანება არ გამოუსწორებია. რადგან ამ ნაწილების გამოცალკევება შეუძლებელია მათი ფუნქციონალური დანიშნულების მოსპობის გარეშე, ამიტომაც მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ დაზიანებული სამზარეულოს ღირებულება – 9669 ევროს ანაზღაურება.

162. კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას იმ დასაბუთებით, რომ სამზარეულოს 2-3 დეტალზე არსებული დაზიანება არ უნდა გამხდარიყო კომპლექტის სრული ღირებულების ანაზღაურების საფუძველი. ფაქტების კონსტატაციის სამსახურის ოქმში მითითებულია იმ დაზიანებაზე, რომელიც სამზარეულო დეტალებს აღენიშნება. სამზარეულო კომპლექტზე არსებული რამოდენიმე ხარვეზი გავლენას ვერ მოახდენდა მთლიან შესრულებაზე. სააპელაციო პალატას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, თუ დარწმუნდებოდა, რომ დაზიანება ისეთი მასშტაბის იყო, რომ არსებით გავლენას ახდენს შესრულებაზე. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაშიც კი, რომელიც ჩატარდა ავეჯის გადაცემიდან წელიწადნახევრის შემდგომ, აღნიშნულია, რომ დაზიანების ძირითადი ნაწილი განთავსებულია დაფარულ მხარეს, აწყობის შემთხვევაში იქნება შეუმჩნეველი და ნივთი ვარგისია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. კასატორები იმასაც მიუთითებენ, რომ საქმის წარმოების არცერთ სტადიაზე მოსარჩელის მოთხოვნა არ ყოფილა ნაკლის აღმოფხვრა. მიმწოდებელ მხარეს მოესპო შესაძლებლობა, საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ნაკლის აღმოფხვრის მიმართ, რომელიც დადასტურებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი სპეციალისტების დასკვნებით. ანუ სასამართლომ დაარღვია ზიანის ანაზღაურების კანონით განსაზღვრული მკაცრად განსაზღვრული სისტემა, კერძოდ: 1. ზიანის მიმღები მხარე ჯერ უნდა ითხოვდეს ნაკლის გამოსწორებას; 2. მხოლოდ შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის უშუალოდ გასვლის შემდგომ შეუძლია მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიკვლია, რამდე-

ნად იყო დაცული პირველადი მოთხოვნის გამოყენების შესაძლებლობა იმ პირობებში, როდესაც არცერთი ექსპერტიზის დასკვნით არ ირკვევა, რომ ნივთი უვარგისი იყო გამოყენებისთვის, მეტიც ექსპერტიზით გადაწყვეტილია, რომ დაზიანებები უხილავ მხარესა და დაკომპლექტების შემდომ იქნება შეუმჩნეველი. მიმღებ მხარეს არ ჰქონდა უფლება, პირდაპირ უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე.

163. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორების პრეტენზიას, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს არა ნაკლის გამოსწორება, არამედ ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლა, შესაბამისად ამ ნაწილში წარმოდგენილია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

164. კასატორები სადავოდ ხდიან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მოპასუხეებისათვის 2099 ევროს გადახდის დაკისრების ნაწილშიც შემდეგი არგუმენტაციით: კასატორთა მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ არცერთ სტადიაზე არ ყოფილა მითითება ინვოისში არსებულ კოდსა და კატალოგში არსებულ კოდების სხვაობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლო გასცდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს და საკუთარი ინიციატივით დაადგინა ისეთი გარემოება, რომელიც კვლევის საგანი არ ყოფილა სასამართლო განხილვის არცერთ სტადიაზე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ შეკვეთილი სანოლის მახასიათებლები არ ემთხვეოდა სატრანსპორტო დოკუმენტაციაში არსებულ მახასიათებლებს. სასამართლომ არ შეადარა ერთმანეთს კატალოგში მითითებული კოდი, შეფუთვის ფურცელში არსებულ კოდს.

165. კასატორების აღნიშნულ პრეტენზიასთან მიმართებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯობრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხა-

რის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

166. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს. შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობის პრინციპთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. შეჯიბრებითობის პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სსსკ-ის მთელ რიგ სხვა ნორმებში.

167. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: 1. შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. საკითხი იმის შესახებ, რომ სასამართლო საქმის განხილვას (სამოქალაქო პროცესს) იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, ან, რომ სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს და ა.შ. განეკუთვნება არა შეჯიბრებითობის, არამედ დისპოზიციურობის პრინციპის სფეროს. 2. მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი (და არა იურიდიული) დასაბუთება (გამართლება) ეკისრებათ თვითონ მხარეებს. 3. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (შესაგებელს). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული აგრეთვე სსსკ-ის 178-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად, სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს გარემოებები, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს, აგრეთვე სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, მან უნდა მიუთითოს რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ. 4. მხარეებმა თვითონ უნდა მიუთითონ მტკიცებულებებზე, რომელთა საფუძველზე უნდა დამტკიცდეს (დადასტურდეს) მათ მიერ თავიანთი მოთხოვნის (შესაგებლის) და-

საბუთების მიზნით მითითებული ფაქტები. ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ 178-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს (ე.ი. მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ გარემოებებს), აგრეთვე, სსსკ-ის 201-ე მუხლში, რომლის თანახმად, მოპასუხემ თავის პასუხში (შესაგებელში) უნდა მიუთითოს რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები, (ე.ი. მოპასუხის მიერ თავის შესაგებელში მითითებული გარემოებები).

168. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხზე, თუ რა როლი შეუძლია შეასრულოს სასამართლომ მხარეთა შეჯიბრების პროცესში. ფაქტიურად ესაა საკითხი, თუ რა ზომითაა გამოყენებული სამძებრო პრინციპის ელემენტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამართლებრივი მნიშვნელობის საკითხია, თუ რა შინაარსის შეიძლება იყოს ეს ღონისძიებები.

169. პირველ რიგში მიზანშეწონილია განხილული იქნეს მტკიცების საგნის ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების წრის ზუსტად და სრულად განსაზღვრის შესახებ საკითხი.

170. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. ამრიგად, სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერცერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.

171. ფაქტების დამტკიცების პროცესი საკმაოდ დეტალურად რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განსაზღვრულია მტკიცების საშუალებათა (მტკიცებულებათა) წრე, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, ამ მტკიცებულებათა დასაშვე-

ბობა და განკუთვნიადობა, მტკიცების ტვირთის (მოვალეობის) განაწილება მხარეთა შორის, ანუ რომელმა მხარემ რა გარემოება უნდა დაამტკიცოს, მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი, მტკიცებულებათა შეფასების ზოგადი წესები და ა.შ.

172. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება.

173. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ მტკიცების საგნის განსაზღვრისას? სარჩელის აღძვრით მოსარჩელეს სურს გარკვეული შედეგის დადგომა (ნივთის მიკუთვნება, ვალის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების მოშლა და ა.შ.), მისი ეს სურვილი აისახება სარჩელის იმ ელემენტში, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. ამრიგად, სარჩელის საგანს ქმნის მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. მაგრამ, მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ზუსტად იგივე უნდა განსაზღვროს იმ ფაქტების წრემ, რომლებსაც უკავშირდება მხარეთა მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი დასაბუთებულობა. მიუთითონ ფაქტებზე, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს, არის თვითონ მხარეთა მოვალეობა.

174. შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სასამართლომ კონკრეტულ საქმეზე მტკიცების საგნის განსაზღვრის დროს უნდა იხელმძღვანელოს მხარეთა მიერ სარჩელისა და შესაგებლის დასაბუთებისათვის მითითებული ფაქტებით, მაგრამ თუ ამ ფაქტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც კანონის თანახმად არ აქვს მნიშვნელობა ამ მხარეთა მოთხოვნების თუ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთებისათვის, ე.ი. თუ ეს ფაქტები იურიდიუ-

ლად ვერ ამართლებენ ამ მოთხოვნას (შესაგებელს) – სასამართლომ არ უნდა შეიტანოს ეს ფაქტები მტკიცების საგანში და არ უნდა მიიღოს მტკიცებულებები მათ დასადასტურებლად.

175. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეთა მიერ დაშვებული შეცდომა ფაქტების მითითების დროს, შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ „მათ არ მიუთითეს ყველა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მხარეთა მიერ დაშვებულ შეცდომას სასამართლო ვერ გამოასწორებს: სასამართლო ვერ „გაამდიდრებს“, ვერ შეავსებს მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტებს, რადგან მხოლოდ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს (სსსკ-ის მე-4 მუხლი)“ (იხ. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 215.).

176. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა მტკიცების საგნის განსაზღვრის კრიტერიუმის შესახებ: მტკიცების საგანში შედიან მხარეთა მიერ მითითებული ფაქტები, რომლებიც სასამართლოს შეხედულებით სამართლებრივად ასაბუთებენ (ამართლებენ) მათ მოთხოვნებს და შესაგებელს. კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არაა, ესაა სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და მატერიალურ სამართლებრივი ნორმა.

177. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევია: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზევე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ

გარემოებების არსებობის უარყოფა“. (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016, გვ. 3-4). „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2004, გვ.64). შეუძლია თუ არა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეიტანოს მტკიცების საგანში და საფუძვლად დაუდოს გადაწყვეტილებას ფაქტები, რომლებზეც მხარეები არ მიუთითებენ? იურიდიულ დოქტრინაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, სასამართლოს ეს არ შეუძლია. (იხ. დამატებით: თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ.87; ჰ. ბოელინგი, ლ, ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2004, გვ.64).

178. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს, რაც შეიძლება მოხდეს მოსამზადებელ სხდომაზე (სსსკ-ის 205-ე მუხლი) ან მთავარ სხდომაზე (სსსკ-ის 218-ე მუხლი), შეკითხვების მიცემის საშუალებით კიდევ ერთხელ დააზუსტოს ფაქტიური გარემოებები, რომლებსაც ემყარება მხარეთა მოთხოვნა (შესაგებელი). ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული სსსკ-ის 128-ე მუხლში, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას. საგულისხმოა სსსკ-ის 219-ე მუხლის დანაწესი იმის შესახებ, რომ მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებულ-
ლი. ამრიგად, ფაქტებზე თვითონ მხარეებმა უნდა მიუთითონ. სა-
სამართლოს შეუძლია მხოლოდ მხარეთა გამოკითხვისა და შეკით-
ხვების მიცემის გზით ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებისათვის მნიშ-
ვნელობის მქონე ფაქტების სრულად და ზუსტად განსაზღვრას.

179. სსსკ-ის 4.1 მუხლის მიხედვით, მხარეები თვითონვე გან-
საზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ
მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თა-
ნახმად კი, სარჩელში უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და
გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვ-
ნებს. მოხმობილი ნორმები განსაზღვრავენ მხარეთა ტვირთს ფაქ-
ტების მითითების თაობაზე. განსხვავებით მტკიცების ტვირთისა-
გან, რომელსაც მოსამართლე აქტიურად ხელმძღვანელობს და კარ-
ნახობს მხარეებს, თუ ვინ უნდა ამტკიცოს მტკიცების საგანში შე-
მაჯავლი ფაქტი, იგი პასიურია ფაქტების მითითებისას, რაც იმას ნიშ-
ნავს, რომ მოსამართლე ვერ დაეხმარება მხარეს სარჩელის/შესა-
გებლის ფაქტობრივი დასაბუთების შედგენაში. მოსამართლეს და-
ვის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა
წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს.

180. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამ-
ფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენ-
ტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის
მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს
დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე
სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენი-
ლი კვალიფიციური (არსებითი) შედავება, არამედ მხოლოდ სამარ-
თლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლე-
ბა, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სა-
დავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრი-
დან არსებითი ხასიათის შედავების შემთხვევაში, მოსამართლემ
ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხ-
ხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო
ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება.
აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არ-
სებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალი-
ფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდე-
ნად მოსამართლე ასე უწვევად გადადის მოსარჩელის სტადიიდან
მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარე-
თა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგა-
დაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემა-
ჯავალი) ფაქტები.

181. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე. სსსკ-ის 102.1 მუხლის ზოგადი დათქმიდან გამომდინარე, უფლების შემწყვეტი, შემაფერხებელი და გამომრიცხველი შესაგებლის მტკიცების ტვირთი მოდის მოპასუხეზე.

182. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ შესაგებლის (გამომრიცხავი ნორმების) შემოწმება მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად: ა) მოპასუხის მიერ ასეთი შესაგებლის განხორციელების შემთხვევაში უპირველესად უნდა იქნეს მოძიებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, რომელიც შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოსარჩელის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; აღნიშნული სამართლებრივი ნორმა, ისევე, როგორც მოსარჩელის სტადიაზე მოსაძიებელი მოთხოვნის საფუძველი, უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან. ბ) შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მოპასუხის ახსნა-განმარტებების შემოწმება ზუსტად ისე, როგორც მოსარჩელის განმარტებების შემოწმება ხდება მოსარჩელის სტადიაზე. კერძოდ, მოპასუხის შესაგებელი მონმდება ზემოხსენებულ საპირისპირო ნორმასთან მიმართებით. ამრიგად, ამ ეტაპზე მოპასუხის განმარტებები უნდა ასაბუთებდეს ამ საპირისპირო ნორმის დისპოზიციის არსებობას და ამ კუთხით უნდა იყოს გამართული. გ) მესამე ეტაპზე უნდა შემოწმდეს უკვე მოსარჩელის პასუხი, რამდენად სათანადოდ (საკმარისად) ედავება იგი საპირისპირო ნორმის შედეგის დამფუძნებელ გარემოებებს.

183. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის მიერ მითითებულ (არსებით) გარემოებებზე შედავებას საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთების გარეშე, მაშინ ამ გარემოებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მტკიცების სტადიაზე მიიღება იმისდა მიხედვით, (მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით) დამტკიცდება თუ არა ეს სადავო გარემოებები; თუ მოპასუხე ვერ ახერხებს საპირისპირო ნორმის წინაპირობების დასაბუთებას და ვერც მოსარჩელის მიერ მითითებული და მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების სათანადო შედავებას, სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის სასარგებლოდ დააკმაყოფილოს სარჩელი; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს სამართლებრივი შესაგებლის დასაბუთებას და თუ მოსარჩელე არ ხდის სადავოს მის შესაგებელს, მაშინ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ უარი უნდა ეთქვას სარჩელს საპირისპირო (მოთხოვნის გამომრიცხავი) ნორმის არსებობის გამო; თუ მოპასუხე სათანადოდ ახერხებს მოსარჩელის არსებითი გარემოებების შედავებას და ასევე საპირისპირო ნორმის წინაპირობების საკმარისად დასაბუთებას, მაშინ მტკიცების სტადიაზე უნდა გაირკვეს, მტკიც-

დება თუ არა სადავო გარემოებები (მტკიცების ტვირთის გადანაწილების შესაბამისად). შემდეგ ეტაპზე უნდა შემომხედეს, ახერხებს თუ არა მოსარჩელე თავისი მოთხოვნის დამაფუძნებელი გარემოებების იმგვარ დასაბუთებას, რომელიც ასევე აქარწყლებს მოპასუხის მიერ დასაბუთებულ საპირისპირო მითითებებს (ნორმებს).

184. შესაბამისად, გასაზიარებელია კასატორების წინამდებარე გადანყვეტილების პ. 164-ში მითითებული პრეტენზია, რაც ამ ნაწილშიც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

185. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობისა და სოლიდარული ვალდებულების ნაწილში, კასატორებმა წარმოადგინეს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც ამ ნაწილში სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

186. კასატორები ასაჩივრებენ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას სასამართლო ხარჯების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილშიც. კასატორები მიუთითებენ, რომ ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის დასაბუთებლად სააპელაციო პალატამ მოიხმო არგუმენტი, რომ ვინაიდან შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამიტომაც არ დაკმაყოფილდა მოპასუხე მხარის მიერ განეული ხარჯების მეორე მხარისთვის დაკისრების მოთხოვნა, რაც არასწორია, რადგან მოპასუხე მხარე მოითხოვდა იმ ხარჯის მოსარჩელე მხარისთვის დაკისრებას, რაც მის მიერ იქნა განეული ძირითადი სარჩელისაგან თავდასაცავად. ამ ხარჯს საერთოდ არა აქვს კავშირი შეგებებულ სარჩელთან, რადგან საუბარია წარმომადგენლის იურიდიული მომსახურებისათვის გადახდილ თანხაზე – 3000 ლარი; ფაქტების კონსტანტაციისათვის გადახდილ თანხაზე – 200 ლარი; ექსპერტიზის დასკვნის ხარჯებზე – 800 ლარი, სულ ჯამში – 4000 ლარი.

187. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კასატორების აღნიშნული მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი დასაბუთებით:

188. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავი ეძღვნება პროცესის ხარჯებს. სსსკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განმარტებულია, თუ რას შეადგენს თითოეული მათგანი, კერძოდ, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებუ-

ლი ხარჯები, ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

189. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოგებული მხარის სასარგებლოდ წაგებული მხარისათვის პროცესის ხარჯების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 54-ე მუხლებში. ზოგადი პრინციპი ასეთია – იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

190. განსახილველველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხეებსა და მათ რწმუნებულს შორის ურთიერთობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს დავალების ხელშეკრულება (სსკ-ის 709-ე მუხლი). სამოქალაქო კოდექსის 710-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქმის მასალებში განთავსებულია იურიდიული/საადვოკატო მომსახურების განევის ხელშეკრულება, რომლითაც მომსახურების თანხა განსაზღვრულია თბილისის საქალაქო სასამართლოში 3000 ლარით.

191. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის მეორე მხარისათვის დაკისრების საკითხის გადაწყვეტის წესი მოცემულია სსსკ-ის 53-ე მუხლში. ნორმის პირველი ნაწილის დანაწესით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ისა. ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს განეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურებაში გადახდილი ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება. გონივრუ-

ლეობის კრიტერიუმად კი, კანონმდებელი მიიჩნევს დავის საგნის ღირებულების არაუმეტეს 4%-ს. აღსანიშნავია, რომ დავის საგნის ღირებულების 4% წარმოადგენს ზედა ზღვარს (კანონით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას), რომლის ფარგლებშიც ხდება წარმომადგენლის ხარჯების ოდენობის სასამართლოსმიერი განსაზღვრა და ამ თვალსაზრისით, მხედველობაში მიიღება კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები იქნა განხორციელებული ადვოკატის მიერ, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა, საქმის წარმოების რომელ ეტაპზე პროცესის მონაწილე რომელმა მხარემ გასწავი იგი და სხვ. (შდრ: სუსგ №ას-818-784-2016, 02 ნოემბერი, 2016 წელი). განუვლი საადვოკატო ხარჯის დაკისრებისას სასამართლო ხელმძღვანელობს საქმის სირთულით, სასამართლო სხდომებში მონაწილეობისათვის დახარჯული დროის, წარმოდგენილი მოსაზრებებისა თუ მტკიცებულებების სიმრავლით და სხვა ამგვარი გარემოებებით, რაც მეორე მხარისათვის დასაკისრებელი საადვოკატო ხარჯის გონიერულობას განაპირობებს (შდრ: სუსგ №ას-1125-2019, 31 ოქტომბერი, 2019).

192. კასატორები ითხოვენ აგრეთვე ისეთი სასამართლო გარეშე ხარჯების მონინააღმდეგე მხარისათვის ანაზღაურების დაკისრებას, როგორცაა პირველ ინსტანციის სასამართლოში ფაქტების კონსტანტაციის ხარჯი 200 ლარის ოდენობით, აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნის ხარჯი – 800 ლარი.

193. საკასაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად, „საპროცესო კანონმდებლობა პროცესის ხარჯების საკითხის განხილვის თაობაზე რაიმე სპეციალური წარმოების სახეს არ იცნობს, გარდა კოდექსის 261-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. სასამართლოს ყოველთვის შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება პროცესის ხარჯების თაობაზე, თუკი ამას მხარეები მოითხოვენ და დაადასტურებენ სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლოსთვის მინიჭებული ამგვარი ლეგიტიმური უფლება გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულებიდან. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეულ ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე და იმის მიხედვით, თუ როგორ შეცვლის ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, ამას მოჰყვება პროცესის ხარჯების განაწილების ცვლილებაც. საკასაციო პალატის შეფასებით, ვინაიდან არსებობს დავის გადაწყვეტასთან ერთად იმავე დავაზე განუვლი ხარჯების დაბრუნების სასამართლებრივი მექანიზმი, ხოლო საპროცესო კანონი სპეციალურ რეგულაციას არ იცნობს, მხარეებმა პროცესის ხარჯების დაბრუ-

ნების (მეორე მხარისათვის მათ სასარგებლოდ დაკისრება) შესახებ უნდა მიუთითონ ძირითად სასარჩელო (შესაგებლის) მოთხოვნასთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგარაუდება, რომ მათ პრეტენზია პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით არ გააჩნიათ. ამასთან, მხარეებს არ უნდა შეეზღუდოთ პროცესის ხარჯების მოთხოვნის უფლება საქმის მომზადების დასრულების შემდგომ, ან საქმის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, თუკი ხარჯების საკითხი სწორედ საქმის განხილვის ამ სტადიაზე წარმოიშვა და მანამდე მხარისთვის ამ ფაქტის შესახებ ობიექტურად ცნობილი ვერ იქნებოდა“ (იხ. სუსგ №ას-165-158-2013, 27 იანვარი, 2014 წელი).

194. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებსა და ვადებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია ვერც სასამართლოს და ვერც მხარეთა ნებაზე დამოკიდებული ვერ იქნება.

195. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ზემოთაღნიშნული სასამართლო გარეშე ხარჯი წარმოშობილია პირველი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოების ეტაპზე, ხოლო მოპასუხეებს კი ამ ხარჯების მონინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება მოთხოვნილი აქვთ მხოლოდ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე, ამიტომაც საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს კასატორების აღნიშნული მოთხოვნა.

196. მოსარჩელის შეგებებული საკასაციო საჩივრის პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, ვინაიდან სადავო შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის მიმართ ურთიერთკრედიტორები და მოვალეები არიან, შესაბამისად, თითოეულს უნდა დაედასტურებინა ის გარემოება, რაზეც მოთხოვნას აფუძნებდა. მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა ავეჯის ღირებულების გადახდის ფაქტი, მოპასუხეებს კი – ავეჯის სათანადო მდგომარეობაში გადაცემა. სსსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით, მოვალეს შესრულების ფაქტის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტი არ წარუდგენია. მოსარჩელემ კი წარადგინა მტკიცებულებები, მათ შორის, მონმეთა ჩვენებები, რომ მოპასუხე შეგნებულად ცდილობდა, თავი აერიდებინა ავეჯის გადაცემისათვის, რათა შეექმნა სურათი, რომ დამკვეთმა ავეჯი ჩაიბარა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად უარყო სარჩელი იმ მოტივით, რომ საძინებლის ავეჯი

არ წარმოადგენდა კომპლექტს. რეალურად კომოდი და ტუმბოები შერჩეულ იქნა სანოლთან შეხამებით. სანოლების შეუსაბამობის გამო, მოსარჩელემ ინტერესი დაკარგა სხვა ერთი სივრცისათვის განკუთვნილი ავეჯის მიმართაც. სააპელაციო პალატამ ასევე უგულებელყო სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ადასტურებდნენ სადავო ავეჯის ხარვეზების არსებობას. დავის დასარეგულირებლად შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, კერძოდ, სსკ-ის 487-ე, 352-ე და 405-ე მუხლები. მოცემულ შემთხვევაში ავეჯის ნაკლი არსებითი ხასიათისაა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა (იხ. შეგებებული საკასციო საჩივარი, წინამდებარე გადაწყვეტილების პ:54-56).

197. საკასაციო პალატა წინამდებარე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, დამატებით მიუთითებს, რომ „ხელშეკრულებიდან გასვლა აღმჭურველი უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას მხარეს აქვს შესაძლებლობა, მიაღწიოს გარკვეულ სამართლებრივ შედეგს – დაასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით და განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმში გადაიყვანოს იგი. პირველადი მოთხოვნის, ანუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და შესაბამისად, ხელშეკრულების შეუსრულებლობა ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი მოთხოვნის უფლების აღმოცენების სამართლებრივი საფუძველია. ამდენად, დაუშვებელია ერთდროულად მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების შესრულება და ხელშეკრულებიდან გასვლის მეორადი უფლების გამოყენებაც. ამგვარ მოთხოვნათა კუმულაციურად განხორციელება დაარღვევდა ხელშეკრულების მხარეების ინტერესთა ბალანსს, სწორედ რასაც უზრუნველყოფს მეორადი მოთხოვნის, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენება“ (შდრ: სუსგ №ას-12-12-2012, 04.06.2012წ.).

198. საკასაციო პალატა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან ნაწილობრივ გასვლის უფლებას. თუ ამას დაეუშვებდით, ეს იქნებოდა არა ხელშეკრულებიდან გასვლა, არამედ ხელშეკრულების შეცვლა, რადგან მისი ნაწილი კვლავ ძალაში დარჩებოდა და მხარეები ვალდებული იქნებოდნენ შეესრულებინათ იგი. ამიტომაც კანონმდებლობა უშვებს ხელშეკრულებიდან მხოლოდ სრულად (მთლიანად) გასვლას. გამონაკლისია გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობები, ისიც მხოლოდ მომავალში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებაში (შდრ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კო-

მენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 352-ე, თბილისი, 2001, გვ. 233). თუ ვალდებულების ნაწილი შესრულდა, ხელშეკრულებიდან სრულად გასვლა კრედიტორს მხოლოდ იმ პირობით შეუძლია, თუ მან შესასრულებელი ნაწილის მიმართ ინტერესი დაკარგა. (შდრ: გიორგი ვაშაქიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 405, ველი 54. თბილისი, 2019).

199. შესაბამისად, არ არსებობს შეგებებული საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები, ამიტომაც ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად.

200. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუ გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო რაც შეეხება შეგებებულ საკასაციო საჩივარს, იგი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შესაბამისად, მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

201. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ (11768 ევროს ნაწილში), სსსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე, მოსარჩელეს უნდა დაეკისროს კასატორების სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სახით 2433, 46 ლარი. რადგან შეგებებული საკასაციო საჩივარი უარყოფილია, მოსარჩელე კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 2884 ლარი, სსსკ-ის 55-ე მუხლის საფუძველზე, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 53-ე, 55-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. თ. ჯ-ძის და ს. ნ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. მ. უ-ძის შეგვებულ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. მ. უ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. მ. უ-ძეს თ. ჯ-ძისა და ს. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2433, 46 ლარი (2020 წლის 13 აპრილს გადახდილი 800 ლარი და 2020 წლის 16 ივლისს გადახდილი 1633,46 ლარი).
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ოდენობის განსაზღვრა

განმარტება

საქართველოს სსრ-ის

№ას-4-4-2018

14 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება (თავდაპირველ სარჩელში),
ნივთების ღირებულების ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა (შემდეგში: მოსარჩელე, მეორე აპელანტი, შემსყიდველი, სამინისტრო ან პირველი კასატორი) და შპს „მ-ს“ (2014 წლის 14 მარტს შპს „მ-ს“ რეორგანიზაციის შედეგად მისი უფლებამონაცვლე გახდა შპს „ფ-ი“; შემდეგში: მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, მიმწოდებელი, კომპანია, პირველი აპელანტი ან მეორე კასატორი) შორის, 2010 წლის 12 მარტს, დაიდო სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №177, სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი მომსახურების შესახებ 2012 წლის 31 დეკემბრამდე. ხელშეკრულების საგანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგებული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი მომსახურება.

2. ხელშეკრულების 10.1 ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველი (სამინისტრო) ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებელი სამხედრო ნაწილებში არსებულ სამხედრო მოსამსახურეთა ერთდროული კვებისათვის საჭირო სამზარეულოთი, სამზარეულო ინვენტარით და სამზარეულო მოწყობილობა-დანადგარებით, საველე პირობებში კვების საჭიროების შემთხვევაში საველე სამზარეულოთი და საველე სამზარეულოს დანადგარის ტექნიკური მომსახურებით, რაზეც მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც აღწერილი უნდა იყოს სამზარეულო, სამზარეულოს ინვენტარის მდგომარეობა, კომპლექტაცია და არსებული დეფექტები. ამავე ხელშეკრულების 10.4 ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელი (კომ-

პანია) ვალდებულია გაუფრთხილდეს მიღება-ჩაბარების აქტით მასზე გადაცემულ სასადილოს, შენობა-ნაგებობას, სამზარეულო ინვენტარს, მოწყობილობა-დანადგარებს და სასადილოსათვის საჭირო მატერიალურ ფასეულობებს. ხელშეკრულების დასრულების შემდეგ ვალდებულია, სამინისტროს დაუბრუნოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მისთვის გადაცემული სამზარეულო, სამზარეულოს ინვენტარი და სამზარეულოს მოწყობილობა-დანადგარები გამართულ მდგომარეობაში ცვეთის გათვალისწინებით. 10.4.3 ქვეპუნქტის საფუძველზე, მიმწოდებელს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მისთვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული სამზარეულოს, სამზარეულო ინვენტარისა და სამზარეულოს დანადგარების დაზიანებაზე, აღნიშნული მანქანა-დანადგარების, მოწყობილობების და სხვა სასადილო ჭურჭლის და ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში ვალდებულია, აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზიანი. 10.4.4 ქვეპუნქტის მიხედვით, შემსყიდველს ევალება თავისი სახსრებით აწარმოოს მიმწოდებლისათვის გადაცემულ კვების ობიექტზე არსებული მატერიალური ქონების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

3. მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმწოდებლის უფლებები გადაეცა შპს „ე-ს“ და შპს „ქ.კ.კ-ას“.

4. სამინისტროს, შპს „მ-სა“ (მიმწოდებლის წინამორბედ კომპანიას) და შპს „ქ.კ.კ-ას“ შორის, 2011 წლის 4 ივლისს, 13 ივლისს, 21 ივლისს, 3 აგვისტოს, 29 აგვისტოს, 23 სექტემბერს, 6 ოქტომბერს, დაიდო შეთანხმების ოქმები უფლება-მოვალეობების გადაცემის შესახებ, რომელთა საფუძველზე 2010 წლის 12 მარტს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსყიდველის უფლება-მოვალეობები გადაეცა შპს „ქ.კ.კ-ას“. 2011 წლის 20 ივლისს, 4 ნოემბერს დადებული შეთანხმებებით 2010 წლის 12 მარტს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსყიდველის უფლება-მოვალეობები გადაეცა შპს „ე-ს“. ამდენად, ამ შეთანხმებების საფუძველზე სამინისტრომ და შპს „მ-მა“ (მოპასუხე კომპანიის წინამორბედმა სანარმომ) ვადაზე ადრე შეწყვიტეს 2010 წლის 12 მარტის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება.

5. სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა და საფუძველები

5.1. სამინისტრომ 2014 წლის 15 ივლისს სარჩელი აღძრა მიმწოდებლის წინააღმდეგ, საბოლოოდ, დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა მოპასუხისათვის:

5.1.1. 431 521.93 ლარის დაკისრება – 13.07.2011 წლის №24; 14.07.2011 წლის №26 და №28; 15.07.2011 წლის №30, № 32; 28.04.2011 წლის №17; 07.07.2011 წლის №19; 27.07.2011 წლის №663

და 664; 29.07.2011 წლის №35, №37 და №39; 30.07.2011 წლის №41; 03.08.2011 წლის №43; 04.08.2011 წლის №45; 29.08.2011 წლის №49; 30.09.2011 წლის №51; 10.10.2011 წლის №1041; 10.10.2011 წლის №1043; 20.10.2011 წლის №12/2 და 12/4; 21.10.2011 წლის №12/3; 22.10.2011 წლის №12/5 და 12/8; 24.10.2011 წლის 12/1, 12/6 და 12/7; 27.10.2011 წლის 12/9, 12/10 და 12/11; 14.11.2011 წლის №59; 15.11.2011 წლის №51; 16.11.2011 წლის №63; 17.11.2011 წლის №65; 18.11.2011 წლის №67 და №71; 24.11.2011 წლის №73; 26.11.2011 წლის №75 მიღება-ჩაბარების აქტების დანართების, დანაკლისის გრაფაში მითითებული ინვენტარის ღირებულების სახით;

5.1.2. იმ სამზარეულო ინვენტარის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში დაბრუნების დავალდებულება, რაც წინამდებარე განჩინების 5.1.1 ქვეპუნქტში მითითებულ ქონების მიღება-ჩაბარების აქტების დანართების დანაკლისის გრაფაში მითითებულია ღირებულების გარეშე;

5.1.3. იმ გვაროვნული ნივთების დაბრუნება, მათი ჩანაცვლების გზით, რაც მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია, როგორც დაზიანებული ინვენტარი (იხ. მიღება-ჩაბარების აქტების მე-13 შენიშვნის ნაწილი; ასევე – იხ. დაზუსტებული სარჩელი);

5.2. მოსარჩელემ (სამინისტრომ) თავისი მოთხოვნა წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაამყარა და განმარტა, რომ მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით (იხ. 5.1.1 ქვეპუნქტი) გამოვლინდა დანაკლისი, სამინისტროს მიერ კომპანიისათვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნებისას. კერძოდ, სამინისტროს კომპანიამ სამზარეულო ინვენტარი დაუბრუნა არასრული რაოდენობით და დაზიანებულ მდგომარეობაში. ეს აქტები (დანართებით) კი ხელმოწერილია მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლის მიერ, რაც ამავე აქტების სისწორეს ადასტურებს (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

6. კომპანიის შესაგებელი სამინისტროს სარჩელზე

6.1. კომპანიამ წერილობით წარდგენილი შესაგებლით არ ცნო მის წინააღმდეგ შემსყიდველის მიერ აღძრული სარჩელი და განმარტა, რომ სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულება არის წარდობის ხელშეკრულება, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა შეეხება შესრულების ნაკლს, რაზეც ვრცელდება ერთნლიანი ხანდაზმულობის ვადა (იხ. კომპანიის დაზუსტებული შესაგებელი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 655-ე მუხლი: „მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან).

6.2. მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია 2011 წელს, ხოლო სარჩელი აღძრულია 2014 წელს. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტების გარდა, მოსარჩელემ (სამინისტრომ) შეადგინა დანაკლისი ქონების ნარჩენი ღირებულების შესახებ აქტები, რომლის მიხედვითაც სადავო ნივთებს სარჩელით მოთხოვნილ თანხაზე ნაკლები ღირებულება გააჩნია.

7. კომპანიის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები

7.1 მიმწოდებელმა დაზუსტებული შეგებებული სარჩელით მოითხოვა სამინისტროსათვის 202 899.11 ლარის დაკისრება სსკ-ის 636-ე, 361-ე, 408-ე, მუხლების საფუძველზე, რაც, კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, არის იმ ინვენტარის ღირებულება, რომელიც კომპანიამ შეიძინა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ამ ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისათვის, ვინაიდან სამინისტროსგან მიღებული ინვენტარი არ იყო საკმარისი ვალდებულების შესასრულებლად (იხ. დაზუსტებული შეგებებული სარჩელი).

7.2 საგადასახადო ანგარიშფაქტურების მიხედვით მოპასუხე კომპანიის წინამორბედი სანარმოს კუთვნილი სხვადასხვა დასახელების ინვენტარის ღირებულება შეადგენს 164 056.40 ლარს, ხოლო შპს „ფ-ას“ სასარგებლოდ შპს „მ-ისათვის“ (მოპასუხის წინამორბედი სანარმოსათვის) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის თბილისის 4 იანვრის გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა 38 842.71 ლარია.

7.3 მოპასუხემ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგენილიყო დასაბრუნებელი ნივთების ღირებულება ცვეთის გათვალისწინებით.

8. სამინისტროს შესაგებელი კომპანიის (მიმწოდებლის) შეგებულ სარჩელზე

8.1 სამინისტრომ წერილობით წარდგენილი შესაგებლით მიმწოდებლის შეგებებული სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ კომპანიის მიერ წარდგენილი ანგარიშფაქტურები არ ადასტურებს ნივთების ღირებულებას, ამასთან, გასულია ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა (იხ. სამინისტროს შესაგებელი კომპანიის შეგებებულ სარჩელზე).

8.2 სამინისტროს განმარტებით, იმ ზედნადებებით, რომლითაც კომპანია ითხოვს სამინისტროს ბაზაზე განთავსებული ინვენტარის ღირებულების გადახდას, არ მტკიცდება მოთხოვნილი ინვენტარის შექმნის ფაქტი კომპანიის მიერ №177-ე ხელშეკრულების მიზნებისათვის, ვინაიდან აწევს სასაქონლო ზედნადებებით ირკვევა, რომ შექმნილი ქონების ტრანსპორტირების დამთავრების

ადგილად მითითებულია არა სამინისტროს ან მისი ცალკეული ობიექტების მისამართები, არამედ – სხვადასხვა საპრობლეების მისამართები. ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით ირკვევა, რომ დოკუმენტები შედგენილია 2009 წელს, ანუ მანამდე, ვიდრე მხარეები №177-ე ხელშეკრულებას გააფორმებდნენ, რაც გამორიცხავს კომპანიის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ამ აქტებით გათვალისწინებული ქონება 2010 წელს სამინისტროს გადაეცა.

9. მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და დასკვნები

9.1. მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

9.1.1. სამინისტროს სასარგებლოდ კომპანიას დაეკისრა 402 235,69 ლარის გადახდა;

9.1.2. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კომპანიის შეგებებული სარჩელი;

9.1.3. კომპანიის სასარგებლოდ სამინისტროს დაეკისრა 150 000 ლარის გადახდა (იხ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი);

9.2. რაიონული სასამართლოს შეფასებით, მხარეებს შორის დაიდო შერეული ტიპის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება ითვალისწინებდა კომპანიის ვალდებულებას, ხელშეკრულების მიზნებისათვის, მომსახურება გაენია სამინისტროსათვის, რა ნაწილშიც მხარეთა ურთიერთობა წარმოადგენს ნარდობას, ხოლო იმ ნაწილში, რომლითაც სამინისტრო ვალდებული იყო, კომპანიისათვის უსასყიდლოდ გადაეცა სამზარეულოს შენობა და ინვენტარი და ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ურთიერთობის დასრულების შემდეგ დაებრუნებინა მიღებული ქონება, წარმოადგენს თხოვებას.

9.3. სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება გაამახვილა კომპანიის მითითებაზე, სამინისტროს სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებით და არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტები. რაიონული სასამართლოს განმარტებით, მითითება ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 1-წლიან ვადაზე უსაფუძვლოა, რადგან სსკ-ის 655-ე მუხლის გათვალისწინებით, ხანდაზმულობის 1 წლიანი ვადა ვრცელდება ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც შესრულების ნაკლებთან მიმართებით არსებობს. ამ შემთხვევაში დადგენილია, რომ სამინისტროს მიერ სადავოდაა გამხდარი არა კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შესაძლო ნაკლოვანება, არამედ, სამინისტრო ითხოვს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების ფარ-

გლებში მიმწოდებლისათვის გადაცემული ქონების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელიც სახელმწიკრულებო მოთხოვნას წარმოადგენს და მასზე სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება. სასამართლომ საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით დაადგინა, რომ ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა არ არის გასული, რადგან მიმწოდებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევა გამოვლინდა 2011 წლის ნოემბერში, ხოლო სარჩელი წარდგენილია 2014 წლის 15 ივლისს.

9.4. რაიონული სასამართლოს შეფასებით სამინისტროს (შემსყიდველის) მოთხოვნა ემყარებოდა წინამდებარე განჩინების 5.1.1 ქვეპუნქტში მითითებულ მიღება-ჩაბარების აქტებს, რომლითაც აღწერილია 39 სამხედრო ნაწილის სასადილოში არსებული სამზარეულო ინვენტარი.

9.5. ამ აქტების მიხედვით სამინისტროს 39 სამხედრო ნაწილში არსებული სასადილო ინვენტარის და მოწყობილობა-დანადგარების დანაკლისის ღირებულების ანაზღაურება შემდეგი გაანგარიშებით უნდა მოხდეს:

9.5.1. მიღება-ჩაბარების აქტი №12/4 – 14 644,55 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №12/2 – 7 262,5 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №12/10 – 1606,84 ლარი, მიღება-ჩაბარების აქტი №12/9 – 63 118,77 ლარი; მიღება – ჩაბარების აქტი №12/12 – ადგილის სამხედრო ნაწილი (ადგილის სამხედრო ნაწილთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ 9.6-9.7 ქვეპუნქტები); მიღება-ჩაბარების აქტი №12/11 – 16 428,3 მიღება-ჩაბარების აქტი №664 – 12 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №663 – 69,80 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №37 – 36 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №39 – 0 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №41 551 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №35 -162,8; მიღება-ჩაბარების აქტი №43 – 10; მიღება-ჩაბარების აქტი №45 – 72935,99 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №49 – 973 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №51 – 8857,29 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №1041 – 0 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №1043 – 64,8 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №59 – 7706,52 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №61 – 11809,38; მიღება-ჩაბარების აქტი №63 – 156,25 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №62 – 2525,25; მიღება-ჩაბარების აქტი №67 – 22 407,85; მიღება-ჩაბარების აქტი №69 -0; მიღება-ჩაბარების აქტი №71 – 32,40; მიღება-ჩაბარების აქტი №73 -89,64; მიღება-ჩაბარების აქტი №75 – 0; მიღება-ჩაბარების აქტი №12/3 -2; მიღება-ჩაბარების აქტი №12/8 – 25 579,12; მიღება-ჩაბარების აქტი №12/5 – 687 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №12/1 -29059,6 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №12/6 – 1125,18 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №12/7 -

1606,94 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №17 -97,05 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №19 -1908,50 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №30 - 2140,62 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №28 -1046,10 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №32 - 15462,64 ლარი; მიღება-ჩაბარების აქტი №26 - 10 ლარი;

9.6. რაიონული სასამართლოს შეფასებით ადლიის სამხედრო ნაწილის დანაკლისი ინვენტარის ღირებულების გარეშე მოსარჩელი-სათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 308 276,34 ლარს.

9.7. საქმეში არსებული მასალების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ადლიის სამხედრო ნაწილში არსებული სამზარეულო ინვენტარი განადგურდა ხანძრის შედეგად, რომელიც გამოიწვია სასადილოში მომუშავე პერსონალის მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევამ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადლიის სამხედრო ნაწილის დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება უნდა განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტსა და ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული თანხით 62 581,03 ლარით და არა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული თანხით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია დანაკლისი ნივთები, რაც ის ნივთებია, რომლებიც ფაქტობრივად გადაეცა შპს „მ-ს“, თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტის დროს ისინი სასადილოში არ აღმოჩნდა. გამოძიების მიმდინარეობის დროს ჩატარებულია ექსპერტიზა იმ ნივთების ღირებულების შესაფასებლად, რომლებიც ფაქტობრივად ხანძრის შედეგად დაზიანდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადლიის სამხედრო ნაწილში ნივთების დანაკლისი წარმოადგენს არა მარტო ხანძრის შედეგად დაზიანებული ან განადგურებული ნივთები, არამედ – სხვა ნივთებიც, რაც მზარეულის მიერ სასადილოს აღწერის დროს არ აღმოჩნდა ადგილზე. ამდენად, შპს „მ-ისათვის“ გადაცემული სამხედრო ნაწილების სასადილოებში გამოვლენილი დანაკლისი ნივთების ღირებულება საერთო ჯამში 370 857,37 (308 276,34 + 62 581,03) ლარს შეადგენს.

9.8. კომპანიის შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე მსჯელობისას, რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტროს სამხედრო ნაწილების სასადილოების მფლობელობაშია კომპანიის კუთვნილი სამზარეულო ინვენტარი და მონყობილობა-დანადგარები, რომელთა ღირებულება 150 000 ლარია.

9.8.1. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდებოდა, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილში განლაგებულია კომპანიის კუთვნილი სამზარეულო ინვენტარი და მონყობილობა-დანადგარები. აქტები შედგენილია კომპანიის წინამორბედი სანარმოს მენეჯერის და თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფ-

როსის მიერ. შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ არის აღწერილი სამხედრო ნაწილებში არსებული ის ინვენტარი, რაც კომპანიის წინამორბედი საწარმოს (იხ. პირველი პუნქტი) საკუთრება იყო. მოპასუხის (კომპანიის) მიერ წარდგენილი სასაქონლო ზედნადებების და საგადასახადო ანგარიშფაქტურების თანახმად, ნივთების ნაწილი შექმნილია მხარეებს შორის ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო ნაწილი – 2010-2011 წლებში სამინისტროსთან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოება არ არის ამ ნივთების შექმნის თარიღი, რადგან შეგებებული სარჩელის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, ეს ნივთები გამოიყენებოდა თუ არა სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურების სახელშეკრულებო ვალდებულების შესასრულებლად. ამ აქტებით დასტურდება, რომ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის დროს სამხედრო ნაწილების სასადილოებში იმყოფებოდა ნივთები, რაც სამინისტროს საკუთრება არ არის და ისინი მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედი საწარმოს საკუთრებას წარმოადგენს, ნივთები კი შექმნილია ამ უკანასკნელის მიერ.

9.8.2. სასამართლომ არ გაიზიარა კომპანიის დაზუსტებული შეგებებული სარჩელით მოთხოვნილი ნივთების ღირებულების ოდენობა, რაც მათ შესაძინად გადახდილი თანხაა და, მენარდის მტკიცებით, 202 899,11 ლარს შეადგენს.

9.8.3. სასამართლომ განმარტა, რომ კომპანიის მიერ წარდგენილია მისი მთავარი ბუღალტრის – ლ. კ-ას მიერ 2014 წლის 20 ოქტომბერს შედგენილი ცნობა, რომლის თანახმად, სამინისტროს ბაზებზე არსებული მიმწოდებლის კუთვნილი ინვენტარის სავარაუდო ღირებულება 150 000 ლარს შეადგენს. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასკვნა, რომ კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით, სადავო ნივთების ღირებულება 150 000 ლარს შეადგენს და არა შეგებებული სარჩელით მოთხოვნილ 202 899,11 ლარს, რის გამოც ამ ნივთების ღირებულება უნდა განისაზღვროს მენარდის ბუღალტრული მონაცემების მიხედვით.

9.9. რაიონულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მენარდის მოთხოვნაზე, შპს „ფ-ასაგან“ შექმნილი მაცივრების ღირებულების ანაზღაურების თაობაზე, რაც შპს „ფ-ას“ სასარგებლოდ მიმწოდებლის წინამორბედ საწარმოს (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) დაკისრებული აქვს სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით (იხ. ამ განჩინების 7.2 ქვეპუნქტი).

9.9.1. ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიხედვით, შპს „ფ-

ას“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მენარდეს (კომპანიას) შპს „ფ-ას“ სასარგებლოდ დაეკისრა 37 710 ლარისა და 60 თეთრის ანაზღაურება. შპს „ფ-ას“ სარჩელი კომპანიისათვის 2 328 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. იმავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხის წინამორბედი კომპანია უსასყიდლოდ სარგებლობდა მოსარჩელის (სამინისტროს) კუთვნილი 45 ერთეული სხვადასხვა ტევადობის მაცივრით, საიდანაც 37 710 ლარისა და 60 თეთრის ღირებულების 42 ერთეულ მაცივარზე მოსარჩელესა და მოპასუხესთან დასაქმებულ პირებს შორის შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები. სასამართლოს შემოხსენებული გადაწყვეტილებით (იხ. 9.9 ქვეპუნქტი) დადგენილია, რომ შპს „ფ-ამ“ მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედ სანარმოს თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა 42 ერთეული მაცივარი, რაც ამ უკანასკნელს (შპს „მ-ს“) შპს „ფ-ასათვის“ არ დაუბრუნებია. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „მ-ს“ დაკისრებული აქვს 42 ერთეული მაცივრის ღირებულების – 37 710 ლარის შპს „ფ-ასათვის“ გადახდა. სამინისტროს ბაზებზე არსებული შპს „მ-ის“ (მოპასუხე კომპანიის წინამორბედი სანარმოს) ინვენტარის აღწერის აქტების მიხედვით, სამხედრო ნაწილების სასადილოებში დარჩენილია 50 ერთეულზე მეტი მაცივარი, ხოლო საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით დაკისრებულია 42 მაცივრის ღირებულება. საქმეში არ არის წარდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შპს „ფ-ას“ მიერ გადაცემული მაცივრები არ შედის მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედი სანარმოს (შპს „მ-ის“) კუთვნილი სამზარეულო ინვენტარის აღწერის აქტებში, რის გამოც, პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, კომპანიის ბუღალტრის მიერ გადაცემული ცნობა შეეხება თავდაცვის სამინისტროს ბაზებზე არსებული ინვენტარის ღირებულებას, რაც მოიცავს ასევე შპს „ფ-ასაგან“ გადაცემულ მაცივრებსაც.

9.10. ამ მსჯელობიდან გამომდინარე რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა:

9.10.1. მოპასუხე კომპანიამ დაარღვია მისთვის გადაცემული გვაროვნული ნივთების მოვლისა და დაბრუნების ვალდებულება, რის გამოც მას უნდა დაეკისროს ამ ნივთების ღირებულების გადახდისა და დაზიანებული და დანაკლისი ნივთების სამინისტროსათვის დაბრუნების ვალდებულება;

9.10.2. ასევე, ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს მიმწოდებელი კომპანიის შეგებებული სარჩელი და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, სამინისტრომ უნდა აანაზღაუროს მის მფლობელობაში არსებული კომპანიის კუთვნილი ნივთების ღირებულება.

10. მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინება უსწორობის გასწორების შესახებ

10.1. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ 2016 წლის 4 აპრილის უსწორობის გასწორების შესახებ განჩინებით დაადგინა:

10.1.1 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 1.1 შპს „ფ-ს“ სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს 370 857,37 ლარის გადახდა;

10.1.2 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.2 და 1.3 ქვეპუნქტები: 1.2. შპს „ფ-ს“ დაეკისროს სამინისტროს სასარგებლოდ სამზარეულო ინვენტარის დაბრუნების ვალდებულება, რომელიც ქონების მიღება-ჩაბარებების აქტებში მითითებულია ღირებულების გარეშე; 1.3. შპს „ფ-ს“ დაეკისროს სამინისტროს სასარგებლოდ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული დაზიანებული ინვენტარის შეცვლა ასეთივე დანიშნულების გვაროვნული ნივთებით.

11. შემსყიდველისა და მიმწოდებლის სააპელაციო საჩივრების საფუძვლები

11.1. მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. კომპანიამ (პირველმა აპელანტმა, მიმწოდებელმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სამინისტროს თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და კომპანიის შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით, სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და კომპანიის შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

11.1.1. კომპანიის სააპელაციო პრეტენზიის მიხედვით, სასამართლომ არასწორად დაადგინა საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე გარკვეული გარემოებები. კერძოდ, სანარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების პერიოდში სამზარეულოს სხვადასხვა ინვენტარის ერთი ბაზიდან მეორე ბაზაზე გადატანა ხდებოდა, შესაბამისად, გარკვეულ აქტებში ინვენტარი დანაკლისის ნაწილშია მითითებული, ხოლო ზოგიერთში – ზედმეტობაში. შესაბამისად, პირველი აპელანტის (კომპანიის) მოსაზრებით, სასამართლოს მიერ გამოანგარიშებული დანაკლისი ნივთების ღირებულების ჯამს – 370 857,37 ლარს უნდა გამოაკლდეს სამინისტროს მიერ წარდგენილ აქტებში მითითებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების ზედმეტობა – 117 888,13 ლარი.

11.1.2 კომპანიის სააპელაციო პრეტენზიით, საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე არ დგინდებოდა, თუ ვისი ბრალეულობით გაჩნდა ხანძარი ადგილის სამხედრო ნაწილში, შე-

საბამისად, სასამართლომ არასწორად დააკისრა კომპანიას ამ ნაწილში დანაკლისი ნივთების ღირებულების – 62 581,03 ლარის ანაზღაურება;

11.1.3 სასამართლომ არასწორად ჩათვალა, აგრეთვე, კომპანიის შეგებებული სარჩელით მოთხოვნილი, შპს „ფ-ასგან“ მიღებული მაცივრების ღირებულება იმ ინვენტარის ღირებულებაში, რომელიც სამინისტროს თავიდანვე გადაეცა, როგორც კომპანიის კუთვნილი ინვენტარი.

11.1.4 პირველმა აპელანტმა, კვლავ მიუთითა სამინისტროს (შემსყიდველის) სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 6.1 ქვეპუნქტი) და განმარტა, რომ სსკ-ის 655-ე მუხლის მიხედვით წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესრულების ნაკლებ წარდგენილ მოთხოვნაზე ვრცელდება 1-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

11.2. სამინისტრომ (მეორე აპელანტმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება თავდაპირველი სარჩელის უარყოფის ნაწილში და კომპანიის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით, სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილება და კომპანიის (მომწოდებლის) შეგებებული სარჩელის უარყოფა.

11.2.1 შემსყიდველის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დააკისრა კომპანიას 370 857.37 ლარი, ნაცვლად სამინისტროს მიერ მოთხოვნილი 431 521.93 ლარისა. სამინისტროს მიერ სარჩელით მოთხოვნილი თანხა ეფუძნებოდა მხარეთა შორის გაფორმებულ, ორმხრივად ხელმოწერილ მიღება-ჩაბარების აქტებს, რომლებზე ხელმოწერებითაც მხარეებმა დაადასტურეს ინვენტარის ღირებულება და სასამართლოს სამინისტროს მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა მითითებულ აქტებში ასახული თანხის საფუძველზე;

11.2.2 მეორე აპელანტმა (სამინისტრომ), განმარტა, რომ კომპანიას, როგორც შეგებებულ მოსარჩელეს, არ წარუდგენია რაიმე ისეთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადავოდ გამხდარი ინვენტარი გადაეცა სამინისტროს, ამასთან, წარდგენილი ანგარიშ-ფაქტურებიდან ირკვეოდა, რომ ინვენტარი შექმნილია ხელშეკრულების დადებამდე (№177-ე ხელშეკრულება დადებულია 2010 წელს, მაშინ, როდესაც აღნიშნული აქტების მიხედვით ქონება 2009 წელს არის შექმნილი, რაც გამორიცხავს ხსენებული ხელშეკრულების მიზნებისათვის სადავო ქონების შექმნის წინასწარ განზრახვას კომპანიის მიერ) და ინვენტარის ტრანსპორტირების დასრულების ადგილად არა შემსყიდველი სამინისტროს რომელიმე ობიექტი, არამედ საპყრობილებია მითითებული;

11.2.3 სამინისტროს სააპელაციო პრეტენზია შეგებებული სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასაც ეხება, როგორც ეს შესაგებელშია მითითებული (იხ. წინამდებარე განჩინების 8.1. ქვეპუნქტი).

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ნოემბრის განჩინებით აპელანტების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც მითითებულია წინამდებარე განჩინების 1-4 ქვეპუნქტებში და დამატებით შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა:

12.2.1. სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა 13.07.2011 წლის №24; 14.07.2011 წლის №26 და №28; 15.07.2011 წლის №30, №32; 28.04.2011 წლის №17; 07.07.2011 წლის №19; 27.07.2011 წლის №663 და 664; 29.07.2011 წლის №35, №37 და №39; 30.07.2011 წლის №41; 03.08.2011 წლის №43; 04.08.2011 წლის №45; 29.08.2011 წლის №49; 30.09.2011 წლის №51; 10.10.2011 წლის №1041; 10.10.2011 წლის №1043; 20.10.2011 წლის №12/2 და 12/4; 21.10.2011 წლის №12/3; 22.20.2011 წლის №12/5 და 12/8; 24.10.2011 წლის 12/1, 12/6 და 12/7; 27.10.2011 წლის 12/9, 12/10 და 12/11; 14.11.2011 წლის №59; 15.11.2011 წლის №51; 16.11.2011 წლის №63; 17.11.2011 წლის №65; 18.11.2011 წლის №67 და №71; 24.11.2011 წლის №73; 26.11.2011 წლის №75 მიღება-ჩაბარების აქტებს, რომლებითაც აღწერილია 39 სამხედრო ნაწილის სასადილოში არსებული სამზარეულო ინვენტარი;

12.2.2. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სამინისტრო სასარჩელო მოთხოვნას მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე აფუძნებდა, სადაც მითითებულია დანაკლისი ნივთების ჩამონათვალი, ნივთების ნარჩენი ღირებულება, დაზიანებული ნივთების ჩამონათვალი და ის ნივთებიც, რომელთა ნარჩენი ღირებულება მითითებული არ არის აქტებში. მოპასუხის (კომპანიის) განმარტებით, დანაკლისი ნივთების ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რადგანაც სამინისტროს მიერ შედგენილი დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულების შესახებ აქტების თანახმად, ინვენტარის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ თანხაზე ნაკლებია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია დანაკლი-

სი ნივთების ღირებულება განსაზღვრულიყო თითოეული მიღება-ჩაბარების აქტისა და ნარჩენი ღირებულების აქტების ურთიერთშედარებით. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, ცალ-ცალკე უნდა განისაზღვროს თითოეული აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთებისა და ღირებულების გარეშე არსებული დანაკლისი ნივთების რაოდენობა.

12.2.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ არის წარდგენილი 2011 წლის 11 ივლისის №24-ე აქტი;

12.2.4. 2011 წლის 28 აპრილის №17 აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთები მითითებული არ არის; დანაკლისი ნივთების ღირებულებაა – 97,05 ლარი. ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ღირებულება უცვლელია და შეადგენს – 97,05 ლარს;

12.2.5. 2011 წლის 7 ივლისის №19 მიღება ჩაბარების აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთებია – 1 ცალი ბოსტნეულის საწმენდი ელექტრომანქანა, 2 ცალი ჩამჩა, 59 ცალი ჩანგალი, 428 ცალი ჩანგალი, 200 ჩანგალი, 1 ცალი პოლიეთილენის დაფა, 1 ცალი ელექტროქურა, 144 ცალი ღრმა ჯამი, 472 ცალი კათხა, 579 ცალი სადილის კოვზი, 1 ცალი თვითმომსახურების ლანგარი ჯამის გარეშე, 2 ცალი ქაფქირი, 4 ცალი ქაფქირი, 5 ცალი ქაფქირი, 4 ცალი ბადიანი ქაფქირი, 1 ცალი ქვაბი-ტაფა, 1 ცალი გაზის ღუმელი ტკბილეულისათვის, 97 ცალი „სალფეთქების“ ჩასადები, საწარმოო მაგიდა მარმარილოს თავით, 2 ცალი სლაისერი, 1 ცალი ფრიტურნიცა. ღირებულების გარეშე მითითებულია შემდეგი ნივთები – 11 ცალი ჩამჩა, 145 ცალი დანა, 2 ცალი ელექტროქურა. 136 ცალი საპურე ჯამი, 1 ცალი კონსერვის გასახსნელი, 37 ცალი პლასტმასის კონტეინერი ჭურჭლის სარეცხი, 153 ცალი ჩაის კოვზი, 43 ცალი სადილის ალუმინის კოვზი, 1 ცალი მისაბმელი კუგი, 3 ცალი მწერების საჭერი დანადგარი, 2 ცალი ქაფქირი, 2 ცალი ქაფქირი, 3 ცალი ქაფქირი, 6 ცალი ქაფქირი, 2 ცალი 50*20 ქვაბი, 1 ცალი ქვაბი-ტაფა, 1 ცალი სალესი, 2 ცალი სალესი №10; 1 ცალი სალესი №12; 5 ცალი ხელის სათქვეფი, 1 ცალი ტაფა 20*10, 4 ცალი ტაფის სადგამი, რაც გადატანილია ვაზიანი-2-ში, 442 ცალი თევში ლანგარი, 1 ცალი ურიკა. 1 ცალი ხორცის ჩამოსაკიდი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 1908,50 ლარი. ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 1908,50 ლარი;

12.2.6. 2011 წლის 15 ივლისის №30 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, დაზიანებული ნივთებია – 222 ცალი ალუმინის ქიქა, 7 ცალი ჩაიდანის სახურავით, 1 ცალი ჩამჩა, 1 ცალი დიდი ჩამჩა, 250 ცალი ჩანგალი, 47 ცალი ჩანგალი, 455 სუფრის დანა. 1 ცალი ელექტროტაფა, 1 ცალი საპურე ჯამი, 34 ცალი ჯამი, 2 ცალი კამერა-

მაცივარი, 159 ცალი კათხა, 145 ცალი სადილის კოვზი, 1 ცალი ლანგარი, 1 ცალი მაგიდის სასწორი, 2 ცალი ქაფქირი. 4 ცალი ქაფქირი, 2 ცალი ქაფქირი, 6 ცალი ბადიანი ქაფქირი, 1 ცალი მობილური ქვაბი, 175 ცალი „საღვეთის“ ჩასადები, 45 ცალი მინის სამარილე სამეული, 1 ცალი სასწორი 100-500 კგ, 1 ცალი ხელის სათქვეფი, 1 ცალი სანარმოო მაგიდა, 1 ცალი ელექტროსახარში ქვაბი, 10 ცალი ლითონის სახეხი, 4 ცალი თვითმომსახურების ლანგარი, 4 ცალი კონვექციური ღუმელის ურიკა. 376 ცალი ჭიქა 200 გრ, 80 ცალი ემალის ჭიქა. 1 ცალი წყლის გასაციებელი აპარატი 80 ლტრ. 1 ცალი ელქურა ერთ კამფორიანი. ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 14 ცალი ჩაიდანის სახურავით, 2 ცალი ბრტყელი ჩამჩა, 1 ცალი დიდი კოვზი, 2 ცალი კარაქის კოვზი, 74 ცალი ლანგარი, 8 ცალი ლანგარი 38/53, 3 ცალი ელექტრომიქსერი, 5 ცალი პლასტმასის კონტეინერი ჭურჭლის სარეცხი მანქანისათვის, 6 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ქაფქირი, 2 ცალი ქაფქირი, 2 ცალი ქვაბების კომპლექტი 20 ლ, 1 ცალი ქვაბების კომპლექტი 30 ლ, 1 ცალი მობილური ქვაბი, 1 ცალი სალესი, 2 ცალი სალესი, 1 ცალი ხელის სათქვეფი, 1 ცალი სანარმოო მაგიდა, 1 ცალი თვითმომსახურების ლანგარი, 1 ცალი ჭურჭლის სარეცხი დუმი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა – 2364,15 ლარი. ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ღირებულება ნაკლებია და შეადგენს 2140,62 ლარს;

12.2.7. 2011 წლის 14 ივლისის №28 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებულია შემდეგი ნივთები – 10 ცალი დანა, 177 ცალი ღრმა ჯამი, 1 ცალი კარტოფილის საჭრელი მანქანა, 73 ცალი ლანგარი, 2 ცალი მიქსერი, 1 ცალი ღუმელის ურიკა, 73 ცალი სანელებლების კ-ტი მაგიდის, 9 ცალი ალუმინის სათლი, 7 ცალი თხელი თევში, 12 ცალი ფაიფურის პატარა ჭიქა, 1 ცალი წყლის ჭურჭელი. დაზიანებული ნივთებია – სამზარეულო დახლი მარმარილოსი, 1 ცალი მიქსერი, 1 ცალი ქვაბების გადასატანი ურიკა. ქვაბი-ტაფა (ელ+გაზი), 1 ცალი ცომის მოსაზელი, 315 ცალი ჭიქა, 9 ცალი ჩაიდანის 1,5 ლტრ. ელ.კონვექციური ღუმელი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 1046,10 ლარი. ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ღირებულება უცვლელია და შეადგენს 1046,10 ლარს;

12.2.8. 2011 წლის 15 ივლისის №32 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებულია შემდეგი ნივთები – 33 ცალი ჩაიდანის სახურავით, 2 ცალი ალუმინის პატარა ჩამჩა, 9 ცალი დანების სამეული, 370 ცალი დანა, 69 ცალი ჯამი, 333 ცალი სადილის კოვზი, 1 ცალი ქაფქირი; 2 ცალი ქაფქირი, 2 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ქაფქირი, 3 ცალი ხელის სათქვეფი, 50 ცალი პლასტმა-

სის თასი, 1 ცალი უჟანგავი ქვაბი ელ/გაზის. დაზიანებული ნივთები – 536 ცალი ჩანგალი, 7 ცალი ჯამი, 231 ცალი სადილის კოვზი, 2 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ქაფქირი, 4 ცალი ფუშფალანგი, 2 ცალი ურიკა, 2 ცალი წვენების გასაციებელი აპარატი 50-60 ლტ, ხორცის დასაჩეხი კუნძი. დანაკლისი ნივთების ღირებულება – 20 832,02 ლარი. ნარჩენი ღირებულების აქტების მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება ნაკლებია და შეადგენს 15462,64 ლარს;

12.2.9. 2011 წლის 14 ივლისის №26 აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებულია შემდეგი დანაკლისი ნივთები – 30 ცალი დანა. 5 ცალი საპურე ჯამი, 10 ცალი სამარილე, 104 ცალი თეფშის-ლანგარი. დაზიანებული ნივთებია – 3 ცალი 5 ლტრ ჩაიდანა, 2 ცალი პატარა ჩამჩა, 300 ცალი პლასტმასის ჯამი, კარადა მაცივარი რუსული წარმოების, კარტოფილის სათლელი ელექტრომანქანა, 200 ცალი კათხა, 2 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ხელის სათქვეფი, 38 ცალი თეფში-ლანგარი, 3 ცალი თუშფალანგი. დანაკლისი ნივთების ღირებულება 10 ლარი. ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, ნარჩენი ღირებულება უცვლელია და შეადგენს 10 ლარს;

12.2.10. 2011 წლის 21 ოქტომბრის №12/3 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 3 ცალი ჩამჩა №10, 3 ცალი ჩამჩა (მათ შორის 1 დაზიანებულია), 4 ცალი ჩამჩა №9, 5 ცალი გასანაწილებელი ჩამჩა, 10 ცალი დანა, 1 ცალი გაზქურა, 5 ცალი კოვზი, 56 სადილის კოვზი, 5 ცალი ლანგარი, 47 ცალი სუნელების მოწყობილობა, 1 ცალი ნაჯახი, ქაფქირი საერთო ჯამში 14 ცალი, 1 ცალი ბადიანი ქაფქირი, 1 ცალი ქვაბი-ლუმელის ლანგარი 100 მმ, 13 ცალი ქვაბი – ლუმელის ლანგარი 40მმ, 1 ცალი ტაფა 35*36, 1 ცალი ტაფა 40*40, 4 ცალი სათქვეფი, 2 ცალი ღრმა ტაფა, 172 ცალი ჭიქა 200მგ, 29 ცალი ღრმა ჯამი. აქტის მიხედვით, დაზიანებულია – 1 ცალი ჩამჩა, 34 ცალი საპურე ჯამი, 1 ცალი კარტოფილის საფცქენელი მანქანა. არამუშა მდგომარეობაშია მიქსერი, ბადის გარეშეა 2 ცალი ტაფა 80*15 ზომის. დანაკლისი ნივთების ღირებულება 2 ლარი; ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება 2 ლარი;

12.2.11. 2011 წლის 22 ოქტომბრის №12/8 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 545 ცალი ჩანგალი უ/ფ, 942 ცალი კათხა, 539 ცალი სადილის კოვზი, 490 ცალი თვითმომსახურების ლანგარი, 697 ცალი თვითმომსახურების ლანგარი, 45 ცალი სუნელების მოწყობილობა, 3 ცალი სასწორი, 1 ცალი საწური, 1 ცალი საყინულე სიმენსის ფირმის, 805 ცალი თხელი თეფში. აქტის მიხედვით, დაზიანებულია – ბოსტნეულის საჭრელი მანქანა, ჩაის ელექტრო მაღულარა.

კარტოფილის სანმენდი მანქანა, 315 ცალი კათხა, 5 ცალი ბადიანი ქაფქირი, 14 ცალი პარატა ქაფქირი. 4 ცალი თვითმომსახურების ურიკა, 2 ცალი თევზის შესანვავი თუშფალანგი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 25 579.12 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 25 579.12 ლარი;

12.2.12. 2011 წლის 22 ოქტომბრის №12/5 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 191 ცალი ჩანგალი, 1 ცალი ჩაის ელექტრომადულარა, 116 ცალი ღრმა ჯამი, 50 ცალი კათხა, 205 ცალი სადილის კოვზი, 6 ცალი ლანგარი, 1 ცალი მიქსერი, 35 ცალი სუნელების მოწყობილობა, 7 ცალი პატარა ქაფქირი, 2 ცალი ქვაბი კონტეინერი. 1 ცალი მობილური ქვაბი, 5 ცალი საპურე, 1 ცალი ურიკა, 99 ცალი ჭიქა. დაზიანებულია – ბოსტნეულის საჭრელი მანქანა, 2 ცალი თუშფალანგი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 687.37 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 687.37 ლარი;

12.2.13. 2011 წლის 24 ოქტომბრის №12/1 აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 1000 ცალი სადილის კოვზი, 5 ცალი ქაფქირი, 1 ცალი პურის სტელაჟი, დაზიანებულია – 1 ცალი ასაკეცი შლანგი, 2 ცალი ბოსტნეული საჭრელი მანქანა, 2 ცალი ცივი წყლის დანადგარი, 53 ცალი ღრმა ჯამი. 2 ცალი პურის კარადა, 10 ცალი ჭურჭლის სარეცხი მანქანის კონტეინერი, 123 ცალი თვითმომსახურების ლანგარი, 2 ცალი მაგიდა პოლიეთილენის ზედაპირით, 2 ცალი მობილური სამუშაო მაგიდა, 3 ცალი მობილური სტელაჟი, 4 ცალი მომსახურების ურიკა, 1 ცალი პურის საჭრელი ელექტრომანქანა, 2 ცალი სანარმოო მაგიდა პოლიეთილენის ზედაპირით, 3 ცალი სანარმოო მაგიდა, 2 ცალი ურიკა, 2 ცალი ურიკა კონტეინერით, 108 ცალი ჭიქა, 682 ცალი ჭიქა 200 გრ, 550 ცალი ალუმინის ჭიქა 250 გრ, 3 ცალი ელექტრო ხორცსაკეპი მანქანა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 29 059.6 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 29 059.6 ლარი;

12.2.14. 2011 წლის 24 ოქტომბრის №12/6 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 100 ცალი ლანგარი, 1 ცალი სანარმოო მაგიდა პოლიეთილენის თავით. დაზიანებულია – 2 ცალი დანა, 4 ცალი დანა მზარეულის კომპლექტი, გაზეურა ბეკო 664, 1 ცალი სანარმოო მაგიდა, 3 ცალი თუშფალანგი, 2 ცალი 10-15ლტ ქვაბი. დანაკლისი ნივთების

ღირებულება 1125.18 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 1125.18 ლარი;

12.2.15. 2011 წლის 27 ოქტომბრის №12/10 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 3 ცალი ჩამჩა, 1 ცალი ელ. ქვაბი, 362 ცალი ლანგარი, 2 ცალი ქვაბი 50/20, 2 ცალი ქვაბი 90*30, 444 ცალი თევში-პოდნოსი, 367 ცალი ჭიქა 200 გრ, 190 ჭიქა ალუმინის 250 გრ, 1 ცალი 50-60ლტ ქვაბი. დაზიანებულია – ბოსტნეულის საკეპი მანქანა, 1 ცალი 4 კამფორიანი ელ. ქურა, 2 ცალი სტაციონარული 4 კამფორიანი ელ ქურა, 1 ცალი ელექტრომადულარა ჩაისათვის, 2 ცალი კამერა მაცივარი, 122 ცალი კათხა, 36 ცალი პლასტმასის ლანგარი, საყოფაცხოვრებო მაცივარი (დამწვარი), ხორცის საკეპი მანქანა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 1606.94 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 1606.94 ლარი;

12.2.16. 2011 წლის 27 ოქტომბრის №12/9 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთები მითითებული არ არის. ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 1 ცალი 2 ნიჟარიანი აბაზანა, 3 ცალი 20-40 ლ ქვაბი, 2 ცალი 3-4 ლ ქვაბი, 1 ცალი ალუმინის ქვაბი 50- 60 ლ, 1 ცალი 70/80 ლ ქვაბი, 2 ცალი ქვაბი კონტეინერი 200მმ, 1 ცალი სანარმოო მაგიდა მარმარილოს თავით, 5 ცალი პლასტმასის თასი, დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 63 118.77 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 63118.77 ლარი;

12.2.17. 2011 წლის 27 ოქტომბრის №12/12 აქტი შედგენილია ადლიის სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ. აღნიშნულ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარი დაინვა ხანძრის შედეგად და აქტის მიხედვით, მათი ნარჩენი ღირებულებაა 65 581.03 ლარი.

12.2.18. 2011 წლის 27 ოქტომბრის №12/11 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებულია – 1 ცალი ქაფქირი, 2 ცალი სათქვეფი, 1 ცალი დიდი ტაფა. დაზიანებული ნივთები მითითებული არ არის. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 16 428.3 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 16 428.3 ლარი;

12.2.19. 2011 წლის 24 ოქტომბრის №12/7 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთია – 1 ცალი ჭურჭლის სარეცხი მანქანა. ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია

– 1 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ქვაბი კონტეინერი, 3 ცალი ქვაბი კონტეინერი 65 მმ. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 3 135.59 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 3 135.59 ლარი;

12.2.20. 2011 წლის 27 ივლისს შედგენილი №664 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთებია – 1 ცალი ბოსტნეულის საჭრელი მანქანა, 2 ცალი 5 ლტ ჩაიდანნი, 1 ცალი ბრტყელი ჩამჩა, 1 ცალი დიდი ალუმინის ჩამჩა, 46 ცალი ღრმა ჯამი, 3 ცალი კათხა, 1 ცალი 3 ლტ ქვაბი, 1 ცალი 20-40ლტ ქვაბი, 1 ცალი ელექტროსასწორი, 4 ცალი საწური (დაზიანებული ბადე), 1 ცალი თუმფალანგი, ხელის ხორცსაკეპი მანქანა. ღირებულების გარეშე ნივთებია – 1 ცალი კონტეინერი პლასტმასის ჭურწლის სარეცხი მანქანის, 1 ცალი ურიკა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 12 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 12 ლარი;

12.2.21. 2011 წლის 27 ივლისის №663 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 1 ცალი საპურე ჯამი, 4 ცალი სათლი მოთუთიებული. დაზიანებულია – 4 ცალი ალუმინის ჩაიდანნი, 20 ცალი 1.5 ლტ ჩაიდანნი, 82 ცალი ემალის კათხა, 1 ცალი პლასტმასის ლანგარი, 14 ცალი სუნელების მოწყობილობა, 2 ცალი ქაფქირი, 1 ცალი თუმფალანგი, 15 ცალი ალუმინის 250 გრ ჭიქა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 69.80 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 69.80 ლარი;

12.2.22. 2011 წლის 29 ივლისს შედგენილი №37 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთები მითითებული არ არის. დაზიანებულია – 29 ცალი ალუმინის ჭიქა, 3 ცალი პოლიეთილენის დაფა, 4 ცალი დაფა, 3 ცალი ელმადუღარა, 1 ცალი ელექტროქურის გრილი, საკვების გასაცემი ხაზი 4 ნაჭერი, 66 ცალი ღრმა ჯამი, 107 ცალი კათხა, 46 ცალი კათხა, 44 ცალის სადილის კოვზი, 2 ცალი ელექტრომიქსერი, 2 ცალი ქაფქირი, ჭურჭლის სარეცხი მანქანის კომპლექტი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 36 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 36 ლარი;

12.2.23. 2011 წლის 29 ივლისს შედგენილი №39 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე დანაკლისი ნივთები მითითებული არ არის. დაზიანებული ნივთებია – 2 ცალი 5 ლ ჩაი-

დანი, 1 ცალი დანების კომპლექტი, სტაციონარული ელ. ლუმელი 4 კამფორიანი, ელექტროქურა მარმიტი (ძველი), 2 ცალი ალუმინის 10 ლ ქვაბი. მიღება-ჩაბარების აქტსა და ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტში დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება მითითებული არ არის;

12.2.24. 2011 წლის 30 ივლისს შედგენილი №41 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთებია – 1 ცალი ალუმინის ჩამჩა, 4 ცალი პატარა ჩამჩა, 2 ცალი საშუალო ზომის ჩამჩა, 20 ცალი ჩანგალი, 46 ცალი ჩანგალი, 47 ცალი სუფრის დანა, 1 ცალი ელ სასწორი, 2 ცალი გაზუქრა 4 კამფორიანი, 2 ცალი კარტოფილის სათლელი მანქანა, 249 ცალი კათხა, 174 ცალი სადილის კოვზი, 5 ცალი პლასტამისი ლანგარი, 2 ცალი მწერების სჭერი დანადგარი, 4 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ალუმინის ქვაბი 1- ლტ, 1 ც; საკონდიტრო კარადის ელ. ლუმელი, 1 ცალი სასწორი, 2 ცალი ყაფა, ჭიქა 200 გრ 6 ცალი, 11 ცალი „სალფეთქის“ ჩასადები, 144 ცალი კოვზი, ჩანგალი, გასახსნელი. ღირებულების გარეშე მითითებულია – 1 ცალი ჩამჩა, 2 ცალი საშუალო ჩამჩა, 39 ცალი ჩანგალი, 83 ცალი პურის დანა, 288 ღრმა ჯამი, 83 ცალი დანა, 288 ცალი ღრმა ჯამი ალუმინის, 8 ცალი საპურე ჯამი, 6 ცალი კედლის თარო, 15 ცალი სუნელების მოწყობილობა, 1 ცალი ქვაბი 20-40ლ, 2 ცალი ქვაბი 8-9 ლ, 2 ცალი ხელის სათქვეფი, 149 თევში-ლანგარი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 551 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 551 ლარი;

12.2.25. 2011 წლის 29 ივლისს შედგენილი №35 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 1 ცალი ჩამჩა, 2 ცალი ალუმინის პატარა ჩამჩა, 2 ცალი დანების სამეულის კომპლექტი, 29 ცალი დანა, 3 ცალი დიდი კოვზი, 31 ცალი სადილის კოვზი, 6 ცალი სუნელების მოწყობილობა, 1 ცალი ქაფქირი. დაზიანებულია 15 ცალი კათხა, 24 ცალი სადილის კოვზი, დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 162.8 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 273.2 ლარი, რაც აღემატება მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ ღირებულებას;

12.2.26. 2011 წლის 3 აგვისტოს შედგენილი №43 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 8 ცალი 1,5 ლ ჩაიდან, 1 ცალი ჩამჩა, 26 ცალი ჩაის კოვზი. დაზიანებული ნივთებია – 1 ცალი ჩამჩა, 2 ცალი ქაფქირი, 2 ცალი წვეწების გასაციებელი ჩამოსახსნელი აპარატი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 10 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში

არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 10 ლარი;

12.2.27. 2011 წლის 4 აგვისტოს შედგენილი №45 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთებია 2 ცალი ჩამჩა, 66 ცალი ჩანგალი, 3 ცალი დანა, 9 ცალი ღრმა ჯამი, 100 ცალი სადილის კოვზი, 2 ცალი პიურეს სათქვეფი, 5 ცალი ქაფქირი. 12 ცალი ქაფქირი 30, 1 ცალი ქაფქირი 7, 1 ცალი სანარმო მაგიდა პოლიეთილენის თავით, 2 ცალი სტელაჟი, 1 ცალი ტაფა (დაზიანებული ბადე), 7 ცალი თუშფალანგი, 13 ნაჭრიანი თვითმოსახურების ხაზი, 3 ცალი ურიკა, 4 ცალი წვენების ჩამოსასხმელი აპარატი, 2 ცალი წყლის გასაცეხელი აპარატი, 2 ცალი ყავის მოსადუღებელი აპარატი. ფაქტიურად არსებული 4 თაროიანი სტელაჟიდან 2 ცალი დაზიანებულია. 3 ცალი გადატანილია ვაზიანი 1-ში, სადაც ასევე გადატანილია საბანკეტო ურიკა (4445 ლარი). ღირებულების გარეშე მითითებულია – 2 ცალი ჩამჩა. 112 ცალი ჯამი, 4 ცალი დიდი კოვზი, 361 ცალი სადილის კოვზი, 9 ცალი ლანგარი, 2 ცალი პიურეს მოსამზადებელი მიქსერი, 13 ცალი ქაფქირი, 10 ცალი ბადე-ქაფქირი, 1 ცალი ტაფა, 843 ცალი 20 გრ ჭიქა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 93 377 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 72 935.99 ლარი;

12.2.28. 2011 წლის 29 აგვისტოს შედგენილი №49 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 1 ცალი 80 ლ ქვაბი და 1 ცალი ნაგვის ურნა 40*50. დაზიანებული ნივთები მითითებული არ არის. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 973 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 973 ლარი;

12.2.29. 2011 წლის 30 სექტემბერს შედგენილი №51 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 151 ჩანგალი, 3 ცალი დიდი კოვზი, 17 ცალი ლანგარი. დაზიანებული ნივთებია – 1 ცალი გასანაწილებელი ჩამჩა, 3 ცალი დიდი კოვზი, 6 ცალი პოლიკარბონატის კონტეინერი 13 ლტ, 6 ცალი პოლიკარბონატის კონტეინერი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 8857.29 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 8857.29 ლარი;

12.2.30. საჩხერის სამთო მომზადების სკოლის სასადილოს გადაბარების შესახებ 2011 წლის 10 ოქტომბერს შედგენილი №1041 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 5 ცალი სინი ქურისთვის, 138 ცალი

ჭიქა, 175 ცალი ლამბაქი, 121 ცალი ფაიფურის თასი, 48 ცალი ფაიფურის თეფში, 82 ცალი ფაიფურის თეფში, 3 ცალი სალათის ასაღები, 139 ცალი უჟანგავი ფოლადის კოვზი, 129 ცალი უჟანგავი ფოლადი ჩანგალი, 26 ცალი უჟანგავი ფოლადის დანა, 28 ცალი სამარილე, 2 ცალი კონსერვების გასახსნელი, 69 ცალი ჩაის კოვზი. დაზიანებულია – 5 ურიკა კასეტებისთვის, 100-500 კგ-იანი სასწორი. აქტი დანაკლისი ნივთების ღირებულება მითითებული არ არის. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 27.6 ლარი;

12.2.31. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული სამთო მომზადების სკოლის დანაკლისი ნივთების ღირებულება არ უნდა განისაზღვროს ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, რადგან მოსარჩელე (სამინისტრო) თავის მოთხოვნას აფუძნებდა მიღება-ჩაბარების აქტზე, რომლითაც დანაკლისი არ ფიქსირდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ) 248-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლო უფლებამოსილი არ არის, მხარეს მიაკუთვნოს იმაზე მეტი, ვიდრე მოითხოვა.

12.2.32. 2011 წლის 11 ოქტომბერს შედგენილი №1043 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 1 ცალი ტაფა საშუალო ზომის ბადით, დაზიანებულია – 1 ცალი ჩაის მადულარა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 64.8 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 64.8 ლარი;

12.2.33. 2011 წლის 14 ნოემბერს შედგენილი №59 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებულია 7 ცალი ჩანგალი. დაზიანებულია – 1 ცალი ჩამჩა, ელექტროტაფა, ელექტროქურა მარმიტი, 8 ცალი ჯამი, კარტოფილის საწმედი ელექტრომანქანა, 157 ცალი კათხა, 9 ცალი კათხა, 20 ცალი სადილის კოვზი, 2 ცალი სადილის კოვზი, 1 ცალი ქვაბი 20-40ლ, 1 ცალი გაზზე სახარში ქვაბი, 2 ცალი ალუმინის ქვაბი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 9879.60 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 7706.52 ლარი. შესაბამისად, დანაკლისის ნივთების ნარჩენი ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულზე ნაკლებია;

12.2.34. 2011 წლის 15 ნოემბერს შედგენილი №61 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული ნივ-

თებია – 25 ცალი ჩაიდანის სახურავით, 1 ცალი საშუალო ჩამჩა, 8 ცალი პატარა დანა, 1 ცალი კონვექციური ღუმელი (გადატანილია ზოოვეტში). 4 ცალი სამზარეულო კოვზი, 124 ცალი პლასტმასის ლანგარი, 1 ცალი ელექტრო მიქსერი, 80 ცალი სუნელების მოწყობილობა, 2 ცალი ნინაბი, 1 ცალი ქვაბი, 2 ცალი ქვაბი-ტაფა, 5 ცალი სამზარეულო მაშა, 2 ცალი სასანორი 2-3 კგ, 245 ცალი თეფში-ლანგარი, 8 ცალი ჭურჭლის სარეცხი დუმი, 6 ცალი ჭურჭლის სტელაჟი, დაზიანებულია 38 ცალი ალუმინის ჭიქა, 6 ცალი ჩაიდანის სახურავით, 108 ცალი ჩანგალი კოროზირებულია, კარტოფილისა და თევზის შესანვავი ელექტრო ქურა, 550 კათხა, 4 ცალი ქაფქერი, სასანორი კოროზირებულია, 4 ცალი გატეხილი ურიკა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ცინულის საჭრელი მანქანა 1 ცალი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 16 975.10 ლარი. ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 11 809,38 ლარი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ 108 ცალი კოროზირებული ჩანგლის და კოროზირებული სასანორის გამო პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელ კომპანიას (ძირითადი სარჩელის მოპასუხეს), რადგან მხარეთა შეთანხმებით ნივთების დაბრუნება ხდება ცვეთის გათვალისწინებით;

12.2.35. 2011 წლის 16 ნოემბერს შედგენილი №63 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 43 ცალი ფაიფურის თასი, 56 ცალი ფაიფურის სალათის დიდი თასი, 16 ცალი სანებლის თასი, 27 ცალი სალათის პატარა თასი. გატეხილია წვნიანის თასი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 156.25 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 156.25 ლარი;

12.2.36. 2011 წლის 17 ნოემბერს შედგენილი №65 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 1 ცალი ჩამჩა, 109 ცალი ჩანგალი, 1 ცალი მზარეულის დანა, 43 ცალი სუფრის დანა, 1 ცალი ელ.მადულარა, 1 ცალი სუნელების მოწყობილობა, 1 ცალი საწარმოო მაგიდა, 1 ცალი საწერი, 2 ცალი ურიკა. დაზიანებულია 1 ცალი ბოსტნეულს საჭრელ მანქანა, 1 ცალი ელ ქურა სტაციონარული 4 კამფორიანი. 18 ცალი კათხა, 1 ცალი მწერების საჭერი დანადგარი, 2 ცალი 10ლ ქვაბი. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 3282.20 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 2525.64 ლარი;

12.2.37. 2011 წლის 8 ნოემბერს შედგენილი №67 მიღება-ჩაბა-

რების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 25 ცალი ჩაიდანის სახურავით, 1 ცალი გაზქურა 4 კამფორიანი, 1 ცალი ელ ქურა 4ც კამფორიანი, 1 ცალი კარადა მაცივარი, 320 ცალი სადილის კოვზი, 20 ცალი სუნელების მოწყობილობა, 2 ცალი ქაფქირი, 1 ცალი სასწორი 100-500კგ. 1 ცალი ალუმინის თხელი ტეფში. დაზიანებულია – 21 ცალი ალუმინის ჭიქა, 4 ცალი 5ლ ჩაიდანის, 2 ცალი ჩანგალი, 2 ცალი პურის დანა, 2 ცალი თევზის დასამუშავებელი დანა, გაზქურა ბეკო, ალუმინის ჯამი, კარადა მაცივარი (ძველი რუსული), 91 ცალი კათხა, 60 ცალი სადილის კოვზი, 4 ცალი დიდი ქაფქირი, 1 ცალი საკვეთელა, საწარმოო მაგიდა ალუმინის თავით, 1 ცალი საყოფაცხოვრებო მაცივარი, 2 ცალი თხელი ალუმინის თეფში, 1 ცალი ელექტრო ხორცსაკეპი მანქანა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 17 909.57 ლარი. აქტის ასლი არასრულია. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 22 407.85 ლარი;

12.2.38. 2011 წლის 21 ნოემბერს შედგენილი №69 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე დანაკლისი ნივთებია – 16 ცალი ჩანგალი, 17 ცალი ღრმა ალუმინის ჯამი, 11 ცალი ლანგარი, 1 ცალი სასწორი 2/10 კგ, დაზიანებულია – 2 ცალი ქვაბი 20-40ლტ, 1 ცალი თუშფალანგი. დანაკლისის ღირებულება მითითებული არ არის. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა მითითებული არ არის;

12.2.39. 2011 წლის 21 ნოემბერს შედგენილი №71 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთებია – 2 ცალი ღრმა ჯამი, 1 ცალი ალუმინის კათხა. დაზიანებულია – ხორცის საკეპი მანქანა, ელ მადულარა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 32.40 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 32.40 ლარი;

12.2.40. 2011 წლის 24 ნოემბერს შედგენილი №73 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთები და ღირებულების გარეშე დანაკლისი ინვენტარი მითითებული არ არის. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 89.64 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 89.64 ლარი;

12.2.41. 2011 წლის 24 ნოემბერს შედგენილი №75 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთები ღირებულების გარეშე არის – 206 ცალი ჩანგალი, 52 ცალი სადილის კოვზი, 85 ცალი სუნელების მოწყობილობა, 1 ცალი ქვაბების კომპლექტი 30 ლ, 1 ცალი

ქვაბის კონტეინერი 200 მმ, 198 ცალი 200რ ჭიქა. დაზიანებულია: კარადა-მაცივარი, 167 ცალი კათხა, 1 ცალი ოთახი მაცივარი, 2 ცალი ბადიანი ქაფქირი, 1 ცალი ალუმინის 10 ლტ. ქვაბი, საველე სამზარეულო კვ-130, ხელის ხორცისაკეპი მანქანა. დანაკლისი ნივთების ღირებულება მითითებული არ არის. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება მითითებული არ არის;

12.2.42. 2011 წლის 20 ოქტომბერს შედგენილი №12/4 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებულია შემდეგი ნივთები – 1 ცალი ჩამჩა, 89 ცალი ღრმა ალუმინის ჯამი, 1 ცალი კარტოფილის საფცქვენელი მანქანა, 1 ცალი კონვექციური ღუმელი, 3 ცალი ლანგარი თავსახურით, 3 ცალი ქაფქირი, 1 ცალი ქვაბების კომპლექტი, 3 ცალი ლანგარი, 1 ცალი მიქსერი, 15 ცალი სუნელების მონყობილობა, 5 ცალი ქვაბი კონტეინერი 200მმ, 4 ცალი ქვაბი კონტეინერი 65 მმ, 1 ცალი 200ლ სახარში ქვაბი, 1 ცალი ღრმა ტაფა, 1 ცალი ხორცსაკეპი მანქანა. დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 14 644.56 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 14 644.56 ლარი;

12.2.43. 2011 წლის 20 ოქტომბერს შედგენილი №12/2 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ღირებულების გარეშე მითითებულია შემდეგი ნივთები – 1 ცალი ბოსტნეულის საკეპი, 25 ცალი ჩაიდანი სახურავით, 10 ცალი ჩამჩა, 60 ცალი საპურე ჯამი, 15 ცალი ჭურჭლის სარეცხი მანქანის კონტეინერი, 295 ცალი კოვზი კარაქისათვის, 2150 ცალი სადილის კოვზი, 22 ცალი ლანგარი, 57 ცალი სუნელების მონყობილობა, 2 ცალი ქვაბების კომპლექტი, 10 ცალი ქვაბი 100 მმ, 1 ცალი ქვაბი 60*20, 2 ცალი ქვაბი 70*30, 4 ცალი ქვაბი-ტაფა, დაზიანებულია შემდეგი ნივთები – 288 ცალი ჩანგალი, 20 ცალი ღრმა ჯამი, 1 ცალი კარტოფილის საფცქვენელი ელ მანქანა, 1 ცალი კარტოფილის სანმენდი, 198 ცალი კათხა, 607 ცალი კათხა 200 გრ, 1 ცალი პიურეს ხელის მიქსერი, 1 ცალი პიურეს ელექტრო-მიქსერი, 1 ცალი პურის საჭრელი, 2 ცალი ქაფქირი, 3 ცალი ბადიანი ქაფქირი. დანაკლისი ნივთების ღირებულება აქტის ასლის თანახმად, არის 7262.5 ლარი. ამ სამხედრო ნაწილში არსებული ინვენტარის ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 24 928.56 ლარი.

12.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებს შორის გაფორმებულ ინვენტარის მიღება-ჩაბარების ზემოხსენებულ აქტებს ხელს აწერენ უფლებამოსილი პირები. ამ აქტების შედგენით მხარეებმა დაადასტურეს ხელშეკრულების შეწყვეტის დროისთვის მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობისათ-

ვის არსებითი მნიშვნელობის ფაქტები – აღწერეს სამინისტროსათვის დაბრუნებული ქონება, მისი მდგომარეობა და ღირებულება. ორივე მხრიდან აქტებს ხელს აწერენ მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირები, კერძოდ, მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედი საწარმოს (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) მხრიდან რეგიონალური მენეჯერი – ა. ი-ი. შესაბამისად, აქტებით დასტურდება ხელშეკრულების შეწყვეტის დროს კონკრეტული სამხედრო ნაწილების სასააღილოებში არსებული ინვენტარის რაოდენობა, მათი მდგომარეობა.

12.4. მიღება-ჩაბარების აქტებში დანაკლისი ქონების სახით მითითებული ინვენტარის და მოწყობილობა-დანადგარების ნაწილის გასწვრივ მითითებულია მათი ნარჩენი ღირებულება, ამავე დროს სამინისტროს მიერ ამ სამხედრო ნაწილების სასააღილოების შესახებ შედგენილია დანაკლისი ქონების ნარჩენი ღირებულების აქტები, რომელთაგან ვაზიანი-2-ის, ალექსეევკის, კოჯრის, ვაზიანი-3-ის, მარნეულის, კრწანისი-1 სამხედრო ნაწილების დანაკლისი ნივთების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ თანხაზე ნაკლებია. შესაბამისად, ამ შემთხვევებში დანაკლისი ნივთების ღირებულება უნდა განისაზღვროს ნარჩენი ღირებულების აქტების მიხედვით, რადგან ეს აქტები შედგენილია სამინისტროს მიერ და ასახავს სადავო ქონების ღირებულებას სამინისტროს საბუღალტრო მონაცემებით.

12.5. ვაზიანი-2-ის სამხედრო ნაწილის სასააღილოს შესახებ 2011 წლის 4 აგვისტოს შედგენილ №45 მიღება-ჩაბარების აქტში (იხ. 12.2.27 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ღირებულებაა – 93 377 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 72 935.99 ლარი;

12.6. ალექსეევკის სამხედრო ნაწილის სასააღილოს შესახებ 2011 წლის 17 ნოემბერს შედგენილ №65 მიღება-ჩაბარების აქტში (იხ. 12.2.36 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ღირებულებაა – 3282,20 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით – 2525,64 ლარი;

12.7. კოჯრის სამხედრო ნაწილის სასააღილოს შესახებ 2011 წლის 15 ივლისს შედგენილ №30 მიღება-ჩაბარების აქტში (იხ. 12.2.6 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ღირებულებაა – 2364,15 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით – 2140,62 ლარი;

12.8. ვაზიანი-3-ის სასააღილოს შესახებ 2011 წლის 15 ივლისს შედგენილ №32 მიღება-ჩაბარების აქტში (იხ. 12.2.8 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 20 832,02 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით არის 15 462,64 ლარი;

12.9. მარნეულის სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ 2011 წლის 14 ნოემბერს შედგენილ №59 მიღება-ჩაბარების აქტში (იხ. 12.2.33 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 9879,60 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით არის 7706,52 ლარი;

12.10. კრწანისი-1 სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ 2011 წლის 15 ნოემბერს შედგენილ №61 მიღება-ჩაბარების აქტში (იხ. 12.2.34 ქვეპუნქტი) დანაკლისი ინვენტარის ღირებულებად მითითებულია 16 975,10 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით – 11 809,38 ლარი;

12.11. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით ნარჩენი ღირებულების აქტებში მითითებული დანაკლისი ნივთების ღირებულება აღემატება მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ თანხას საჩხერის სამთო მომზადების ბაზის, ქუთაისის №16101 სამხედრო ნაწილის, გაჩიანის სამხედრო ბაზის და სენაკის მე-10 კადრირებული ბრიგადის სასადილოების შემთხვევაში, კერძოდ:

12.11.1. საჩხერის სამთო მომზადების სკოლის სასადილოში არსებული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტში №1041 (იხ. 12.2.30 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ღირებულება მითითებული არ არის, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით მათი ღირებულებაა – 27,6 ლარი. გაჩიანის სამხედრო ნაწილის სასადილოში არსებული ინვენტარის №35 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით (იხ. 12.2.25 ქვეპუნქტი), დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 162,8 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებულია 273,2 ლარი. სენაკის მე-10 კადრირებული ბრიგადის სასადილოში არსებულ ინვენტარის №12/7 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით (იხ. 12.2.19 ქვეპუნქტი), დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა – 1606,94 ლარი, ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით – 3135,59 ლარი. ქუთაისის სამხედრო ნაწილის შესახებ შედგენილ №12/2 მიღება-ჩაბარების აქტში (იხ. 12.2.42 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ღირებულებაა – 7262,5 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, მათი ღირებულებაა 24 928,56 ლარი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ სამხედრო ნაწილების დანაკლისი სამზარეულო ინვენტარის ღირებულება უნდა განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, რადგან მოსარჩელე სწორედ ამ აქტების საფუძველზე მოითხოვს თანხის ანაზღაურებას (მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, სწორედ მიღება-ჩაბარების აქტებს ეფუძნება; იხ. სსსკ-ის 248-ე მუხლი).

12.12. საინჟინრო-საავტომობილო ბაზის სასადილოში არსებული სამზარეულო ინვენტარის №67 მიღება-ჩაბარების აქტი (იხ. 12.2.37 ქვეპუნქტი) საქმეში წარმოდგენილია არასრული სახით, სა-

დაც მითითებული დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა – 17 909,57 ლარი. ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, მათი ღირებულებაა 22 407,85 ლარი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ამ სამხედრო ნაწილის დანაკლისი სამზარეულო ინვენტარის ღირებულება უნდა განისაზღვროს სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, რადგან მხარეებს შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ასლი არასრულია და არ ასახავს დანაკლის ნივთებს სრულად (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება)

12.13. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტროს 39 სამხედრო ნაწილში არსებული სასადილო ინვენტარის და მონყობილობა-დანადგარების დანაკლისის ღირებულების ანაზღაურება უნდა მოხდეს შემდეგი გაანგარიშებით:

1. მიღება-ჩაბარების აქტი №12/4 – 14 644,55 ლარი, 2. მიღება-ჩაბარების აქტი №12/2 – 7 262,5 ლარი, 3. მიღება-ჩაბარების აქტი №12/10 – 1606,84 ლარი, 4. მიღება-ჩაბარების აქტი №12/9 – 63 118,77 ლარი, 5. მიღება-ჩაბარების აქტი №12/12 – ადლია (ხანძრის შემთხვევა), 6. მიღება-ჩაბარების აქტი №12/11 – 16 428,3 ლარი, 7. მიღება-ჩაბარების აქტი №664 – 12 ლარი, 8. მიღება-ჩაბარების აქტი №663 – 69,80 ლარი, 9. მიღება-ჩაბარების აქტი №37 – 36 ლარი, 10. მიღება-ჩაბარების აქტი №39 – 0 ლარი, 11. მიღება-ჩაბარების აქტი №41 – 551 ლარი, 12. მიღება-ჩაბარების აქტი №35 – 162,8 ლარი, 13. მიღება-ჩაბარების აქტი №43 – 10 ლარი, 14. მიღება-ჩაბარების აქტი №45 – 72935,99 ლარი, 15. მიღება-ჩაბარების აქტი №49 – 973 ლარი, 16. მიღება-ჩაბარების აქტი №51 – 8857,29 ლარი, 17. მიღება-ჩაბარების აქტი №1041 – 0 ლარი, 18. მიღება-ჩაბარების აქტი №1043 – 64,8 ლარი, 19. მიღება-ჩაბარების აქტი №59 – 7706,52 ლარი, 20. მიღება-ჩაბარების აქტი №61 – 11809,38 ლარი, 21. მიღება-ჩაბარების აქტი №63 – 156,25 ლარი, 22. მიღება-ჩაბარების აქტი №62 – 2525,25 ლარი, 23. მიღება-ჩაბარების აქტი №67 – 22 407,85 ლარი, 24. მიღება-ჩაბარების აქტი №69 -0 ლარი, 25. მიღება-ჩაბარების აქტი №71 – 32,40 ლარი, 26. მიღება-ჩაბარების აქტი №73 – 89,64 ლარი, 27. მიღება-ჩაბარების აქტი №75 – 0 ლარი, 28. მიღება-ჩაბარების აქტი №12/3 -2 ლარი, 29. მიღება-ჩაბარების აქტი №12/8 – 25 579,12 ლარი, 30. მიღება-ჩაბარების აქტი №12/5 – 687 ლარი, 31. მიღება-ჩაბარების აქტი №12/1 – 29059,6 ლარი, 32. მიღება-ჩაბარების აქტი №12/6 – 1125,18 ლარი, 33. მიღება-ჩაბარების აქტი №12/7 – 1606,94 ლარი, 34. მიღება-ჩაბარების აქტი №17 – 97,05 ლარი, 35. მიღება-ჩაბარების აქტი №19 – 1908,50 ლარი, 36. მიღება-ჩაბარების აქტი №30 – 2140,62 ლარი, 37. მიღება-ჩაბარების აქტი №28 – 1046,10 ლარი, 38. მიღება-ჩაბარების აქტი

№32 – 15462,64 ლარი, 39. მიღება-ჩაბარების აქტი №26 – 10 ლარი.

12.14 სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა ადლიის სამხედრო ნაწილში არსებული სამზარეულო ინვენტარის დანაკლისზე და განმარტა, რომ ამ სამხედრო ნაწილში მომხდარი ხანძრის გამო მოპასუხე კომპანია (პირველი აპელანტი) მოითხოვდა ამ ინვენტარის ღირებულების ანაზღაურებისგან გათავისუფლებას მისი ბრალეულობის გამომრიცხავი გარემოების გამო.

12.14.1. სასამართლომ მიუთითა: დადგენილია, რომ ადლიის სამხედრო ნაწილში არსებული სამზარეულო ინვენტარი განადგურდა ხანძრის შედეგად, რომელიც გამოიწვია სასადილოში მომუშავე პერსონალის მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევამ. სააპელაციო სასამართლომ სისპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 28 ივლისის ექსპერტიზის დასკვნაზე მითითებით განმარტა, რომ შენობისათვის ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენის საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 51 474,42 ლარს. ხანძრის შედეგად დაზიანებული ინვენტარის საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ 8 470 ლარს შეადგენს. დასკვნის თანახმად, დაზიანებულია 2 ცალი კამერა მაცივარი, 1 ცალი კარადა მაცივარი, 1 ცალი პურის შესანახი კარადა, 2 ცალი ელ. ქურა 4 კამფორიანი, 1 ცალი საყოფაცხოვრებო მაცივარი, 21 250 გრ ლითონის ჭიქა, 21 ცალი ლითონის კოვზი, 1 ცალი ლითონის ქვაბი-კონტეინერი, 50 ცალი ლითონის ჭიქა, 16 ცალი ლითონის ღრმა ჯამი, 7 ცალი ლითონის ჩანგალი, 1 ცალი ლითონის სამარილე, 26 ცალი ლითონის ლანგარი, 1 ცალი 2 ნიჟარიანი აბაზანა, 1 ცალი თევზის შესანვავი ლითონის ბადე, 1 ცალი სავენტილაციო ქოლგა, 11 ცალი სკამი, 6 ცალი ხის მაგიდა;

12.14.2. ექსპერტიზის ბიუროს 2011 წლის 9 აგვისტოს სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილის გამოკვლევით, ხანძრის განვითარების დინამიკის გათვალისწინებით და ხანძრის ინტენსიური თერმული ზემოქმედების ლოკალური ნიშნების გაანალიზების შედეგებიდან გამომდინარე, არაკონკოტროლირებადი წვის პირველადი წარმოშობის ადგილი დაფიქსირდა ნაგებობის სამხრეთით, ბოლო ნაწილში განთავსებულ გამაგრებელი სასმელების საწყობის შესასვლელიდან მარცხენა კუთხეში, ხის საგებისა და ქალაღდის ხელსახოცების განთავსების ზონაში; შემთხვევის ადგილიდან (ხანძრის კერის ზონიდან) ამოღებულ ელ.სადენებზე და მოწყობილობებზე მოკლე ჩართვის ან გადატვირთვის ნიშნები აღმოჩენილი არ არის; შემთხვევის ადგილის დათვალიერებით და ჩატარებული კვლევების შეფასების ანალიზის საფუძველზე, სამხედრო ნაწილის შენობაში ხანძრის გაჩენის უშუალო მიზეზია აალების მცირეკალორიული ცეცხლის წყა-

რო ჩაუმქრალი სიგარეტის ან ასანთის სახით.

12.14.3. მითითებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხანძარი გამოიწვია სამხედრო ნაწილის სასადილოში დასაქმებული პირების დუდევრობამ, რადგან ხანძრის გამომწვევი მიზეზია ჩაუმქრალი სიგარეტის ან ასანთის აალება და არა ელექტროსადენების გაუმართაობა ან უხარისხო ელექტროენერჯის მიწოდება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ კომპანიამ დაარღვია სამინისტროსთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, მისთვის გადაცემული სასადილოს შენობისა და სამზარეულო ინვენტარის მოვლისა და გაფრთხილების შესახებ, რაც გამოიხატა იმაში, რომ ხანძარი გამოიწვია მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირების გაუფრთხილებელმა ქმედებამ;

12.14.4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ადლიის სამხედრო ნაწილის დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება უნდა განისაზღვროს მიღება-ჩაბარების აქტსა და ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული თანხით 62 581,03 ლარით და არა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული თანხით. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია დანაკლისი ნივთები, რომლებიც ფაქტობრივად გადაეცა მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედ სანარმოს (შპს „მს“-იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტის დროს ისინი სასადილოში არ აღმოჩნდა. გამოძიების მიმდინარეობის დროს ჩატარებულია ექსპერტიზა იმ ნივთების ღირებულების შესაფასებლად, რომლებიც ფაქტობრივად დაზიანდა ხანძრის შედეგად. უდავოა, რომ ამ სამხედრო ნაწილში ნივთების დანაკლისს წარმოადგენს არა მარტო ხანძრის შედეგად დაზიანებული ან განადგურებული ნივთები, არამედ ის ნივთებიც, რომლებიც მზარეულის მიერ სასადილოს აღწერის დროს არ აღმოჩნდა სასადილოში;

12.5. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია როგორც დანაკლისი, ისე – სასადილოებში არსებული ინვენტარის ზედმეტობა. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენს შეადგენს დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება მათი სარგებლობით გამოწვეული ცვეთის გათვალისწინებით, არის ისეთი გარემოება, რომლის დადგენა საჭიროებს სპეციალური საბუღალტრო კვლევის ჩატარებას და მის შესახებ აუდიტორული ან საექსპერტო კვლევის ჩატარებას. საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას ჩატარდა რვა მოსამზადებელი სხდომა. 2015 წლის 15 იან-

ვარს ჩატარებულ მესამე მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის (კომპანიის) წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა სადავო ნივთების ნარჩენი ღირებულების დასადგენად ექსპერტიზის ჩატარების მიზნით დროის მიცემაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხის ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა. მოპასუხის შუამდგომლობითვე სამინისტრომ წარმოადგინა დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულების აქტები და ნივთების შეძენის დოკუმენტაცია. ამის მიუხედავად, მოპასუხეს ექსპერტიზის დასკვნა არ წარუდგენია, შესაბამისად, საქმეში წარდგენილი არ არის მიღება-ჩაბარების აქტების და ნარჩენი ღირებულების აქტების სანინა-ალმდეგო ისეთი მტკიცებულებები, რაც გააბათილებდა მიღება-ჩაბარების აქტებსა და ნარჩენი ღირებულების აქტებში მითითებულ გარემოებებს (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

12.6. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ღირებულების გარეშე მითითებული დანაკლისი ნივთები დასაბრუნებელია შემდეგი რაოდენობით: ჩამჩა 76 ცალი, კათხა 1148 ცალი, ჩანგალი 4087 ცალი, ხორცის ამოსაღები ჩანგალი 1 ცალი, ქაფქირი 67 ცალი, დანა 710 ცალი, ბოსტნეულის დანა 12 ცალი, დანების სამეული 17 ცალი, ხორცის დანა 5 ცალი, საპურე ჯამი 210 ცალი, სადილის კოვზი 5853 ცალი, კარაქის კოვზი 297 ცალი, დიდი კოვზი 11 ცალი, სამზარეულო კოვზი 4 ცალი, ჩაის კოვზი 253 ცალი, სუფრის კოვზი 274 ცალი, 139 ცალი უჟანგავი ფოლადის კოვზი, 129 ცალი უჟანგავი ფოლადი ჩანგალი, ჭიქა 1674 ცალი, 200 გრ ჭიქა 1139 ცალი, ფაუფურის ჭიქა 12 ცალი, ლამბაქი 175 ცალი, კათხა 1460 ცალი, თევში-ლანგარი 1040 ცალი, ლანგარი 1148 ცალი, თვითმომსახურების ლანგარი 1544 ცალი, პლასტმასის ლანგარი 461 ცალი, სალფეთქის ჩასადები 92 ცალი, ალუმინის ღრმა ჯამი 394 ცალი, ღრმა ჯამი 1320 ცალი, ჯამი 301 ცალი, სუნელების მოწყობილობა 402 ცალი, თევში პოდნოსი – 444 ცალი, თევში 81 ცალი, პლასტმასის თევში 444 ცალი, ფაიფურის თევში 130 ცალი, კარტოფილის საჭრელი 1 ცალი, თხელი თევში 805 ცალი, ფაიფურის თასი – 164 ცალი, ფაიფურის სასალათე თასი 56 ცალი, სამარილე 38 ცალი, მინის სამარილე 45 ცალი, სამარილე სამეული 100 ცალი, ქვაბი – 42 ცალი, 250 ლტ – 1 ცალი, ქვაბების კომპლექტი 20 ლტ 16 ცალი, ქვაბების კომპლექტი 30 ლ 2 ცალი, ქვაბების კომპლექტი 50/60 ლ 2 ცალი, ქვაბი-ლუმელის ლანგარი 13 ცალი, ქვაბი კონტეინერი 17 ცალი, სათქვეფი 6 ცალი, ხელის სათქვეფი 9 ცალი, თუშფალანგი 8 ცალი, ქვაბი-ტაფა 6 ცალი, სათლი 7 ცალი, მწერების საჭერი მოწყობილობა 3 ცალი, ჩაიდანი 80 ცალი, ტაფა 5 ცალი, დიდი ტაფა 2 ცალი, ტაფის სადგამი 1 ცალი, პლასტმასის თასი 55 ცალი, მოთუთუებული სათლი 2 ცალი, ელ.ქუ-რა 2 ცალი, სლანსერი 2 ცალი, სალესი 7 ცალი, ურიკა 4 ცალი, საყი-

ნულე სიმენსის ფირმის 1 ცალი, საყოფაცხოვრებო მაცივარი 1 ცალი, ნაგვის ურნა 1 ცალი, 2 ცალი თუჯის ტაფა, ტაფა 2 ცალი, 2 ცალი ყავის მოსადუღებელი აპარატი, 1 ცალი ტაფა ბადით, 5 ცალი სამზარეულოს მაშა, 3 ცალი სასაწორი, 16 ცალი სანებელის თასი, 2 ცალი კონსერვის გასახსნელი, ჭურჭლის სტელაჟი, მისაბმელი კუფი 1 ცალი, 2 ცალი ჭურჭლის სარეცხი დუში, 3 ცალი ხორცის ნაჯახი, 6 ცალი ჭურჭლის სტელაჟი, 1 ცალი პურის სტელაჟი, 8 ცალი ჭურჭლის სარეცხი დუში (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

12.7. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, დაზიანებულია შემდეგი რაოდენობის ნივთები: მინის სამარილე – 45 ცალი, სუნელეების მოწყობილობა 14 ცალი, სათქვეფი 2 ცალი, ელ. ტაფა 1 ცალი, თვითმომსახურების ლანგარი 127 ცალი, ურიკა 18 ცალი, ურიკა კონტინერით – 2 ცალი, კონვექციური ლუმული 5 ცალი, ჩაიდანის 23 ცალი, ალუმინის ჩაიდანის 8 ცალი, თეფში-ლანგარი 53 ცალი, პლასტმასის ლანგარი 7 ცალი, პურის კარადა 2 ცალი, ჭურჭლის სარეცხის კონტინერი 10 ცალი, ჩაის მადულარა 1 ცალი, ქვაბი – 11 ცალი, ქვაბი 20 ლტ 2 ცალი, ელ. მადულარა 4 ცალი, კამერა-მაცივარი 2 ცალი, კარადა მაცივარი 3 ცალი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა 3 ცალი, ნვენების გასაციებელი დანადგარი 6 ცალი, ყინულის საჭრელი მანქანა 1 ცალი, თვითმომსახურების ხაზი 1 ცალი, სტელაჟი 4 თაროიანი 2 ცალი, პოლიკარბონატის კონტინერი 12 ცალი, საყოფაცხოვრებო მაცივარი 2 ცალი, საველე სამზარეულო 1 ცალი, საწარმოო მაგიდა პოლიეთილენის თავით 3 ცალი, საწარმოო მაგიდა მარმარილოს თავით 2 ცალი, სამზარეულო დახლი 1 ცალი, სამუშაო მაგიდა 2 ცალი, წყლის გასაციებელი დანადგარი 6 ცალი, ნვენების ჩამოსასხმელი აპარატი 4 ცალი, ცომის მოსაზელი 1 ცალი, ხორცის საჩეხი 1 ცალი, საკვეთელი 1 ცალი, ასაკეცი შლანგი 1 ცალი, სატენიკი 1 ცალი, სათლი ემალის 3 ცალი, ხელის საწური 4 ცალი, ხორცის ამოსადები ჩანგალი 1 ცალი, მწერების საჭერი დანადგარი 3 ცალი, კათხა 2441 ცალი, 200 გრ კათხა 607 ცალი, ემალის კათხა 82 ცალი, ჩამჩა 13 ცალი, დიდი ჩამჩა 1 ცალი, 4 ცალი პატარ ჩამჩა, კარტოფილის საფცქვნიელი 6 ცალი, კარტოფილის სათლელი მანქანა 1 ცალი, ხორცის საკეპი ელექტრომანქანა – 3 ცალი, ლანგარი – 186 ცალი, ბოსტნეულის საჭრელი 6 ცალი, ელ.სასწორი 1 ცალი, სასწორი 100-500 კგ, 1 ცალი, პურის საჭრელი 1 ცალი, ელ ქურა 7 ცალი, გაზქურა ბეკოს ფირმის 2 ცალი, წვნიანის თასი 1 ცალი, ჯამი 49 ცალი, ქაფქირი 54 ცალი, დიდი ქაფქირი 40 ცალი, ბადიანი ქაფქირი 15 ცალი, პატარა ქაფქირი 14 ცალი, სალფეთქის ჩასადები 283 ლარი, ჩანგალი 901 ლარი, დანა 462 ცალი, დანა მზარეულის კომპლექტი 5 ცალი, თევზის დანა 2 ცალი, სადილის კოფი 800 ცალი,

დიდი კოვზი 3 ცალი, მიქსერი 4 ცალი, თუშფალანგი 11 ცალი, თევზის შესანვავი თუშფალანგი 2 ცალი, ჭიქა 1378 ცალი, 200 გრ ჭიქა 688 ცალი, პიურეს სათქვეფი – 2 ცალი, პიურეს სათქვეფი ელექტრო – 1 ცალი, ელ. მადულარა 2 ცალი, ხორცის საკეპი ელექტრომანქანა 5 ცალი, ხელის ხორცის საკეპი მანქანა 3 ცალი, ელ. ქურა მარმარიტი 2 ცალი, 1 ცალი საკონდიტრო კარადის ელ. ლუმელი (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

12.8. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ადლის სამხედრო ნაწილის დანაკლისი ინვენტარის ღირებულების გარეშე, კომპანიის მიერ სამინისტროსათვის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 308 276,34 ლარს (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

12.9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის (კომპანიის წინამორბედი საწარმოსათვის) გადაცემული, სამხედრო ნაწილების სასადილოებში გამოვლენილი დანაკლისი ნივთების ღირებულება საერთო ჯამში 370 857,37 ლარს (308 276,34 + 62 581,03) შეადგენს.

12.10. კომპანიის სააპელაციო პრეტენზიაზე მსჯელობისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიმნოდების შეგებებულ სარჩელს ერთვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების სასადილოებში არსებული შპს „მ-ის“ მატერიალურ ფასეულობათა აღწერის შესახებ აქტები, რომლებსაც ხელს აწერენ კომპანიის რეგიონალური მენეჯერი – ა. ი-ი, სამინისტროს შესაბამისი რეგიონალური ბაზის სურსათ-სანოვავის ქონების ინსპექტორი და ბაზის მატერი-ალურ ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი.

12.10.1. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გასაზიარებელია რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სამინისტროს სამხედრო ნაწილების სასადილოების მფლობელობაშია მოპასუხის კუთვნილი სამზარეულო ინვენტარი და მონყობილობა-დანადგარები, რომელთა ღირებულებაა 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი. საქმეში კომპანიის მიერ წარდგენილია მისივე მთავარი ბუღალტრის ლ. კ-ას მიერ შედგენილი 2014 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებული ცნობა, რომლის თანახმად, სამინისტროს ბაზებზე არსებული კომპანიის ინვენტარის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 150 000 ლარს. ამდენად, მოპასუხის ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით, სადავო ნივთების ღირებულება შეადგენს 150 000 ლარს და არა შეგებებული სარჩელით მოთხოვნილ 202 899,11 ლარს, რის გამოც ამ ნივთების ღირებულება უნდა განისაზღვროს ბუღალტრული მონაცემებით;

12.10.2. სასამართლოს შეფასებით საქმეში წარდგენილი აქტების მიხედვით დასტურდება ის გარემოება, რომ სამინისტროს სხვა-

დასხვა სამხედრო ნაწილებში განთავსებულია კომპანიის კუთვნილი სამხარეულო ინვენტარი და მოწყობილობა-დანადგარები. აქტები შედგენილია მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედი საწარმოს მენეჯერისა და სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსის მიერ. შესაბამისად, მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ არის აღწერილი სამხედრო ნაწილებში არსებული ის ინვენტარი, რაც კომპანიის საკუთრება იყო. მოპასუხის მიერ წარდგენილი სასაქონლო ზედნადებების და საგადასახადო ანგარიშფაქტურების თანახმად, ნივთების ნაწილი შექმნილია მხარეებს შორის ხელშეკრულების დადებამდე (მოსარჩელე უთითებდა, რომ სასაქონლო ზედნადებების მიხედვით, სადავო ინვენტარი შექმნილია ხელშეკრულებების დადებამდე და ტრანსპორტირების დასრულების ადგილად საპყრობილება მითითებული), ხოლო ნაწილი 2010-2011 წლებში სამინისტროსთან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიმწოდებლის შეგებებული სარჩელის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანია არა ამ ნივთების შექმნის თარიღი, არამედ ის, ეს ნივთები გამოიყენებოდა თუ არა სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურების ვალდებულების შესასრულებლად. ამ აქტებით დასტურდება, რომ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის დროს სამხედრო ნაწილების სასადავლოებში განთავსებული იყო ნივთები, რომლებიც სამინისტროს საკუთრება არ არის და ისინი წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას. საქმეში წარდგენილი არ არის ამ ნივთების მოპასუხისათვის დაბრუნების დამადასტურებელი მტკიცებულება, რის გამოც ვერ ქარწყდება პრეზუმფცია სამინისტროს მფლობელობაში მათ არსებობასთან დაკავშირებით.

12.11. კომპანიის (მიმწოდებლის) მოთხოვნას წარმოადგენს სამინისტროსათვის 37 710.60 ლარის გადახდის დაკისრება, რაც იმ 42 მაცივრის ღირებულებას წარმოადგენს, რომელიც შპს „ფ-ამ“ თხოვნის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მოპასუხეს (მიმწოდებლის წინამორბედ საწარმოს) და უკან აღარ დაბრუნებულა (იხ. საქმეში არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 4 იანვრის გადანყვეტილება).

12.11.1. ზემოაღნიშნულთან ერთად, საწარმოს ინვენტარს შორის არის მაცივრებიც, რომელთა ღირებულებაც 37 710 ლარია (შედის მთლიან ღირებულებაში).

12.11.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ხელშეკრულების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით მხარეთა შორის შერე-

ული ხელშეკრულება არსებობს. სამინისტროს დაკვეთით მომსახურების განწევა მოპასუხის მიერ წარმოადგენს წარდობას (სსკ-ის 629.1 მუხლი), ხოლო, სამინისტროს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, უსასყიდლოდ გადასცეს მოპასუხეს სამზარეულოს შენობა და ინვენტარი და მოპასუხის ვალდებულება, გაუფრთხილდეს მიღებულ ინვენტარს და ხელშეკრულების დასრულების შემდეგ დააბრუნოს ის, წარმოადგენს თხოვების ხელშეკრულებას (სსკ-ის 615-ე, 618-ე-619-ე მუხლები);

12.11.3. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის 2010 წლის 10 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედ სანარმოს (შპს „მ-ს“) დროებითი სარგებლობისათვის გადაეცა კვებითი მომსახურებისათვის საჭირო სასადილო შენობა და ინვენტარი, რომელიც უნდა დაებრუნებინა ხელშეკრულების დასრულების შემდეგ. ხელშეკრულების ეს ნაწილი თხოვების სამართლებრივი ურთიერთობაა, რადგან თხოვება ითვალისწინებს დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის ქონების გადაცემას. ამავე დროს, თხოვება ითვალისწინებს განათხოვრებული ნივთის სამეურნეო დანიშნულებით სარგებლობის შესაძლებლობას, რაც, ასევე, გათვალისწინებულია მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით. რაც შეეხება წარდობას, ამ შემთხვევაში კვებითი მომსახურების ვალდებულების შესასრულებლად მოპასუხე კომპანიის წინამორბედ სანარმოს გადაეცა სამინისტროს (შემსყიდველის) კუთვნილი სამზარეულო ინვენტარი, რომელიც გამოიყენებოდა კვებითი მომსახურების პროცესში. ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხე კომპანიას ეკისრება მისთვის გადაცემული ქონების მოვლისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ მისი დაბრუნების ვალდებულება და არა – დარჩენილი ინვენტარის დაბრუნების ვალდებულება, რაც თხოვების სამართლებრივი ურთიერთობისთვის არის დამახასიათებელი. შესაბამისად, თხოვების სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ნათხოვარი ნივთის მოვლის ვალდებულება, მაშინ, როდესაც წარდობის ურთიერთიერთობაში, მენარდემ შემკვეთს უნდა დაუბრუნოს გახარჯვის შედეგად დარჩენილი მასალა, შესაბამისად, მას ამ მასალის მოვლის ვალდებულება არ ეკისრება წარდობის არსიდან გამომდინარე.

12.12. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე კომპანიის მტკიცება სამინისტროს სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებით და განმარტა, რომ სსკ-ის 655-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს არ წარმოადგენს მენარდის მიერ

შესრულებული სამუშაოს, განეული მომსახურების ხარისხი. სარჩელში დავის საგანია მენარდისათვის გადაცემული მოძრავი ქონების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, სამინისტროს სარჩელის საგანი არ გამომდინარეობს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ნაკლიდან. მოსარჩელის მოთხოვნა გადაცემული ქონების დაბრუნებასა და თხოვების ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ეხება. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად გააგრძელა სამინისტროს მიერ ნარდგენილ სარჩელზე სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის დადგენილი ვ-წლიანი ხანდაზმულობის ვადა (სსკ-ის 129-ე-130-ე მუხლები). სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროა (ხანდაზმულობის დაწყების მომენტი) მნიშვნელოვანი.

12.12.1. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ შედგენილია ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებითაც გამოვლინდა დანაკლისი, ასევე – დაბრუნებული ნივთების დაზიანების ფაქტები. აქტები შედგენილია 2011 წლის აპრილი-ნოემბრის თვეებში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სამ-წლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2011 წლის ნოემბრიდან, რადგან ამ დროს დასრულდა მოპასუხისათვის გადაცემული სამზარეულო ინვენტარის აღწერა და მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა. სამინისტროს მიერ კი სარჩელი აღძრულია 2014 წლის 15 ივლისს. ამდენად, სასამართლომ დაასკვნა, რომ შემსყიდველის სარჩელი ხანდაზმული არ არის;

12.12.2. სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე კომპანიას ეკისრებოდა მისთვის გადაცემული ინვენტარის, შენობისა და მოწყობილობა-დანადგარების მოვლის ვალდებულება, რაც მან ჯეროვნად არ შეასრულა და გადაცემული ნივთების ნაწილი სამინისტროსათვის (მოსარჩელისათვის) არ დაუბრუნებია.

12.13. ადგილის სამხედრო ნაწილთან დაკავშირებით (იხ. ამ განჩინების 12.4-12.4.4 ქვეპუნქტები) სასამართლომ მიუთითა, რომ დადგენილი იყო, სამხედრო ნაწილში ხანძარი გამოიწვია მოპასუხე კომპანიაში დასაქმებული პირების დაუდევრობამ. სსკ-ის 997-ე მუხლის თანახმად, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე. ამ ნორმის მიხედვით, სამსახურებივი მოვალეო-

ბის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება იმ პირს, ვისთანაც დასაქმებული პირის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია ზიანი. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე კომპანიას ეკისრება ადლიის სამხედრო ნაწილის სასადილოში ხანძრის შედეგად დაზიანებული ინვენტარის ღირებულების ანაზღაურება (სსკ-ის 394-ე, 361.2, 408.1, 409-ე მუხლები). სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში დასაბუთებულია მოსარჩელის მოთხოვნა დანაკლისი ნივთების ანაზღაურების შესახებ, რადგან თანხა მოთხოვნილია იმ ნივთების სანაცვლოდ, რომლებიც ფაქტობრივად არ აღმოჩნდა სამინისტროს სამხედრო ნაწილებში. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოპასუხეს (კომპანიას) ეკისრება მოსარჩელისათვის (სამინისტროსათვის) მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ნივთების ღირებულების ანაზღაურება, რაც 308 276,34 ლარს ლარს შეადგენს.

12.14. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ნივთების დაბრუნების და დაზიანებული ნივთების შეცვლის შესახებ საფუძვლიანია. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 408-ე მუხლზე: „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“ და 409-ე მუხლზე: „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“ და განმარტა, რომ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიღებისას კრედიტორის მთავარი ინტერესია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, რაც, ნივთის დაზიანების შემთხვევაში, გულისხმობს ზიანის მიყენებამდე არსებული ნივთის მდგომარეობის აღდგენას, ან მის შეკეთებას იმგვარად, რომ შენარჩუნდეს ზიანის დადგომამდე არსებული დანიშნულება და ღირებულება, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია კრედიტორს მიეცემა ფულადი ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურების მიზნებისა და გვარონული ნივთის შეცვლისათვის სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 414-ე მუხლისა: „ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი“ და 382-ე მუხლის: „თუ შესრულების საგანია ნივთი, რომლის შეცვლად შეიძლება, მოვალემ ვალდებულება ყოველთვის უნდა შეასრულოს“ მოხმობით განმარტა, რომ

განსახილველ შემთხვევაში გასათვალისწინებელი იყო ის, რომ შესრულების საგანს მოძრავი ნივთები – სამზარეულო ინვენტარი და მოწყობილობა-დანადგარები წარმოადგენს, რაც არის გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები, შესაბამისად, კომპანიას, სამინისტროს სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების მიზნით, ეკისრებოდა დაზიანებული ნივთების ნაცვლად, ასეთივე დანიშნულების ნივთების დაბრუნების ვალდებულება.

12.14.1. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომელიც ეხება სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას იმ ნივთების დაბრუნების შესახებ, რომელთა ნარჩენი ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტებში არ არის მითითებული. სასამართლოს შეფასებით სსკ-ის 382-ე და 414-ე მუხლების საფუძველზე, შემსყიდველის ეს მოთხოვნა დასაბუთებულია, რადგან გვაროვნული ნივთების არსებობის შემთხვევაში, ვალდებულმა პირმა ყოველთვის უნდა შეასრულოს ასეთი ნივთების გადაცემის ვალდებულება.

12.15. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ასევე დასაბუთებულია გასაჩივრებული გადანყვებილების დასკვნა კომპანიის (მიმწოდებლის) შეგებებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

12.15.1. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამინისტროს მტკიცება კომპანიის შეგებებული სარჩელის ხანდაზმულობაზე უსაფუძვლოა, ვინაიდან შეგებებული სარჩელით წარდგენილ მოთხოვნაზე სახელშეკრულებო მოთხოვნისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მსჯელობისას, უწინარესად, უნდა განისაზღვროს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

12.15.2. დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებობდა წარდობის ხელშეკრულება სამხედრო მოსამსახურეების კვებითი მომსახურების შესახებ, თუმცა, მოპასუხე კომპანიას სამინისტროსათვის სადავო ნივთები ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად არ გადაუცია. 10.03.2010წ. ხელშეკრულების ფარგლებში თავად სამინისტრო იყო ვალდებული, მენარდისათვის გადაეცა საჭირო სამზარეულო, სამზარეულო ინვენტარი და მოწყობილობა-დანადგარები, შესაბამისად, წარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება კომპანიას უნდა გაენია შემკვეთის მიერ გადაცემული გვაროვნული ნივთების სარგებლობით და მოპასუხეს არ ევალებოდა, საკუთარი ხარჯით შეეძინა სამზარეულო ინვენტარი ან გამოეყენებინა საკუთარი სამზარეულო ინვენტარი. მოპასუხე კომპანიამ საკუთარი სამზარეულო ინვენტარი და მოწყობილობა-დანადგარები გამოიყენა სამინისტროსთვის.

ტროსთან დადებული ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განევის მიზნით, მაგრამ ასეთი ვალდებულება მას ხელშეკრულებით არ ეკისრებოდა, რადგან შემსყიდველს (სამინისტროს) უნდა მიენოებინა მოპასუხისათვის სამზარეულო ინვენტარი და მოწყობილობა დანადაგარები.

12.15.3. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 619-ე მუხლზე „მონათხოვრეს ეკისრება ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯების გადახდის ვალდებულება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, განათხოვრებლის მოვალეობა სხვა ხარჯების ანაზღაურების თაობაზე განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით“ მითითებით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო საკითხი, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით უნდა გადაწყდეს. მოპასუხე კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად გამოიყენა საკუთარი სამზარეულო დანადაგარები, რისი ვალდებულებაც მას არ ეკისრებოდა, შესაბამისად, შეგებებული სარჩელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით უნდა გადაწყდეს.

12.15.4. სსკ-ის 969-ე მუხლის მიხედვით „პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად“. 973-ე მუხლის თანახმად, „შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული“. ხოლო 974-ე მუხლის შესაბამისად, „1. შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. 2. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეპატრონის ნება ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს“. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან გამომდინარე, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა ე.წ. კონდიქციურ ვალდებულებას განეკუთვნება და გულისხმობს მხარეთა შეთანხმების გარეშე ხარჯების განევას ან ვალდებულების შესრულებას. ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნარდობის მომსახურების განევას შემსრულებლის კუთვნილი მასალით, შესაბამისად, მომსახურების განევის მიზნით შემსრულებლის კუთვნილი სამზარეულო ინვენტარის გამოყენება ან შექმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ წარმოადგენს.

12.15.5. ამის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, შეგებებული სარჩელის მოთხოვნა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება არ არის (ანუ არ გამომდინარეობს, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან) და შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების გამო განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე ხანდაზმულობის სპეციალური ვადა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არ არის, რის გამოც მასზე ვრცელდება საერთო ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა.

12.15.6. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე სპეციალური ხანდაზმულობის სახელშეკრულებო ვადა – 3 წელი გავრცელდებოდა, მოპასუხე კომპანიის მოთხოვნა მაინც ვერ მიიჩნეოდა ხანდაზმულად, ვინაიდან სსკ-ის 130-ე მუხლის მიხედვით „ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტია დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ“; წინამდებარე შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილია 2011 წლის აპრილი-ნოემბრის თვეებში. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2011 წლის ნოემბრიდან, რადგან ამ დროს დასრულდა მხარეებს შორის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო სამზარეულო ინვენტარის აღწერის პროცესი. შესაბამისად, სწორედ 2011 წლის ნოემბრიდან წარმოეშვა მოპასუხე კომპანიას ნივთების დაბრუნების ან მათი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მომდევნო სამი წლის განმავლობაში მოპასუხეს სარჩელით უნდა განეცხადებინა პრეტენზია ამ ნივთების შესახებ. კომპანიის მიერ შეგებებული სარჩელი აღძრულია 2014 წლის 20 ოქტომბერს ანუ მოთხოვნის წარდგენის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვით.

12.15.7. მხარეთა შორის შედგენილი აქტებით დასტურდება, რომ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის დროს სამინისტროს სამხედრო ნაწილებში განთავსებული იყო მოპასუხე კომპანიის კუთვნილი სამზარეულო ინვენტარი, რომლის დაბრუნება სამინისტროს მხრიდან არ დასტურდება, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს ნივთები ამ დრომდე სამინისტროს მფლობელობაშია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

12.15.8. სსკ-ის 973-ე მუხლის მიხედვით, შემსრულებელს უფლება აქვს, მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქ-

ნება მიჩნეული. სამინისტროსა და კომპანიას შორის შედგენილი აქტების თანახმად, სამინისტროს ნაწილებში იმყოფება როგორც წვრილი სამზარეულო ტექნიკა, ისე – ინვენტარი, სამზარეულო დანადგარები, რომელთა გამოყენება კვებითი მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია. შესაბამისად, ამ ნივთებით სარგებლობა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნივთების შეძენა აუცილებელ ხარჯს წარმოადგენს, რის გამოც, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ სამინისტროს უნდა დაკისრებოდა ნივთების ღირებულების – 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ანაზღაურება კომპანიის სასარგებლოდ.

13. შემკვეთისა და მენარდის საკასაციო საჩივრები

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა.

13.1.1. სამინისტრომ (პირველმა კასატორმა) გასაჩივრებული განჩინების, სამინისტროს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და კომპანიის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა;

13.1.2. სამინისტრომ საკასაციო საჩივარში კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტების უსწორობაზე მიუთითა, კერძოდ, შემსყიდველის მტკიცებით, კომპანიის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისას, სასამართლომ იხელმძღვანელა ამ უკანასკნელის მიერვე წარდგენილი აქტებით; ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები მატერიალურ ფასეულობათა შესახებ აქტებში მითითებული ქონების ღირებულების განსაზღვრისას დაეყრდნენ მოპასუხის მიერ წარდგენილ საბუღალტრო დოკუმენტაციას, რომელიც ცალმხრივადაა შედგენილი კომპანიის საბუღალტრო სამსახურის მიერ და არა – დამოუკიდებელი საექსპერტო დაწესებულების ან აუდიტორის მიერ, შესაბამისად, სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა ამ მტკიცებულებით; პირველი კასატორის პრეტენზიით, საქმეში წარდგენილია, სასაქონლო ზედნადებები, რომლებითაც არ ირკვევა, რომ შექმნილი ქონება გადაცემულია სამინისტროსათვის და მის ობიექტებზე იმყოფება. ეს დოკუმენტები შედგენილია მხარეთა შორის შესყიდვების ხელშეკრულების დადებამდე 1 წლით ადრე, ამასთან დოკუმენტებში, შექმნილი ქონების დასრულების ადგილად მითითებულია საპყრობილებები და არა – თავდაცვის სამინისტროს კონკრეტული ობიექტები, რაც გამორიცხავს კომპანიის მხრიდან სადავო და მოთხოვნილი ინვენტარის სამინისტროს

მფლობელობაში არსებობის ფაქტს;

13.1.3. ამასთან, წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ვერ ხერხდება სადავოდ გამხდარი ინვენტარის იდენტიფიკაცია, რაც გამორიცხავს აღნიშნული ინვენტარის ღირებულების დადგენის შესაძლებლობას;

13.1.4. პირველმა კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების უსწორობებზეც მიუთითა და დამატებით განმარტა, რომ გასაჩივრებული განჩინების 52-ე ფაქტობრივი გარემოება არასწორადაა ჩამოყალიბებული. სასამართლო მიუთითებს, რომ ნარჩენი ღირებულების აქტებში მითითებული დანაკლისი ნივთების ღირებულება აღემატება მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ თანხას საჩხერის სამთო მომზადების ბაზის, ქუთაისის №16101 სამხედრო ნაწილის, გაჩიანის სამხედრო ბაზის და სენაკის მე-10 კადრიერებული ბრიგადის სასადილოების შემთხვევაში, თუმცა, რეალურად, მითითებული სასადილოების შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებში აღნიშნული დანაკლისი ქონების ღირებულება მეტია, ვიდრე ნარჩენი ღირებულების აქტებში მითითებული დანაკლისი ქონების ღირებულება, მაგ. 20.10.2012წ. №12/2 მიღება-ჩაბარების აქტის დანართი, სადაც დანაკლისი ქონების ღირებულებაა 24 928.56 ლარი; 24.10.2011 წლის №12/7 აქტის დანართის მიხედვით – 3135.59 ლარი, ხოლო № 35 აქტის თანახმად – 273.2 ლარი. კასატორის პრეტენზიით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად და არასათანადოდ შეაფასა და გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, რაც სამინისტროს სარჩელის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. ეს კი მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევაა და გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია;

13.1.5. პირველი კასატორი გასაჩივრებული განჩინების 53-ე ფაქტობრივ გარემოებაში №67-ე აქტის ხარვეზზე მიუთითებს, კერძოდ, განმარტავს, რომ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული დანაკლისი ქონების ღირებულება 17 909.57 ლარია, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული ქონებისა – 22 407.85 ლარი, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან აქტი თავისთავად სრული სახითაა წარდგენილი, ხოლო 22 407.85 ლარი წარმოადგენს არა ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებულ ქონებას, არამედ №67-ე აქტის დანართში მითითებული დანაკლისი ქონების ღირებულებას;

13.1.6. პირველი კასატორის მითითებით, გასაჩივრებული განჩინების 54-ე პუნქტში სასამართლო უთითებს, რომ №12/2 აქტის მიხედვით დანაკლისი ქონების ღირებულებაა 7 262.5 ლარი, №12/7 აქტის მიხედვით 1 606.94 ლარი, ხოლო №35 აქტის მიხედვით – 162,8 ლარი, რაც ასევე არ შეესაბამება საქმეში არსებულ მასალებს. კერ-

ძოდ, №12/2 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დანაკლისი ქონების ღირებულებაა 24 928.56 ლარი; №12/7 აქტის მიხედვით – 3 135.59 ლარი და №35 აქტის მიხედვით კი 273.2 ლარია. ამასთან ერთად, კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ურთიერთსაინანააღმდეგოა, ვინაიდან განჩინების 54-ე პუნქტში მითითებული მსჯელობა №67 აქტთან მიმართებით არ ემთხვევა №53 პუნქტში მითითებულ მსჯელობას. კერძოდ, 53-ე პუნქტში მითითებულია, რომ დასახელებული აქტის მიხედვით დანაკლისი ქონების ღირებულება 17 909.57 ლარია, თუმცა იმავე საკითხზე, 54-ე პუნქტში უთითებს რომ ქონების ღირებულება 22 407.85 ლარია (იხ. სამინისტროს საკასაციო საჩივარი).

13.2. კომპანიამ (მეორე კასატორმა) გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სამინისტროს სარჩელის უარყოფა და მოპასუხის შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

13.2.1. მეორე კასატორის მტკიცებით, სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა 370 857.37 ლარის ნაწილში, ამ თანხას უნდა გამოკლებოდა, იმ დანაკლისი ქონების ღირებულება, რომელიც რეალურად არსებობდა და არ იყო დანაკლისში, უბრალოდ ერთი ბაზიდან გადატანილი იყო სხვა ბაზაზე, რაც საერთო ჯამში არ იყო დანაკლისის სახით, გადაცემული ქონების რაოდენობასთან მიმართებით, ასევე, ადლიის სამხედრო ნაწილის სასადილოს ხანძრის შედეგად არსებული დანაკლისის – 62 581.03 ლარი, ვინაიდან ექსპერტიზას არ დაუდგენია, თუ კონკრეტულად ვისი ბრალით მოხდა ხანძარი; ასევე, დასახელებულ თანხას უნდა გამოკლებოდა შპს „ფას“ მიერ კომპანიისათვის გადაცემული 42 მაცივრის ღირებულება, ვინაიდან ამ ქონების ღირებულება უკვე გადახდილი აქვს კომპანიას სასამართლოს 2012 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისად, რადგან ეს მაცივრები კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს და განთავსებულია თავდაცვის სამინისტროს ობიექტებზე, უნდა მოხდეს ძირითადი მოსარჩელის (სამინისტროს) სასარგებლოდ დაკმაყოფილებული თანხის შემცირება 42 მაცივრის ღირებულების ოდენობით. საბოლოოდ, მოპასუხის სასარგებლოდ სამინისტროს უნდა დაკისრებოდა 202 899,11 ლარი.

13.2.2. კომპანიის მტკიცებით, მოსარჩელის (სამინისტროს) მოთხოვნა უნდა შეადგენდეს 236 722,19 ლარს, რომელიც ერთთვიანი მუშაობის შედეგად დაადგინა ორმხრივმა კომისიამ, ამას უნდა გამოაკლდეს ადლიის სასადილოს დანაკლისი და დარჩება 174 141,16 ლარი;

13.2.3. გასაჩივრებული განჩინება დანაკლისის გრაფაში ღირებულების გარეშე სამზარეულო ინვენტარის დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლოა, რადგან მათი ღირებულება ნულია, გასულია ინვენ-

ტარის საექსპლუატაციო ვადა;

13.2.4. უსაფუძვლოა, ასევე, დაზიანებული ინვენტარის გვარონული ნივთებით ჩანაცვლების მოპასუხისათვის დაკისრება, რადგან ხელშეკრულების 10.4.2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო სამინისტროსათვის გადაეცა სამზარეულო ინვენტარი და დანადგარები გამართულ მდგომარეობაში, ცვეთის გათვალისწინებით, ხოლო 10.4.3 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ინვენტარის დაზიანებაზე, ხოლო დაზიანების შემთხვევაში – აენაზლაურებინა ზიანი. მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს ჩაბარებული აქვს დაზიანებული ინვენტარი, ამ უკანასკნელს (მოსარჩელეს) არ აქვს სარჩელში დაზუსტებული დაზიანების ხარისხი და ოდენობა. ვინაიდან სამინისტროს ინვენტარი მიღებული აქვს, მას არ აქვს უფლება დამატებით მოითხოვოს იგივე ინვენტარის ჩანაცვლება მაშინ, როდესაც ინვენტარის მიღებიდან, გასულია 4 წელი;

13.2.5. მეორე კასატორის განმარტებით, სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო. წარდგენილი სარჩელი შეეხება წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ნაკლს, რომელზეც, სსკ-ის 655-ე მუხლიდან გამომდინარე ხანდაზმულობის 1-წლიანი ვადა ვრცელდება, შესაბამისად წინამდებარე შემთხვევაში სარჩელი ხანდაზმული იყო;

13.2.6. სასამართლომ ადლიის სამხედრო ნაწილში გაჩენილი ხანძრის საფუძვლად კომპანიის თანამშრომლების დაუდევარი ქმედება, საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე არასწორად დაადგინა. ამ ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, როგორც სამინისტრო, ასევე, კომპანია ცნობილი არიან დაზარალებულებად, ხოლო დაკითხული პირებისაგან ირკვევა, რომ სიგარეტის მოწვევა ტერიტორიაზე აკრძალული იყო, და ხანძარი სანყობის ერთ-ერთ ოთახში, ჭერში გაჩნდა, მაშინ, როდესაც იქ არავინ იმყოფებოდა, შესაბამისად პასუხისმგებლობის კომპანიაზე დაკისრება დაუსაბუთებელია. ამასთან, გამოძიება არ არის დასრულებული და საბოლოოდ არ არის დადგენილი ხანძრის გამომწვევი მიზეზი, რაც გამორიცხავს წინასწარ ვინმეს ბრალეულობის დადგენას (იხ. კომპანიის საკასაციო საჩივარი).

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 16 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა მიჩნეული არსებითად განსახილველად სსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ხოლო 2018 წლის 23 ივლისის განჩინებით გადაწყდა საქმის ზეპირი მოსმენა მხარეთა

მონაწილეობით.

14.2. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა მხარი დაუჭირეს საკუთარ საკასაციო მოთხოვნებს, ვრცლად ისაუბრეს საკასაციო პრეტენზიებსა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ გარემოებებზე (იხ. საკასაციო სასამართლოს 2018 წლის 26 სექტემბრისა და 15 ნოემბრის სხდომების ოქმები).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, ასევე, მტკიცებულებების შეფერებისა და გაანალიზების, საკასაციო საჩივრების იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო განაცხადები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); ორივე კასატორს წარმოდგენილი აქვს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტში (იხ. 13.1.1-13.2.6 ქვეპუნქტები).

16. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რა ურთიერთობა იყო მხარეთა შორის, რადგან დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია სამართლებრივი ნორმის განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც შემომნდება თითოეული კასატორის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც მოსარჩელისა (სამინისტროსა) და შეგებებული მოსარჩელის (კომპანიის) მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, ასევე, ერთმანეთის საპასუხოდ წარდგენილი შესაგებლების პოზიციებიდან გამომდინარეობს.

16.1. „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას

ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ-ები: №ას-973-1208-2004; №ას-15-29-1443-2012, №ას-664-635-2016).

16.2. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა ეფუძნება 2010 წლის 10 მარტის № 177-ე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებას (გაფორმებულს სამინისტროსა და მოპასუხე კომპანიის წინამორბედ საწარმოს შპს „მ-ს“ შორის), რომელიც მხარეთა შეთანხმებით ვადაზე ადრე, 2012 წლის 12 მარტს, შეწყდა. სამინისტროს, შპს „მ-სა“ და შპს „ქ.კ.კ-ას“ შორის, 2011 წლის 4 ივლისს, 13 ივლისს, 21 ივლისს, 3 აგვისტოს, 29 აგვისტოს, 23 სექტემბერს, 6 ოქტომბერს, გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები, ეტაპობრივად გადაეცა შპს „ქ.კ.კ-ას“; ასევე, 2011 წლის 20 ივლისს და 4 ნოემბერს დადებული შეთანხმებებით, მიმწოდებლის უფლება მოვალეობები გადაეცა შპს „ე-ს“ (იხ. წინამდებარე განჩინების მე-3 და მე-4 პუნქტები).

16.3 საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, თავისი შინაარსით, შერეული ტიპის სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც მოიცავს, როგორც ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, ისე, თხოვების მომწესრიგებელ ნორმებს. კერძოდ, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე (იხ. წინამდებარე განჩინების მე-2 პუნქტი №177-ე ხელშეკრულების 10.1,

10.4, 10.4.3 ქვეპუნქტები), მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, რომლებიც წინამდებარე განჩინების 12.11.2 ქვეპუნქტშია ასახული.

17. საკასაციო სასამართლო, ასევე, იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას და დასკვნას, რომ უსაფუძვლოა მოპასუხე კომპანიის პრეტენზია სამინისტროს სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სსკ-ის 655-ე მუხლიდან „მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან“ გამომდინარე (იხ. კომპანიის საკასაციო საჩივარი – ტ.9, ს.ფ.154).

18. მოსარჩელის (სამინისტროს) მოთხოვნა შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

18.1. მოპასუხე კომპანიისათვის 431 521.93 ლარის დაკისრება მხარეთა-შორის გაფორმებული და ორმხრივად ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, დანაკლისის გრაფაში მითითებული ინვენტარის ღირებულების სახით. ეს მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და, სამინისტროს სასარგებლოდ, მოპასუხე კომპანიას 308 276, 34 ლარი დაეკისრა, ასევე, ადლიის სამხედრო ნაწილში ხანძრის შედეგად განადგურებული (დანაკლისი) ინვენტარის ღირებულება – 62 581, 03 ლარი, რაც ჯამში 370 857, 37 ლარს შეადგენს, როგორც შემსყიდველის მიერ მოპასუხე კომპანიისათვის (მისი წინამორბედი საწარმოსათვის) სახელშეკრულებო მიზნების საფუძველზე გადაცემული სამხედრო ნაწილების სასადილოებში გამოვლენილი დანაკლისი ნივთების ღირებულება (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1.1 ქვეპუნქტი);

18.2. მოპასუხე კომპანიისათვის იმ სამზარეულო ინვენტარის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში დაბრუნების დაკისრება, რაც ნივთების (ქონების) მიღება-ჩაბარების აქტების დანართების დანაკლისის გრაფაშია მითითებული ღირებულების გარეშე (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1.2 ქვეპუნქტი);

18.3. მოპასუხე კომპანიისათვის იმ გვაროვნული ნივთების დაბრუნება, მათი ჩანაცვლების გზით, რაც მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულია, როგორც დაზიანებული ინვენტარი (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1.3 ქვეპუნქტი).

19. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სამინისტროს სარჩელის საგანია არა ნარდობის ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, არამედ, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესასრულებლად შემსყიდველისაგან (სამინისტროსაგან) მიმწოდებლისათვის (მოპასუხე კომპანიისათვის) გადაცემული დანაკლისი ნივთების ღირებულების ანაზღაურება; ღირებულების გარეშე

გადაცემული ნივთების ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში დაბრუნება; ნათხოვარი გვაროვნული ნივთების დაბრუნება, მათი ჩანაცვლების გზით, რაც თხოვების სახელშეკრულებო ურთიერთობას ეფუძნება.

20. დადგენილია, რომ მხარეებმა სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის შემდეგ, 2011 წლის აპრილი-ნოემბრის თვეებში, შეადგინეს მიღება-ჩაბარების აქტები, საიდანაც უნდა მოხდეს სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სპეციალური 3-წლიანი ვადის ათვლა (2011 წლის ნოემბრიდან), ხოლო შემსყიდველმა (სამინისტრომ) სარჩელი წარადგინა 2014 წლის 15 ივლისს, ამდენად, სამინისტროს მოთხოვნა წარმოშობილია და მისი განხორციელება შესაძლებელია, რადგან სარჩელი ხანდაზმული არ არის.

21. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ ასევე არ არის გასაზიარებელი სამინისტროს პრეტენზია მოპასუხე კომპანიის შეგებებული სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. სამინისტროს მტკიცებით, გასაჩივრებული განჩინებით არ არის დასაბუთებული, თუ რატომ უნდა აითვალოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა №177-ე ხელშეკრულებიდან მხარის (მოპასუხე კომპანიის) საბოლოოდ გასვლის თარიღიდან და არა მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების თარიღიდან, როდესაც მხარეთათვის ცნობილი გახდა კონკრეტულ ობიექტზე დანაკლისის არსებობის ფაქტი (იხ. სამინისტროს საკასაციო საჩივარი). საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას მოპასუხე კომპანიის სარჩელის განხორციელებადობაზე, რაც წინამდებარე განჩინების 12.15.1-12.15.6 ქვეპუნქტებშია ასახული. ამდენად, ამ ნაწილში სამინისტროს საკასაციო შედავებას უსაფუძვლოდ მიიჩნევს.

22. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველსა და მის განხორციელებადობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, პირველი კასატორის (სამინისტროს) პრეტენზიის ნაწილობრივ დასაბუთებლობაზე იმსჯელებს და სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს დავის ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი შეფასების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელშიც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს და შეამოწმოს, კერძოდ:

22.1. პირველი კასატორი აკრიტიკებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას იმ ნაწილში, რომლითაც, მოპასუხე კომპანიის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის შეგებებული სარჩელის ნაწილობ-

რივ დაკმაყოფილების საფუძველზე, სამინისტროს დაეკისრა 150 000 ლარის ანაზღაურება, როგორც მიმწოდებლის კუთვნილი სამზარეულო ინვენტარის ღირებულება, რომელიც, გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, პრეზუმირებულია, რომ კვლავაც სამინისტროს სამხედრო ნაწილებშია განთავსებული და მის ობიექტებზე იმყოფება; ამასთან, კასატორს მიაჩნია, რომ ვინაიდან სადავო ინვენტარის იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება, ეს გარემოება გამორიცხავს მისი ღირებულების დადგენის შესაძლებლობას (იხ. საკასაციო პრეტენზია წინამდებარე განჩინების 13.1.2-13.1.3 ქვეპუნქტები).

22.1.1. სამინისტროს ზემოხსენებული საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობის კუთხით საკასაციო სასამართლო უწინარესად იმას განმარტავს, რომ მიმწოდებელი კომპანიის, როგორც შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა, სამინისტროსათვის 202 899.11 ლარის დაკისრების თაობაზე იმას ემყარება, რომ კომპანიის წინამორბედა – შპს „ფ-მა“, სახელმწიფო შესყიდვების №177-ე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მის ჯეროვნად შესასრულებლად, 164 054.40 ლარად შეიძინა სხვადასხვა ინვენტარი, ვინაიდან სამინისტროსაგან მიღებული ინვენტარი საკმარისი არ იყო სახელშეკრულებო ვალდებულების შესასრულებლად; ასევე, სამინისტროს შპს „ფ-გან“ მიღებული აქვს 38 842.71 ლარის ღირებულების მაცივრები და ეს თანხა სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა მოპასუხის წინამორბედ სანარმოს – შპს „მ-ს“ ($164\ 056.40 + 38\ 842.71 = 202\ 899.11$ ლარს), შესაბამისად ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ სამინისტროს არ დაუბრუნებია ეს ინვენტარი;

22.1.2. შეგებებული მოსარჩელის (კომპანიის) მიერ სარჩელზე თანდართულია ინვენტარის ნუსხა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედნადებები, რომელთა მიხედვით სააპელაციო სასამართლომ დეტალურად უნდა შეისწავლოს და შეამოწმოს, თუ რა ღირებულების ინვენტარია შეძენილი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მის შესასრულებლად, როგორც ამას თავად შეგებებული მოსარჩელე აღნიშნავს;

22.1.3. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება ხელმოწერილია 2010 წლის 12 მარტს და ვადამდე შეწყდა 2011 წელს, ხოლო იმავე წლის აპრილ-ნოემბერში შედგა მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებსაც ორმხრივად აწერენ ხელს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები. ასევე, დადგენილი ფაქტია, რომ სამინისტრომ, როგორც მოპასუხის მომსახურების შემსყიდველმა, სხვა სანარმოებთან შეთანხმების ოქმების საფუძველზე, ამ უკანასკნელებს (შპს „ქ.კ.კ-ასა“ და შპს „ე-ს“) გადასცა მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები, კერძოდ: 2011

წლის 4 ივლისს, 13 ივლისს, 21 ივლისს, 3 აგვისტოს, 29 აგვისტოს, 23 სექტემბერს, 6 ოქტომბერს შპს „ქ.კ.კ-ას“ გადაეცა 12.03.2010წ. №177-ე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები, ხოლო 2011 წლის 20 ივლისისა და 4 ნოემბრის შეთანხმებებით – შპს „ე-ს“. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა დადგინდეს, რამდენად განეკუთვნება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და მის შესასრულებლად შეძენილ ინვენტარს ყველა ის ნივთი, რომლებიც საქმეში მოთავსებული მტკიცებულებების სახით წარადგინა შეგებებული სარჩელის ავტორმა (მოპასუხე კომპანია), კერძოდ: 11.03.2010წ. სასაქონლო ზედნადებები №43, 79; 02.03.2010წ. სასაქონლო ზედნადები №76; 31.01.2010წ. სასაქონლო ზედნადები №3 (შესაბამისად, დასახელებული მტკიცებულებები განთავსებულია); 17.02.2010წ. სასაქონლო ზედნადები №18; 24.02.2010წ. სასაქონლო ზედნადები №35; 25.02.2010წ. სასაქონლო ზედნადები №142; 27.02.2010წ. სასაქონლო ზედნადები; 22.01.2010წ. სასაქონლო ზედნადები №23; 24.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები №166; 24.07.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №554843; 07.03.2009წ. სასაქონლო ზედნადები №7; 22.04.2009წ. სასაქონლო ზედნადები №29; 10.04.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 02.04.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №702229 (შესაბამისად, დასახელებული მტკიცებულებები განთავსებულია); შესაფასებელია, რას ადასტურებს საქმეში მოთავსებული ინვენტარის ნუსხა შპს „ნ-ს“ დირექტორის ხელმოწერით; შესაფასებელია, ასევე, შემდეგი მტკიცებულებები: 28.04.2009წ. სასაქონლო ზედნადები №115; 30.06.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №137628; 31.01.2008წ. სასაქონლო ზედნადები №18; 29.05.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №1259363; 29.06.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №1234564; 22.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 22.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები №197; 17.06.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №4155500; 24.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 24.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები №170; 26.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები №169; 07.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 08.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 10.06.2010წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №1058653; 11.06.2009წ. სასაქონლო ზედნადები №008/06; 06.07.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 10.07.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 14.07.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 17.07.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №554836; 17.07.2009წ. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა №1250051; 21.07.2009წ. სასაქონლო ზედნადები №457; 23.07.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 25.07.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 27.07.2009წ.

სასაქონლო ზედნადები № 465; 09.10.2009წ. სასაქონლო ზედნადები; 28.10.2009წ. სასაქონლო ზედნადები №398; 03.11.2009წ. სასაქონლო ზედნადები 3 235; 06.08.2009წ სასაქონლო ზედნადები №266; 13.08.2009წ სასაქონლო ზედნადები; 19.08.2009წ სასაქონლო ზედნადები №357; 20.08.2009წ სასაქონლო ზედნადები №286; 22.09.2009წ სასაქონლო ზედნადები (შესაბამისად, დასახელებული მტკიცებულებები); 21.05.2009წ. სასაქონლო ზედნადები №148;

22.1.4. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამინისტრომ კომპანიის შეგებებული სარჩელის პასუხად წარდგენილ შესაგებელშივე სადავო გახადა მოპასუხე კომპანიის მიერ მოთხოვნილი ინვენტარის ხელშეკრულების მიზნებისათვის შექმნის ფაქტი და მიუთითა, რომ დოკუმენტები შედგენილია 2009 წელს, ანუ მანამდე, სანამ ხელშეკრულება დაიდებოდა, ამასთან, მოპასუხე კომპანიის წინამორბედი საწარმოს მიერ შექმნილი ქონების მიტანის ადგილად სასაქონლო ზედნადებებში მითითებულია არა სამინისტროს ან მისი ცალკეული ობიექტების მისამართები, არამედ, სხვადასხვა საპყრობილის მისამართი. შემსყიდველმა ეს შედავება გაიმეორა სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზეც (იხ. წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტი და 11.2.2 ქვეპუნქტი), რაც საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არ არის სათანადოდ გამოკვლევული სააპელაციო სასამართლოს მიერ და დამატებით შემოწმებას საჭიროებს. აქვე საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოპასუხის მიერ გარკვეული ინვენტარის შექმნის პრეზუმფციის დაშვება მიზანშეწონილია იმ ინვენტარისა და მოწყობილობების მიმართ, რომლებიც სახელშეკრულებო მიზნებისთვისაა შექმნილი, შესაბამისად, დადგენილია ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ასევე, განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულებით შემსყიდველს ევალებოდა მიმწოდებლისათვის გადაეცა ინვენტარი და მოწყობილობა-დანადგარები (იხ. №177-ე ხელშეკრულების 10.1). მოპასუხე კომპანიას არ მიუთითებია, რომ მისმა წინამორბედმა საწარმომ რაიმე წერილით მიმართა შემსყიდველს (სამინისტროს), რომ ამ უკანასკნელის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესასრულებლად მიმწოდებლისათვის გადაცემული ინვენტარი არასაკმარისი იყო და მას მოუწია, ან მოუწევდა დამატებით გარკვეული ინვენტარის შექმნა. ამდენად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოპასუხე კომპანიის წინამორბედი საწარმოს მიერ ხელშეკრულების ამოქმედებამდე შექმნილი ინვენტარი ემსახურებოდა თუ არა 12.03.2010წ. №177-ე ხელშეკრულების პირობების შესრულებას და ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე შექმნილ ნივთებზე ამგვარი პრეზუმფციის დაშვება რა მტკიცებულებებს ემყარება, რაც სააპელაციო სასამართლოს დამატებითი

კვლევისა და შემონმების საგანი უნდა გახდეს. უნდა შემონმდეს ასევე საქმის მასალებში მოთავსებული ლ. კ-ას მიერ შედგენილი 2014 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებული ცნობა და ასევე, დადგინდეს, თუ რა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედი სანარმოს (შპს „მ-ის“) მიერ სამინისტროს გადაეცა 37 710.60 ლარის ღირებულების 42 მაცივარი. გასაჩივრებული განჩინების მიხედვით სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტროს კუთვნილებაშია ზემოხსენებული 42 მაცივარიც, სანარმოს სხვა ინვენტარს შორის, ამასთან, ეს მაცივრები მოპასუხის წინამორბედ სანარმოს თხოვების ხელშეკრულებით გადასცა შპს „ფ-ამ“ და საქმეშია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება რომ შპს „მ-ს“ დაეკისრა 37 710.60 ლარის ანაზღაურება შპს „ფ-ას“ სასარგებლოდ (იხ. ამ განჩინების 10.4-10.5, 13.13-13.13.1 პუნქტები). სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მიმწოდებელი კომპანიის შეგებებული სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია არა ინვენტარის (ნივთების) შექმნის თარიღი, არამედ ის, რომ ეს ნივთები გამოიყენებოდა თუ არა სახელშეკრულებო მიზნებისათვის, ზოგადად გასაზიარებელია, თუმცა, დასკვნა, რომ საქმეში არ არის წარდგენილი ამ ნივთების მიმწოდებელი კომპანიისათვის დაბრუნების დამადასტურებელი მტკიცებულება, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან არ არის დადასტურებული ხელშეკრულების ხელმოწერამდე მიმწოდებელი კომპანიის წინამორბედი სანარმოს (შპს „მ-ის“) მიერ შექმნილი ინვენტარის სამინისტროსათვის გადაცემის ფაქტი. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტრომ თავიდანვე სადავო გახადა, რომ საქმეში წარდგენილი ზედნადებებით გარკვეული ინვენტარის ტრანსპორტირების ადგილია არა სამინისტროს ობიექტები, არამედ საპრობილევები, დასამტკიცებელია, რომ სადავო ინვენტარი სწორედ სამინისტროს გადაეცა და შესაძლოა ამას დაეფუძნოს ნივთების კვლავ შემსყიდველის მფლობელობაში არსებობის პრეზუმფცია, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ საჭიროებს ხელახლა შემონმებას;

22.1.5. პირველი კასატორი უთითებს ასევე იმ ფაქტობრივ უსწორობებზე, რაც გასაჩივრებულ განჩინებაშია დაშვებული და რამაც, მხარის მოსაზრებით, გამოიწვია მისი სარჩელის ნაწილობრივ უარყოფა. სამინისტრო გასაჩივრებული განჩინების 52-ე, 53-ე, 54-ე პუნქტებში ასახულ გარემოებებს აკრიტიკებს და კონკრეტულ მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებული დანაკლისის ოდენობას ნივთების წარჩენ ღირებულებაზე (იხ. სამინისტროს საკასაციო პრეტენზია მითითებულია წინამდებარე განჩინების 13.1.4 ქვეპუნქტში; ასევე – სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების

ნება), რაც, ფაქტობრივი გარემოების დადგენის საკითხია და არა უკვე დადგენილი ფაქტის სამართლებრივი შეფასება, რაც ასევე დამატებით უნდა შეამოწმოს სააპელაციო სასამართლომ.

22.2. მეორე კასატორის (მიმწოდებელი კომპანიის) საკასაციო პრეტენზია, ასევე, ნაწილობრივ დასაბუთებულად მიიჩნია საკასაციო სასამართლომ. უწინარესად, საკასაციო სასამართლო კვლავაც მიუთითებს მოსარჩელის (სამინისტროს) მოთხოვნაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1.1-5.1.3 ქვეპუნქტებზე) და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

22.2.1. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამინისტრო საკუთარ მოთხოვნას მხარეთა შორის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებზე აფუძნებდა, რომლებშიც მითითებულია დანაკლისი ნივთების ჩამონათვალი, ნივთების ნარჩენი ღირებულება, დაზიანებული ნივთების ნუსხა და ის ნივთებიც, რომელთა ნარჩენი ღირებულებაც მითითებული არ არის აქტებში. სააპელაციო სასამართლომ კვლევა ჩაატარა და მიზანშეწონილად მიიჩნია დანაკლისი ნივთების ღირებულება განსაზღვრულიყო თითოეული მიღება-ჩაბარების აქტისა და ნარჩენი ღირებულების აქტების ურთიერთშედარებით; ასევე, სააპელაციო სასამართლომ ცალ-ცალკე განსაზღვრა თითოეული აქტის მიხედვით დაზიანებული ნივთებისა და ღირებულების გარეშე დანაკლისი ნივთების რაოდენობა. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული აქტების ურთიერთშედარებისა და ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა დანაკლისი ნივთების ღირებულება და ნარჩენი ნივთების ღირებულება (იხ. წინამდებარე განჩინების 12.2.3, 12.2.4, 12.2.5, 12.2.7, 12.2.9, 12.2.10, 12.2.11, 12.2.12, 12.2.13, 12.2.14, 12.2.15, 12.2.16, 12.2.18, 12.2.19, 12.2.20, 12.2.21, 12.2.22, 12.2.24, 12.2.26, 12.2.28, 12.2.29, 12.2.32, 12.2.35, 12.2.39, 12.40, 12.2.42); ასევე, სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ საქმეში არ არის წარდგენილი 2011 წლის 11 ივლისის №24 აქტი (იხ. ამ განჩინების 13.2.3 ქვეპუნქტი), სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ 2011 წლის 7 ივლისის №19 მიღება – ჩაბარების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ღირებულება და ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული დანაკლისი ნივთების ღირებულება ერთმანეთს ემთხვევა და 1908, 50 ლარს შეადგენს, ამასთან 4 ცალი ტაფის სადგამი გადატანილია ვაზიანი 2-ში (იხ. 12.2.5 ქვეპუნქტი); 2011 წლის 4 აგვისტოს № 45 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით (იხ. 12.2.27 ქვეპუნქტი) დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 93 377 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით, დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულებაა 72 935.99 ლარი, ამასთან, 4 თაროიანი სტელა-

შიდან 3 ცალი გადატანილია ვაზიან 1-ში, სადაც ასევე გადატანილია საბანკეტო ურიკა (4445 ლარი). ამ შემთხვევაში, გარდა დანაკლისი ნივთების ღირებულებასა და ნარჩენი ღირებულების ფასთა სხვაობის გარდა, არაა დადგენილი სხვა ობიექტზე გადატანილი სტელაჟების ღირებულება. მიმწოდებელი კომპანიის მტკიცებით, მაგალითად, თუ საბანკეტო ურიკის ღირებულებას გამოაკლდება დანაკლისი ნივთების ღირებულება (93 377 – 4445) მიიღება 88 932 ლარი და არა ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული დანაკლისი ნივთების ის თანხა, რაც მასშია დაფიქსირებული – 72 935.99 ლარი. შესაბამისად, ამ კუთხითაც დამატებით უნდა შემოწმდეს სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობა;

22.2.2. ანალოგიურად, 2011 წლის 15 ნოემბრის №61-ე მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით (იხ. 12.2.34 ქვეპუნქტი), დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 16 975.10 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 11 809, 38 ლარი; ამავე აქტში მითითებულია, რომ 1 ცალი კონვექციური ლუმელი გადატანილია ზოოვეტში. ამ შემთხვევაშიც დასადგენია, თუ რამდენია დანაკლისი ნივთების ღირებულება.

22.3. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს მხოლოდ ის მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც ერთმანეთისაგან განსხვავდება დანაკლისი ნივთების ღირებულება და ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება, შეაფასოს ისეთი შემთხვევები, როდესაც გარკვეული ინვენტარი შემსყიდველის (სამინისტროს) ერთი ობიექტიდან გადატანილია მეორე ობიექტზე და დაადგინოს, თუკი საბოლოო ჯამში არსებობს ინვენტარი, რომელიც ერთი ობიექტიდან სხვა ობიექტზე არის გადატანილი, ხომ არ არის ერთი და იგივე ინვენტარი დაფიქსირებული როგორც ნარჩენი ღირებულების აქტში, ისე – დანაკლისი ნივთების ღირებულების აქტში, ან ხომ არ არის იმ აქტში ასახული, სადაც პირიქით, ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულება აღემატება დანაკლისი ნივთების ღირებულების აქტში მითითებულ თანხას; სააპელაციო სასამართლომ, ასევე დამატებით უნდა გამოიკვლიოს ის მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც დანაკლისი ნივთების ღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის არის განსხვავება, ასეთებია, ზემოაღნიშნულის გარდა: 2011 წლის 15 ივლისის №30-ე აქტი (იხ. 12.2.6 ქვეპუნქტი), 2011 წლის 15 ივლისის №32 აქტი (12.2.7 ქვეპუნქტი), 2011 წლის 29 ივლისის №35 მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით დანაკლისი ნივთების ღირებულებაა 162.8 ლარი, ხოლო ნარჩენი ღირებულება აღემატება და 273.2 ლარია (იხ. 12.2.15 ქვეპუნქტი),

2011 წლის 14 ნოემბრის №59-ე მიღება-ჩაბარების აქტი (იხ. 12.2.33 ქვეპუნქტი); 2011 წლის 17 ნოემბრის №65-ე აქტი (იხ. 12.2.36. ქვეპუნქტი), 2011 წლის 8 ნოემბრის № 67 აქტი, რომელიც არასრულ აქტად მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ (იხ. 12.2.27 ქვეპუნქტი), 2011 წლის 20 ოქტომბრის № 12/2 მიღება-ჩაბარების აქტი (იხ. 12.2.33 ქვეპუნქტი)

22.4. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ ცალკეულ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტებში დანაკლისი ქონების სახით მითითებული ინვენტარი და მოწყობილობა-დანადგარები ნარჩენი ღირებულების მიხედვით განსაზღვრა (დანაკლისი ნივთების ღირებულება აღემატება ნარჩენ ღირებულებას და რადგან ეს აქტები თავდაცვის სამინისტროს მიერაა შედგენილი, ამიტომ ამის მიხედვით განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ), ესენია ვაზიანი-2-ის სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ 2011 წლის 4 აგვისტოს №45 მიღება-ჩაბარების აქტი; ალექსეევკის სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ 2011 წლის 17 ნოემბრის №65 აქტი; კოჯრის სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ 2011 წლის №30 აქტი; ვაზიანი-3 სასადილოს შესახებ 2011 წლის 15 ივლისს შედგენილი №32 მიღება-ჩაბარების აქტი; მარნეულის სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ 2011 წლის 14 ნოემბერს შედგენილი №59 მიღება-ჩაბარების აქტი; კრწანისი-1 სამხედრო ნაწილის სასადილოს შესახებ 2011 წლის 15 ნოემბერს შედგენილი № 61 მიღება-ჩაბარების აქტი (იხ. წინამდებარე განჩინების 12.3.1-12.3.7 ქვეპუნქტები). ასევე, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ნარჩენი ღირებულების აქტებში მითითებული დანაკლისი ნივთების ღირებულება აღემატება მიღება-ჩაბარების აქტებში მითითებულ თანხას საჩხერის სამთო მომზადების ბაზის, ქუთაისის №16101 სამხედრო ნაწილის, გაჩიანის სამხედრო ბაზისა და სენაკის მე-10 კადრირებული ბრიგადის სასადილოების შემთხვევაში (იხ. წინამდებარე განჩინების 12.4.-12.5 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ამ ნაწილშიც დამატებით არის შესამოწმებელი მხარეთა მოთხოვნები და მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები.

22.5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მეორე კასატორის (მიმწოდებელი კომპანიის) საკასაციო პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულა დაზიანებული ნივთების, მათ შორის მათი ჩანაცვლების გზით, დაბრუნების თაობაზე. სამინისტრო თავის სარჩელში უთითებს, რომ გამოვლინდა დანაკლისი სამინისტროს მიერ კომპანიისათვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნებისას, კერძოდ, კომპანიამ სამინისტროს სამზარეულო ინვენტარი არასრულ რაოდენობით და დაზიანებულ მდგომარეობაში დაუბრუნა (იხ. 5.1.3 ქვეპუნქტი). ხელშეკრულების 10.4 ქვეპუნქტის მიხედვით მიმწოდ-

დებელი (კომპანია) ვალდებულია გაუფრთხილდეს მიღება-ჩაბარების აქტით მასზე გადაცემულ სასადილოს, შენობა-ნაგებობას, სამზარეულო ინვენტარს, მონყობილობა-დანადგარებს და სასადილოსათვის საჭირო მატერიალურ ფასეულობებს. ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ვალდებული იყო გადაეცა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მასზე გადაცემული სამზარეულო, სამზარეულოს ინვენტარი და სამზარეულოს მონყობილობა-დანადგარები გამართულ მდგომარეობაში ცვეთის გათვალისწინებით. 10.4.3 ქვეპუნქტის საფუძველზე, მიმწოდებელს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მისთვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული სამზარეულოს, სამზარეულო ინვენტარისა და სამზარეულოს დანადგარების დაზიანებაზე, აღნიშნული მანქანა-დანადგარების, მონყობილობების და სხვა სასადილო ქურჭლის და ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს მიყენებული ზიანი. 10.4.4. ქვეპუნქტის მიხედვით, შემსყიდველს ევალება თავისი სახსრებით აწარმოოს გადაცემულ კვების ობიექტზე არსებული მატერიალური ქონების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები.

22.6. მოცემულ შემთხვევაში სამინისტრომ ჩაიბარა დაზიანებული ინვენტარი და არ წარუდგენია თუნდაც სარჩელის აღძვრის ეტაპზე იმგვარი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, თუ რა სახის დაზიანებაა, შესაძლებელია, თუ არა დაზიანების აღმოფხვრა, რა ოდენობის თანხაა საჭირო დაზიანებული ნივთების აღსადგენად. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებლის ვალდებულებაა, აუნაზღაუროს შემსყიდველს ინვენტარისა და სხვათა დაზიანების შემთხვევაში მატერიალური ზიანი (იხ. ხელშეკრულების 10.1, 10.4.1-10.4.3 ქვეპუნქტები). საქმეშია სამინისტროს მიერ შპს „მ-ისათვის“ ინვენტარის გადაცემის აქტები, სადაც ინვენტარის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება მითითებულია, ხოლო უკან დაბრუნების აქტებში არაა მითითებული დაზიანებული ნივთების ღირებულება ან ზიანის აღმოსაფხვრელად საჭირო თანხა.

22.7. ღირებულების გარეშე ნივთებისა და ინვენტარის სამინისტროსათვის დაბრუნების თაობაზე ასევე დასაბუთებულია კომპანიის საკასაციო პრეტენზია, რადგან საქმის მასალებში არაა წარდგენილი ამ ნივთების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, შესაბამისად, მათი დაუბრუნებლობის შემთხვევაში, როგორ და რა სახით უნდა მოხდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება არ არის მითითებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილშიც დამატები-

თი კვლევა უნდა ჩაატაროს, რადგან მოპასუხე კომპანიას დასაბუთებული შედაგება ჰქონდა როგორც შესაგებელში, ისე – სააპელაციო საჩივარში.

22.8. საკასაციო სასამართლო სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს ადლიის სამხედრო ნაწილში მომხდარი ხანძრის გამო დაზიანებული ინვენტარის ღირებულების მოპასუხე კომპანიისათვის, სამინისტროს სასარგებლოდ, დაკისრების ნაწილში და მიაჩნია, რომ 62 581, 03 ლარი მართებულად განისაზღვრა დანაკლისი ნივთების ნარჩენი ღირებულების აქტში მითითებული თანხის საფუძველზე. სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია დანაკლისი ნივთები, რომლებიც ფაქტობრივად გადაეცა კომპანიის წინამორბედ სანარმოს (შპს „მ-ს“), ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის დროს ისინი არ აღმოჩნდა სასადილოში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის ამ ნაწილში დამატებითი კვლევის ჩატარების საჭიროება არ არსებობს.

22.9. ზემოხსენებული სავალდებულო სამართლებრივი მითითებები დაედო საფუძველად სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

22.10. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, თუ საკასაციო სასამართლო ხელახლა განსახილველად დააბრუნებს საქმეს, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 257-ე მუხლის პირველი ნაწილით, 372-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ფ“-ის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 8 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-362-362-2018

12 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. ნ-ის (შემდეგში: მესაკუთრე, მიმბარებელი, მოსარჩელე) სარჩელი და დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხე შპს „ი.კ.ტ-თვის“, რომლის სამართალმემკვიდრე სს „კ.ფ.ს.ნ-ია“ (შემდეგში: შემნახველი, მოპასუხე, აპელანტი, კასატორი), 30 900 ლარის გადახდის შემდეგ, ამ უკანასკნელის მფლობელობიდან გამოთხოვილიყო მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 11 ავტომანქანა (1. MITSUBISHI COLT – შასის ნომერი ...; 2. TOYOTA CARTIS – შასის ნომერი ...; 3. MITSUBISHI COLT – შასის ნომერი ...; 4. NISSAN MARCH – შასის ნომერი ...; 5. NISSAN ELGRAND – შასის ნომერი ...; 6. BMW – შასის ნომერი ...; 7. BMW – შასის ნომერი ...; 8. HONDA STRYM – შასის ნომერი ...; 9. BMW – შასის ნომერი ...; 10. MITSUBISHI DELICA – შასის ნომერი ...; 11. BMW – შასის ნომერი ...). ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოპასუხე 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის იანვრამდე უკანონოდ ფლობდა მოსარჩელის კუთვნილ მოძრავ ქონებას.

2. ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოსარჩელისათვის გადაცემის შემდეგ, სსიპ საბაჟო დეპარტამენტის მიერ შედგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულ ავტომობილზე მოსარჩელე 1000 ლარით – სულ 11 000 ლარით დაჯარიმდა. ასევე, საპატრულო პოლიციის მიერ ტრანზიტული ნომრებით სარგებლობის ვადაგადაცილებისათვის თითოეული ავტომობილი დაჯარიმდა 501 ლარით და დაერიცხა

საურავი 91 ლარი, სულ – 6512 ლარი.

3. მოსარჩელემ 2017 წლის 20 მარტს სარჩელი აღძრა ფოთის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა მოპასუხისათვის 18 635 ლარისა და წინა სამოქალაქო სამართალწარმოებისას ადვოკატისათვის გადახდილი 2500 ლარის დაკისრება. მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხის უკანონო ქმედებით მიადგა ზიანი, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანების უკანონო დაყოვნების გამო, ვერ შეძლო მათი განბაჟება, რის გამოც გადაიხადა ჯარიმა 18 635 ლარი. შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი.

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ სარჩელში წარმოდგენილი ფაქტები და სამართლებრივი დასაბუთება არასაკმარისია, ბუნდოვანია, არ ამართლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას და არ უნდა დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება ადვოკატის მომსახურების ხარჯს, მოსარჩელეს არ წამოუდგენია იურიდიული მომსახურების განვეისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

5. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს დაეკისრა ჯარიმის სახით მიყენებული ზიანის – 18 635 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ადვოკატისათვის გადახდილი 2500 ლარის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგეში სსკ-ის) 317-ე, 992-ე, 412-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგეში სსსკ-ის) 102-ე მუხლი გამოიყენა.

5.1. სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ საბაჟო დეპარტამენტის მიერ ავტომანქანების დაჯარიმება სწორედ მოპასუხის ქმედების შედეგი იყო, ვინაიდან, მხოლოდ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, 30 900 ლარის გადახდის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა, მოსარჩელეს მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოეთხოვა კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები. შესაბამისად, მოპასუხის ქმედება სასამართლომ დელიქტურ ქმედებად შეაფასა, რაც ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი გახდა.

6. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

6.1. აპელანტის მტკიცებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ფაქტი, რომ სარჩელის აღძვრის მომენტში მოსარჩელეს მოპასუ-

ხისათვის ასანაზღაურებელი ჰქონდა 11 ავტომობილის მიბარების საზღაური – 30 900 ლარი. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სწორედ ამ თანხის გადახდის სანაცვლოდ მიენიჭა მოსარჩელეს უფლებამოსილება, გაეყვანა თავისი კუთვნილი 11 ავტომობილი ნავსადგურის პარკინგიდან. ამასთან, მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, მიემართა მომსახურების სააგენტოსათვის და შიდა ტრანზიტული სანომრე ნიშნები სატრანსპორტო საშუალების დაურეგისტრირებლად ჩაებარებინა, რაც მოსარჩელეს არ გაუკეთებია. შესაბამისად, ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო თავად მოსარჩელის უმოქმედობამ.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

7.1. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეაფასება და დამატებით მიუთითა, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 1 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, დადგენილია, რომ, მიუხედავად მოსარჩელის მიერ 30 900 ლარის გადახდისა, მოპასუხემ უარი განაცხადა ავტომანქანების მოსარჩელისათვის გადაცემაზე, სწორედ ამიტომ გახდა იძულებული მოსარჩელე, სარჩელი აღედრა 30 900 ლარის გადახდის სანაცვლოდ კუთვნილი 11 ავტომანქანის გადაცემის მოთხოვნით. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ 11 ავტომობილის გადაცემის დაყოვნება მოსარჩელის მიერ სანაცვლო ვალდებულების შეუსრულებლობამ გამოიწვია.

7.2. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ზიანი მოპასუხის ქმედებამ – მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანების უსაფუძვლო დაკავებამ გამოიწვია.

8. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა შემდეგი დასაბუთებით:

8.1. სასამართლომ არ გამოიყენა სსკ-ის 412-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონიერულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობით ნაკისრი რისკის ფარგლებში.

8.2. კასატორის მტკიცებით, მოსარჩელეს შეეძლო, თავიდან აე-

ცილებინა როგორც ტრანზიტული ნომრებით სარგებლობის ვადა-გადაცილების გამო მიყენებული ზიანი, ისე – სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრება, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა მოსარჩელისაგან დამოუკიდებელი გარემოება, რომლის გამოც იგი სარეგისტრაციოდ ვერ წარადგენდა ავტომობილებს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საეაღდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-14 პუნქტი მოსარჩელეს აძლევდა უფლებას, მიემართა შესაბამისი ორგანოსათვის და ჩაებარებინა შიდა ტრანზიტული საწარმო ნიშნები მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაურეგისტრირებლად. მას ამ გზით შეეძლო, თავიდან აეცილებინა 6 512 ლარის ზიანი. ამის თაობაზე ცნობილი იყო მოსარჩელისათვის. მან ახსნა-განმარტებისას განაცხადა, რომ ვერ შეძლო ამ უფლების რეალიზება, რამდენადაც კასატორმა არ მისცა ტრანზიტული საწარმო ნიშნების ავტომობილებიდან ჩამოხსნის შესაძლებლობა. ამგვარი ხელშეშლის დამადასტურებელი არცერთი მტკიცებულება არ არის წარდგენილი საქმეში.

8.3. კასატორის მითითებით, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადა განისაზღვრება 60 კალენდარული დღით. ამ ვადასთან დაკავშირებით ამავე მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს საგამონაკლისო წესს გარკვეული კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო სანყოფინით დროებით შენახვის შემთხვევაში, საქონლის გაფორმების ადგილზე მიტანის 60-დღიანი ვადა, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით. მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილები სწორედ ამ საგამონაკლისო წესში ექცევა და მათზე დასაშვებია საქონლის გაფორმების ადგილზე მიტანის 60-დღიანი ვადის გაგრძელება, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, მოსარჩელეს შეეძლო, მიემართა სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის

და მოეთხოვა ავტომობილების სარეგისტრაციოდ წარდგენის ბრძანებით დადგენილი ვადის გაგრძელება სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დასრულებამდე. ამით იგი თავიდან აცილებდა სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის დაკისრებულ ჯარიმას – 12123 ლარს. მიუხედავად კანონით მინიჭებული ამ უფლებისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ ჯარიმის სახით დარიცხული ზიანის თავიდან აცილების მცდელობის ფაქტს. სწორედ მისმა უმოქმედობამ გამოიწვია სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრება.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 30 ივლისის განჩინებით – საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი – სსსკ) 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენიათ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. პალატა არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი დელიქტური ვალდებულებაა და მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის მიბარების (სსკ-ის 763-ე მუხლი – მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი) სახელშეკრულებოსამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა, მოსარჩელე კი, მოითხოვს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მას მოპასუხის მიერ მიბარების საზღაურის მიღების ვა-

დის გადაცილების გამო მიადგა. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება სსკ-ის 391-ე (კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებს.

13. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა რომ მიბარების ხელშეკრულებიდან წარმოიშვა, დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაც (სსკ-ის 266-ე მუხლი). ასევე, დადგენილია და არც მხარეები უარყოფენ, რომ სადავო ავტომანქანები თავდაპირველმა მიმბარებელმა მოპასუხისათვის მიბარების შემდგომ გაასხვისა მოსარჩელეზე (სსკ-ის 477-ე მუხლი – 1. ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მთანადოს საქონელი. 2. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება), რის შედეგადაც ამ უკანასკნელს ავტომანქანებზე საკუთრება გადაეცა, სსკ-ის 186.2 (ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება) მუხლის შესაბამისად, მოპასუხისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭების გზით.

14. რადგან მოსარჩელე მიმბარებელს ჩაენაცვლა მიბარების ხელშეკრულებაში, შესანახად მიბარებული ავტომანქანების დაბრუნების მოთხოვნის უფლებაც მას წარმოეშვა სსკ-ის 770-ე (მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესანახად მიბარებული ნივთის დაბრუნება, იმ შემთხვევაშიც, თუ შენახვის ვადა განსაზღვრული იყო) მუხლის საფუძველზე.

15. მოპასუხის შესაგებლის მიხედვით, სასამართლოს უნდა ეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ სანაცვლო ვალდებულების შეუსრულებლობამ გამოიწვია ავტომანქანების მისთვის გადაცემის დაყოვნება, კერძოდ, შემნახველს, სსკ-ის 776-ე (კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის განეული

ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს შეუძლია უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე) მუხლის საფუძველზე, მიბარების საფასურის ანაზღაურებამდე ნივთის დაბრუნებაზე უარის თქმის უფლება ჰქონდა.

16. მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაურის – 30 900 ლარის გადახდაზე ვალდებული პირი რომ მოსარჩელეა არც თავად უარყოფს, თუმცა მისი არგუმენტი მოპასუხის მიერ მითითებულ მოთხოვნის განხორციელების დროებით შემაფერხებელ გარემოებაზე ისაა, რომ მიმბარებელმა შესთავაზა შემნახველს, 30 900 ლარის გადახდის სანაცვლოდ, 11 ავტომანქანის წამოყვანა, რაზეც ამ უკანასკნელისაგან უარი მიიღო.

17. პალატა მიუთითებს, რომ საქმის მასალებით დგინდება, სსკ-ის 390.1 მუხლის (კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია) შესაბამისად, მოვალის მიერ შესრულების შეთავაზება და კრედიტორის მიერ შესრულების მიუღებლობა – მოპასუხემ მოსარჩელის კუთვნილი 11 ავტომანქანის მიბარების საზღაურის მიღებაზე უარი განაცხადა. აღნიშნული კასატორმაც დაადასტურა (იხ. 30.10.2018 წლის სხდომის ოქმი).

18. მოპასუხე მოითხოვდა თავდაპირველი მიმბარებლების სხვა დავალიანების – 105 600 ლარის სრულად გადახდას. პალატა მიუთითებს, რომ დაუშვებელი იყო დაკავების უფლების გამოყენება იმ საზღაურის გადაუხდელობისათვის, რომლის მოვალე მოპასუხე არ იყო. ამგვარი დამატებითი მოთხოვნის პირობით შესრულების მიღება, კრედიტორის მიერ შესრულების მიუღებლობას უთანაბრდება.

19. ამდენად, მოპასუხემ შესრულების მიღების ვადას გადააცილა შესრულების მიღებაზე უარის თქმის გზით, რაც ამ ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველია.

20. კასატორის ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ მოსარჩელეს შეეძლო, თავიდან აეცილებინა ზიანი, კერძოდ, მისი ბრალი საკუთარი თავისათვის მიყენებულ ზიანში უმოქმედობით გამოიხატა, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებდა უფლებამოსილებას, შეესრულებინა გარკვეული მოქმედებები – მიემართა შესაბამისი ორგანოებისათვის და თავიდან აეცილებინა, როგორც ტრანზიტული ნომრებით სარგებლობის ვადაგადაცილების გამო მიღებული ზიანი, ისე – სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრება.

21. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია ზიანის მიყენებაში მოსარჩელის ბრალეულობასთან დაკავშირებით,

დაუსაბუთებელია, კერძოდ, მოპასუხე წარდგენილ შესაგებელში მხოლოდ ზოგადად მიუთითებდა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება არასაკმარისი, ბუნდოვანი იყო და არ ამართლებდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. ზიანის წარმოშობაში მოსარჩელის ბრალსა თუ თანაბრალეულობაზე მოპასუხეს არც 29.06.2017 წელსა და 06.07.2017 წელს ფოთის საქალაქო სასამართლოში გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე არ მიუთითებია. უფრო მეტიც, მოპასუხეს სარჩელის უარყოფის ეს საფუძველი არც 13.07.2017 წლის მთავარ სხდომაზე მიცემულ ახსნა-განმარტების დროს არ აღუნიშნავს. მან სსკ-ის 415-ე მუხლზე და შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა მხოლოდ საპაექრო სიტყვის წარმოთქმისას.

22. სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის (პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს) მიხედვით, მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის მოთხოვნასა და დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს. მოპასუხე, რომელიც არ მიუთითებს ძირითადი ფაქტობრივი გარემოებების უარყოფის შესაბამის მიზეზებსა და არგუმენტებს, ერთმევა უფლება, საქმის არსებითი განხილვის დროს წარმოადგინოს ისინი.

23. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, მოპასუხეს სარჩელის უარყოფა იმ საფუძველით, რომ ზიანის გამოწვევას ხელი შეუწყო მოსარჩელემ, საქმის არსებით განხილვამდე არ მოუთხოვია. მას ამ გარემოების დასაბუთება შესაბამისი არგუმენტებით ევალებოდა. მოსარჩელეს არათუ არ დაუსაბუთებია, არამედ ამის თაობაზე არც კი მიუთითებია. ამდენად, პალატა, კასატორის ზემოხსენებულ შედავებას საქმის განხილვის მითითებულ სტადიაზე დაუშვებლად მიიჩნევს.

24. ასეც რომ არ იყოს, ის, რომ მოსარჩელემ სსიპ შემოსავლების სამსახურს არ მიმართა ავტომობილების სარეგისტრაციოდ წარდგენის ბრძანებით დადგენილი ვადის გაგრძელების მოთხოვნით, ანდა სააგენტოს არ ჩააბარა შიდა ტრანზიტული სანომრე ნიშნები მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დაურეგისტრირებლად, მისი პასუხისმგებლობის საფუძველი ვერ გახდება. სსკ-ის 415-ე (თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქ-

მედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი) მუხლით გათვალისწინებული დაზარალებულის პასუხისმგებლობის წარმოშობის წინაპირობას ვალდებულების დარღვევა წარმოადგენს. კასატორის მიერ მითითებული ნორმები, მოსარჩელეს არ აკისრებდა ვალდებულებას, არამედ ისინი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის მიერ შესაბამისი მოქმედებების შესრულების უფლებამოსილებაზე მიუთითებს.

25. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ იმგვარი ქმედებების განუხორციელებლობა, რომელთა შესრულება დაზარალებულს არ ევალებოდა, მისი პასუხისმგებლობის სფეროში არ ექცევა, ვინაიდან სსკ-ის 415.2 მუხლის გამოყენების წინაპირობა ბრალეული უმოქმედობით ზიანის თავიდან ასაცილებლად ზომების მიუღებლობაა. შესაბამისად, მოსარჩელეს თავისი მოქმედებით რომც შეძლებოდა თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი, მას უმოქმედობა ბრალად ვერ შეერაცხებოდა, რადგან, როგორც აღინიშნა, პასუხისმგებლობის საფუძველი ვალდებულების დარღვევაა. მოსარჩელეს კი, ვალდებულება არ დაურღვევია.

26. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას ზიანის სავარაუდოობასა და ნაკისრი რისკის ფარგლებში მისი ანაზღაურების თაობაზე, პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 412-ე (ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს) მუხლი „უშუალო მიზეზობრიობის“ გარდა, განამტკიცებს ზიანის განჭვრეტადობის კრიტერიუმსაც. ზიანის სავარაუდოობა გულისხმობს, რომ მხოლოდ ზიანის შესაძლებლობის დაშვება მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის საკმარისი არ არის. მითითებული ნორმა მოითხოვს, რომ ზიანი მაღალი ალბათობით იყოს განჭვრეტადი, თუმცა კონკრეტული შედეგის განჭვრეტა აუცილებელი არ არის. მოვალეს დაუშვებელია, დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. კონკრეტულ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ სწორედ გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის (შესაბამის ბაზარზე მუშაობის გამოცდილების მქონე პირისათვის) სავარაუდო უნდა ყოფილიყო ზიანი, რომელიც მოსარჩელეს მიადგა ამ უკანასკნელის კუთვნილი ავტომანქანების უკანონო დაკავებით. შესაბამისად, მოპასუხისათვის დაკისრებული ზიანი – 18 635 ლარი მისი ქმედების ადეკვატური და პირდაპირი ზიანია.

27. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

28. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „კ.ფ.ს.ნ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 1 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულების შეწყვეტა კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით

გადაწყვეტილება საქართველოს სასახელით

№ას-1010-2019

23 დეკემბერი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: სარგებლისა და პირგასამტეხლოს შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:

1.1. ნ. ა-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, პირველი აპელანტი, კა-
სატორი, მსესხებელი ან მოვალე) სარჩელი აღძრა სასამართლოში
ბ. წ-ის (შემდგომში – მოპასუხე, მეორე აპელანტი, კასატორის მო-
წინააღმდეგე მხარე, გამსესხებელი ან კრედიტორი) მიმართ ნო-
ტარიუს მ. ჯ-ის მიერ 2017 წლის 5 იანვარს გაცემულ №170008510
სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, კერ-
ძოდ, მოსარჩელემ მოითხოვა:

– პირგასამტეხლოს ნაცვლად 2015 წლის 13 დეკემბრიდან გა-
დაწყვეტილების აღსრულებამდე დავალიანების 0,1%-ისა (რაც შე-
ადგენს 2 723 აშშ დოლარს), ხელშეკრულების ვადის ამონურვიდან
– 2016 წლის 14 ივლისიდან აღსრულების დაწყებამდე – 2017 წლის
5 იანვრამდე 0,01%-ით (რაც დღეში შეადგენს 0,7 აშშ დოლარს,
ხოლო ჯამში, 176 დღეზე – 123,20 აშშ დოლარს) განსაზღვრა;
– სარგებლის – 1 795 აშშ დოლარის 364,20 აშშ დოლარით შემცი-
რება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2015 წლის 13 ივლისს მხარეთა შორის დაიდო სესხისა და იპო-
თეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ, მინ-
დობილი პირის – ქ. ა-ას მეშვეობით მოპასუხისაგან ისესხა 7 000 შშ
დოლარი თვეში 3,37%-ის დარიცხვის პირობით. ხელშეკრულების
მოქმედების ვადა განისაზღვრა 1 წლით, 2016 წლის 13 ივლისის

ჩათვლით და იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება (ს/კ №...). მსესხებელს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სრულად აქვს გადახდილი სარგებელი – 1 410 აშშ დოლარი, რაც დასტურდება საბანკო ქვითრებით, ხოლო დარჩენილი თანხა – 1 420,80 აშშ დოლარი კრედიტორს გადაეცა ხელზე, რომლის დამადასტურებელი ხელწერილიც ინახება გამსესხებელთან. მიუხედავად მოსარჩელის თხოვნისა, მოპასუხეს გაეთვალისწინებინა მისი ფინანსური მდგომარეობა, ასევე, აშშ დოლარის კურსის ცვლილება, კრედიტორი ხელახლა სთხოვს სარგებლის, ასევე, პირგასამტეხლოს გადახდას. ვალდებულების იძულებით შესრულების მიზნით ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 5 იანვარს გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი, სადაც შეუსაბამოდ დიდი ოდენობით პირგასამტეხლოა დარიცხული. კერძო აღმასრულებელმა მოსარჩელეს ჩააბარა 2017 წლის 5 იანვრის წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ, რომლის თანახმადაც მსესხებელს კრედიტორის წინაშე დაკისრებული აქვს სესხის ძირი თანხა – 7 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 1 795,80 აშშ დოლარი, პირგასამტეხლო – 2 723 აშშ დოლარი (2015 წლის 13 დეკემბრიდან აღსრულებამდე) და სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 125,54 ლარი. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს დაკისრება მოთხოვნილია 2015 წლის 13 დეკემბრიდან, როდესაც ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ იყო გასული. ამდენად, მოვალის დავალიანება ძირითადად უნდა განისაზღვროს სესხის ძირი თანხით – 7 000 აშშ დოლარით, პროცენტისა და პირგასამტეხლოს ერთდროულად გადახდა კანონშეუსაბამოა, მით უფრო, რომ სარგებელი უკვე გადახდილია. რაც შეეხება პირგასამტეხოს, იგი სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, უნდა შემცირდეს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მარტივი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 23 მარტამდე მოსარჩელეს სულ 800 აშშ დოლარი აქვს გადახდილი, რაც შეეხება თანხის ხელზე გადაცემას, მოპასუხემ უარყო აღნიშნული. მოგვიანებით კრედიტორმა სარჩელი პირგასამტეხლოს განაკვეთის 0,07%-მდე შემცირების ნაწილში ცნო.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შემცირდა ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 5 იანვარს გაცემული №170008510 სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა

– 270 ლარის გადახდა, ასევე, შემცირდა სარგებელი და იგი განისაზღვრა 1 430,8 აშშ დოლარით, განანილდა მხარეთა შორის პროცესის ხარჯები (დამატებით იხ. ამავე სასამართლოს 05.10.2018წ. დამატებითი გადაწყვეტილება).

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. პირველმა აპელანტმა (მოსარჩელე) მოითხოვა მისი პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით 270 აშშ დოლარის ნაცვლად 123 აშშ დოლარის დაკისრება, ხოლო მეორე აპელანტმა (მოპასუხე) სარგებლის შემცირების ნაწილში სარჩელის უარყოფა, ასევე, ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს განაკვეთის 0,07%-ით განსაზღვრა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით ბ. წ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება სარგებლის შემცირების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ა-ას მოთხოვნა ნოტარიუსის მიერ 2017 წლის 5 იანვარს გაცემული №170008510 სააღსრულებლო ფურცლით გათვალისწინებული სარგებლის 1 430.8 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ბ. წ-ძის სააპელაციო მოთხოვნა, პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 5 ოქტომბრის დამატებითი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით ნ. ა-ას სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პირველმა აპელანტმა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სარგებლის შემცირების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივ-

რის მიზეზები და მიიჩნევს, რომ იგი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სარგებლის ნაწილში შესრულების გზით შეწყდა თუ არა სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და ამ ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემის კანონიერება. სააპელაციო პალატის დასკვნით, მოვალემ ვერ წარადგინა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რასაც არ ეთანხმება კასატორი და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია, როგორც მატერიალური, ისე – საპროცესო სამართლის ნორმები, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამომწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შემოწმდება.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, დასაბუთებულ შედავებად განიხილება მხარის პრეტენზია, რომელიც შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. ამდენად, საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

1.2.1. 2015 წლის 13 ივლისს ბ. ნ-ძესა და ნ. ა-ას წარმომადგე-

ნელს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც ნ. ა-აზე გაიცა სესხი 7 000 აშშ დოლარი 1 წლის ვადით – 2016 წლის 13 ივლისის ჩათვლით, ყოველთვიური 3.37% სარგებლის დარიცხვით. ხელშეკრულების მიხედვით, სარგებელი გადახდილი უნდა ყოფილიყო ყოველთვიურად, ხოლო ძირითადი თანხა ვადის ბოლოს. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.1%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდაზე. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტივრთა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქ. ქუთაისში, ... მდებარე უძრავი ქონება;

1.2.2. ხელშეკრულების 1.3 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ მსესხებელი გადააცილებდა სარგებლის გადახდის ვადას 2 თვით, გამსესხებელი უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიება, კერძოდ, იპოთეკარი უფლებამოსილი იყო, მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მიემართა ნოტარიუსისათვის განცხადებით სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე;

1.2.3. 2017 წლის 5 იანვარს კრედიტორმა მიმართა ნოტარიუს მ. ჯ-ს, რომელმაც გასცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, 2017 წლის 5 იანვრის მდგომარეობით, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

- სესხის ძირითადი თანხა – 7 000 აშშ დოლარი;
- სარგებელი – 1 795.80 აშშ დოლარი;
- პირგასამტეხლო 7.00 აშშ დოლარი (0.1%) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2015 წლის 13 დეკემბრიდან აღსრულებამდე;
- სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 125.54 ლარი;

1.2.4. სს „ს. ბ-ის“ მიერ ჩარიცხული გზავნილების შესახებ 2017 წლის 25 მარტის №239-51/16884 ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 27 მარტამდე კრედიტორმა ქ. ა-ასაგან მიიღო შემდეგი თანხები:

- 11.08.2016 – 300 აშშ დოლარი;
- 07.03.2016 – 300 აშშ დოლარი;
- 17.12.2015 – 200 აშშ დოლარი;

1.2.5. სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქ. ა-ა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროისათვის და შემდგომშიც იყო ნ. ა-ას უფლებამოსილი წარმომადგენელი;

1.2.6. ელვა ფულადი გზავნილებით ირკვევა, რომ ქ. ა-ამ ბ. ნ-ძეს 2016 წლის 20 ოქტომბერს ჩაურიცხა 300 აშშ დოლარი (გზავნილის №09578733528), 2016 წლის 15 თებერვალს – 300 აშშ დოლარი (გზავნილი №48993639981). სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი

2019 წლის 4 აპრილს სს „ს. ბ-ის“ მიერ გაცემული ფულადი გზავნილების მიღების ოპერაციების შესახებ ცნობით ირკვევა, რომ ბ. ნ-ძეს 2015 წლის 17 დეკემბრიდან 2016 წლის 8 ნოემბრამდე მიღებული აქვს შემდეგი თანხები:

- 12.17.2015 – 200 აშშ დოლარი, გზავნილის კოდი 77703316223;
- 07.03.2016 – 300 აშშ დოლარი, გზავნილის კოდი 48993639981;
- 11.08.2016 – 300 აშშ დოლარი, გზავნილის კოდი 9578733528.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. როგორც უკვე ითქვა, საკასაციო საჩივრის ფარგლებში პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს სარგებლის განსაზღვრის ნაწილში სააღსრულებო ფურცლის კანონიერება, რამდენადაც მოვალეს სურს დაამტკიცოს, რომ მან შესრულებით სარგებლის ნაწილში შეწყვიტა ვალდებულება და აღარ არსებობდა სააღსრულებო ფურცლით უკვე გადახდილი თანხის დაკისრების წინაპირობები. სარჩელის ფაბულის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა ყურადღებას განსახილველი დავის თავისებურებაზე გაამახვილებს:

1.3.2. დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით სასამართლოს მიმართა მოვალემ და არა კრედიტორმა, რამდენადაც სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ კრედიტორის ინტერესების სანოტარო სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაკმაყოფილებაზე. კრედიტორმა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მიმართა ნოტარიუსს და აიღო სააღსრულებო ფურცელი, რომელსაც ნაწილობრივ არ ეთანხმება მოვალე. კლასიკური შემთხვევისაგან განსხვავებით, მოვალის სარჩელის ფარგლებში ფაქტობრივად მისი შესაგებლის კანონიერება უნდა შემომდგეს, თუმცა, მოთხოვნის წარმატებულობის დასადგენად, თავად სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლიანობა უნდა შეფასდეს და ამის შემდეგაა ღირებული მოვალის პრეტენზიებზე მსჯელობა.

1.3.3. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეთა შორის არსებობს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა. გამსესხებელი და მსესხებელი შეთანხმდნენ სამოქალაქო კოდექსის 623-ე, 625-ე, 286-ე, 417-ე და 418-ე მუხლების, ასევე, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლების წინაპირობებზე:

- კრედიტორმა მოვალეს საკუთრებაში გადასცა თანხა უკან დაბრუნების პირობით;

- სესხი იყო სარგებლიანი;

- სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოვალის კუთვნილი ქონება;

– ვალდებულების შესრულება ასევე უზრუნველყოფილ იქნა პირგასამტეხლოთი;

– ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს შეეძლო მიემართა ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის აღების მოთხოვნით.

1.3.4. მხარეები არ დავობენ, რომ მსესხებელმა დაარღვია ვალდებულება, ხოლო გამსესხებელმა აიღო სააღსრულებო ფურცელი, ამდენად, ზემოხსენებული ნორმების შესაბამისად, კრედიტორის მოქმედება კანონიერია. მიუხედავად ამისა, კასატორი აღნიშნავს, რომ მას სარგებლის ნაწილში ვალდებულება შესრულებული აქვს ნაწილობრივ და ნაცვლად სააღსრულებო ფურცელში მითითებული 1 795.80 აშშ დოლარისა იგი 1 430,8 აშშ დოლარით უნდა განისაზღვროს.

1.3.5. მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება). აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით ვალდებულება შეწყვეტილად მიიჩნევა შესრულებული ვალდებულების ოდენობის პროპორციულად. თავად ნორმის შინაარსის, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, შესრულების მტკიცების ტვირთი ყოველთვის მოვალეს ეკისრება, ხოლო, შესრულება, როგორც წესი, უნდა დადასტურდეს განკუთვნილი მტკიცებულებით (მაგ: სკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული სავალო საბუთი, უნაღდო ანგარიშსწორების დოკუმენტი და სხვა). მიუხედავად ამისა, საპროცესო სამართალი ითვალისწინებს გარკვეულ საშუალებებს, რომლებიც, შესაძლოა ამსუბუქებდეს ან საერთოდ ათავისუფლებდეს პირს მტკიცებისაგან, მათ შორისაა სარჩელის ცნობა, ფაქტის აღიარება და სხვა.

1.3.6. განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ 2018 წლის 5 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოპასუხის მიერ მიცემული განმარტების შედეგად დაადგინა, რომ 2016 წლის 20 ოქტომბრისა და 15 თებერვლის ქვითრებში მითითებული თანხის – 600 აშშ დოლარის ნაწილში სარჩელი ცნო. აღნიშნული, საკასაციო პალატის შეფასებით, წარმოადგენს არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრულ სარჩელის ცნობას, არამედ – სახეზეა ამავე კოდექსის 131-ე მუხლით განსაზღვრული ფაქტის აღიარება (ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს,

სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას), რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლის შესაბამისად, ფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში. არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხეს დადგენილი წესით არ გაუქარწყლებია აღიარება (სსსკ-ის 133-ე მუხლი), რაც საკასაციო პალატის დასკვნით, სარგებლის სახით 600 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე მოვალის მტკიცებისაგან გათავისუფლების საფუძველია, ხოლო, სააპელაციო პალატამ საპროცესო სამართლის წესების დარღვევით არ გაიზიარა იგი გადაწყვეტილების გამოტანისას. გარდა ამისა, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილია ელვა ფულადი გზავნილებით მოვალის მიერ გამსესხებლისათვის 800 აშშ დოლარის ჩარიცხვის ფაქტი, რაც საკასაციო პალატას აძლევს დასკვნის საფუძველს, რომ 1 400 აშშ დოლარის ოდენობით საპროცენტო სარგებლის ნაწილში ვალდებულება სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, შეწყვეტილია.

1.3.7. საქმის მასალებით დადგენილია, რომ სესხის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ერთი წლის ვადით იყო დადებული, სარგებელი შეადგენდა თვეში 3,37%, ანუ სარგებლის სრული ოდენობა იყო 2 830,8 აშშ დოლარი ($7\ 000 \times 3.37\% = 235.91$; $235.91 \times 12 = 2\ 830.8$), საიდანაც მოვალეს გადახდილი აქვს 1 400 აშშ დოლარი (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.3.6.), შესაბამისად, სარგებლის ნაწილში ვალდებულების შეუსრულებელი მოცულობა შეადგენს 1 430,8 აშშ დოლარს, რის ნაცვლადაც სანოტარო სააღსრულებო ფურცელში მითითებულია 1 795.80 აშშ დოლარი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საბანკო ინფორმაციისა და მოპასუხის მიერ აღიარებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, მოვალემ დაძლია 1 400 აშშ დოლარის ოდენობით საპროცენტო ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი, რომელიც მონინააღმდეგე მხარეს არ გაუქარწყლებია, შესაბამისად, მსესხებლის მოთხოვნა სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანისა და სარგებლის 1 430,8 აშშ დოლარით განსაზღვრის თაობაზე საფუძვლიანია.

1.4. ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას. ვინაიდან არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, თავად იღებს გადაწყვეტილებას: წინამდებარე გადაწყვე-

ტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობის შე-საბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მსესხებელმა სარგებლის სა-ხით ნაცვლად 2 830,8 აშ დოლარისა, კრედიტორს გადაუხადა 1 400 აშშ დოლარი და სააღსრულებო ფურცელში სარგებლის ოდენობა, ნაცვლად მითითებულისა, უნდა განისაზღვროს 1 430,8 აშშ დოლა-რით.

2. პროცესის ხარჯები:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით გან-საზღვრული სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, პალა-ტა მიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს კასატორის სასარგებლოდ პრო-ცესის ხარჯების ანგარიშში ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი თან-ხიდან უნდა დაეკისროს 300 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. ა-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა პალატის 2019 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-8 პუნქტები და მიღებულ იქ-ნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ნ. ა-ას სარჩელი სარგებლის შემცირების ნაწილში დაკმაყო-ფილდეს:
 - 3.1. ნოტარიუს მ. ჯ-ის მიერ 2017 წლის 5 იანვარს გაცემულ №170008510 სააღსრულებო ფურცელში მითითებული სარგებლის ოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს 1 430,8 აშშ დოლარით.
 - 3.2. ბ. ნ-ძეს (პ/№6...) ნ.ა-ას (პ/№6...) სასარგებლოდ დაეკისროს 300 ლარის გადახდა.
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვალდებულების შეწყვეტა დაპონირებით

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-468-468-2018

12 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნოტარიუსის მიერ დეპოზიტში მიღებული თანხის დაბრუნება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ს. რ-ამ“ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ნოტარიუს მ. გ-ძის (შემდგომში – „მოპასუხე“, „კასატორი“ ან „ნოტარიუსი“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ:

1.1. სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული და კრედიტორის მიერ მიუღებელი თანხის – 662 704,12 ლარის გადახდის დაკისრება;

1.2. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის – 2014 წლის 6 ივლისიდან წინამდებარე სარჩელის თარიღამდე 24 585,42 ლარის და წინამდებარე სარჩელის თარიღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდში წლიური 5%-ის, რაც ყოველდღიურად შეადგენს 90,78 ლარს, დაკისრება.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. 2011 წლის განმავლობაში მოსარჩელემ განახორციელა 3 008 833,91 ლარის დეპონირება ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების, მათ შორის, შპს „ბ-ი“ (შემდგომში – „კრედიტორი“) კომპენსაციის გადახდის ვალდებულების შესრულების მიზნით. მოსარჩელემ შპს „ბ-ოს“ უძრავი ქონების საკომპენსაციო თანხა – 662 704,12 ლარი ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე (სს „პ. ბ-ი“, ანგარიშის ნომერი: GE62PC01336...) 2011 წლის 6 ივლისს გადარიცხა;

2.2. კრედიტორს დღემდე არ მიუღია საკომპენსაციო თანხა, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლით გათვალისწინებული, დეპონირებული საგნის შენახვის 3-წლიანი ვადა გა-

ვიდა 2014 წლის 6 ივლისს;

2.3. სსკ-ის 441-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსი ვალდებული იყო დეპონირების ვადის გასვლის შემდეგ მოვალისათვის (მოსარჩელისთვის) ეცნობებინა კრედიტორების მიერ მიუღებელი თანხების შესახებ და მოეთხოვა მოვალის მიერ თანხის უკან დაბრუნება;

2.4. ნოტარიუსმა შეტყობინების ვალდებულება არ შეასრულა, ამიტომ მოსარჩელემ არაერთგზის ზეპირსიტყვიერად და წერილობით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა დეპონირებული თანხის უკან დაბრუნება. თუმცა, ნოტარიუსს აღნიშნული ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია. ნოტარიუსს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მისაღები თანხიდან უნდა გამოიქვეითოს ნოტარიუსის საზღაური და დეპონირებული თანხების საბანკო ანგარიშიდან გატანის საკომისიო;

2.5. მოსარჩელე არ იზიარებს ნოტარიუსის მოსაზრებას მოსარჩელის მიერ საბანკო ანგარიშიდან თანხების გატანის საკომისიოს დაფარვის ვალდებულების თაობაზე, თუმცა, 2015 წლის 6 იანვრის წერილით მზადყოფნა გამოთქვა დეპონირებული თანხის მიღების შესახებ ასეთი საკომისიოს გამოკლებით, იმ პირობით, რომ საკომისიოს ოდენობა და მისი ანაზღაურების ვალდებულება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სადავო დარჩებოდა;

2.6. მიუხედავად აღნიშნულისა, ნოტარიუსს დეპონირებული თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია;

2.7. მოპასუხეს ვალდებულება რომ შეესრულებინა და კანონით დადგენილ ვადაში – 2014 წლის 6 ივლისს მოსარჩელისთვის დაებრუნებინა 662 704,12 ლარი, მოსარჩელე, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი დეპოზიტებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად, წინამდებარე სარჩელის თარიღამდე მიიღებდა შემოსავალს აღნიშნული თანხის კომერციულ ბანკში დეპოზიტზე განთავსებით 24 585,42 ლარის ოდენობით, ხოლო, სანამ ძირითადი თანხა სრულად არ იქნება მოსარჩელისთვის გადმორიცხული, ყოველდღიურად ადგება ზიანი 90,78 ლარის ოდენობით.

3. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხავი შესაგებელი და განმარტა, რომ:

3.1. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 97-ე მუხლით, თუ კრედიტორი უარს აცხადებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობების მიღებაზე, ნოტარიუსი ამის შესახებ აცნობებს მოვალეს და მოითხოვს შენატანის უკან დაბრუნებას. კრედიტორის უარი შენატანის მიღებაზე უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. უარის თქმად ჩაითვლება, თუ კრედიტორი არ მიიღებს დეპოზიტის საგანს მისი შეტანიდან სამი

ნლის განმავლობაში. მოვალეს შენატანის დაბრუნებისათვის ნოტარიუსის მიერ განესაზღვრება ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები. თუ მიცემული ვადის განმავლობაში მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს ან თუ იგი უარს აცხადებს შენატანის დაბრუნებაზე, მაშინ ვალდებულების საგანი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებად. მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები ნოტარიუსის მიერ ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაქვითული თანხისა;

3.2. განსახილველ შემთხვევაში მითითებული სამთვიანი ვადა მოვალის მიმართ გამოითვლება 2014 წლის 6 ივლისი – 6 ოქტომბრის პერიოდით. სწორედ ამ პერიოდში ნოტარიუსმა მოსარჩელეს აცნობა დეპოზიტზე განთავსებული თანხიდან სანოტარო მომსახურების სახით თანხის დაფარვისა და დეპოზიტში მიღებული თანხის უკან დაბრუნებისათვის კანონით სავალდებულო სანოტარო აქტების გასაფორმებლად წარმომადგენლის დანიშვნის საჭიროების შესახებ, რასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ოქმის შედგენამდე დირექტორთა საბჭოს 2011 წლის 9 მარტის №27/8 დადგენილებით თავადვე ჰქონდა განსაზღვრული დეპოზიტზე განთავსებული თანხის სამი თვის სანოტარო საზღაურის გადახდა. კრედიტორის მიერ თანხის მიუღებლობის შემთხვევაში, მოსარჩელეს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა, ვინაიდან ნოტარიუსი თავის საქმიანობას ახორციელებს კანონის საფუძველზე. ნოტარიუსს კანონი იმპერატიულად უდგენს მომსახურების საზღაურს, მისი შემცირება ან მასზე უარი არ დაიშვება სახელმწიფო ბიუჯეტში მოუკითხავი სადეპოზიტო თანხების გადარიცხვის შემთხვევაშიც;

3.3. მოსარჩელე დეპოზიტში მიღებული თანხის კრედიტორის მიერ მიუღებლობაზე ინფორმირებული იყო და მას არ სურდა ნოტარიუსისთვის სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა, რაც დასტურდება მოსარჩელის 2014 წლის 26 დეკემბრის №7844, 2015 წლის 12 იანვრის №174 და 2015 წლის 9 თებერვლის №775 წერილებით;

3.4. ნოტარიუსის საზღაური გამოიანგარიშება საზღაურის მაქსიმალური – 10 000 ლარის ოდენობით შემდეგი სახით: (1) $662\,704,12 - 500\,000 = 162\,704,12 \times 0,1\% = 162,71$ ლარი; (2) $1162,5$ ლარი + $162,71$ ლარი = $1325,21$; $4 = 331,30$ ლარი; (3) $331,30$ ლარი – ნოტარიუსის დეპოზიტზე თანხის შენახვის ყოველთვიური საზღაური; (4) $331,30$ ლარი $\times 36$ თვეზე = $11\,926,83$ ლარი (მაგრამ, ვინაიდან საზღაურის მაქსიმალური ოდენობა არის 10 000 ლარი, მას ემატება დღგ 18% და 2 ლარი ელ.რეესტრის სარეგისტრაციო საფასური). რაც შეეხება ბანკის საკომისიოს, ბანკის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად,

თანხის მოსარჩელისათვის გადარიცხვის ტრანზაქციის განხორციელებისას დეპოზიტზე განთავსებულ თანხას გამოაკლდება 6116,35 ლარი.

4. მოსარჩელემ პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას განმარტა, რომ მოპასუხემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, 2015 წლის 5 ივნისს ნოტარიუსმა დაამოწმა სა-ნოტარო აქტი დეპონირებული ფულის, ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ, რომლის თანახმად, მოპასუხეს მოსარჩელისთვის უნდა გადაერიცხა 2011 წლის 5 ივლისის ოქმით შპს „ბ-ოს“ სასარგებლოდ დეპონირებული 662 704,12 ლარი. 2015 წლის 5 ივნისს მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე გადარიცხა 644 785,77 ლარი. შესაბამისად, მოპასუხემ მოსარჩელისთვის გადასახდელი თანხიდან გამოქვითა 17 918,35 ლარი, რაც მოსარჩელემ უსაფუძვლოდ მიიჩნია. გამომდინარე აქედან, მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნა შეამცირა და მოითხოვა მოპასუხისთვის მოსარჩელის სასარგებლოდ:

4.1. სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული და კრედიტორის მიერ მიუღებელი თანხის 17 585,05 ლარის გადახდის დაკისრება;

4.2. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის – 2015 წლის 5 ივნისამდე 35 932,92 ლარის და 2015 წლის 5 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდში დანაკლისი თანხის 17 585,05 ლარის წლიური 5%-ის გადახდის დაკისრება, რაც ყოველდღიურად შეადგენს 2,40 ლარს.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნები ნოტარიუსის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7461,46 ლარი; მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნები მოპასუხისთვის 46 056,51 ლარის დაკისრებისა და 2015 წლის 5 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველდღიურად 2,4 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

6. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული და კრედიტორის

მიერ მიუღებელი თანხა 10 123,59 ლარის ოდენობით; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება 2015 წლის 5 ივნისამდე პერიოდის განმავლობაში 35 932,92 ლარისა და 2015 წლის 5 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე 17 585,05 ლარის წლიური 5%-ის ოდენობით, რაც ყოველდღიურად შეადგენს 2,40 ლარს.

8. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე [თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან], 440.2 [მოვალეს შეუძლია ჩაბარებული საგანი უკან დაიბრუნოს, თუ კრედიტორი უარს ამბობს მასზე, ან თუ გავიდა 441-ე მუხლით განსაზღვრული ვადა] და 441-ე მუხლებით [სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად].

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9.1. 2011 წლის 5 ივლისს შპს „ს. რ-ამ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის შესაბამისად, შპს „ბ-ოს“ სასარგებლოდ 662 704.12 ლარის დეპონირების მიზნით მიმართა ნოტარიუს მ. გ-ძეს, რომელმაც დაამოწმა ფულადი სახსრების დეპოზიტში მიღების ოქმი;

9.2. 2011 წლის 6 ივლისს შპს „ს. რ-ამ“ ნოტარიუს მ. გ-ძის ანგარიშზე გადარიცხა დეპონირებისათვის შეთანხმებული თანხა;

9.3. ნოტარიუს მ. გ-ძისათვის მის ანგარიშზე არსებული თანხის მისაღებად მოსარჩელის კრედიტორს, შპს „ბ-ოს“ არ მიუმართავს;

9.4. 2014 წლის 26 დეკემბერს მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 440-ე-441-ე მუხლების შესაბამისად, ნოტარიუს მ. გ-ძისაგან მოითხოვა კრედიტორის მიერ მიუღებელი, დეპონირებული თანხის უკან დაბრუნება;

9.5. 2014 წლის 31 დეკემბერს ნოტარიუსმა დეპონირებული თანხის დაბრუნებაზე მოსარჩელეს უარი განუცხადა. ნოტარიუსმა მიუთითა იმ ნორმატიულ აქტებზე, რომლითაც რეგულირდება დეპოზიტზე თანხის მიღებისთვის ნოტარიუსის საზღაური და თანხის გაცემის საბანკო ოპერაციისათვის საკომისიო და აღნიშნა, რომ წე-

რილში მითითებულ ანგარიშზე ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ოპერაციის განსახორციელებლად აუცილებელი იყო სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის სანოტარო ბიუროში მივლინება, რათა დეპონირებული ფულის გადაცემასთან დაკავშირებით ხელმოწერილი ყოფილიყო სანოტარო აქტი, რის შემდეგაც განხორციელდებოდა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხიდან დანაშთი თანხის უკან დაბრუნება მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის მეშვეობით, ნოტარიუსის საზღაურისა და საბანკო ოპერაციების შედეგად მომსახურებისათვის დარიცხული საკომისიოს გამოკლებით;

9.6. სს „პ. ბ-ის“ ცნობის თანახმად, შპს „ს. რ-ისგან“ 2010 წლიდან 2011 წლის ჩათვლით ჩარიცხულმა თანხამ მ. გ-ძის სს „პ. ბ-ი“ გახსნილ ანგარიშზე შეადგინა ჯამურად 3 058 173,59 ლარი და გატანის საკომისიო თანხაზე შედგენს 6 116 ,35 ლარს;

9.7. 2015 წლის 6 იანვარს მოსარჩელემ წერილით მიმართა ნოტარიუსს და კვლავ მოითხოვა, ნოტარიუსს გადაერიცხა მოსარჩელის ანგარიშზე დეპონირებული თანხის ის ნაწილი, რომელიც ნოტარიუსის გაანგარიშების თანახმად გადარიცხვას ექვემდებარებოდა; ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ დეპონირებული თანხების სადეპოზიტო ანგარიშიდან გატანის საკომისიოს ანაზღაურების საკითხი მხარეებს შორის რჩებოდა სადავო, აღნიშნულის ასახვა მომხდარიყო დეპონირებული ფულის, ფასიანი ქაღალდების გადაცემასთან დაკავშირებით შესადგენ სანოტარო აქტში. დეპონირებული თანხების სადეპოზიტო ანგარიშიდან გატანის საკომისიოს მოსარჩელის მიერ ანაზღაურების საფუძვლიანობის საკითხი მოსარჩელის შესაბამისი სარჩელის საფუძველზე გადაწყდებოდა სასამართლოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. იქვე მიეთითა, რომ მოსარჩელის მხრიდან სანოტარო აქტზე ხელმოწერისათვის უფლებამოსილება ენიჭება იურიდიული სამსახურის უფროსის მრჩეველ გ. თ-ს, რომელიც მივლინებულ იქნება სანოტარო ბიუროში 2015 წლის 6 იანვარს წინამდებარე წერილის ჩაბარების, ზემოაღნიშნული დოკუმენტების მიღებისა და სანოტარო აქტზე ხელმოწერის მიზნით;

9.8. 2015 წლის 12 იანვარს მოსარჩელემ ნოტარიუსი წერილით გააფრთხილა, რომ მან დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლის მოთხოვნა და არ შეასრულა ვალდებულება, ხოლო 2015 წლის 3 თებერვალს მის წინააღმდეგ აღძრა წინამდებარე სარჩელი დეპოზიტზე განთავსებული თანხის უკან დაბრუნებისა და სანოტარო მოქმედების განუხორციელებლობისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების შესახებ;

9.9. 2015 წლის 9 თებერვალს მოსარჩელემ წერილით მიმართა

ნოტარიუსს, სადაც აღნიშნა, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა გ. თ-მა ჩაიბარა სადეპოზიტო ანგარიშზე დეპონირებული და კრედიტორების მიერ მიუღებელი თანხების დაბრუნების მიზნით გასაფორმებელი სანოტარო აქტის პროექტი დეპონირებული ფულის, ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ, რასაც მოსარჩელე არ ეთანხმება და ნოტარიუსს მოუწოდა პროექტის კორექტირებისათვის. ამასთან, მოითხოვა ნოტარიუსს სანოტარო აქტის გაფორმების გარეშე გადაერიცხა თანხის ის ნაწილი, რომელიც ნოტარიუსის მოსაზრებისა და გაანგარიშების თანახმად ექვემდებარებოდა გადარიცხვას ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშიდან;

9.10. 2015 წლის 5 ივნისს ნოტარიუსსა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა დეპონირებული ფულის, ფასიანი ქაღალდების გადაცემის სანოტარო აქტი, რითაც მოსარჩელის მიმართ უნდა განხორციელებულიყო დეპონირებული თანხის დაბრუნება უნაღდო ანგარიშსწორების გზით. იქვე მითითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 440.3 მუხლი და ის, რომ გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 000 ლარი, დღგ 1800 ლარი და 2 ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ 11 802 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ დადგენილებისა, 29 დეკემბერი, 2011 წ. №507, 29 მუხლი (2ა პუნქტი) 39 და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლებისა;

9.11. საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 5 ივნისის №1 საგადახდო დავალების თანახმად, ირკვევა, რომ ნოტარიუსმა სს „პ. ბ-ი“ საქართველოდან მოსარჩელის ანგარიშზე სს „ვ.ბ.ჯ-აში“ გადარიცხა 644 785,77 ლარი. გადახდის დანიშნულებად მითითებულია დეპონირებული თანხის მოვალისათვის გადარიცხვა უკან.

10. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, დადგენილად მიიჩნია ორი ფაქტი:

10.1. ნოტარიუსმა მოსარჩელეს 2011 წლის 5 ივლისის სანოტარო აქტის საფუძველზე მოსარჩელის კრედიტორისათვის დეპონირებული 662 704,12 ლარის კრედიტორის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში მიუღებლობისა და მოვალის მიერ უკან გამოთხოვის საფუძველზე დაუბრუნა 644 785,77 ლარი (როგორც ნოტარიუსი აცხადებს სანოტარო საქმიანობის ხარჯებისა და ბანკის საკომისიო თანხის გამოკლებით);

10.2. ნოტარიუსს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლით დადგენილი წესით კრედიტორისათვის დეპონირებული ვალდებულების მიღების სამწლიანი ვადის უშუალოდ გასვლის გა-

მო არ მიუმართავს მოსარჩელისთვის, როგორც მოვალისათვის დეპონირებული თანხის უკან დაბრუნების შესაძლებლობის გაფრთხილების გამო.

11. სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარდგენილი, მოსარჩელე კომპანიის მოხელეებთან სატელეფონო ზარების ამსახველი ცნობები არ მიიჩნია სათანადო მტკიცებულებად, რომელიც გააქარწყლებდა მოსარჩელის მტკიცებას სსკ-ის 441-ე მუხლის თანახმად დეპონირებული თანხის უკან დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ ნოტარიუსის მიერ მოვალის გაფრთხილების თაობაზე, რადგან სატელეფონო ზარებით ვერ მტკიცდებოდა შესაბამის პირებთან საუბრის შინაარსი, ამავე დროს, არ არსებობდა არანაირი წერილობითი დადასტურება მოსარჩელის ინფორმირების შესახებ, მაშინ როცა მოსარჩელე უარყოფდა გაფრთხილების თაობაზე ნოტარიუსის ქმედების ფაქტს.

12. სააპელაციო პალატამ მიუთითა სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების პირველ მუხლზე, მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, განისაზღვრა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაურის ცნება, კერძოდ, დანაწესში მიეთითა, რომ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური (შემდგომში – საზღაური) არის სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური მომსახურებისათვის გადახდილი ანაზღაურება, რომელშიც არ შედის დამატებული ღირებულების გადასახადი; დადგენილების მე-5.1 მუხლზე, რომლის თანახმად, საზღაური გადაიხდევინება შესაბამისი მომსახურების განვეისთანავე; მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია არ გასცეს მასთან სანოტარო მოქმედების შესასრულებლად წარდგენილი დოკუმენტები შესაბამისი მოქმედებისათვის საზღაურის გადახდამდე და განეული ხარჯების ანაზღაურებამდე; დადგენილების 29-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, საზღაური ამ წესის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განაკვეთების მეოთხედი ოდენობით გადაიხდევინება შემდეგი მოქმედებების შესრულებისათვის: ა) ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების დეპოზიტზე მიღება, მაგრამ ყოველი თვისათვის არანაკლებ 4 ლარისა; მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ფულის დეპოზიტზე მიღების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საზღაურის გარდა, ნოტარიუსის საზღაურ-

რია ასევე დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის მთლიანი ოდენობა; დადგენილების 23-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთებია: როცა გარიგების ღირებულებაა 500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით საზღაურის ოდენობა ლარებით არის გარიგების ღირებულების 1162,5 ლარი + 500000 ლარის ზევით თანხის 0,1%; ამავე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრული საზღაური არ უნდა იყოს 10 000 ლარზე მეტი.

13. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ნოტარიუსის 2011 წლის 5 ივლისს შედგენილი სანოტარო აქტით დადასტურებული ფულადი სახსრების დეპოზიტში მიღების ოქმის თანახმად, დეპონირებულ თანხას შედგენს 662704,12 ლარი და აღნიშნა, რომ ზემოთ მითითებული დადგენილების 23-ე და 29-ე მუხლებით დადგენილი საზღაურის გაანგარიშების წესის მეთოდის თანახმად, სანოტარო საზღაური უნდა განსაზღვრულიყო შემდეგი დაანგარიშებით: დეპონირებულ თანხას 662704,12 უნდა გამოაკლდეს 500000, რაც არის 162704,12 ლარი, რომლის 0,1 პროცენტს $(162704,12:100 \times 0,1 = 162,70)$ – 162,70 ლარს უნდა დაემატოს 1162,5 ლარი – ჯამით (1325,2 ლარი). 1352,2 ლარის ერთი მეოთხედი ნაწილი შეადგენს 331,3 ლარს. სასამართლომ მიუთითა სს „პ. ბ-ის“ ცნობაზე, რომლის თანახმად, სს „პ. ბ-ის“ ტარიფების პოლიტიკის შესაბამისად ჩარიცხულ თანხაზე 2012 წლის 26 ივლისის ჩათვლით ჩარიცხულ თანხაზე გატანის საკომისიო შეადგენდა 0,2%-ს, ხოლო 2012 წლის 27 ივლისიდან დღემდე მოქმედებს ჩარიცხულ თანხაზე გატანის საკომისიო 0,3%-ის ოდენობით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული ტარიფი შეადგენდა ანგარიშიდან თანხის გატანის საკომისიოს და არა ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე გადარიცხვის საკომისიოს. შესაბამისად, აღნიშნულის დაკავება, როგორც ნოტარიუსის საზღაურისა, არ შეესაბამებოდა კანონს.

14. სააპელაციო პალატამ იმსჯელა საკითხზე, ნოტარიუსის მიერ სსკ-ის 441-ე მუხლით დადგენილ ვადაში მოვალის გაუფრთხილებლობა და სარჩელის აღძვრამდე და მას შემდეგაც სადეპოზიტო თანხების გადარიცხვის პროცესის გაგრძელება და სრულყოფილად დაუბრუნებლობა არის თუ არა სადეპოზიტო თანხების უკან დაბრუნების პროცესის გაჭიანურება, რამაც ზიანი მიაყენა მოსარჩელე მხარეს.

15. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 441-ე მუხლზე, სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის

2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 97-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ კრედიტორი უარს აცხადებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან სხვა ფასეულობებს მიღებაზე, ნოტარიუსი ამის შესახებ აცნობებს მოვალეს და მოითხოვს შენატანის უკან დაბრუნებას. კრედიტორის უარი შენატანის მიღებაზე უნდა დამონმდეს სანოტარო წესით. უარის თქმად ჩაითვლება, თუ კრედიტორი არ მიიღებს დეპოზიტის საგანს მისი შეტანიდან სამი წლის განმავლობაში. მოვალეს შენატანის დაბრუნებისათვის ნოტარიუსის მიერ განესაზღვრება ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები. თუ მიცემული ვადის განმავლობაში მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს ან თუ იგი უარს აცხადებს შენატანის დაბრუნებაზე, მაშინ ვალდებულების საგანი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებად. მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები ნოტარიუსის მიერ ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაქვითული თანხისა.

16. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმატიული დანაწესების იმპერატიულობა უნდა განისაზღვროს სსკ-ის 434-ე მუხლით და კრედიტორის ჩანაცვლების სამართლებრივი რეჟიმით. კერძოდ, მოვალის მიერ ნოტარიუსის ანგარიშზე დეპონირებული ფულადი ვალდებულებით კრედიტორის წინაშე ვალდებულება წყდება, ანუ დეპონირებით ვალდებულების შესრულების ჩანაცვლებით ვალდებულება შესრულებულად მიიჩნევა. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი უარს განაცხადებს ვალდებულების შესრულების მიღებაზე, იგივე 3 წლის ვადაში არ მიაკითხავს ნოტარიუსს დეპონირებული თანხის მიღებისათვის, ნოტარიუსმა უნდა აცნობოს ამის შესახებ მოვალეს და დაუნიშნოს ვადა კანონქვემდებარე აქტით დადგენილი დროის მონაკვეთით განახორციელოს დეპონირებული თანხის უკან დაბრუნება ან უარი თქვას მასზე, რადგან უარის თქმის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია დეპონირებული თანხა გადასცეს სახელმწიფოს. ანუ ნოტარიუსისაგან დეპონირებული ვალდებულების უკანვე დაბრუნებისათვის ძირითადი კრედიტორის ადგილს სამართლებრივი თანმიმდევრობით იკავებს მოვალე და შემდეგ სახელმწიფო, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ დროს ნოტარიუსს წარმოეშობა კანონისმიერი ვალდებულება ჯერ ძირითადი კრედიტორის მოვალის და შემდეგ სახელმწიფოს მიმართ, რა ვალდებულებაც კანონით განწერილი თანმიმდევრობით უნდა შეასრულოს ნოტარიუსმა. დადგენილია, რომ 2014 წლის 6 ივლისს მოსარჩელის მიმართ შეიქმნა სამართლებრივი მდგომარეობა მის მიერ დეპონირებული თანხის უკან დაბრუნების შე-

საძლებლობის შესახებ, ხოლო ნოტარიუსს წარმოეშვა ვალდებულება აღნიშნული თანხის დაბრუნებისა მოვალის ნების შემთხვევაში. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, კანონში არ არის განერილი ზუსტი დრო, თუ რა ვადაში უნდა დაინყოს ნოტარიუსმა მის მიმართ წარმოშობილი კანონისმიერი ვალდებულების შესრულების პროცედურა, რაშიც მოიაზრება უპირველესად მოვალის შეტყობინება კრედიტორის მიერ დეპონირებულ თანხებზე უარის შესახებ, თუმცა ასეთი პროცედურა არ უნდა იყოს დროში განელილი და არ უნდა გასცდეს დროის გონივრული შუალედის ფარგლებს.

17. სააპელაციო პალატის მითითებით, სადავო საქმის მასალაზე ბით არ დასტურდებოდა, რომ მოვალის გაფრთხილების კანონით განერილი პროცედურის დაწყების ინიციატორი ნოტარიუსი იყო, ანუ დადგენილი იყო, რომ მოვალე კრედიტორის მიერ კანონით დადგენილ 3-წლიან ვადაში სადეპოზიტო თანხების გატანაზე უარის შესახებ ნოტარიუსის მიერ არ იქნა გაფრთხილებული. 2014 წლის 26 დეკემბრის წერილით კი ირკვეოდა, რომ მოვალის მიერ დეპონირებული თანხის უკან გამოთხოვის პროცედურის დაწყება თავად მოვალის ინიციატივით მოხდა. შესაბამისად, დეპონირებული თანხის დაბრუნების კანონით განერილი პროცედურა დაინყო 2014 წლის 6 ივლისიდან, კრედიტორის მიერ დეპონირებული თანხის გატანის ბოლო ვადიდან 5 თვის გასვლის შემდეგ მოვალის ინიციატივით, აღნიშნული გარემოება ადასტურებდა, რომ მოვალის გაფრთხილების კანონისმიერი ვალდებულების შესრულების გონივრული ვადა ნოტარიუსის მიერ დაცული არ იქნა. ამასთან, ნოტარიუსის მიერ სადეპოზიტო თანხის ნაწილის დაბრუნება მოვალისთვის განხორციელდა სარჩელის აღძვრის შემდეგ, მანამდე თანხის უკან დაბრუნების პროცედურა, მიუხედავად მოვალის თანხმობისა, დეპონირებული თანხები დაბრუნებოდა ნოტარიუსის მიერ დაანგარიშებული ხარჯების გამოქვითვით, ნოტარიუსის მიერვე გაჭიანურდა.

18. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარე მიუღებელი ზიანის რეალურობას ასაბუთებდა იმ გარემოებებზე მითითებით, რომ მოსარჩელის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს ერიცხებოდა სარგებელი. მოსარჩელის ფინანსური ბრუნვა დიდი იყო და იგი ბანკებისათვის ყოველთვის სასურველ კლიენტს წარმოადგენდა. სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ 2015 წლის 1 ივლისის სს „ლ. ბ-ის“ ცნობაზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს სს „ლ. ბ-ში“ გახსნილ ანგარიშზე 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით ერიცხებოდა შემდეგი საპროცენტო განაკვეთი ლარში არსებულ თანხას: 2014 წლის 1 ივლი-

სიდან 2014 წლის 4 აგვისტომდე 15 მილიონ ლარამდე დღიური ნაშ-
თის შემთხვევაში – მთლიან ნაშთზე წლიური 7%; 2014 წლის 4 აგ-
ვისტოდან 2014 წლის 24 ნოემბრამდე 20 მილიონ ლარამდე დღიუ-
რი ნაშთის შემთხვევაში – მთლიან ნაშთზე 7%, 20 მილიონ ლარზე
მეტი დღიური ნაშთის შემთხვევაში – წლიური 2% მთელ ნაშთზე;
2014 წლის 24 ნოემბრიდან დღემდე: 20 მილიონ ლარამდე დღიური
ნაშთის შემთხვევაში – მთლიან ნაშთზე 7%, 20 მილიონ ლარზე მე-
ტი დღიური ნაშთის შემთხვევაში – წლიური 2% 20 მლნ ლარზე მე-
ტი ჭარბ თანხაზე. სასამართლომ მიუთითა ასევე სს „ბ-ის“ 2015
წლის 24 ივნისის ცნობაზე, რომლის თანახმად, სს „ბ-ი“ ადასტუ-
რებს, რომ მოსარჩელეს მის კუთვნილ ანგარიშებზე ერიცხებოდა
შემდეგი საპროცენტო სარგებელი: 2014 წლის 1 ივლისიდან 2015
წლის 31 იანვრის ჩათვლით ყოველი დღის ბოლოს არსებულ ნაშ-
თებს ერიცხებოდა 8 00000000 ლარამდე ნაშთის წლიური 3%, 8
00000000 ლარის ზემოთ ნაშთის წლიური 3%, 2015 წლის 1 თებერ-
ვლიდან 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით ყოველი დღის ბოლოს და-
ფიქსირებულ ნაშთებს ერიცხება 10 000 000 00 ლარის ჩათვლით
ნაშთის წლიური 5,5% 10 000 000 00 ლარიდან 20,000000000 ლარის
ჩათვლით ნაშთს წლიური 3%, 20 000 000 00 ლარის ზემოთ ნაშთს
წლიური 0%, ხოლო ს. ბ-ის ცნობის თანახმად, მოსარჩელეს ორგა-
ნიზაციას სს „ბ. ბ-ის“ მიმდინარე ანგარიშზე 2014 წლის ივლისიდან
2015 წლის 7 მაისის ჩათვლით ერიცხებოდა სარგებელი 3000000
ლარამდე წლიური 8%, 3000000 ლარს ზევით 6,5% (მთლიან თანხა-
ზე). სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი
იყო 2014 წლის 24 ნოემბრის ხელშეკრულება მოსარჩელის ანგარი-
შებზე არსებულ ნაშთებზე სარგებლის დარიცხვის შესახებ და 2015
წლის 30 იანვრის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელ-
შეკრულების დამატება.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 411-ე [ზიანი
უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქო-
ნებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვის
საც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს
და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შეს-
რულებულიყო] და 412-ე მუხლებით [ანაზღაურებას ექვემდებარ-
ება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო
სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამოძვევი მოქმედების უშუ-
ალო შედეგს]; აგრეთვე, მხედველობაში მიიღო საქართველოს უზე-
ნაესი სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის №ას-307-291-2011
და 2015 წლის 7 ოქტომბრის №ას-459-438-2015 განჩინებებში არ-
სებული განმარტებები და აღნიშნა, რომ მიუღებელი შემოსავალი
სავარაუდო შემოსავალია და საჭიროა ყველა მნიშვნელოვანი გა-

რემოვების შეფასებიდან ჩანდეს მისი დადგომის შესაძლებლობა, ამასთან, მიუღებელი შემოსავლის გამოვლენისათვის მნიშვნელოვანია ზიანის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის კუმულატიური ხასიათის ელემენტებით შემდგარი კრიტერიუმით ზიანის გამოვლენა და დადგენა, კერძოდ, ესენია: 1) ქმედება; 2) მართლწინააღმდეგობა; 3) დამდგარი ზიანი; 4) მიზეზობრივი კავშირი მართლწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის და 5) ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა). ასეთ კრიტერიუმთა მოცემულობაში მოსარჩელე მხარემ უნდა ამტკიცოს მოპასუხე მხარის ბრალეულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის კავშირი.

20. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 3.6 მუხლსა [ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. სახელმწიფო პასუხს არ აგებს ნოტარიუსის მიერ მიყენებული ზიანისათვის] და 22-ე მუხლზე [ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ] და აღნიშნა, რომ ნოტარიუსმა სანოტარო საქმიანობის განხორციელებისას კანონისმიერი ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, რამაც მოსარჩელის დეპონირებული თანხების უკან დაბრუნებით მისაღები სარგებლის დაკარგვით მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანი წარმოშვა.

21. სააპელაციო პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია მიუღებელი შემოსავლის სახით მოსარჩელის მიერ დაანგარიშებული თანხა: ზიანი დათვლილია 2014 წლის 6 ივლისიდან (დეპონირებული თანხის შენახვის 3-წლიანი ვადა ამოიწურა 2014 წლის 5 ივლისს); გაანგარიშება გაკეთებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, დეპოზიტებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესაბამისად; 2014 წლის 6 ივლისიდან სარჩელის შეტანამდე (2015 წლის 30 იანვარი) ზიანი დათვლილია ყოველდღიურად დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით (დეპონირებული თანხა X წლიური საპროცენტო განაკვეთი/100/365=ერთი დღის სარგებელი) და ამ პერიოდზე მიუღებელმა შემოსავალმა შეადგინა 24,585.42 ლარი; ვინაიდან სარჩელის შეტანის მომენტისათვის დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 5%-ს, მოსარჩელემ მე-8 ფაქტობრივ გარემოებაში მიუთითა, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანი ადგება ყოველდღიურად 5% (წლიური) ოდენობით, რაც შეადგენდა დღეში 90.78 ლარს; მოპასუხემ დეპონირებული თანხის ნაწილი (644,785.77 ლარი) მოსარჩელეს გადაუხადა 2015 წლის 5 ივნისს, შესაბამისად სარჩელის შეტანიდან აღნიშნული თანხის გადახდამდე პერიოდში თანხის გადმორიცხვა და-

მატებით დაყოვნებულ იქნა 125 დღე, ამ პერიოდზე მიყენებულმა ზიანმა კი შეადგინა 11,347.11 ლარი ($125 \times 90.78 = 11,347.11$); ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2015 წლის 5 ივნისამდე მიუღებელი შემოსავლის სახით მოსარჩელეს მიადგა ზიანი 35,932.92 ლარის ოდენობით ($24,585.42 + 11,347.11 = 35,932.92$), ხოლო 2015 წლის 5 ივნისიდან ადგება ზიანი გადმოსარიცხი/არამართლზომიერად დაკავებული თანხის წლიური 5%-ის ოდენობით ყოველდღიურად, რაც შეადგენს დღეში 2.4 ლარს; მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მოპასუხემ უსაფუძვლოდ დაუკავა და არ გადმოურიცხა 17,585.05 ლარი, რისი წლიური 5% ყოველდღიურად შეადგენს 2.4 ლარს.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო, ხოლო მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი – საფუძვლიანი.

23. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე ნოტარიუსმა წარადგინა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

24. კასატორმა მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

24.1. სააპელაციო სასამართლომ ნოტარიუსს არა მარტო უსაფუძვლოდ დააკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება, არამედ – ნოტარიუსი საერთოდ სანოტარო საზღაურის გარეშე დატოვა. ამასთან, მას უკანონოდ გადასახდელად დააკისრა მოსარჩელისთვის, როგორც მოვალისათვის, დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნებისას საბანკო გადარიცხვის მომსახურების თანხაც, ანუ თანხა, რომელიც უშუალოდ ნოტარიუსს არ მიუღია და, რომლის გადახდაც კანონით მხოლოდ სააქციო საზოგადოებას ევალება;

24.2. მოსარჩელემ 2014 წლის 26 დეკემბრის №7844 წერილით პირველმა მიმართა ნოტარიუსს, სადაც მიუთითა სსკ-ის 440-ე-441-ე მუხლებზე და მოითხოვა დეპონირებული თანხის დაბრუნება არაუგვიანეს იმავე წლის 31 დეკემბრისა. მაშასადამე, მოსარჩელის №7844 წერილით უშუალოდ და უტყუარად დასტურდება, რომ მოსარჩელეს ნოტარიუსმა ნამდვილად აცნობა იმის შესახებ, რომ შპს „ბ-ოს“ არ მიუღია რა თანხა, იგი მისთვის, როგორც მოვალისათვის, უკან დაბრუნებას კანონით დადგენილი წესისა და ვადის დაცვით ექვემდებარებოდა. ბუნებრივია, თუ ნოტარიუსს კომუნიკაცია არ ექნებოდა და არ აცნობებდა მოსარჩელეს აღნიშნულის შესახებ,

ვერც მოსარჩელე იურიდიული პირის ფინანსური დეპარტამენტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მიმართავდა პირველი წერილით მას;

24.3. სასამართლოს სანოტარო საზღაურის ოდენობის თანხა 36 თვეზე უნდა გაემრავლებინა ($331,30 \text{ ლარი} \times 36 \text{ თვეზე} = 11\,926,8$). უფრო მეტიც, სააპელაციო პალატა არ განმარტავს, მის მიერ საზღაურად გამოთვლილი 331,3 ლარი ერთი თვის საზღაურია თუ მთლიანი, ხოლო, თუ მთლიანია, ეს თანხა რატომ არ გაყო 36 თვეზე ყოველთვიურად დარიცხული საზღაურის დადგენის მიზნით ($331,3:36=9,21$);

24.4. საქმის გარემოებებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ: ა) ნოტარიუსის დეპოზიტზე 2011 წლის 5 ივლისს განთავსებული თანხის მიღებიდან სამწლიანი ვადა ამოიწურა 2014 წლის 5 ივლისს, შესაბამისად, ამ თარიღიდან სამი თვის განმავლობაში (2014 წლის 6 ივლისი – 6 ოქტომბრის პერიოდი) ნოტარიუსს მოსარჩელისთვის თანხის დაბრუნება კანონით არ ევალებოდა; ბ) კანონის დანაწესიდან გამომდინარე, მოსარჩელე თანხას სანოტარო აქტის გარეშე (აუცილებელი შემხვედრი მოქმედება) ვერ მიიღებდა. სასამართლომ დასაბუთებაში მოსარჩელის 2015 წლის 9 თებერვლის წერილი მოიხმო და დაადგინა, რომ მოსარჩელე არ დაეთანხმა სანოტარო აქტის პროექტს დეპონირებული ფულის, ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ, ნოტარიუსს მოუწოდა პროექტის კორექტირებისათვის და მას სანოტარო აქტის გაფორმების გარეშე მოსთხოვა თანხის იმ ნაწილის გადარიცხვა, რომელიც მისი მოსაზრებისა და გაანგარიშების თანახმად, ექვემდებარებოდა გადარიცხვას, სადეპოზიტო ანგარიშიდან დაბრუნებას. ფაქტია, რომ სასამართლომ არც ამ მტკიცებულებას მისცა სათანადო შეფასება და არც მოსარჩელის ბრალეული/კანონსაწინააღმდეგო ისეთი მოქმედება შეაფასა, რაც კანონით ბრალეულობის გამომრიცხველი გარემოებაა; გ) არც „ნოტარიატის შესახებ“ კანონი და არც ინსტრუქცია ნოტარიუსს წერილობითი ფორმით შეტყობინების გაგზავნას არ ავალდებულებს. მოსარჩელის 2014 წლის 26 დეკემბრის №7844 წერილი თავისი შინაარსით თავისთავად ადასტურებს ნოტარიუსის მხრიდან მხარის ინფორმირებულობას კრედიტორის მიერ სადეპოზიტო თანხის მიუღებლობაზე; დ) მხარეთა შორის სანოტარო საზღაურის ოდენობაზე დავა რომ არ წარმოშობილიყო, ახალი სანოტარო მოქმედების საფუძველზე სადეპოზიტო თანხა მოვალეს დაუბრუნდებოდა; ე) მოსარჩელე იურიდიულ პირს უნდა ჰყავდეს სათანადო ცოდნით აღჭურვილი და დამქირავებლის წინაშე ვალდებულებების ჯეროვნად შემსრულებელი ისეთი პირები, რომლებიც დეპოზიტზე თანხის განთავსებიდან სამი წლის გასვლისთანავე მიმართავდნენ ნოტარიუსს თანხის მოვალისათვის დაბრუნების თაობა-

ზე. საქმეში წარმოდგენილია სიმბარათის ნომრების მოსარგებლეების შესახებ მაგთიკომის 2015 წლის 15 სექტემბრისა და ჯეოსელის 2015 წლის 19 ოქტომბრის №15/10-2059 წერილები და სატელეფონო ზარების ნუსხა, რომელთა შესაბამისად, ნოტარიუსის სარგებლობაში არსებული ნომრიდან პერიოდის მითითებით განხორციელებულია ზარები ოპერაციათა დეპარტამენტის უფროსთან, გ. ს-სთან, იურიდიული სამსახურის უფროსთან, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილესთან, საორგანიზაციო განყოფილების უფროსთან. მოსარჩელის სათანადო უფლებამოსილ პირებთან მითითებული საქმიანი სატელეფონო საუბრები ადასტურებს ხშირი და საქმიანი ურთიერთკომუნიკაციის შედეგად მხარეთა ინფორმირებულობას. თავის მხრივ, რომ არა მოსარჩელის კომუნიკაცია ნოტარიუსთან, იგი ვერ იქნებოდა ინფორმირებული მოსარჩელესა და შპს „ბ-ოს“ შორის მიმდინარე სამოქალაქო დავის შესახებ. რაც შეეხება საქმიან სატელეფონო საუბრებს, სასამართლომ მოსარჩელისა და მოპასუხის არაერთი წერილობითი კორესპონდენცია განმარტა მათი შინაარსისაგან აშკარად განსხვავებულად, შესაბამისად, სასამართლომ ასეთი მიკერძოების გამო არცერთი მტკიცებულება კასატორის მიმართ პოზიტიურ მტკიცებულებად არ მიიჩნია;

24.5. მოსარჩელემ სარჩელში არითმეტიკულად სწორად არ მიუთითა ზიანის თანხა. კერძოდ, დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, მოსარჩელეს 35 932,92 ლარი გამოანგარიშებული ჰქონდა 662 704,12 ლარის წლიური საბანკო 5%-ის პროპორციული თანხიდან. 662 704,12 ლარის 5%-ს ერთ წელზე 33 135,206 ლარს შეადგენს, შესაბამისად, თვეზე – 2761,27 ლარია. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე 35 932,92 ლარის ანაზღაურებას მოითხოვდა 11 თვის პერიოდზე (2014 წლის 6 ივლისი – 2015 წლის 5 ივნისი), მოთხოვნილი თანხა სწორი ჯამით 30 373,97 (2761,27X11) ლარი იქნებოდა. მაშასადამე, სასამართლომ არამარტო დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ დააკისრა ნოტარიუსს ზიანის ანაზღაურება, არამედ 5742,10 ლარით (35 932,9 – 30 190,1) მეტი თანხაც დააკისრა იმ 11-თვიან პერიოდზე, რაშიც სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 97-ე მუხლის მეორე წინადადებაში მითითებული სამთვიანი ვადაც შედის;

24.6. სასამართლომ არასწორად და სათანადო მტკიცებულებების გარეშე დაადგინა, რომ თითქოსდა ნოტარიუსმა სანოტარო საქმიანობის განხორციელებისას კანონისმიერი ვალდებულება არააჯეროვნად შეასრულა. აღნიშნული სასამართლომ განახორციელა მტკიცებულების და ფაქტის არასწორი, სუბიექტური შეფასების ხარჯზე;

24.7. საქმეში წარმოდგენილია ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საერთოდ გამორიცხავენ ნოტარიუსის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობას. საქმეშია მოსარჩელის 2015 წლის 12 იანვრის №174 წერილი საქართველოს ნოტარიუსთა პალატისადმი მოპასუხე ნოტარიუსის მიერ შეტყობინების ნების დარღვევის შესახებ, რაზედაც პალატას დარღვევა არ დაუდგენია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბუნებრივია, საქმეში წარმოდგენილი იქნებოდა სათანადო მტკიცებულებაც;

24.8. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ. აღნიშნული ქმედება ყოველთვის ემყარება მართლწინააღმდეგობას – კანონის დარღვევას. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, მათ შორის, მოსარჩელის 2015 წლის 9 თებერვლის №775 წერილით დადასტურებულია, რომ მოსარჩელემ თვითონ განაცხადა უარი დეპოზიტზე განთავსებული თანხის მიღებაზე სანოტარო საზღაურის გამოკლებით. ასეთ შემთხვევაში, ნოტარიუსს „ნოტარიატის შესახებ“ კანონის, სანოტარო მოქმედებათა ინსტრუქციის შესახებ 53-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ცალმხრივად არ შეეძლო დეპოზიტიდან მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე თანხის დაბრუნება, თუ იგი არ გამოავლენდა ნებას 2011 წლის 5 ივლისს დამონმებული ოქმის საფუძველზე დეპოზიტში მიღებული თანხის მოვალისათვის დაბრუნებაზე. ფაქტია ისიც, რომ მოსარჩელეს დეპოზიტში განთავსებული თანხა დაუბრუნდა მას შემდეგ, რაც მან 2015 წლის 5 ივნისს დეპონირებული ფულის, ფასიანი ქალაქის გადაცემის შესახებ №150580869 სანოტარო აქტს მოაწერა ხელი;

24.9. სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას რაოდენობრივად აფუძნებდა კრედიტორის დასაკმაყოფილებელი დეპოზიტის თანხის – 662 704,12 ლარის საკრედიტო დანესებულებაში ანაბარზე განთავსებისას წლიური 5%-ის დარიცხვის შესაძლებლობას და სასამართლოს წარუდგინა ბანკების ელ.გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩელემ ნოტარიუსის დეპოზიტზე თანხა განთავსა კრედიტორის დაკმაყოფილების მიზნით. შესაბამისად, მის ინტერესს არ წარმოადგენდა ბანკში ანაბარზე თანხის განთავსება და ამ გზით სარგებლის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეპოზიტის ვადის გასვლის შემდეგ იგი გამოცხადდებოდა ნოტარიუსთან, სანოტარო აქტის საფუძველზე დაიბრუნებდა თანხას და სადავოდ გახდიდა მხოლოდ სანოტარო საზღაურისა და საბანკო მომ-

სახურების საფასურის ოდენობას;

24.10. სასამართლომ ნოტარიუსს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დააკისრა მაშინ, როცა მისი მხრიდან სახეზე არაა ბრალეულობა, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბრალეულ მოქმედებასა და ზიანს შორის. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სასამართლომ საერთოდ არ განსაზღვრა საქმის ობიექტური კრიტერიუმები და დაეყრდნო მხოლოდ ბანკების ელ. გვერდებიდან საპროცენტო განაკვეთების ინფორმაციას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ: ა) თანხა დეპოზიტზე განთავსებული იყო კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესასრულებლად და არა საბანკო ანაბარზე განთავსებით სარგებლის მიღების მიზნით; ბ) დეპოზიტის ვადის გასვლის შემდეგ და კანონით დაწესებული მომდევნო სამი თვის ვადაში მოსარჩელემ თვითონ განაცხადა უარი ნოტარიუსის წინაშე კანონისმიერი ფულადი ვალდებულების – სასამართლო საზღაურის კანონშესაბამისად გადახდაზე და მისი გამოკლებით დეპოზიტის თანხის დაბრუნებაზე; გ) დეპოზიტში მიღებული თანხის დაბრუნების შესახებ სანოტარო აქტს მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდეგ მოანერა ხელი. სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებით უსაფუძვლოდ გაამდიდრა მოსარჩელე, ვინაიდან ნოტარიუსს არათუ უსაფუძვლოდ დააკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება, არამედ ნოტარიუსი საერთოდ სანოტარო საზღაურის გარეშე დატოვა ანუ მოსარჩელის მიერ არაერთგზის უმართებულოდ მითითებული საზღაური 331 ლარიც (კანონით დეპოზიტზე განთავსებული თანხის ერთი თვის მომსახურების საზღაური) კი არ მიაკუთვნა ნოტარიუსს. სააპელაციო სასამართლომ ნოტარიუსს ასევე უკანონოდ დააკისრა მის მიერ მიუღებელი საბანკო მომსახურების თანხის გადახდაც;

24.11. მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დასაბუთებაში იმ სასამართლო პრაქტიკაზე მიუთითა, რომელი პრაქტიკაც სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის მიმართ საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენა.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 20 აპრილის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწ-

მებლად.

26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით, 2020 წლის 29 იანვარს.

27. მოცემულ საქმეზე 2020 წლის 29 იანვარს, 2020 წლის 10 თებერვალსა და 2020 წლის 12 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში გაიმართა ზეპირი სხდომები.

28. მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის გამოცხადება დანიშნული იყო ზეპირ სხდომაზე, 2020 წლის 12 მარტს, კორონავირუსის („კოვიდ 19“-ის) გავრცელების პრევენციის მიზნით, გამოცხადდა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

29. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების, აგრეთვე, ზეპირ სხდომებზე მხარეთა პოზიციების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

30. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1. მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი].

31. კასატორის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის უმთავრესი პრეტენზია ეხება ფულის დეპოზიტზე მიღებისას ნოტარიუსის მიერ განხორციელებული სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის განსაზღვრის საკითხის, კერძოდ, სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის საზღაურის გამოთვლისა და გადახდევინების საქართველოს მთავრობის №507-

ე დადგენილებით დამტკიცებული წესის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის განმარტების საკითხს და საკასაციო სასამართლოც აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებს უპირველესად.

ნოტარიუსის საზღაურის განსაზღვრის საკითხი

32. სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გამოთვლისა და გადახდის პირობები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული წესით, რომლის სახელწოდებაა „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“ (შემდგომში – „წესი“).

33. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების საზღაური არის სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის, აგრეთვე სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური მომსახურებისათვის გადახდილი ანაზღაურება, რომელშიც არ შედის დამატებული ღირებულების გადასახადი.

34. იმავე წესის 23-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების თანახმად, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთია – 500001 ლარიდან 1 მლნ ლარის ჩათვლით – 1162,5 ლარი + 500000 ლარს ზევით თანხის 0,1% პროცენტი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 10000 ლარს.

35. წესის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობების დეპოზიტზე მიღების დროს, ნოტარიუსის საზღაური ზემოაღნიშნული წესის 23-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განაკვეთის მეოთხედი ოდენობით გამოითვლება, მაგრამ ყოველი თვისათვის არანაკლებ 4 ლარისა. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, ფულის დეპოზიტზე მიღების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საზღაურის გარდა, ნოტარიუსის საზღაურია ასევე დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის მთლიანი ოდენობა.

36. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე-441-ე მუხლებთან ერთად წესის ზემოაღნიშნული მუხლების სისტემური და მიზნობრივი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ფულის დეპოზიტზე მიღების დროს ნოტარიუსის საზღაური შედგება ორი კომპონენტისგან:

- ა. წესის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი თანხისგან, რომელიც გადაიხდება დეპოზიტზე ფულის

განთავსებისას; და

- ბ. წესის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ფულის დეპოზიტზე ყოველთვიურად დარიცხული საპროცენტო განაკვეთის მთლიანი ოდენობისგან, რომელსაც ნოტარიუსი იღებს დეპოზიტზე თანხის არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე.

37. შესაბამისად, წესის 29-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომ მისი მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი თანხა დეპოზიტზე ფულის განთავსებისას არა ერთჯერად, არამედ ყოველთვიურად გადასახდელ საზღაურს წარმოადგენს, ეწინააღმდეგება ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსს, რომელიც ყოველთვიურად სწორედ დეპოზიტზე განთავსებულ ფულზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელს მიიჩნევს ნოტარიუსის საზღაურის შემადგენელ ნაწილად.

38. დეპოზიტზე ფულის მიღება არის ერთჯერადი მოქმედების შესრულება, რისთვისაც ნოტარიუსი ერთჯერადად იღებს წესის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საზღაურს, ხოლო დეპოზიტზე განთავსებულ ფულზე დარიცხული პროცენტი არის საზღაური იმ მოქმედებებისათვის, რომელთა შესრულების ვალდებულებაც ნოტარიუსს დეპოზიტზე თანხის მიღების შემდეგ წარმოემოხა.

39. რაც შეეხება წესის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში არსებულ ჩანაწერს, რომ ნოტარიუსის საზღაური ყოველი თვისათვის არანაკლებ 4 ლარით უნდა განისაზღვროს, იგი გულისხმობს, რომ ნოტარიუსისათვის ერთჯერადად გადასახდელი საზღაური, დეპოზიტზე თანხის განთავსების მთლიან დროზე გაყოფისას ყოველი თვისთვის 4 ლარზე ნაკლები არ უნდა აღმოჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზღაურის ოდენობა 4 ლარზე შესაბამის თვეთა ნამრავლით დაანგარიშდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ ეს ჩანაწერი ნოტარიუსის საზღაურის ყოველთვიურად გადახდის ვალდებულებაზე მიუთითებს.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფულის დეპოზიტზე მიღებისას წესის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნოტარიუსის საზღაურის ერთჯერადი ოდენობა მოცემულ საქმეში სწორად განსაზღვრა 331, 3 ლარით. აღსანიშნავია, რომ 36 თვეზე გაყოფით მიღებული ოდენობა ყოველთვიურად აღემატება 4 ლარს (331,3:36=9,21).

ნოტარიუსის მიერ მოსარჩელისათვის დასაბრუნებელი ჯამური თანხის რაოდენობის დაანგარიშების მართებულობა

41. მიუხედავად იმისა, რომ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია ნოტარიუსის საზღაურის არასწორად განსაზღვრის თაობაზე, საკასაციო სასამართლო იზიარებს საკასაციო პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ნოტარიუსის მიერ დასაბრუნებელი ჯამური თანხის რაოდენობის შეცდომით გამოთვლასთან დაკავშირებით.

42. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის გამოთვლის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის თანახმად, ნოტარიუსის საზღაურის გამოთვლისას 331,3 ლარს უნდა დაემატოს დამატებული ღირებულების გადასახადი 18%, ასევე სანოტარო რეგისტრაციის საზღაური, რაც ჯამში შეადგენს 392, 934 ლარს (331,3 + 18% + 2 ლარი = 392, 934). შესაბამისად, სხვაობა დეპოზიტზე განთავსებულ თანხასა და ნოტარიუსის საზღაურს შორის შეადგენს 662 311, 186 ლარს (662 704, 12-392,934=662 311, 186).

43. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მითითებას, რომ ნოტარიუსის მიერ დასაბრუნებელ თანხას უნდა გამოაკლდეს სადეპოზიტო ანგარიშიდან მოსარჩელის ანგარიშზე თანხის გადარიცხვისათვის გათვალისწინებული ბანკის მომსახურების საკომისიო და ბანკის მომსახურების საზღაური. სამოქალაქო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, დეპონირებული ქონების შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება კრედიტორს. ხოლო 440-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოვალე საგანს უკან იბრუნებს, მაშინ შენახვის ხარჯებიც მასვე ეკისრება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დეპონირებული ქონების (ფულის) შენახვის ხარჯები მოიცავს ნებისმიერ ხარჯს, რომელიც აღნიშნული ქონების შენახვასთან არის დაკავშირებული, მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშიდან მოვალის ანგარიშზე თანხის გადარიცხვისას ბანკის მომსახურების ხარჯებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის 2015 წლის 29 ივნისის №3974 წერილის პასუხად სს პ. ბ-ის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ 2015 წლის 5 ივნისის მდგომარეობით სს პ. ბ-სი მოქმედი სტანდარტული ტარიფების შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული საბანკო გადარიცხვის ოპერაციისათვის სს პ. ბ-იდან საქართველოს რეზიდენტ სხვა დაწესებულებაში დაწესებული საკომისიო შეადგენდა გადასარიცხი თანხის 0,07%-ს, მინიმუმ 1 ლარს. დამატებით, ბანკში შესრულებული საგადახდო დავალების მომზადების საკომისიო კი შეადგენდა ფიქსირებულ 2 ლარს (იხ. ტ.1., ს.ფ. 164). ამრიგად, სხვაობას დეპოზიტზე განთავსებულ თანხასა და ნოტარიუსის საზღაურს შორის დამატებით უნდა გა-

მოაკლდეს საბანკო გადარიცხვის საკომისიო – გადასარიცხი თანხის 0.07% ოდენობით და 2 ლარი – ბანკის მომსახურების საზღაური, ჯამში – 465,62 ლარი. სხვაობა შეადგენს 661 845,57 ლარს (662 311,186 – 465,62=661 845,57).

44. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ნოტარიუსმა მოსარჩელეს დაუბრუნა 644 785,77 ლარი. შესაბამისად, მის მიერ არამართლზომიერად დაკავებულ იქნა 17 059,8 ლარი (661 845,57-644 785,77=17 059,8), რომელიც ასევე ექვემდებარება მოსარჩელისათვის დაბრუნებას. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა 7461,46 ლარის ფარგლებში, არამართლზომიერად დაკავებული თანხის ოდენობას უნდა გამოაკლდეს აღნიშნული თანხა, რის შედეგადაც მოსარჩელისათვის დამატებით დასაბრუნებელი თანხის ოდენობა განისაზღვრება 9598,34 ლარით (17 059,8 – 7461,46=9598,34).

ნოტარიუსის ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველი

45. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

46. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

47. ნოტარიატის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ნოტარიუსი პასუხს აგებს თავისი სამსახურებრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის. იმავე კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ.

48. წინამდებარე საქმეში შეფასების საგანია, დეპონირებული ფულის მოვალისათვის დაბრუნების პროცესში თავისი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას ბრალეულად დაარღვია თუ არა ნოტარიუსმა კანონით გათვალისწინებული მოვალეობები და გამოიწვია თუ არა აღნიშნულმა ქმედებამ ქონებრივი ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით.

49. იმისათვის, რომ შეფასდეს ნოტარიუსის ქმედებები, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა პასუხი გავცეს კითხვებს: ა) ჰქონდა თუ არა ნოტარიუსს რაიმე ვალდებულება მოვალის მიმართ დეპოზიტ-

ზე ფულის განთავსებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ამ ვადაში კრედიტორის მიერ შესრულების საგნის არმიღების შემთხვევაში და ბ) დაარღვია თუ არა მან აღნიშნული ვალდებულება.

50. სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის შესაბამისად, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია ფული ან ფასიანი ქალაქი შეიტანოს ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან.

51. იმავე კოდექსის 435-ე მუხლის შესაბამისად, დეპონირებული ქონება ნოტარიუსმა უნდა გადასცეს კრედიტორს. ნოტარიუსი შეარჩევს შემნახველს, დოკუმენტები კი მასთან დარჩება. სსკ-ის 438-ე მუხლის შესაბამისად, შესრულების საგნის შესანახად მიღების შესახებ ნოტარიუსი ატყობინებს კრედიტორს და მოითხოვს მისგან საგნის მიღებას.

52. სსკ-ის 441-ე მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს 3 წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება.

53. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს შესრულების საგანს, სსკ-ის 441-ე მუხლის შესაბამისად იგი კარგავს ამ საგნის მიღების უფლებას და ის ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად.

54. კანონის აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ მას შემდეგ, რაც ნოტარიუსი მიიღებს დეპონირებულ ფულს, მას ევალება გარკვეული მოქმედებების განხორციელება. კერძოდ, ის ვალდებულია დეპონირებული თანხა გადასცეს კრედიტორს. ამისათვის კი, მან კრედიტორს უნდა შეატყობინოს შესრულების საგნის შესანახად მიღების შესახებ და მოითხოვოს მისგან ამ საგნის მიღება. თუ კრედიტორმა უარი განაცხადა შესრულების საგნის მიღებაზე, ან გავიდა დებოზიტზე ფულის შენახვის სამწლიანი ვადა, ნოტარიუსი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს მოვალეს და მოსთხოვოს მას ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება.

55. აღნიშნულ ვალდებულებას უფრო კონკრეტულად აწესრიგებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის (შემდგომში – „ინსტრუქცია“) 97-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ კრედიტორი უარს აცხადებს ფულის მიღებაზე, ნოტარიუსი ამის შესახებ აცნობებს მოვალეს და მოითხოვს შენატანის უკან დაბრუნებას. უარის თქმად ჩაითვლება, თუ კრედიტორი არ მიიღებს დებოზიტის საგანს მისი შეტანიდან სამი წლის განმავლობაში. მოვალეს შენატანის დაბრუ-

ნებისათვის ნოტარიუსის მიერ განესაზღვრება ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ თვეზე ნაკლები. თუ მოცემული ვადის განმავლობაში მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს ან თუ იგი უარს აცხადებს შენატანის დაბრუნებაზე, მაშინ ვალდებულების საგანი ჩაითვლება სახელმწიფო საკუთრებად. მოუკითხავი სადეპოზიტო თანხები ნოტარიუსის მიერ ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, გარდა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დაქვითული თანხისა.

56. ამრიგად, დეპოზიტზე ფულის განთავსებიდან სამი წლის განმავლობაში კრედიტორის მიერ მისი არმიღების შემთხვევაში, ნოტარიუსს წარმოეშობა:

- ა. აღნიშნულის შესახებ მოვალისათვის შეტყობინების ვალდებულება;
- ბ. მოვალისათვის თანხის დაბრუნების ვადის განსაზღვრის ვალდებულება, რომელიც არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები;
- გ. მოვალის მხრიდან თანხის დაბრუნების ნების გამოხატვის შემთხვევაში, მისთვის თანხის დაბრუნების ვალდებულება;
- დ. სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადარიცხვის ვალდებულება, თუ მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს ნოტარიუსის მიერ განსაზღვრულ ვადაში ან უარს განაცხადებს შენატანის დაბრუნებაზე.

57. სამოქალაქო კოდექსის 441-ე და ინსტრუქციის 97-ე მუხლები პირდაპირ არ განსაზღვრავს ნოტარიუსის მიერ აღნიშნული ქმედებების განხორციელების ვადას. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ: „ეს პროცედურა ... არ უნდა გასცდეს დროის გონივრული შუალედის ფარგლებს“ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-16 პუნქტი). საკასაციო სასამართლო ზოგადად იზიარებს კანონისა და ინსტრუქციის ზემოაღნიშნული მუხლებით ნოტარიუსის ვალდებულებებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-15, მე-16 პუნქტები), თუმცა არ ეთანხმება დასკვნას „დროის გონივრული შუალედის შესახებ“ და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 441-ე და ინსტრუქციის 97-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე იგულისხმება სამწლიანი ვადის გავლისთანავე ნოტარიუსის მხრიდან დაუყოვნებლივ მოქმედების ვალდებულება, რაც მოიცავს:

- ა. სამწლიანი ვადის გავლისთანავე მოვალისათვის შეტყობინების დაუყოვნებლივ გაგზავნას;
- ბ. აღნიშნული შეტყობინებით მოვალისათვის თანხის დაბრუნების ვადის განსაზღვრას, რომელიც არ უნდა იყოს სამ თვეზე ნაკლები;

- გ. მოვალის მიერ თანხის დაბრუნების ნების გამოხატვის შემთხვევაში, აღნიშნული თანხის მისთვის დაუყოვნებლივ დაბრუნების ვალდებულებას, ამასთან მოვალის უფლებას, რომ თანხის დაბრუნების ნება 3 თვეზე ნაკლებ ვადაში, ნებისმიერ დროს გამოხატოს;
- დ. სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის დაუყოვნებლივ გადარიცხვას, თუ მოვალე არ დაიბრუნებს შენატანს ნოტარიუსის მიერ განსაზღვრულ ვადაში ან უარს განაცხადებს შენატანის დაბრუნებაზე.

58. იმისათვის რომ პასუხი გაეცეს კითხვას ნოტარიუსის მხრიდან ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების შესახებ, ნოტარიუსის ქმედებები უნდა შემოწმდეს რამდენიმე ეტაპად.

ნოტარიუსის ქმედებები 2014 წლის 6 ივლისიდან 2014 წლის 26 დეკემბრამდე

59. კასატორი მიუთითებს, რომ ნოტარიუსმა მოვალისათვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება შეასრულა, თუმცა მან ვერ მიუთითა ვერც შესაგებელში და ვერც სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, მათ შორის, საკასაციო სასამართლოს ზეპირ სხდომებზე, ზუსტად როდის შესრულდა ეს ვალდებულება. ამასთან, კასატორმა ვერ მიუთითა განუსაზღვრა თუ არა მან მოსარჩელეს თანხის დაბრუნების ვადა და ეს ვადა რამდენ თვეს შეადგენდა. კასატორმა ასევე ვერ მიუთითა, დაარღვია თუ არა მოსარჩელემ თანხის დაბრუნების ვადა, და თუ ეს ვადა დარღვეულ იქნა, რატომ არ შეასრულა მოპასუხემ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის გადარიცხვის ვალდებულება.

60. საკასაციო სასამართლო უბრუნდება კასატორის მითითებას, რომ ნოტარიუსმა მოვალისათვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება შეასრულა.

61. სადავობისას, შეასრულა თუ არა ნოტარიუსმა შეტყობინების ვალდებულება და როდის, აღნიშნული ფაქტის დამტკიცება ევალება ნოტარიუსს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი, მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი სტანდარტის შესაბამისად, რომლის მიხედვით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ: „უარყოფის მტკიცება არ შეიძლება დაეცისროს მხარეს, რომელიც ფაქტის ან მოვლენის არარსებობაზე აპელირებს, არამედ ამ ფაქტისა თუ მოვლენის არსებობის მტკიცების ტვირთი აწევს მას, ვის სასარგებლოდაც მეტყველებს შედავებული ფაქტობრივი გარემოება“ (იხ. სუსგ №ას-509-509-2018, 2019 წლის 5

აპრილი, №ას-1299-2018, 2019 წლის 29 ნოემბერი); „მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ – გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცებაც მათთვის ობიექტურად შესაძლებელია, ანუ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (იხ. სუსგ №ას-773-773-2018, 2019 წლის 14 იანვარი). გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როცა იმ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსით, რომლიდანაც გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნა, მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებული წესია დადგენილი (იხ. სუსგ №ას-970-935-2016, 2017 წლის 18 დეკემბერი), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

62. ვალდებულების შესრულების ფაქტის დასამტკიცებლად კასატორი/მოპასუხე მიუთითებს სატელეფონო საუბრების ამონაწერებზე და მოსარჩელის წერილზე. ამასთანავე, განმარტავს, რომ კანონისა და ინსტრუქციის თანახმად, მას არ ევალებოდა შეტყობინების წერილობითი ფორმით განხორციელება და ზეპირი ფორმით შეტყობინებაც საკმარისი იყო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 24.4 პუნქტი).

63. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას ზეპირი ფორმით ასეთი შეტყობინების შესაძლებლობის შესახებ.

64. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მითითებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 441-ე და ინსტრუქციის 97-ე მუხლი ნოტარიუსის მხრიდან მოვალისათვის შეტყობინების წერილობითი ფორმით განხორციელების ვალდებულებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ცალსახად გამომდინარეობს თავად ვალდებულების არსიდან.

65. სსკ-ის 441-ე მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსმა არა მხოლოდ უნდა აცნობოს მოვალეს 3-წლიანი ვადის გასვლის შესახებ, არამედ უნდა მოსთხოვოს ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება და განუსაზღვროს შესაბამისი ვადა. ამავედროულად, ამ ვადის დაუცველობის შემთხვევაში, ქონებაზე სახელმწიფო საკუთრება წარმოიშობა. შესაბამისად, ამ შეტყობინებით, ერთი მხრივ, მოვალეს უჩნდება საკუთარი ქონების უკან დაბრუნების უფლება, ხოლო მეორე მხრივ, ნოტარიუსს უჩნდება ვალდებულება, რომ შესაბამისი

ვადა განსაზღვროს და ბოლოს, სახელმწიფოს უჩნდება უფლება, რომ ქონებაზე საკუთრება მოიპოვოს. შესაბამისად, ყველა მხარეს (ნოტარიუსს, მოვალეს, სახელმწიფოს) გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი, რომ ასეთი შეტყობინება სწორედ ისეთი ფორმით განხორციელდეს, რომელიც მხარეებს საკუთარი უფლება-მოვალეობებისა და მათი განხორციელების ვადების ზუსტად და ნათლად განსაზღვრის შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული კი შეუძლებელია ზეპირი შეტყობინებით.

66. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მის მიერ ზეპირი შეტყობინების განხორციელების თაობაზე კასატორის მითითების გაზიარების შემთხვევაშიც, შეტყობინების დრო არ დგინდება, რადგან კასატორი ვერ უთითებს ზუსტად როდის შეასრულა ეს ვალდებულება (ზოგადად მიუთითებს, რომ პირველი სამი თვის განმავლობაში, იხ. შესაგებელი). ამავე დროს ზეპირი შეტყობინების განხორციელების დასამტკიცებლად კასატორი მხოლოდ მოსარჩელე კომპანიის თანამშრომლებთან სატელეფონო ზარების განხორციელების ამონაწერებს მოიხმობს, რომლებიც მისი მითითებით მოსარჩელესთან „ხშირ და საქმიან ურთიერთკომუნიკაციას“ ასახავს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 24.4 პუნქტი). თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები სატელეფონო საუბრების შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას არ იძლევა. ისინი მხოლოდ სხვადასხვა ნომრებზე ზარების განხორციელების ფაქტს, და არა თავად საუბრის შინაარსს ადასტურებს.

67. კასატორმა მოსარჩელესთან ზეპირი შეტყობინების განხორციელების მტკიცებულებად ასევე მოიხმო მოსარჩელის 2014 წლის 26 დეკემბერის №7844 წერილი და საკუთარი მოსაზრება, რომ ეს წერილი შეტყობინების ფაქტს უშუალოდ და უტყუარად ამტკიცებს, რადგან შეტყობინების გარეშე ამ წერილს ნოტარიუსი მოვალისაგან არ მიიღებდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 24.2 პუნქტი).

68. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მოსარჩელის წერილი ნოტარიუსის მხრიდან შეტყობინების ვალდებულების შესრულებას თუნდაც ირიბად ადასტურებს. უფრო მეტიც, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს წერილი ნოტარიუსის მხრიდან მოსარჩელის გაფრთხილების ვალდებულების შესრულებას საერთოდ არ ადასტურებს, რამდენადაც წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი წარმოადგენს არა პასუხს ნოტარიუსის გაფრთხილებაზე, არამედ პირიქით, მოთხოვნას, რომ ნოტარიუსმა მოვალეს აცნობოს დეპოზიტზე განთავსებული თანხების მდგომარეობის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ მოვალემ არა მხოლოდ სადავო კონკრეტული თანხის, არამედ დეპოზიტზე განთავ-

სებულის სხვა თანხების კრედიტორების მხრიდან მიღება-არმიღების შესახებ ინფორმაცია არ იცის. აღნიშნული წერილის პასუხად გაგზავნილ 2014 წლის 26 დეკემბრის №38/2014 წერილს დაურთო პირველად ნოტარიუსმა ცნობა სს პ. ბ-იდან მის სადეპოზიტო ანგარიშზე არსებული დანაშთი თანხების საერთო ოდენობის შესახებ, თუმცა აღნიშნული მოსარჩელისათვის საკმარისი ინფორმაციის შემცველი არ აღმოჩნდა. მოსარჩელის 2015 წლის 6 იანვრის №27 წერილი ადასტურებს, რომ მოსარჩელისათვის ნოტარიუსის დეპოზიტზე არსებული თანხების ჯამური ოდენობის შესახებ ინფორმაცია საკმარისი არ იყო იმის განსასაზღვრად, რომელმა კრედიტორმა მიიღო ან არ მიიღო შესრულება, და აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელემ დამატებით მოითხოვა უფრო კონკრეტული ინფორმაცია სადეპოზიტო ანგარიშზე დეპონირებული თანხიდან კრედიტორების მიერ მიღებული და კრედიტორების მიერ მიუღებელი/სადეპოზიტო ანგარიშზე დარჩენილი თანხების თაობაზე. აღნიშნული კომუნიკაცია იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ მოსარჩელე 2014 წლის 26 დეკემბრამდე ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე გადარიცხული თანხების კრედიტორების მხრიდან მიღება-არმიღების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა.

69. ამრიგად, კასატორის/მოპასუხის მიერ მითითებული მტკიცებულებებით არ დასტურდება ნოტარიუსის მხრიდან წერილობითი თუ ზეპირი შეტყობინების ვალდებულების შესრულება.

70. ამასთან, კასატორი საერთოდ ვერ უთითებს, თანხის დაბრუნების რა ვადა განუსაზღვრა მან მოსარჩელეს. კასატორის მსჯელობის მიხედვით, სასამართლომ უნდა იგულისხმოს სამთვიანი ვადა, რადგან კანონის შესაბამისად ეს ვადა სამ თვეზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, კასატორის მითითებით, მან კანონიერად გააჩერა თანხა დეპოზიტზე 2015 წლის 6 ოქტომბრამდე. თუმცა აღნიშნული მსჯელობის გაზიარების შემთხვევაშიც კი, გაურკვეველი რჩება, ნოტარიუსის მიერ სადეპოზიტო ანგარიშზე 2015 წლის 6 ოქტომბრის შემდეგ თანხის გაჩერების სამართლებრივი საფუძველი, რადგან კანონის შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლისთანავე, მას ჰქონდა თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება.

71. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ იგი ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მსჯელობას სამი თვის განმავლობაში ნოტარიუსის მიერ დეპოზიტზე თანხის გაჩერების კანონიერების თაობაზე, რადგან აღნიშნული ვადა წარმოიშობა ნოტარიუსის მიერ მოვალისათვის შეტყობინებით მისი განსაზღვრის შემთხვევაში, რაც წინამდებარე საქმეში არ დასტურდება.

72. ამრიგად, ნოტარიუსმა 2014 წლის 6 ივლისიდან 2014 წლის

26 დეკემბრამდე პერიოდში მის მიერ კანონით გათვალისწინებული ვერცერთი ვალდებულების შესრულება დაადასტურა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ნოტარიუსს სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები არ შეუსრულებია (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-17 პუნქტი).

ნოტარიუსის ქმედებები 2014 წლის 26 დეკემბრიდან 2015 წლის 5 ივნისამდე

73. 2014 წლის 26 დეკემბრიდან 2015 წლის 5 ივნისამდე ნოტარიუსის მოქმედებებთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია და საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოა ქვემოთ მოცემული ფაქტები.

74. 2014 წლის 26 დეკემბრის №7844 წერილით მოსარჩელემ მოპასუხეს აცნობა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე 2011 წლის განმავლობაში დეპონირებული თანხების შენახვის 3-წლიანი ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვა დეპონირებული ფულის უკან დაბრუნება შესაბამისი ანგარიშის რეკვიზიტებზე მითითებით.

75. აღნიშნულის საპასუხოდ, ნოტარიუსმა მოსარჩელეს გაუგზავნა 2014 წლის 26 დეკემბრით დათარიღებული წერილი №38/2014, რომელიც მოსარჩელეს 2014 წლის 31 დეკემბერს ჩაბარდა. მოპასუხემ წერილს დაურთო ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან სს პ. ბის მიერ 30.12.2014წ. გაცემულ №140693 ცნობასთან ერთად, სადაც ნოტარიუსის თქმით, მითითებული იყო საბანკო ოპერაციაზე (თანხის გაცემა) მომსახურებისათვის დარიცხული საკომისიოს ოდენობა. ამავე წერილით ნოტარიუსმა მოსარჩელეს აცნობა, რომ მის მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ოპერაციის განსახორციელებლად აუცილებელი იყო ნოტარიუსთან სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მივლინება სანოტარო აქტზე ხელმოსაწერად, რის შემდეგაც განხორციელდებოდა თანხის გადარიცხვა ნოტარიუსის საზღაურისა და საბანკო მომსახურებისათვის დარიცხული საკომისიოს გამოკლებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 9.5 პუნქტი).

76. აღნიშნული წერილის საპასუხოდ მოსარჩელემ 2015 წლის 6 იანვარს ნოტარიუსს კვლავ გაუგზავნა №27 წერილი, რომლითაც მოითხოვა, რომ ნოტარიუსს მისთვის გადაერიცხა დეპონირებული თანხის ის ნაწილი, რომელიც ნოტარიუსის გაანგარიშებით ექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას. მხარეებს შორის განსხვავებები სადეპოზიტო ანგარიშიდან თანხის გატანის საკომისიოსთან დაკავშირებით უნდა ასახულიყო სანოტარო აქტში. ამავე წერილით მოსარჩელემ სანოტარო აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიანიჭა საკუთარ თანამშრომელს, რომელიც სანოტარო ბიუროში უნ-

და გამოცხადებულიყო 2015 წლის 6 იანვარს (იხ. წინამდებარე განწყვეტილებების 9.7 პუნქტი).

77. ზემოაღნიშნული კომუნიკაციით დასტურდება, რომ 2015 წლის 6 იანვარს მოსარჩელე გამოხატავდა თანხმობას დეპოზიტზე განთავსებული თანხების დაბრუნებაზე ნოტარიუსის მიერ შესაბამისი თანხების დაქვითვის შემდეგ და მოსარჩელემ შესაბამისი სანოტარო აქტის ხელმოწერის უფლებამოსილება საკუთარ წარმომადგენელს მიანიჭა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად სანოტარო აქტის გაფორმება ვერ მოხერხდა.

78. სააკაცო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით 2015 წლის 3 თებერვალს მიმართა, ხოლო 2015 წლის 9 თებერვლის №775 წერილით მოსარჩელემ მოითხოვა სანოტარო აქტის პროექტის კორექტირება იმგვარად, რომ მასში ასახული ყოფილიყო სადავო საკითხები.

79. საკაცო სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ თანხის დაბრუნებისათვის აუცილებელი იყო შესაბამისი სანოტარო აქტის გაფორმება, თუმცა მიიჩნევს, რომ მან ამ აქტის გაფორმებისათვის შესაბამისი მოქმედებების განხორციელება ვერ დაადასტურა (იხ. 2015 წლის 17 თებერვლის №5 წერილი).

80. საკაცო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ მოსარჩელემ 2015 წლის 9 თებერვლის წერილით უარი განაცხადა დეპოზიტზე განთავსებული თანხის მიღებაზე სანოტარო საზღაურის გამოკლებით, რადგან წერილში პირდაპირ მითითებულია შემდეგი: „გთხოვთ უმოკლეს ვადებში უზრუნველყოთ თქვენს მიერ შემუშავებული სანოტარო აქტის პროექტის კორექტირება წინამდებარე წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით ასეთი კორექტირებების განხორციელებას, მოგინოდებთ დაუყოვნებლივ, სანოტარო აქტის გაფორმების გარეშე გადმორიცხოთ სს „ს. რ-ის“ ზემოთ მითითებულ ანგარიშზე თანხის ის ნაწილი, რომელიც თქვენი მოსაზრებისა და გაანგარიშების თანახმად ექვემდებარება გადმორიცხვას თქვენი სადეპოზიტო ანგარიშიდან. დეპონირებული თანხების სადეპოზიტო ანგარიშიდან გატანის საკომისიოს სს „ს. რ-ის“ მიერ ანაზღაურების საფუძვლიანობის, ნოტარიუსის საზღაურის ოდენობისა და სს „ს. რ-ისათვის“ დეპონირებული თანხის დაგვიანებით დაბრუნებით მიყენებული ზიანის საკითხი შესაბამისი სარჩელის საფუძველზე განიხილება და გადაწყდება სასამართლოს მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

81. მხარეთა შორის 2015 წლის 9 და 17 თებერვალს განხორციელებული კომუნიკაციის ანალიზის საფუძველზე საკაცო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შესაბამისად სა-

ნოტარო აქტის პროექტის კორექტირებისათვის ნოტარიუსს სათანადო ძალისხმევა არ გამოუჩენია.

82. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მართებულად თვლის სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მიუხედავად მოვალის თანხმობისა დეპონირებული თანხები დაბრუნებოდა ნოტარიუსის მიერ დაანგარიშებული საზღაურისა და ხარჯების გამოქვითვით, აღნიშნული მოქმედების განხორციელება 2015 წლის 5 ივნისამდე თავად ნოტარიუსის მიერ გაჭიანურდა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-17 პუნქტი) და მოსარჩელის ბრალს ზიანის დადგომაში, სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია.

ნოტარიუსის ქმედებები 2015 წლის 5 ივნისიდან დღემდე

83. რაც შეეხება, 2015 წლის 5 ივნისის შემდგომ პერიოდს, წინამდებარე გადაწყვეტილების 32-ე-მე-40 პუნქტებში მოცემული მსჯელობის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ 17 059,34 ლარის დაკავებას არ გააჩნდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

84. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ნოტარიუსმა დეპონირებული ფულის მოვალისათვის დაბრუნების პროცესში თავისი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას კანონით გათვალისწინებული მოვალეობები ბრალეულად დაარღვია.

მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის დასაბუთება

85. სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

86. სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

87. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შემდგომი გამოკვლევის საგანია გამოიწვია თუ არა ნოტარიუსის ქმედებამ დეპონირებული ფულის მოვალისათვის დაბრუნებასთან დაკავშირებით ქონებრივი ზიანი მოსარჩელისათვის მიუღებელი შემოსავ-

ლის სახით და იყო თუ არა აღნიშნული ზიანი ნოტარიუსისათვის წინასწარ სავარაუდო.

88. აღნიშნულ საკითხზე საკასაციო პრეტენზია ძირითადად ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის არსებობის ფაქტი მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

89. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზიანის არსებობის ფაქტის დადგენისა და მისი ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების შესრულების მიმართ (სსკ-ის 408-ე მუხლი). ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი. არაპირდაპირი ზიანი, ეს ისეთი ზიანია, რომელიც გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სავარაუდო საერთოდ მოვალისათვის. როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის შემთხვევაში ნავარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი განმტკიცებულია სსკ-ის 408-ე მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ უნდა განხორციელდეს იმ ვითარების აღდგენა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომამდე, ე.ი. ვალდებულების დარღვევამდე. ნორმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ზიანი არის ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც არ იარსებებდა ვალდებულების დარღვევის არარსებობის შემთხვევაში, ე.ი. ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებით, სასამართლომ, უპირველესად, ზიანის, როგორც მეორადი მოთხოვნის, წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა უნდა შეაფასოს (შედ. იხ. სუსგ №ას-54-54-2018, 2018 წლის 13 თებერვალი; №ას-167-163-2016, 2016 წლის 1 ივლისი).

90. წინამდებარე საქმეში მოთხოვნა ეხება ფულადი ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო მიყენებულ ზიანს. მოსარჩელე აცხადებს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების წარმოშობის დროიდან მას შესაძლებლობა ჰქონდა მიეღო შემოსავალი, რადგან მის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ

თანხებს სხვადასხვა კომერციულ ბანკებში მუდმივად ერიცხება სარგებელი (აღნიშნულის დასადასტურებლად მოსარჩელემ მომსახურე კომერციული ბანკებიდან შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინა.

91. ფულადი ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით უზენაეს სასამართლოს გააჩნია მყარად დადგენილი პრაქტიკა, რომლის თანახმად: „განსახილველი კატეგორიის დავაში მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, თუმცა ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე აბსტრაქტული ზიანის არსებობის მტკიცებას მოსარჩელეს უადვილებს ის, რომ თავად ფული წარმოადგენს მიმოქცევად საშუალებას და საყოველთაოდ ცნობილია, რომ მის ბრუნვას შეუძლია გარკვეული მოგების მიღება“ (იხ. სუსგ №ას-1067-1026-2016, 2017 წლის 23 ივნისი). უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად: „ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. ამგვარად, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამონეული ზიანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას“ (იხ. სუსგ №ას-929-869-2017, 2017 წლის 27 დეკემბერი; №ას-254-241-2015, 2015 წლის 6 მაისი; №ას-992-950-2013, 2014 წლის 4 მარტი).

92. უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად: „სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება (lucrum cessans). სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღებდა და რომელსაც იგი მიიღებდა მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდოდ შემოსავალია. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss)... იმისათვის რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რო-

მელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს. მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტიასა ზიანის ანაზღაურება უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით, ისე, რომ ამას არ მოჰყვეს დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრება“ (იხ. სუსგ №ას-929-869-2017, 2017 წლის 27 დეკემბერი; №ას-459-438-2015, 2015 წლის 7 ოქტომბერი; №ას-307-291-2011, 2011 წლის 24 ოქტომბერი).

93. ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, იმ ვითარებაში, როდესაც დგინდება მოპასუხის მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის წინაპირობების დარღვევა და ეს დარღვევა ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხის დაუბრუნებლობას შეეხება, არსებობს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წინაპირობები. მოცემულ შემთხვევაში არ ჩნდება კითხვა არც ზიანის წინასწარ სავარაუდოობის შესახებ, რადგან ნათელია, რომ თანხის დაბრუნების ვალდებულების შეუსრულებლობისას, მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ალბათობა მოპასუხისათვის წინასწარ სავარაუდო იყო.

94. ამიტომ საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე საქმეში სწორად განმარტა როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, ისე თავად მიუღებელი შემოსავლის წყაროს – ფულის ყიდვაუნარიანობის საკითხი და მართებულად დააკისრა მოვალეს კრედიტორის სასარგებლოდ სარჩელით მოთხოვნილი თანხის გადახდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის არამართებულობის შესახებ და მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 18-21 პუნქტები) სრულად შეესაბამება აღნიშნულ საკითხზე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-374-355-2015, 2016 წლის 25 მარტი; №ას-477-451-2015, 2016 წლის 12 თებერვალი; №ას-459-438-2015, 2015 წლის 7 ოქტომბერი; №ას-1067-1026-2016, 2017 წლის 23 ივნისი; №ას-54-54-2018, 2018 წლის 13 თებერვალი).

95. რაც შეეხება ზიანის ოდენობის განსაზღვრას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასაბრუნებელი თანხის ოდენობის ცვლილებიდან გამომდინარე, უნდა შეიცვალოს 2015 წლის 05 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა და განისაზღვროს 17 059,18 ლარის წლიური 5%-ით, რაც ყოველდღიურად შეადგენს 2.34 ლარს; ხოლო 2015 წლის 5 ივნისამდე მიუღებელი შემოსავლის სახით 35 932,92 ლარის და-

კისრების ნაწილში გადანყვეტილება ძალაში უნდა დარჩეს.

სასამართლო ხარჯები

96. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადანყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

97. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე.

98. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხისათვის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული და კრედიტორის მიერ მიუღებელი თანხის – 17 585,05 ლარის გადახდის დაკისრებას მოითხოვდა, იგი ასევე მოითხოვდა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის – 2015 წლის 5 ივნისამდე 35 932,92 ლარის და 2015 წლის 5 ივნისიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე პერიოდში დანაკლისი თანხის 17 585,05 ლარის წლიური 5%-ის, რაც ყოველდღიურად შეადგენს 2,40 ლარს, გადახდის დაკისრებას. სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება გადასახდელი თანხით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვადიანი გასაცემის ან გადასახდელის შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით. სსსკ-ის მე-40 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება. გამომდინარე აქედან, სარჩელის ფასი განისაზღვრება 56 155,72 ლარით (17585,05 + 35932,92 + 2637,75 (3 x 879,25 (17585,05 x 5%)).

99. საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგიდან გამომდინარე, სარჩელი 55551,69 ლარის ფარგლებში ($7461,46 + 48\ 090,23$ ($9\ 598,34 + 35932,92 + 2558,97$ ($3 \times 852,99$ ($17059,8 \times 5\%$))), ანუ $98,92\%$ -ით ($55551,69 \times 100 : 56155,72$) დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1631,81 ლარის (მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის სახით სარჩელზე გადახდილი აქვს 5000 ლარი, თუმცა, ვინაიდან პირველი ინტანციის სასამართლომ მოსარჩელეს დაუბრუნა სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 3368,19 ლარი, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რომელიც ექვემდებარება მხარეთა შორის განაწილებას, შეადგენს 1631,81 ლარს) $98,92\%$ ანუ 1614,19 ლარის გადახდა. მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების – 48694,26 ლარისა ($56155,72 - 7461,46$) და მოთხოვნის მოგებული ნაწილის – 48 090,23 ლარის ($9\ 598,34 + 35932,92 + 2558,97$ ($3 \times 852,99$ ($17059,8 \times 5\%$))) პროპორციის შესაბამისად, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი $98,76\%$ -ით ($48\ 090,23 \times 100 : 48694,26$) დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 1947,38 ლარის $98,76\%$ ანუ 1923,23 ლარის გადახდა. საერთო ჯამში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3537,42 ლარის ($1614,19 + 1923,23$) ანაზღაურება. ვინაიდან საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხის სააპელაციო საჩივრის დავის საგნის – 7461,46 ლარის ნაწილში არ შეცვლილა, მოპასუხის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 298,45 ლარი (მოპასუხემ სააპელაციო საჩივარზე გადაიხადა 400 ლარი, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს დაუბრუნა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი – 101,55 ლარი) დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში. რაც შეეხება საკასაციო სამართალწარმოებას, საკასაციო საჩივარი $1,07\%$ -ით ($604,03 \times 100 : 56155,72$) დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2790,90 ლარის $1,07\%$ ანუ 29,86 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. გ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ს. რ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. მოპასუხე მ. გ-ძეს სს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.1. ქვეპუნქტით დაკისრებულ თანხასთან – 7461,46 ლართან ერთად, დამატებით დაეკისროს სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული და კრედიტორის მიერ მიუღებელი თანხა 9 598,34 ლარის ოდენობით;
5. მოპასუხე მ. გ-ძეს სს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება 2015 წლის 05 ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე 17 059,8 ლარის წლიური 5%, რაც ყოველდღიურად შეადგენს 2,34 ლარს;
6. ძალაში დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე მ. გ-ძეს სს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება 2015 წლის 05 ივნისამდე პერიოდის განმავლობაში 35 932,92 ლარი;
7. სს „ს. რ-ის“ (ს/კ: ...) მ. გ-ძის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს 29 (ოცდაცხრა) ლარისა და 86 თეთრის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
8. მ. გ-ძეს (პ/ნ ...) სს „ს. რ-ის“ (ს/კ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 3 537 (სამი ათას ხუთას ოცდაჩვიდმეტი) ლარისა და 42 თეთრის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
9. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge